



ქართულ-ამერიკული  
უნივერსიტეტი  
GEORGIAN AMERICAN  
UNIVERSITY

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური  
განათლების სკოლა

LIBERAL ARTS & HUMANITIES SCHOOL

**ენა და კულტურა**  
**Language and Culture**

**IV**

ემღვნება  
პოეტ-აკადემიკოს მუხრან მაჭავარიანის  
დაბადების 90 წლისთავს

Dedicated to the 90<sup>th</sup> birth-anniversary  
of poet-academician Mukhran Machavariani

თბილისი – Tbilisi  
2019

სარედაქციო კოლეგია:

**რუსუდან ციციშვილი**

**თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი)**

**თამარ კვაჭაძე**

**მანანა კვაჭაძე**

**ლალი დათაშვილი**

**მაია ჯალიაშვილი**

**თეა ზურჭულაძე (პასუხისმგებელი მდივანი)**

**მაკა ლაზარტყავა**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან რატიანისა**

© ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

Georgian-American University

ISBN

## ს ა რ ზ ე ვ ი

ლევან ბრეგაძე – მუხრან მაჭავარიანის პოეტიკის მარკერები .....	7
Levan Bregadze – The poetical markers of Mukhran Machavariani .....	14
თეა ბურჭულაძე – ქართული ენის ფენომენი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში .....	15
Tea Burchuladze – The Phenomenon of the Georgian Language in Mukhran Machavariani's Poetry .....	23
ციცი გაბესკირია – სინათლით სავსე პოეზია (მუხრან მაჭავარიანი) .....	25
Tsitsi Gabeskiria – The poetry which is full of light (Mukhran Machavariani) .....	30
თამარ გვიანიშვილი – მიხეილ (მიხაკო) წერეთლის შეხედულება „კავკასიის ერთობის“ შესახებ .....	31
Tamar Gvianishvili – The view of Mikheil (Mikhako) Tsereteli on the ‘unity’ of Caucasia .....	45
ლალი დათაშვილი – ბიბლიური პერსონაჟები და იგავები „დავითიანში“ .....	48
Lali Datashvili – Biblical Characters, Parables and Miracles in “Davitianian” .....	64
ჟანეტა ვარძელაშვილი – ცნება „მონანიება“ როგორც კულტურის უნივერსალია (შეპირისპირებით-ინტეგრაციული ანალიზი) .....	65
Janeta Vardzelashvili – The Concept of ‘repentance’ as a Culturally Universal Notion (Comparative and Integrative Analysis) .....	75
თამარ ვაშაკიძე, რუსუდან ციციშვილი – მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებლები მუხრანის ლექსში (რამდენიმე შტრიხი) .....	76

Tamar Vashakidze, Rusudan Tsitsishvili – Artistic- stylistic features of Mukhran Machavariani’s Verse..	99
ნინო ვახანია – ალექსანდრე ორბელიანი – აკაკის მოკა- ნანახე .....	101
Nino Vakhania – Alexander Orbeliani – Akaki Tsereteli’s Spiritual Ancestor .....	112
ხათუნა თავდგირიძე – ანდროგინია და დიადა: ტყუპების მითოსის მსოფლმხედველობრივი ასპექტები (არქაული და ინდოირანული კონცეპტები) .....	115
Khatuna Tavdgiridze – Androgyny and Diada: Ideological Aspects of Twins Myth <i>Archaic and Indo-Iranian concepts</i> .....	128
მანანა კვატაია – რეპრესირებულ მწერალთა პორტრე- ტებიდან – ლევან ხაინდრავა .....	130
Manana Kvataia – From the Portraits of Repressed Writers – Levan Khaindrava .....	136
თამარ კვაჭაძე – სინტაქსური ელიფსი – დამოუკიდე- ბელ წინადადებათა დაკავშირების საშუალება .....	138
Tamar Kvachadze – Ellipsis as Interconnective of Independent Sentences .....	145
ნანა კუცია – წყლის კონცეპტი ქართულ პოსტმოდერ- ნიზმში (შოთა ბოსტანაშვილი – „ოთხი ლაპარაკი“) .....	146
Nana Kutsia – Water Concept in Postmodernism .....	151
მაკა ლაბარტკავა – შედარება მუხრანის ლექსში .....	153
Maka Labartkava – Comparison in Mukhran’s Poems .....	163
ნანა მაჭავარიანი – მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექ- სის („ორნი“) ინტერპრეტაციისათვის .....	165
Nana Machavariani – On the Interpretation of Mukhran Machavariani’s Poem (“Two”) .....	168

აკაკი მინდიაშვილი – ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში .....	169
Akaki Mindiasvili – The purpose of a man and the aim of life in the literary works of Akaki Tsereteli .....	181
ადა ნემსაძე – ნარატიული ხერხები ნინო ხარატიშვილის რომანში „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ .....	183
Ada Nemsadze – Narration techniques in Nino Kharatishvili's novel <i>The Eighth Life (for Brilka)</i> .....	191
მარიამ ორკოდაშვილი – ინფორმაციის წყაროს გრამატიკული გამოხატვა ევიდენციალობის საშუალებით ...	192
Mariam Orkodashvili – Grammatical Expression of Information Source Through Evidentiality .....	198
მარინე ტურავა – ლადო კოტეტიშვილი – „კეთროვანთა ზღაპრების“ მთავარი კონცეპტები .....	200
Marina Turava – Lado Kotetishvili The main concepts of "leper tales" .....	207
მედეა (დოდო) გლონტი – ღვთივსათნო სიტყვა მუხრანისა .....	209
Medea (Dodo) Ghloni – Mukhran's Divine Word .....	221
ვაჟა შენგელია – მაჭავარიანები (ეძღვნება მუხრან მაჭავარიანს) .....	223
Vazha Shengelia – The Machavarianis (Dedicated to Mukhran Machavariani) .....	227
მანანა ჩაჩანიძე – „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ – წვიმის ლექსიკოგრაფიული პორტრეტი მუხრანის პოეზიაში .....	229
Manana Chachanidze – "Only rain has nine names" – lexicographical portrait of <i>rain</i> in Mukhrani's poetry .....	234

მერაბ ჩუხუა – ბასკური ენის გენეალოგიური კლასი- ფიკაციისათვის .....	235
Merab Chukhua – Toward a genealogical classification of Basque language .....	242
იოსებ ჭუმბურიძე – სამშობლოს ბედი და ტენდენ- ციის გამჟღავნება პოეზიასა და პუბლიცისტიკაში .....	243
Ioseb Chumburidze – The fate of homeland and the revelation of tendency in poetry and publicist writings .....	249
ნინო ხახიაშვილი – მოქალაქე, მოქალაქეობა ტერმი- ნებისათვის (წმ. გრიგოლ ფერადის „შინაარსი ჭემმარტ მოქალაქეობის...“ მიხედვით) .....	251
Nino Khakhiashvili – Towards the terms <i>citizen</i> , <i>citizenship</i> (According to St. Grigol Peradze's " <i>Essence of true citizenship</i> ") .....	260
ნანი ხელაია – სასწაულებრივი განკურნების პარალე- ლები ახალ აღთქმასა და ქართულ ჰაგიოგრაფიაში .....	262
Nani Khelasia – Similar Stories of Miraculous Healing in the New Testament and Georgian Hagiography .....	277
მაია ჯალიაშვილი – მეტაჟანრული რომანის პოეტიკა – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“ .....	280
Maia Jaliashvil – The poetics of the Meta-genre novel - Besik Kharanauli's "The Main Player" .....	292
მაკა ჯოხაძე – რეკვიემიდან საგალობლებამდე (გენო კალანდიას პოეზია) .....	294
Maka Jokhadze – From Requiem to Canticles (Geno Kalandia's poetry) .....	307
გრიგოლ ჯოხაძე – ტიცთან ტაბიდის ანტიმანდელშტა- მური „გამოხდომა“ და კულტურული რეზონანსი .....	309
Grigol Jokhadze – On Titsian Tabidze's Anti-Mandel- stamian "Trick" and Cultural Resonance .....	318

## ლევან ბრეგაძე

### მუხრან მაჭავარიანის პოეტიკის მარკერები

აკაკი გაწერელია ერთგან შენიშნავს, რომ მუხრან მაჭავარიანის „ვერც ერთ სტრიქონს ვერ შეიტანთ სხვა პოეტის ლექსში ან სხვისას მის ლექსში“, იმდენად თვითმყოფადი და სხვათაგან გამორჩეულია მისი წერის მანერა. ძნელია დავასახელოთ მეორე პოეტი, რომელსაც ერთბაშად ამდენი სიახლე მოეტანოს – სიახლე თემატური, სიახლე პრობლემური, სიახლე ტექნიკური, მოკლედ, სიახლე სტრუქტურის ყველა დონეზე, და თანაც ასე ერთბაშადვე მოეხერხებინოს ტრადიციულ პოეტიკაზე აღზრდილი მკითხველის გულში შეღწევა, მოეხერხებინოს მასობრივად, ფართო მასშტაბით... ასეთი რამ, საერთოდ, იშვიათად ხდება და მუხრან მაჭავარიანი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია.

უპირველესი, რაც მისი ლექსების კითხვისას ყურადღებას მიიპყრობს, არის ენა. მასთან გვერდიგვერდ თანაარსებობს უახლესი და ძველი ქართული, დაბალი სტილისა და მაღალფარდოვანი მეტყველების მანერა. ერთი მხრივ: „აი, ის იყო კაცი მართლა **ჯიგრიანი**“ და, მეორე მხრივ, იმავე ლექსიდან, გრიგოლ ორბელიანს რომ ეძღვნება, „სიმძლავრე პეტერბურღის – ვითარცა ღენერალი, / ვითარცა პოეტი – სიმძლავრე ქართველთა“; ერთი მხრივ, „დევემირთა ძველთა ვერ შევმატებთ უკეთუ ახალთ?!“ და, მეორე მხრივ, იმავე სტროფიდან: „რისთვისღა ვხედავ ამდენ ვაჟკაცს?! – ვაჟკაცს **მოტრეტილს!**“

ანუ საქმე გვაქვს სტილისტიკურ ეკლექტიკასთან, რაც მკაფიო პოსტმოდერნისტული მარკერია.

იშვიათია პოეტი, რომელიც ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციებით მიიქცევს ყურადღებას. მუხრან მაჭავარიანის სინტაქსიც ერთობ საყურადღებო რამ გახლავთ. ამჯერად მხოლოდ ერთ თავისებურებას შევხები მუხრანისთვის დამახასიათებელი სიტყვათწყობისას.

ქართულში, ჩვეულებრივ, მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებული წინადადების თავში დგას, მუხრანთან კი იგი ზოგჯერ ამ ადგილს წინადადების სხვა წევრებს უთმობს, რის შედეგადაც სპეცი-

ფიკური, ყურადღების მიმქცევი ინტონაცია წარმოიქმნება, რითაც დამოკიდებული წინადადების სათქმელის აქცენტირება ხდება – დამოკიდებული წინადადება პრეტენზიას აცხადებს, მნიშვნელობით გადააჭარბოს მთავარს: „წყალი – ადულდა **რომელიც** – უნდოდა ყველას ენახა“, „და თუ ვინმე, ეს ამბავი არ სჯერა **ვისაც**“, „...თავისი **ვისაც** ურჩევნია ყველაფერს თავი“, „ჰკიდია **ვისაც** საქართველო ფეხებზე შენი“, „ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს – ფრთები მასხია თქვენგნით, მხოლოდ თქვენგნით **რამეთუ**“ და სხვ. „ეს სინტაქსური კონსტრუქცია ბაზისია სპეციფიკური ინტონაციისა, რომელიც მუხრან მაჭავარიანის სტილის ერთ-ერთი მახასიათებელია“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

ვრცელი საუბრის თემა მუხრან მაჭავარიანის რითმა. აქ მხოლოდ ორ თავისებურებას შევხვები.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებში დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სემანტიკითაც და ბგერითი შემადგენლობითაც გროტესკული რითმები – **ხოხოზია-ხო ყოფილა, ალაპია-აგრაფინა, სუფრანი-სოპრანო** და მისთანანი.

გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანმა ქართველ მკითხველს ყური გაუხედნა ასონანსების აღსაქმელად: ერთ-ერთ უადრეს, 1949 წელს დაწერილ, ლექსში რომლის სათაურია „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, ასეთი ასონანსები აქვს: **იდგნენ : ის ტყე** და **შედგნენ : ეს ტყე**, რაც იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ზუსტი რითმა ბატონობდა, დიდი გაბედულება იყო – რითმა, რომელიც მხოლოდ ხმოვანთა იგივეობას ემყარება და გართიმულ სიტყვებს არათუ არცერთი თანხმოვანი არა აქვთ საერთო, არამედ, ჟღერადობით მსგავსი თანხმოვნებიც კი არ მოეძევებათ, შესაძლოა არ მიელოკლასიკურ ლექსზე აღზრდილ მკითხველს, მაგრამ ასე არ მოხდა: დიდი პოეტები გუმანით გრძნობენ, არის თუ არა მზად ამგვარი ნოვაციებისთვის საზოგადოება. გავიხსენებ ჩინებული ასონანსების კიდევ რამდენიმე ნიმუშს (უამრავთაგან!): **სიტკბოთი : დიდგორი, ფასკუნჯი : ხაშურში, ზესიკმა : მეც იქ ვარ, მას სატკივარი : შალვა ივანიჩ, მე ჩემთვის : დესერტი...**

მუხრან მაჭავარიანის საყვარელი მხატვრული ფიგურა არის ჩამოთვლა, რაც თითქოს ნონსელექციის პრინციპით ხდება, ანუ, ერთი შეხედვით – განურჩევლად:



„მზე ამოდოდა, მთვარე ჩადოდა, მამალი ჰყოდა, კვამლი ადოდა, ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა, ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა...“; „თბილისის ფართო ქუჩებში დადის: ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი...“ (პოემიდან „ვახტანგი“); სხვა ლექსიდან: „მას ეხმარება მეუღლე, შვილი, ცოლისდა, სიძე, სიდედრი, დედა. ეძებენ სკამზე. ეძებენ სკამქვეშ. ეძებენ ტახტზე. ეძებენ ტახტქვეშ...“).

ჩამოთვლის ხერხის თავისებური გამოვლინებაა აგრეთვე თოთხმეტამდე დათვლა პოემაში „ვახტანგი“: „ყველაყა – მცირემდე დიდიდან – იდგა და სპილოებს ითვლიდა. – ერთი... ორი... სამი... ოთხი, – ხელებს შლიდნენ: – ვაა!.. ხუთი... ექვსი... შვიდი... – ბიჭოს!.. – აი მესმის! – რვა... თერთმე... თორმე... ცამე... თოთხმე, – გრძელდებოდა თვლა“.

ამას შემდეგ მოსდევს ჩამოთვლა იმისა, თუ ვინ ითვლიდა, როგორ ითვლიდა და რა ენაზე ითვლიდა:

„ითვლიდნენ გულში, ითვლიდნენ თითით, ითვლიდა ქალი, ითვლიდა ვაჟი... და მიდიოდა ხალხის თვალწინ ქარავანი თვლა და თვლაში; ქართულ თვლაში, სომხურ თვლაში, სპარსულ თვლაში, ბერძნულ თვლაში...“.

აქვე უნდა ვახსენოთ გამეორებები, ზოგჯერ ერთობ ხანგრძლივიც: „...გადადიოდა, გადადიოდა, გადადიოდა – და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, ვითარცა მტკვარი“ („ვახტანგიდან“); სხვა ლექსებიდან: „ეს მე ვარ, ეს მე ვარ, ეს მე ვარ, მიწაო, ეს მე ვარ, ეს მე ვარ, ეს მე ვარ, ცაო“; „და... ვიცი: ვივლი, ვივლი, ვივლი, ვივლი, და...“).

თანამედროვე ლიტმცოდნეობა ამგვარ გამეორებებსა და ჩამოთვლებს „სიჭარბის ხერხად“ მოიხსენიებს. მისი მიზანია ინფორმაციული ხმაურის შექმნა, რაც მკითხველში ე. წ. პოსტმოდერნისტული განწყობის წარმოქმნას უწყობს ხელს, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩამოთვლისას სურათები კალეიდოსკოპური პრინციპით ცვლიან ერთმანეთს.

რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ფორმისეული მარკერები იყო. ახლა აზრობრივ-შინარსობრივ მარკერებზე გადავიწვლივთ.

ერთი უმთავრესი ნიშანი, რომლითაც თავიდანვე გამოირჩა მუხრან მაჭავარიანის ლექსი, ეს არის გასაოცარი და, შეიძლება ითქვას, *მოულოდნელი* პლასტიკურობა. მოულოდნელი იმიტომ, რომ

ლირიკა, საზოგადოდ, თავისი ბუნებით უფრო რიტორიკისკენ არის მიდრეკილი. დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შედეგები, აკაკის „განთიადი“, გალაკტიონის „ნიკორწმინდა“ რიტორიკული პოეზიის ჩინებული ნიმუშებია, პოეტის გულში ვერდატეული განცდების სიტყვებად, მხატვრულ სახეებად გადმოდვრაა. ასეთი ლექსები მუხრან მაჭავარიანსაც ბლომად აქვს, გავიხსენოთ, თუნდაც, უკვე კლასიკად ქცეული – „შენ – სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო... შენ – სად არ გხვრეპდა შავი ყორანი... ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, – ნადიდგორალი, ნაშამქორალი“.

და აი, ამ ყაიდის პოეზიის ფონზე უჩვეულო სიახლედ გამოჩნდა მუხრან მაჭავარიანის ლირიკის პლასტიკური სახეები, როდესაც სიტყვის საშუალებით განსაცვიფრებელი სიზუსტით იხატება ფიზიკური მოძრაობა:

ქარი, ჩვეული ლაღობით,  
გადი-გამოდის ხერხივით,  
ქარის ჩამოყრილ ნაყოფის  
აღებას ცდილობს ხეხილი.

მიაქციეთ ყურადღება: ხეები ისე ირხვეიან ქარში, *თითქოს* ქარის მიერვე ჩამოყრილი თავიანთი ნაყოფის აკრეფას ცდილობენ! სწორედ ეს „თითქოს“ აცოცხლებს სურათს, სწორედ ეს „თითქოს“ არის ის, რისი მეშვეობითაც სრულყოფილი პლასტიკურობა მიიღწევა; დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვგვრის ხელოვანის ოსტატობა, მისი უნარი, სიტყვის მეოხებით ასე თვალნათლივ დაგვანახვოს ქარიანი პეიზაჟი.

პოეტი დიდ ოსტატობას იჩენს *მოძრავდეტალიანი* პეიზაჟის ხატვისას. „და გუნდაობენ ყვავებით ხენი“, – წერს იგი ერთგან. სახე იმდენად ეფექტურია, რომ თითქოს ენანება ერთი ლექსის „ანაბარა“ მიატოვოს ის და ცოტა შეცვლილი სახით სხვა ლექსშიც იმეორებს: „პანტას მესკია ესროლა პანტამ, როგორც თავისი ნაყოფი, ისე“. ორჯერვე ჩვენ თვალწინ გასაოცარი სიცხადით ცოცხლდება მოძრავდეტალიანი პეიზაჟი. მოდით, გავერკვეთ, რა ხდება, რას ემყარება ამ ნიმუშებში მხატვრული ეფექტი. რას და – უსულო საგნების (ხეები, პანტა) გასულიერებას, ხოლო სულიერთა (ყვავები, მესკია) უსულო საგნებად (გუნდებად, ნაყოფად) წარმოსახვას! რაც უნდა უცნაური ჩანდეს, სწორედ ამ ჩანაცვლებას (უსულოს გასულიერებას და სამა-

გიეროდ – სულიერის უსულო საგნად წარმოდგენას) ეფუძნება ზემოაღნიშნული ეფექტი.

აი, კიდევ ერთი მთლად ფანტასტიკური სახე. მოგეხსენებათ, ვერხვი იმით გამოირჩევა სხვა ხეებისგან, რომ იგი ფოთლებით ჰაერის ოდნავ მოძრაობაზეც კი რეაგირებს. ხშირად, როცა სხვა ხეები ფოთოლგაუნძრევლად დგანან, ვერხვის ფოთლები თრთიან და ცახცახებენ, რაც იპყრობს ბუნების სილამაზის აღსაქმელად გამახვილებულ მხერას. აი, პოეტს სურს დაგვანახვოს წიფლებიანი და ვერხვიანი პეიზაჟი და ამ მიზნის განსახორციელებლად ასეთ რამეს გვეუბნება: „ვერხვს საკუთარი ჰყავს, ალბათ, ქარი, უძრავად ვხედავ რადგან წიფლიანს“.

განხილული მაგალითების სახით საქმე გვაქვს პოეტური ხელოვნების განსაკუთრებულ მიღწევებთან. ეს სახეები სამყაროს მხატვრული ათვისების გზაზე მძლავრად წინგადადგმული ნაბიჯებია და დიდი ყურადღებით შესწავლას მოითხოვს. გავიხსენოთ, რომ ლესინგი თავის სახელგანთქმულ ესთეტიკურ ნაშრომში, რომელიც „ლაოკოონის“ სახელით არის ცნობილი, პოეტებს ურჩევდა ხელი აეღოთ პეიზაჟების ხატვაზე, ვინაიდან ამას მხატვრებზე უკეთ მაინც ვერ მოახერხებთო. მუხრან მაჭავარიანის ლექსები კი ლესინგის ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განგვაწყობენ.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება იმითაც გამორჩევა, რომ იგი მძაფრად აკრიტიკებს მშობელი ხალხის მანკიერ თვისებებსა და ჩვეულებებს. ქართველ ხალხს ილიასა და აკაკის შემდეგ მუხრან მაჭავარიანამდე თავისი პოეტებისაგან ამდენი მწარე საყვედური აღარ მოუსმენია.

მუხრან მაჭავარიანი ზედმეტი რევერანსების გარეშე, პირში მთქმელი კაცის პირდაპირობით აცხადებს: „სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის!“; ან კიდევ: „საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში, ცრემლად იღვრება მარიამი, ილხენს არესი. შურს ცოცხალს მისი, – წევს ამჟამად ვინც სამარეში... ხდება რაც ახლა! – მოხდეს უნდა რა უარესი?!“

ჭეშმარიტი ლირიკოსი, მზის, გაზაფხულის, სიყვარულის, სიკეთის მომღერალი, იგი, ამავე დროს, სოციალურ უგვანობათა დაუნდობელი კრიტიკოსიც არის. არც ამას იყო შეჩვეული საბჭოთა საქართველოში მცხოვრები მკითხველი პოეტებისგან – დიდი ვაჟკაცობა

სჭირდებოდა სოციალური უგვანობის მხილებას, ეს ერთობ სახიფათო რამ იყო და მრავალი პრობლემაც შეუქმნა ამ ლექსებმა ბატონ მუხრანს. მის კალამს ეკუთვნის სოციალური სატირის უმძაფრესი ნიმუშები, რომელთაგან არ შეიძლება არ გავიხსენოთ თუნდაც „სხდომა“: „თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით. და... გარემო ყოველგვარი ხათრის, – განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით, – ტრიბუნაზე უწიგნური ადის. თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით. და... ტყუილში ქურციკივით მარდი, – ქველმოქმედის (დავიღუპეთ!) პრეტენზიით, – ტრიბუნაზე მატრაბახი ადის“.

ან თუნდაც ეს:

„არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“  
უარყოფითი დაკარგა ჟღერა!  
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, –  
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა! –  
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,  
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!“

ეს ლექსები მეხის გავარდნასავით მოქმედებდა იმ ვითარებაში, რომელიც ერთ-ერთ სხვა ლექსში თვითონვე ასე დაახასიათა: „ქალი და კაცი ეჯიბრება იმაში ურთერთს, ფიქრის და სიტყვის დამორებას ვინ შესძლებს უკეთ“.

ხელოვანთა ყურადღებას ოდითგანვე იპყრობდა საშუალოზე აღმატებული და საშუალოზე დაბლა მდგომი ადამიანები – გმირები, გენიოსები, მემამბოხენი, თავგადასავლების მამიებელნი, ერთი მხრივ, და ბეჩავნი, ჩაჩანაკნი, ჩაგრულნი, ღატაკნი, მეორე მხრივ. ანუ ამ თვალსაზრისით (პერსონაჟთა შერჩევის თვალსაზრისით) ხელოვნებაში იერარქიულობის პრინციპი მოქმედებდა – ხელოვანის ინტერესს საზოგადოებრივი იერარქიის მაღალ და დაბალ საფეხურებზე მდგომნი იპყრობდნენ. არაფრით გამორჩეული, უფერული საშუალო ადამიანი, „კაცი რიგითი“ არავის აინტერესებდა (ასეთებს მხოლოდ გმირთათვის ფონის შესაქმნელად თუ მიმართავდნენ მასობრივ სცენებში, ან დასცინოდნენ, უწოდებდნენ მათ მეშჩანებსა და ობივატელებს, – მეცნიერულად – საშუალო ფენას), და ეს ბუნებრივიც არის – ვის შეიძლება აინტერესებდეს უფერული საშუალოობა? ალბათ სოციოლოგს, რაკილა ისინი („რიგითნი“) უმრავლესობას შეადგენენ,

მაგრამ არამც და არამც ხელოვანსა და მის აუდიტორიას. საშუალონი მწერლის ყურადღებას მხოლოდ მაშინ იქცევდნენ, თუ ამ თავიანთი საშუალოობის, რიგითობის, გამო კურიოზულ ვითარებაში აღმოჩნდებოდნენ, ანუ ამ დროს ხელოვანს აინტერესებს არა რიგითი ადამიანი, როგორც ასეთი, არამედ ის ვითარება (უპირატესად კომიკური), რომელიც მისი წყალობით შეიქმნა.

ასე გრძელდებოდა ბოლო დრომდე, მაგრამ მოდერნის შემდგომ ხანაში, რომელიც პოსტმოდერნად იწოდება, ვითარება შეიცვალა. იერარქიები მოიშალა. ჩვენი დროისთვის ყოველი ტექსტი ინტერტექსტია, და – ამის მსგავსად – ყოველი ადამიანი ინტერადამიანია. ხელოვანთა მხერა საშუალო, რიგითმა ადამიანმაც მიიპყრო.

ღვინოს მიმართეს  
(მოიარა სუფრა არაყმა).  
კარგი ოჯახი.  
პურმარილი, –  
შენი ქებული.  
– ერთად ვსწავლობდით! –  
დიდ პოეტზე ამბობს ამაყად  
კაცი რიგითი –  
რიგითობას შერიგებული.

„რიგითი ადამიანი“ მუხრან მაჭავარიანის გულმოდგინე დაკვირვების ობიექტია. უმთავრესი და ერთობ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან იცის „რიგით ადამიანად“ ყოფნის უპირატესობები და ზოგჯერ შენატრის კიდეც მას. ამ თემაზე მუხრანს დაწერილი აქვს ისეთი შედეგვრები, როგორცაა უსათაურო „რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა“ და „აივანზეა მეუღლითურთ პანტელიემონ“.

ეს ისეთი თემატური სიახლეა, რომელიც ერთობ მნიშვნელოვანი რამ არის არა მარტო ქართული პოეზიისთვის.

მუხრან მაჭავარიანის სტილის ფორმისეულ თუ შინაარსობრივ მარკერებზე, რითაც მისი პოეზია მკაფიოდ გამოირჩევა სხვებისაგან, კიდეც ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

Levan Bregadze

**The poetical markers of Mukhran Machavariani**

Summary

In this work are discussed some characteristic features of the poetics of Mukhran Machavariani in the fields of lexis, syntax, rhythm, methods of literary expressions, thematics and problematics, the sum of which determines the eminent property, originality und singularity of his poetry.

## თეა ბურჭულაძე

### ქართული ენის ფენომენი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

მუხრან მაჭავარიანი ღრმად მოაზროვნე და მრავალწახნაგოვანი პოეტი. მისი პოეზია განსაკუთრებული ესთეტიკური თუ შინაარსობრივი მხარის გარდა, გამოირჩევა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ პოეტის მკვეთრი პოზიციისა და პრინციპული თვალსაზრისების შეულამაზებელი გამოხატვით. ეს მუხრან მაჭავარიანის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, ერთ-ერთი განსაკუთრებული შტრიხია. ამ ფაქტს იმთავითვე იმიტომ გავხაზავთ, რომ სამშობლოსადმი მიძღვნილ უამრავ ლექსში ის თავის მკითხველს დააფიქრებს იმ საკითხებზე, რომლებზეც აქამდე ან არ უფიქრია, ან საერთოდ არ დაინტერესებულა.

ამ თვალსაზრისით მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ხაზი არის ქართული ენა, მისი ფენომენი თუ დანიშნულება ქვეყნისა და ერისათვის. ცხადია, ამის შესახებ აქამდეც არაერთხელ უთქვამთ, შეუფასებიათ, მაგრამ ინტერესი კვლავ შეუწელებელია და გაგვიჩნდა სურვილი ჩვენეული ხედვა შემოგვეთავაზებინა მუხრან მაჭავარიანის, როგორც ქართული ენის მოამაგის, შესახებ. ჩვენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა პოეტის დამოკიდებულება, შეხედულება მშობლიური ენის მიმართ.

ენის რაობაზე ბევრ შემოქმედსა და მოღვაწეს ეკუთვნის ბრწყინვალე, პოეტური და ღრმაშინაარსობრივი ფრაზები თუ გამოთქმები. დიდი ხნის წინ უკვე ითქვა ქართული ენის შესახებ: „ენაი შემკული და კურთხეული“, „მამული, ენა, სარწმუნოება“, „ერი დედაა ენისა“, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, „ბურჯი ეროვნებისა“ და სხვა. ამ ბრწყინვალე შეფასებებისა და ნააზრევის გვერდით, ვფიქრობთ, ღირსეული ადგილი დაიკავა მუხრანისეულმა პოეტურმა გამონათქვამმა: **„ქართული ქართველთ რწმენაა.“** როგორც არაერთმა მკვლევარმა აღნიშნა, იმდენი ნაფიქრი ქართულ ენაზე, რამდენიც მუხრან მაჭავარიანს აქვს, იმ პერიოდშიცა და მერეც, არავის შემოქმედებაში არ გვხვდება. „იმდენად ხშირად უბრუნდება პოეტი ამ თემას და იმ-

დენი კუთხით განიხილავს და განადიდებს მას, რომ სრულიად თამამად მის შემოქმედებას ერთიანად „ქართული ენის საგალობელი“ შეიძლება ვუწოდოთ“ [მიქელაძე 2017: 68]. პოეტი არაერთი კუთხით განიხილავს ქართული ენის არსს, მის განსაკუთრებულ ფუნქციასა და ღირებულებას. ერთი მხრივ, ენის ისტორიულ პერიპეტეებს ხატავს, მეორე მხრივ, ხოტბას ასხამს მის ძალასა და ფენომენს. სადაც საჭიროა კი, დაიქუხებს ძე ქუხილისა, აფრთხილებს მკითხველს, ენის მიმართ უდიერ დამოკიდებულებას შეულამაზებლად ამხელს.

მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ლექსების გაცნობისას უპირველესად, რაც მკითხველს თვალში ხვდება, არის ის, რომ პოეტისათვის ქართული ენა, მისი ძალა განსაკუთრებულია. ის ისეა დაფასებული, როგორც არავისთან. საინტერესოა, რომ მუხრან მაჭავარიანს აქაც მკვეთრად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი აქვს – მისთვის ქართულის მსგავსი ენა დედამიწაზე არ არსებობს. უფრო მეტიც, ასეთი ენის ღირსად მხოლოდ შოთას თუ მოიაზრებს, თუმცა პოეტისათვის დედაენა ისეთი ფენომენია, იმგვარი ძალა აქვს, რომ თვით შოთაც კი ვერ შექმნიდა თავის შედევრს, რომ არა ქართული ენის ასეთი გამორჩეულობა, თითქოს ქართულმა დააწერინა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“, სხვა ენაზე ასეთი პოემა ვერ შეიქმნებოდა. „რუსთაველმა განადიდა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ შექმნა რუსთაველი? მუხრან მაჭავარიანს ასე სჯერა – სხვა ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაიწერებოდაო“ [გოგოლაშვილი 2019: 7]:

„ენა რომ არა, ისიც ასეთი,  
როგორც იტყვიან: ყალმით ნახატი!...  
შენი თვით შოთა რასაც დაწერდა, –  
ერთი იმასაც ვნახავდი!“

(„ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი“).

ლექსში „რაშია საქმე“ მუხრან მაჭავარიანი მიმართავს მათ, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებენ ქართულს, არ იციან მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ... იქვე შოთასა და ვაჟას იხსენიებს, რომლებიც ამ „დალოცვილ ენაზე“ წერდნენ. ჩვეული პოეტური მანერით აღნიშნავს, ცოტა არაა ის ფაქტი (ანუ ეს ძალიან ბევრს ნიშნავს...), რომ სწორედ ამ ენაზე წერდნენ შოთა და ვაჟა... აქ თითქოს ორივე მომენტს გამოკვეთს მუხრანი – ისეთი გამორჩეულები არიან



შოთა და ვაჟა, რომ განსაკუთრებულ ენაზე წერდნენ. ესე იგი, აქ თანაბარი ძალა აქვს ენასაც და დასახელებულ პოეტებსაც...

„არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი ცოტა არც იმას, –  
წერდნენ რა ენაზე ვაჟა და შოთა!“ („რამია საქმე?!“).

პოეტს არ ავიწყდება ქართული ენის „მრავალჭირგადანახადი“ ისტორია. მუხრანი თანამედროვეებსა და მომავალ თაობას ლექსში „მრავალჭირგადანახადი“ მიუთითებს, რომ დღეს ენის ბედი სწორედ მათზეა დამოკიდებული, რომ მისი ძლიერების შენარჩუნება ჩვენ გვევალება. უამრავ მტერს გადარჩენილი უნატიფესი ქართული ენა მისახედა...

„დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!  
ლარი და ხაზი ამას რად უნდა...  
ჩვენ უნდა შევძლოთ,  
და კიდევ შევძლებთ! –  
კვლავ იძლიეროს  
ენამ ქართულმა“ („მრავალჭირგადანახადი“).

დღეს ეს დაგვაფიწყდა... პოეტი ამას მუდამ შეგვახსენებს...

რაოდენ უნდა ჰყვარებოდა მუხრან მაჭავარიანს ქართული ენა, როგორი დიდი თაყვანისცემა უნდა ჰქონოდა მშობლიური ენის მიმართ, რომ ამ გრძნობას ასე დაეწერინებინა მისთვის:

„სიცოცხლეც მარტო იმიტომ მიწდა,  
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით  
ჰყვოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“  
(„მარტო იმიტომ“).

ესე იგი, პოეტი ცოცხლობს, ცხოვრობს ქართული სიტყვით, ეს ასულდგმულებს მას. ქართული სიტყვა ხომ წინაპართა მიერაა გახედნილი და დიდი შოთას უღელში ნაბამი, მერე კი საბას მიერ რუდუნებით შეკრებილი. რასაკვირველია, რომ მუხრან მაჭავარიანისათვის ასეთი გზაგამოვლილი ენა სიტყვებად მისი სიკვდილის შემდეგაც აყვავდება. პოეტმა განსაკუთრებულად შეიცნო მშობლიური ენის ლაზირინთები და ამით უკვდავებას ეზიარა. ამიტომ მიიჩნევს

მუხრან მაჭავარიანი, რომ მისი სახელი, როგორც პოეტისა, არასოდეს იქნება უტყვი. ამისი მთავარი მიზეზი კი პოეტისათვის დედაენაა, რომელსაც ისეთ ორნატს (ანუ ხნულს, კვალს) უწოდებს, რომელიც მხოლოდ მისია. დიახ, მისმა ქართულმაც დატოვა ღრმა კვალი. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ქართულ ენას დააჩნია თავისი, მუხრანისეული კვალი და მკითხველს კიდევ ერთხელ განაცდევინა („რუსთაველის შემდეგ“, „ილიას შემდეგ“, „აკაკის შემდეგ“, „ვაჟას შემდეგ...“) ქართული სიტყვის შნო და ლაზათი...“ [ვამაკიძე 2019: 7]. ქართული ენა ხომ ისეთი ფენომენია ქართველისათვის, რომ მას უცნობი სუნთქვით ავსებს. ეს „უცნობი სუნთქვა“ ამავდროულად როგორი ნაცნობია და თანაც მაცოცხლებელი ქართველისათვის:

„სახელი ჩემი  
არ გახდება არასდროს უტყვი,  
მეც ვაჩნევ ჩემსას  
დედაენას რამეთუ ორნატს,  
ჩემი, ჩემამდე,  
ქართველთათვის უცნობი სუნთქვით“ (უსახელო).

პოეტს ღრმად სწამს, რომ მომავალ თაობას ყრმობიდანვე უნდა ჩააგონო და აუხსნა ქართული ენის მნიშვნელობა ერისათვის. ამიტომ ლექსში „ვინც იყო, იგი რომ არა“ მუხრან მაჭავარიანი იხსენებს ძველ გმირებს, რომელთა გარეშეც დღეს არ იქნებოდა არც ქართული ენა. მიუთითებს, რომ თუ გვინდა გვერქვას ქართველი, უპირველესად მუდამ უნდა ისმოდეს ქართული, ყველაფერს ერქვას ჩვენი, ქართული, სახელი. ესე იგი, პოეტისათვის **ქართველი ქართული ენის გარეშე ქართველი არაა**. დღეს ეს დაგვავიწყდა...

„კვლავაც თუ გვინდა, ქართველი  
ლაპარაკობდეს ქართულად,  
თუ გვინდა, იყოს კვლავ ჩვენი  
ეს არემარე ხატულა.  
თუ გვინდა, მხარეს მშვენიერს  
კვლავ ერქვას ჩვენი სახელი  
თუ არ გვსურს, მენი ჩვენივე  
ჩვენი რომ გახდნენ მძრახველნი“  
(„ვინც იყო, იგი რომ არა“).

როცა მუხრან მაჭავარიანი საოცარი პოეტური ხერხებით აღწერს საქართველოს ისტორიას, არც იქ ავიწყდება თქვას, რომ ქართული სიტყვა იმთავითვე ქართველი კაციდან კაცში გადადიოდა. აქ ერთი შტრიხია გამოსაკვეთი – მუხრანი ჩამოთვლის ქართველი კაცის ცხოვრების მთავარ თანამგზავრ ნიშნებს: ქართული ღვინო, ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული გული. ამ ჩამონათვალში პოეტი ქართულ სიტყვასაც ასახელებს, როგორც ქართველობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელს:

„ვითარცა ღვინო –  
ქვევრიდან ხაპში  
ხაპიდან დოქში –  
დოქიდან ჯამში –  
ქართული სისხლი,  
ქართული სული,  
ქართული სიტყვა,  
გადადიოდა კაციდან კაცში“.

პოეტი შენიშნავს, რომ, მართალია გზადაგზა, მას „ულმერთოდ პრყვნიდნენ“, მაგრამ:

„მიუხედავად ამისა,  
მაინც –  
გამოიარა რუსთველის გული“ (ვითარცა მტკვარი“).

სხვაგვარად არც შეიძლებაოდა, რადგან, პოეტის თვალსაზრისით, ეს ხომ ქართული ენის ფენომენია, იფეთქოს რუსთაველისნაირ პოეტში. თამამად შეიძლება ითქვას, იფეთქა ქართულმა მუხრანის პოეზიაშიც.

მუხრან მაჭავარიანს ღრმად სწამს, რომ ქართული ენა „იარს უსასრულოდ“. პოეტისათვის ათას სხვა ენას შორის, რომლებიც კი ოდესმე გაისმა ქართულ მიწა-წყალზე (ასეთი კი, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი იყო), ქართული ენა, მისი ხმა სულ სხვაა. ისე გამოარჩევს პოეტი ენებს შორის მას, როგორც – მათთან მკრთომარეს, ოღონდ კი არ ბჟუტავს, ვარსკვლავივით კრთის:

„კრთის ენა ქართული, –  
მოსული აქამდე! –  
იარს უსასრულოდ  
რომელიც ამიერ!“

(„იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ“).

მუხრან მაჭავარიანი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეა და მერე პოეტი. მისი ცხოვრების გზაც ამაზე მიუთითებს. „საერთოდაც, მუხრან მაჭავარიანი ფიქრის კაცია და მამულზე ფიქრს უზიარებს სახელოვან წინაპრებსა და თავისი შემოქმედების თანაზიარ ხალხს“ [ჭიკაძე 2018: 124]. სწორედ მოქალაქეობრივი შეგრძნება და ღირსება ათქმევინებს მას, რომ ყველაფერზე დათანხმება, თავდახრა ქვეყანას აზიანებს და ღირსებას უკარგავს. ქართველების ყველაფერზე თანხმობამ სხვა დამღუპველ ფაქტორებთან ერთად ქართული ენაც დააკნინა, ფაქტობრივ, ვკარგავთო, განგაშს ტეხს პოეტი:

„როგორც ახალი ნაჭიჭრაქალი, –  
ტოკავს ასკილი,  
ანდა გრაკალი,  
ზუსტად, იმგვარი,  
ზუსტად ისეთით,  
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –  
სულყველაფერზე თავის კანტურით, –  
ენაც დავკარგეთ კნინდა ქართული!“

(ციკლიდან „1832“).

ამასაც ვივიწყებთ დღეს... ცხადია, მუხრან მაჭავარიანი რუსეთის გავლენაზე, რუსული ენის შემოჭრასა და დამკვიდრებაზე „თავის კანტურს“ აპროტესტებს, თუმცა ეს საკითხი არც დღეს კარგავს აქტუალობას (ახლა უკვე სხვა ენების გავლენაა). ვერ ეგუება და არ ეგუება მუხრანი ქართულის დაკნინებას. არადა, იცის პოეტმა, ყველაფრის თქმა შეუძლია ქართულს, იცის, ყველაფრის გამოხატვა ძალუმს მის მშობლიურ ენას. ამიტომ უკვირს მას, ასეთი ენის მქონე ხალხს რა აქვს სხვისი მისაბამი:

„რა გინდა რომ აქ არ იყოს,  
ენა იტყვის რას!

სიტყვა გინდა?! –  
მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა.  
მე შენ გეტყვი –  
არ გეყოფა სიტყვის მარაგი...  
არა!  
სხვისი მისაბამი  
რა მჭირს, –  
თვარა, – კი!“ (უსახელო).

მოგვიანებით პოეტი შეარცხვენს ყველა იმ ქართველს, რომელიც ვერ ახერხებს ქართულად წერა-კითხვას, აღარ ახსოვთ ის წარსული, ის ქართველები, რომელთაც ვერანაირმა სატანჯველმა და განსაცდელმა ვერ დაავიწყა ქართული ენა. ისინი ხომ სწორედ იმისთვის იბრძოდნენ, რომ მომავალი თაობებისათვის შეენარჩუნებინათ ის:

„შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,  
ვინ იყო შენი გამზრდელი,  
შენი გულისთვის დამიწდა  
როცა ამდენი ქართველი?!“  
(მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა).

მუხრან მაჭავარიანისათვის ქართული მხოლოდ ენა არაა, ჩვეულებრივი საკომუნიკაციო ფუნქციის ენა... პოეტი თავად სვამს ქართული ენის რაობის შესახებ კითხვას და ამაზე განსაკუთრებულ პასუხსაც თავადვე გაცემს:

„ქართული მარტო ენაა?!  
ქართული ქართველთ რწმენაა!  
ღმერთია!  
ბედისწერაა!  
ზღვა როა! – იმოდენაა!“ (ენა ქართული).

მაშასადამე, ქართული ენა ქართველის სიმბოლოა. უფრო მეტიც, პოეტისათვის ის ღმერთს უტოლდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“. ამიტომაც ის ქართველთა რწმენა, როგორც

ღმერთი. დამეთანხმებით, ქართული ენის ფენომენისა თუ როლის, სიყვარულის ასეთ გამოხატვასა და მიგნებას ბევრი ინატრებდა და დაიჩემებდა. მაგრამ ეს მხოლოდ მუხრანმა შეძლო.

ჩვენთვის მუხრან მაჭავარიანის ქართული ენის შესახებ დაწერილი ლექსები მხოლოდ ამალღებული პოეტური განსჯისა თუ მიძღვნის თემა არაა. ეს არის მისი, როგორც ღირსეული მოქალაქისა და ბრწყინვალე მოქართველის, ღრმად ნააზრევი, დიდი დარდისა და ფიქრის, უზომო სიყვარულისა თუ თაყვანისცემის, ენის შეცნობის მისეული გამოხატულება, რომელიც მკითხველს ასეთივე გრძნობას უჩენს და არ ავიწყებს პოეტის დანაბარებს:

„კიდევ ერთი რუსთაველი  
კიდევ ერთხელ აამდერო,  
შენც იხარო, –  
ჩვენც გვახარო, –  
გამხნევდე და გაგვამხნევო,  
გევალება საქართველო!  
შეგიძლია საქართველო!  
გაგიმარჯოს საქართველოვ!“

ვფიქრობთ, თავად ქართული ენის ფენომენი და ძალა არ დაავიწყებს ქართველს მუხრან მაჭავარიანის ამ დანაბარებს. ამისათვის დღესაცაა საჭირო მისეული შემოძახილი, დარიგება თუ სიფხიზლე, ქართული ენა ხომ ჩვენი ბედისწერაა...

## ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2019** – გ. გოგოლაშვილი, „ქართული ქართველთ რწმენა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე), თბილისი.

**ვაშაკიძე 2019** – თ. ვაშაკიძე, უებრო სიტყვისმოქმედი, თბილისი.

**მაჭავარიანი 1979** – მ. მაჭავარიანი, ერთტომეული, თბილისი.

**მაჭავარიანი 1989** – მ. მაჭავარიანი, მრავალჭირვარამგადანახადი, თბილისი.

**მიქელაძე 2018** – მ. მიქელაძე, ენა ქართული, ყალმით ნახატი, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, „კლასიკოსთა გაკვეთილები“, მუხრან მაჭავარიანი, თბილისი.

**ჭიკაძე 2018** – რ. ჭიკაძე, ნარატიული ვარიაციები მუხრან მაჭავარიანის პოეზიისა, „კლასიკოსთა გაკვეთილები“, მუხრან მაჭავარიანი, თბილისი.

Tea Burchuladze

## **The Phenomenon of the Georgian Language in Mukhran Machavariani's Poetry**

### Summary

One of the important themes of Mukhran Machavariani's poetry is the Georgian language, its phenomenon and purpose for the country and the nation. The Georgian language and its power are special for the poet. It is very appreciated in his poetry. Alongside a number of brilliant assessments of the importance of the Georgian language, we think that Mukhran's poetic expression "The Georgian language is the belief of the Georgian people" holds a worthy place.

The poet thinks that there is no other language in the world similar to Georgian. Furthermore, the poet considers only Shota Rustaveli to be worthy of using such a language. He thinks that the Georgian language is such a phenomenon, it has such a power that even Shota would not be able to create his masterpiece without its prominence. As if the Georgian language made him write "The Knight in the Panther's Skin" and it would be impossible to create such a poem in any other language. In one of the poems he mentions that great poets Shota and Vazha wrote their works in this blessed language. He emphasizes two facts – how distinguished Shota and Vazha are and how special this language is, i.e. the language and the poets have equal power in this case.

Mukhran Machavariani tells the contemporaries and the next generation that the fate of the language depends on them and we should

take care of its strength. The Georgian language that survived the attacks of a number of enemies needs our attention.

Mukhran lists the main signs accompanying the life of a Georgian man: Georgian wine, Georgian blood, Georgian soul, and Georgian heart. In this list the poet also mentions the Georgian word as one of the main determinants of being Georgian. Therefore, the Georgian language is a symbol of the Georgian people. Moreover, for the poet it equals God.



## ციცი გაბესკირია

### სინათლით სავსე პოეზია

(მუხრან მაჭავარიანი)

„მუხრან მაჭავარიანის ახლახან გამოცემული ლექსების წიგნი პოეზიის სინათლით არის ავსებული“ – ეს სიტყვები მამაჩემს, ვიქტორ გაბესკირიას ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტორ გაბესკირია – პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ამავე დროს მრავალი კრიტიკული სტატიისა და ესეის ავტორი გახლდათ. დიდია სპექტრი მის მიერ განხილულ ავტორთა შემოქმედებისა – რუსთაველიდან დაწყებული მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ანა კალანდაძითა და მუხრან მაჭავარიანით დამთავრებული. არ ყოფილა თითქმის არცერთი ყურადსაღები ლიტერატურული მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა. იგი მისი კრიტიკული წერილებისათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით, უტყუარი ლოგიკით, თითქმის მათემატიკური სიზუსტით ხსნიდა და ამტკიცებდა ამა თუ იმ პოეტური ქმნილების ავკარგიანობას. მისთვის უცხო და მიუღებელი იყო ფორმალისტური, შინაარსგამოცლილი, ზედმეტი ატრიბუტებით გადატვირთული პოეზია, სადაც ბრჭყვიალა მეტაფორულ სამკაულებში იკარგება პოეტური ნაწარმოების არსი და მოტივი, რის გამოც იგი ავტორმა შექმნა. დღევანდელ დღეს, როცა ჯანსაღი კრიტიკა თითქმის არ არსებობს, უარყოფა გინებით, ხოლო მოწონება მხოლოდ მიკერძოებულად, დითირამებით გამოიხატება, განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ეს კრიტიკული წერილი, რომელიც მუხრან მაჭავარიანს ეძღვნება.

ვ. გაბესკირიამ პირველივე უსათაურო ლექსი („ანდუყაფარო, ლიპარიტო, დარო მთათანო, ზაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო, ბიჭო სესეო, თოთიკაანთ ქალო მელანო, ვაჟას არწივო, შოთას ვეფხვო, ტატოს მერანო...“), რომელიც წლების შემდეგ მთელმა საქართველომ შეიყვარა, ელვარე ტალღებიან ნაკადულს შეადარა. მისი აზრით, აქ ჩანს ავტორის ანკარა სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი. „ვინ მოსთვლის რამდენ ლექსში ვხვდებით აქ ჩამოთვლილი ადამიანების, მცენარეების და სხვათა სახელებს, მაგრამ ამ ლექსში განსაკუთრებით ემოციურნი იმის გამო არიან, რომ მათ წარმო-

თქვამს მათი მსასოებელი ადამიანი. ამ ლექსის მთქმელი რომ სწორედ ასეთ ადამიანად უნდა მივიჩნიოთ, ამაზე პირველ რიგში ის მეტყველებს, რომ ლექსში ჩამოთვლილ სახელმოხვეჭილ ადამიანთა შორის ვინმე სესესა და მელანოს მოუხმო; ვინმეო, ვთქვით, განა ასეა? ისინიც, ის უცნობი ადამიანებიც, ჩვენთვის უკვე ნაცნობები და საყვარლები გახდნენ“.

მეორე ლექსი, რომელიც ვ. გაბესკირიას ყურადღებას იპყრობს, „არსენას ლექსია“. აქ იგი თავის ერთ-ერთ ძირითად თეზას – გრძელი ამბის მოკლედ და ოსტატურად თხრობას უწონებს ავტორს. თავად მისი მხატვრული სტილიც ხომ ამას მოიცავდა.

„ხშირად მიხდება მტკიცება, რომ ლექსი მოთხრობის და სხვა სახის პროზაულ ნაწარმოებთა კონდენსირებულად თქმა არის-მეთქი. ამ პატარა ლექსმა, ქვეტექსტების წყალობით, არსენას ბიოგრაფია გაგვაცნო, ის არემარეც დაგვანახა, სადაც ტლუ ბიჭის არსენას ცხოვრებამ განვლო, გვაგრძნობინა, რომ ის გარეგნულადაც და სულიერადაც ლამაზი ქართველი ყმაწვილია: მეტსაც გეტყვით, არსენაზე დაწერილ ქართულ მოთხრობებს, შესამღებელია, მკეთხველისათვის ვერც კი უგრძნობინებია ის ტრაგიზმი, რომელიც არსენას ჰქონდა და რომელიც შავი მორევივით ტრიალებს ამ სტრიქონებში:

თუნდაც ერთხელ,  
ოღონდ ურმული -  
მამლერა ხელში სახრითა!

წერილის ავტორის აზრით, ასევე ვრცელი ამბავი ჩაატია მუხრან მაჭავარიანმა ერთ ხუთსტრიქონიან უსათაურო ლექსშიც. ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა გიზო ზარნაძემ გაიხსენა: აღარ მახსოვს ხეირიანად, 1959 თუ 1960 წელი გახლდათ, იმჟამინდელ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ბ-ნი ვიქტორის წერილი, რომელშიც საუბარი იყო იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობდა ავტორთან ერთად ახალგაზრდა მუხრან მაჭავარიანის კრებულის შედგენაზე. ბატონ ვიქტორს ყურადღება მიუქცევია საერთო საქალაქიდან მოშორებით მდებარე ერთი ხელნაწერისათვის. დაინტერესებულა და უკითხავს, ეგ რა ლექსიაო.

„ეგ არაფერი, მეზობლის ბიჭი გარდაიცვალა ტრაგიკულად და იმაზე დავეწერე, კრებულში შესატანი არააო“.

წაუკითხავს ვიქტორს და რასაკვირველია, აღფრთოვანებულია.  
არადა, ამ სულისშემძვრელი ლექსის გამმეტებელი იქნებოდა  
ბატონი ვიქტორი?!

დამგვანებიან შენი დები მოწყენილ მერცხლებს,  
ზეგ პროცესია პლენანოვზე გაივლის ნელა.  
„თბილისის“ (ვაი, შენი ბრალი!) უკანა გვერდზე  
(დღეს – პირველად და უკანასკნელად)  
დაბეჭდილია სახელი შენი, ბიჭო.

გაზეთ „თბილისის“ მხოლოდ ხსენებამ – წერს ვ. გაბესკირია, რომლის მეოთხე გვერდზე მართლა ქვეყნდება სამგლოვიარო განცხადებები, უცებ თბილისის ერთ-ერთი ხალისიანი და მჩქეფარე საღამო დაგვანახა, გავიგეთ, რომ უდროო სიკვდილმა მრავალ ადამიანს დასწყვიტა გული, იმიტომ კი არა, რომ ის ახალგაზრდა სახელმძღვანელო პიროვნება იყო, არამედ იმის გამო, რომ თვით თანამედროვენი არიან გულისხმიერნი და ერთმანეთის კეთილის მსურველი ადამიანები... „დამგვანებიან შენი დები მოწყენილ მერცხლებს“ ...მათ მერცხლებად მხოლოდ იმის გამო კი არ წარმოვიდგენთ, რომ თეთრი პირისახის ასულებს შავები ჩაუცვამთ, არამედ იმიტომაც, რომ ისინი სულითაც და ხორციითაც ლამაზები ყოფილან.

მუხრან მაჭავარიანს შეემლო ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფრაზები პოეტური შეგრძნების გამომხატველად ექცია, მის ლექსებში უბრალო გამოთქმების მიღმა ხშირად დიდი ვნებათაღელვაა გამოხატული. „თავის კუთხეს პოეტი არ ხატავს მდიდრული დეკორაციებით. მისი თვალი ბუნებაში ღობე-ყორეს, შქერს, ეკალს ხედავს, ვიდრე ბუნების გრანდიოზულ სურათებს; ადამიანის ცხოვრებიდან უფრო სისადავე მოსწონს, ვიდრე ადამიანების – მორთულობის მხრივ – პირადულ ვითარებაში დანახვა. ეს გასაგებიც არის, ბუნებასაც და ადამიანებსაც მწერლის მათდამი დამოკიდებულება ამდიდრებთ და არა მათი მდიდრული გარეგნობა“ და ამის საილუსტრაციოდ ვ. გაბესკირიას მოჰყავს პატარა უსათაურო ლექსი:

„გარეთ ხმაურობს წვიმა,  
ოთახს ანათებს ლამპა...  
– პეტუშა გახსოვს?  
– იმე!

– რა ბიჭი იყო!..

– აპა!

„თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი ეს ლექსი ერთ-ერთ ძვირფას ლირიკულ ლექსად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მასში თხრობა და როგორც იციან თქმა, ლექსის ინვენტარი, მინიმუმამდეა დაყვანილი, პირველ რიგში იმის გამო მომწონს ეს ლექსი, რომ უღარიბესი საგნების (მარტივი ოთახი, ლამპა) და არარომანტიკული სახელის „პეტუშას“ მოშველიებით პოეტმა სულიერად მდიდარი ადამიანები დაგვიხატა; იმ მეტად ლაკონიურმა დიალოგმა, რომელიც მოსაწყენ წვიმიან ღამით, ორ ადამიანს შორის გამართულა, ის პატარა პეტრეც შეგვაყვარა, რომელიც, ალბათ, სამამულო ომში დაიღუპა და იმ ადამიანებს შორის ყოფნის სურვილიც აღგვიძრა, რომლებიც იმ ყმაწვილზე საუბრობდნენ. ეს ლექსი იმ ნიჭიერი მხატვრის მიერ დახატულ ნატურმორტს ჰგავს, რომელშიაც, ძვირფასი ნივთების ნაცვლად, ვთქვათ, ჩალა, დოქი, ხის კუნძია დახატული, მნახველებში კი ამაღელვებელ ფიქრებს აღძრავს“ – წერს ვ. გაბესკირია.

ვ. გაბესკირია გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც მ. მაჭავარიანს გზა დაულოცა და თავისი ჭეშმარიტი პოეტური ალლოთი დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა მას და ამ ალლომ ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა. გასაოცარი კიდევ ის არის, რომ ამ წერილში კრიტიკულ შენიშვნას ვერ შეხვდებით, რაც მისთვის არ იყო დამახასიათებელი. შენიშვნებს იგი, ჩვეულებრივ, დიდ პოეტებსაც კი შეჰხედავდა ხოლმე. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ახალგაზრდა პოეტის „აღმოჩენით“ გამოწვეული აღფრთოვანება, იმდენად მოიხიბლა მისი პოეზიით, რომ მხოლოდ ზეადმატებული ფრაზებით შეამკო იგი. ასე შეაფასა ერთმა ჭეშმარიტმა პოეტმა მეორის შემოქმედება. აქვე უნდა ითქვას ის მეორე ფრაზა, რომელიც თავად მ. მაჭავარიანს ეკუთვნის და რომელსაც მურმან ჯგუბურია იხსენებს: „თუკი ცხოვრება იქნა, არ შეიძლება ვიქტორ გაბესკირიას პოეზია არ გაიგონო“ – თქვა ერთხელ მუხრან მაჭავარიანმა – კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“.

ისინი, ვინც მუხრან მაჭავარიანს იცნობდა, და უპირველეს ყოვლის, რა თქმა უნდა, მისი ოჯახის წევრები, დამეთანხმებიან, რომ პოეტის გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. მას არც დევნა-შევიწროება დაჰკლებია და არა მარტო იმ ავბედით 90-იან წლებში. ახლანდელი ახალგაზრდობისათვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რა

სიძნელეების გადალახვა უწევდა პატრიოტულად განწყობილ შემოქმედს. დამწყებ პოეტსაც არ პატიობდნენ სამშობლოს სიყვარულს და წარმოდგინეთ, ვ. გაბესკირიას, როგორც მისი პოეზიის განმადიდებელს, ერთი-ორჯერ დაესხნენ თავს და არ მოუწონეს „ზღვარგადასული პატრიოტიზმის“ შექება!!! მახსოვს ის ანონიმური სატელეფონო ზარები ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ და გაფითრებული მამა, რომელიც ვიდაცას უმტკიცებდა, რომ ჰქონდა უფლება თავისი აზრი ჰქონოდა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაზე და ერთხელ, მახსოვს, ისიც უთხრა ზარის ავტორს: „რატომ არ მეუბნებით, ვინა ხართ?! თქვენ იმ მსროლელს ჰგავხართ, რომელიც ხეს ეფარება და სიბნელიდან მაყრით ტყვიებსო“. მაგრამ დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

ის, რითიც ვ. გაბესკირია მოიხიბლა მ. მაჭავარიანის პოეზიის გაცნობისას, იყო მისი დიდი ნიჭიერება, სამშობლოს თავანკარა სიყვარული, ფაქიზად შერჩეული მხატვრული დეტალები, რითაც იგი ოსტატურად გადმოსცემს განცდას თუ იდეას. ვ. გაბესკირიას აზრით, მ. მაჭავარიანი იყო ნოვატორი პოეტი, რომელმაც პირველივე დღიდან მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, მიუხედავად ამისა, მისი ლექსები არ ემიჯნებიან, პირიქით, ენათესავებიან ტრადიციულ ლექსებს, იგი არ გაჰყვა მოდერნისტული გატაცებების ცდუნებას. მას საკუთარი ხელწერა, სტილი აქვს და იგი იმ ნამდვილ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი თვითმყოფადი პოეზიის წყალობით სამუდამოდ დაიმკვიდრებენ ადგილს ქართველ კლასიკოსთა რიგებში – ასე ფიქრობდა იგი და ეს განცხადება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ვ. გაბესკირიას მიერ დანახულმა და შეფასებულმა ახალგაზრდა მ. მაჭავარიანის პოეზიამ წლების შემდეგ მართლაც დაიმსახურა ხალხის დიდი სიყვარული და თავყვანისცემა.

## ლიტერატურა

**გაბესკირია 1989** – ვიქტორ გაბესკირია, „წერილები“, თბილისი.

**მაჭავარიანი 1999** – მუხრან მაჭავარიანი, „ყოველი ტოტი და ტოტისტოტი“, თბილისი.

Tsitsi Gabeskiria

**The poetry which is full of light**

(Mukhran Machavariani)

Summary

The paper deals with the poetic works of the great Georgian poet Mukhran Machavariani.

His poetry is analysed from the standpoint of the poet and literary critic Victor Gabeskiria who was the first to have foreseen his future as that of a very talented and accomplished poet. In his opinion, though he was later considered as an innovative author, his verse was always natural and authentic rather than artificially heightened and flavoured. His poems are very often characterized by expressing high-flowing emotions and ideas with the help of common, everyday words. The prediction of V. Gabeskiria has come true: M. Machavariani soon gained popularity and became one of the most beloved poets of Georgia.

## თამარ გვიანიშვილი

### **მიხეილ (მიხაკო) წერეთლის შეხედულება „კავკასიის ერთობის“ შესახებ**

კავკასია გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად იყო და არის მნიშვნელოვანი რეგიონი. ძველ ინდურ სიბრძნეს თუ გავიხსენებთ, კავკასია არის ერთობა მრავალფეროვნებაში და წარმოადგენს უძველესი ცივილიზაციის კერას. ამ რეგიონში მცხოვრები ხალხები ისტორიულად ცხოვრობდნენ და თანაარსებობდნენ არა მხოლოდ ერთმანეთის მეზობლად, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში – ერთი სახელმწიფოს, რუსეთის იმპერიისა და სახეცვლილი იმპერიის – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის სამმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო იმიერკავკასია დარჩა რუსეთის შემადგენლობაში. როგორც უნდა შეიცვალოს პოლიტიკური სიტუაცია, ამიერ და იმიერ კავკასიის ხალხები დარჩებიან კავკასიელებად. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო.

ჩვენი ინტერესის სფეროა, შევისწავლოთ ქართველ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებები კავკასიის, როგორც საზოგადოებრივი პიროვნების შესახებ. ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მიხაკო წერეთლის ვრცელი წერილი სათაურით „კავკასიის ერთობა?!“ სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ (№ 242-251) 1909 წელს. წერილის სათაურს ძახილისა და კითხვის ნიშნები აქვს დასმული, რაც ერთდროულად საეჭვოს ხდის კავკასიის ერთობის შესაძლებლობას.

მიხაკო წერეთელი იმერეთის სამეფოს ტახტის აზნაურისა და მეფე სოლომონ პირველის კარის მოძღვრის, სვიმონ წერეთლის ღირსეული შთამომავალი იყო. მან ცხოვრების ნახევარზე მეტი სამშობლოს გარეთ გაატარა.

ჩვენ მიზანი არ არის, მის ბიოგრაფიას დაწვრილებით შევეხოთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ 23 წლის ასაკში ის სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა, თუმცა აქტიური პოლიტიკური ცხოვრების გამო ვერ მოახერხა პარიზში სწავლის დასრულება, მაგრამ განათლებაზე ზრუნვა არ შეუწყვეტია. მას მოუწია სწავლის გაგრძე-

ლება ჟენევასა და ლონდონში, ხოლო ბოლოს გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დამთავრა.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული წარმომადგენელია. ის იყო საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, მთარგმნელი. მ. წერეთლის შრომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მის სამეცნიერო მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი 1979: 143].

მ. წერეთელს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია აქტიური პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა; იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი; გარდაიცვალა მიუნხენში 1965 წელს [ნოზაძე 1965: 176].

მკვლევარს განსაკუთრებულად უყვარდა სამშობლო, რაც განაპირობებდა მის აქტიურობას პოლიტიკურ ასპარეზზე. მე-20 საუკუნის დასაწყისში ის მოწინავე ანარქისტია; 1904 წლიდან მ. წერეთელი მონაწილეობს გაზეთ „საქართველოს“ გამოცემაში (პარიზში). მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა ჟურნალი „ბედი ქართლისა“. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ისაუბრა ქართველი ხალხის გულგრილი დამოკიდებულების შესახებ ერეკლე მეფის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „მთელი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა, მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არავითარი პროტესტი ხალხის მხრივ, არავითარი ძახილი „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ!“ ხოლო როდესაც დამკვიდრდა რუსის მთავრობა ჩვენში და შეუდგა ჩვენი ცხოვრების განადგურებას სკვითური ვერაგობით, მაშინ იკბინა ხალხმა თითო-ზედ, მაშინ მისწვდენ ხმაღს, მაგრამ გვიანდა იყო, და იმ დიდმა და პატარა აჯანყებებმა, რომლითაც სავსეა XIX საუკუნის ჩვენი ისტორია, ვეღარ განდევნა ძლიერი მტერი, რომელიც მთელი თავისი უკულტურობითა და ველურობით დაგვაწვა თავზედ“ [ჟ. „ბედი ქართლისა“ 1957: № 24].

მოწინავე, პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების ნაწილი ეძებდა გზას რუსეთისგან თავის დასახსნელად და ამის მისაღწევად კავკასიის გაერთიანება მიაჩნდა აუცილებლად. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური იყო 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ. მ. წერეთელმა ამ საკითხს მიუძღვნა ზემოთ აღნიშნული წერილი.



1904 წელს ქენევაში გაიხსნა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია. მასში მ. წერეთელიც მონაწილეობდა თერგელის ფსევდონიმით; განიხილებოდა ავტონომიის საკითხი. კონფერენციის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა გაზეთმა „საქართველომ“, რომლის ფურცლებზეც ქვეყნდებოდა საინტერესო წერილები ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი საკითხების შესახებ. ასევე ფართო დისკუსია მიმდინარეობდა ქართველი ხალხის მომავალი ეროვნული და სოციალური ორგანიზაციის თაობაზე.

გაზეთი „საქართველო“ ცდილობდა, კავშირი დაემყარებინა რუს ლიბერალებსა და სოციალისტებთან, რათა მათ პროგრამებში ასახულიყო ქართველ ერთან დამოკიდებულების თემა. გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „ქართველების შეთანხმება სხვა ერებთან“, რასაც აქტიურად გამოეხმაურნენ სომხები, პოლონელები და სხვანი. სწორედ გაზეთმა „საქართველომ“ პირველად საქვეყნოდ წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. ამასთან, გარკვევით ჩამოაყალიბა, რომ ისინი არ ემხრობოდნენ პოლიტიკურ სეპარატიზმს, არ უნდოდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა; ისინი ესწრაფოდნენ საქართველოს მდგომარეობასთან შესაფერისი კონსტიტუციის მიღებას რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ჩარჩოებში. მათი სურვილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა საშინაო პოლიტიკაში. ერთი სიტყვით, ქართველ მოღვაწეთა მიზანი იყო ეროვნული ავტონომიის მოპოვება.

გაზეთ „საქართველოსთან“ შექმნილმა პოლიტიკურმა ჯგუფმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს ავტონომია მჭიდროდ უკავშირდებოდა რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის საკითხს, ამიტომ ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს რუსეთში დემოკრატიის გამარჯვებას და იქ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, რაც საბოლოოდ ქვეყანას ფედერაციულ მოწყობამდე მიიყვანდა.

გაზეთმა „საქართველომ“ ფედერაციული მოწყობა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთადერთ მისაღებ ფორმად აღიარა, რაც ცხადია, დააკმაყოფილებდა მასში შემავალი ხალხების კულტურულ-ეროვნულ მოთხოვნებს. „ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თითოეულ ერს, მხარესა და პროვინციას სრულ თვითმოქმედებას ანიჭებს და – მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე მეზობელ ერს გაერთიანებული პოლიტიკური მმართველობის ფორმას აძლევს“ [გაზ. „საქართველო“ 1905: № 25]. გაზეთს საქართველო წარმოედგინა –

როგორც კავკასიის ფედერაციაში შემავალი ავტონომია, რომელიც შევიდოდა რუსეთის კონფედერაციაში. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მეზობელი ერების სოციალისტურ პარტიებს სთავაზობენ, შეიმუშაონ გარკვეული გეგმა. „თანამედროვე კავკასიის ერთა მდგომარეობას თუ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ფედერაცია – კავკასიის ყველა ერთა დანარჩენ რუსეთთან ავტონომიურად შეკავშირება – უნდა გახდეს ყველა ნამდვილ სოციალისტურ პარტიათა სამოქმედო საგნად. ამიტომ ვიწვევთ ჩვენს მეზობელ ერებს და განსაკუთრებით მათში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს, შეიმუშაონ სარევოლუციო მოქმედებისა და მომავალი სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების ამგვარივე გეგმა და მათზე დაამყარონ თავიანთი სარევოლუციო მოქმედება“, რასაც მათი აზრით შედეგად მოჰყვება „რევოლუციური მოძრაობა კავკასიაში, რომელიც გაერთიანებულია ერთგვარი მიზნით, მეტს ძლიერებას და სიმბნევეს გამოიჩენს, დაახლოვებს განთავისუფლებისა და კავკასიის ფედერატულ დამფუძნებელ კრების მოწვევის დღეს“ [გაზ. „საქართველო“ 1905: № 25].

აღნიშნულ საკითხებს ეხება მიხაკო წერეთლის სტატია კავკასიის ერთობის შესახებ. 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგად ამერიკელი სოვეტოლოგის, რიჩარდ პაიპსის აზრით, მონარქისტულმა აბსოლუტიზმმა სული განუტევა 17 ოქტომბრის მანიფესტით, როდესაც მოსახლეობას ნება მისცა, აერჩია სათათბირო. ამ საკითხებზე მიმდინარეობდა დისკუსიები: კავკასიას ყველა აღიარებდა, როგორც განსაკუთრებულ მთლიანობას, რომელმაც უნდა განამტკიცოს ერთობა რუსეთთან, მაგრამ მან თავისი იდენტობა უნდა შეინარჩუნოს; მას თავისი, განსხვავებული „საზოგადოებრივი პიროვნება“ უნდა ჰქონდეს – თავისი უფლებები და მოვალეობები რუსეთთან მიმართებით. სწორედ კავკასიის, როგორც „საზოგადოებრივი პიროვნების“, არსში ცდილობს ჩაგვახედოს მიხაკო წერეთელმა. თავიდანვე ის ეჭვს გამოთქვამს კავკასიის – როგორც „ერთობის“ მიმართ. ის შემდეგნაირად მსჯელობს: ხშირად რომელიმე საგანი ერთიანი და მთლიანი გვეჩვენება, მაგრამ საჭიროა გონებაშიც დავამკვიდროთ მისი ერთიანობა. ამას კი, მისი აზრით, სჭირდება განსაზღვრული კრიტერიუმები და თვალთახედვა, რომელიც განამტკიცებს ერთობას. „საგანს მრავალი მხარე აქვს, ჩვენ უნდა შევარჩიოთ ის მხარე საგნის ერთობის განსამტკიცებლად, რომელიც ჩვენს მიზანს უფრო შეეფერება, რადგან საგანი ერთი მხრიდან შეიძლება მოგვეჩვენოს მთლიანი, ხოლო მეორე მხრიდან არა მთლიანი“ [გაზ.

„დროება“ 1909: № 242]. მას მოჰყავს რუსეთის იმპერიის მაგალითი, რომელიც მთლიანია რუსეთის სახელმწიფო იდეის თვალთახედვით, მაგრამ რამდენი ელემენტია იმპერიაში, რომელთათვისაც რუსეთის ერთობა სრულიადაც არ არის ნამდვილი, ანუ მოჩვენებითი ერთობაა, ე. ი. ნაძალადევი, – წერს ავტორი.

რუსეთს ის იკვლევს სხვადასხვა კუთხით, რადგან მიაჩნია, რომ კვლევა აუცილებლად სხვადასხვა კრიტერიუმით უნდა წარმართოს, რათა ჭეშმარიტება დადგინდეს. მნელია, არ დაეთანხმო ავტორის ლოგიკურ მსჯელობას, რომ რუსეთი – როგორც სახელმწიფო – არის მთლიანი, მაგრამ თუ მას გამოვიკვლევთ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ის მრავალფეროვანია, რადგან მრავალი „მთელი“ ერთეულისგან შედგება. რუსეთი არ არის ერთობა, არც ანთროპოლოგიურად და არც ეთნოგრაფიულად. მას ვერც სოციალურ ერთობას ვუწოდებთ, რადგან განსხვავებული ნაწილებისგან შედგება.

მიხაკო წერეთელმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა ადვილი არ იყო. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნდა კავკასიის ხალხთა ურთიერთობაზე დაკვირვება ისტორიულ ჭრილში – თუ რამდენად იქნებოდა შესაძლებელი ფიქრი და ბრძოლა კავკასიის პოლიტიკური ერთიანობისთვის, რაც გაადვილებდა რუსეთთან ბრძოლას.

კავკასიის ხალხებს ბევრი საერთო პრობლემა ჰქონდათ, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო იყო მათი გაერთიანება. ყველაზე დიდი პრობლემა აქ იმის შემდეგ წამოიჭრა, რაც რუსეთმა ფეხი დადგა კავკასიაში და აქ თავისი ერთობა დაამყარა. რუსეთმა დიდი რაოდენობის რუსი ჩაასახლა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ შექმნა გარკვეული ადმინისტრაციული ერთობა, რომელიც, მიხაკო წერეთლის აზრით, არ არის ნამდვილი ერთობა. „კავკასია რომ დაჰყო თოთხმეტ გუბერნიად, დანიშნო თოთხმეტი გუბერნატორი, რომელნიც ნამესტნიკს ექვემდებარებიან, მთელი მხარე რომ შეიყვანო რუსის კანონის მოწესრიგების სფეროში, – ეს კიდევ არ ნიშნავს იმ სოციალურ ერთობას, რომელიც ნამდვილი ერთობაა და რომელიც არის მიზანი რუს სახელმწიფო კაცთა – გარუსებით რომ უნდათ განახორციელონ ეს ერთობა“ [გაზ. „დროება“ 1909: № 242].

რუსეთის თვალსაზრისით, კავკასია ერთია, რომელიც ექვემდებარება იმპერიის საერთო კანონებს და დაყოფილია გუბერნიებად. ევროპისთვის კავკასია არის ერთ-ერთი გუბერნია, იგი რუსეთის ისეთივე ნაწილია, როგორც მოსკოვის გუბერნია.

მიხაკო წერეთელი ცდილობს, კავკასის ერთობა განიხილოს სიღრმისეულად, ცალკეული კრიტიკერიუმების მიხედვით. პირველ რიგში სოციალური ერთობის დამადასტურებელ კრიტიკერიუმებს გამოყოფს, რათა დაადგინოს, კავკასია ნამდვილი ერთობაა თუ მოჩვენებითი.

მეცნიერს შეუძლებლად მიაჩნია, ანალოგიურად განიხილებოდეს, ერთი მხრივ, შვეიცარიის, აშშ-ს, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების და – მეორე მხრივ, კავკასიის ერთობის საკითხი. იმისათვის, რომ დაგვარწმუნოს კავკასიაში ფედერაციის, ანუ „ერთობის“ ჩამოყალიბების სირთულეში, საინტერესო მაგალითები მოჰყავს ევროპის ქვეყნების მიერ განვლილი ისტორიდან.

მ. წერეთელს საინტერესოდ აქვს ახსნილი შვეიცარიელი ხალხის ბრძოლის ისტორია დამოუკიდებლობისათვის: შვეიცარიას ესაზღვრებოდა ის ერები, რომელთა სოციალურ ცხოვრებას, მთლიანობას გამოეყო მისი პატარა ნაწილები, რომლებიც შენატროდნენ თავისუფლებას; ისინი გაიხიზნენ მთებში და ერთად გააგრძელეს ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის. მათ შორის იყო განსხვავება კულტურათა შორის, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია საერთო მიზნის განხორციელების გზაზე. ისინი ერთმანეთს არ დაჰპირისპირებიან.

შვეიცარიის ირგვლივ ყვავის საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის კულტურა. შვეიცარია არასოდეს არ ყოფილა გარიყული ევროპაში მიმდინარე დიდი ისტორიული მოვლენებისაგან. პირიქით, ის აქტიურად იყო ჩართული ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ მას არასოდეს უფიქრია მოპოვებული თავისუფლების დათმობა. მათ მიიღეს კონსტიტუცია და თავიანთი ქვეყანა აქციეს ფედერაციულ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

კავკასიაში არსებობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფი. ისინი განვითარების განსხვავებულ დონეზე იმყოფებიან. ავტორი ჩამოთვლის იმ უმთავრეს მიზეზებს, რომლებიც ქმნიან სოციალურ ერთობას. კავკასიაში იგი სარწმუნოებას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს ფაქტორად; ადარებს ევროპის ქვეყნების მაგალითებს და საუბრობს ევროპის ბრძოლაზე, როცა ეროვნულ ერთობას უნდა დაეძლია სარწმუნოებრივი „ერთობის“ იდეა. მათ, მართლაც, გაიმარჯვეს ბრძოლაში და სწორედ ეროვნული იდეა გახდა ერთობის განმსაზღვრელი. კავკასიაში კი ეს შეუძლებლად მიაჩნდა.

შვეიცარიის მაგალითი სტატიის ავტორს იმისთვის სჭირდება, რათა ერთმანეთს შეადაროს კავკასიელ და შვეიცარიელ ხალხთა დამოკიდებულება სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. „შვეიცარიაში საერთო გაჭირვებამ გააერთიანა ხალხი, კავკასიაში კი „ერთმანეთს ვჭამდით“ და გარეშე მტრებს თვითონ ვუხმობდით. იქ ერთი და იმავე ხარისხის კულტურის ხალხები ერთიანდებოდნენ, აქ კი საქრისტიანო საქართველო ყელზე ადგა მთელს ზღვას მუსულმანებისას და უპირებდა წალეკვას. ამ პატარა საქრისტიანო-მაგ დიდ საქრისტიანოს დაუძახა და მტრებმაც იგემეს დიდი დევის სუსხი როგორც კავკასიაში, ისე ოსმალეთში და ახლა სპარსელებიც გაახლებიან მის გამომცხვარ კვერსაო“, – წერს მიხაკო წერეთელი [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

კავკასიელ ხალხთა ერთმანეთთან შეთანხმების მცდელობად მიაჩნია მიხეილ წერეთელს შამილის ბრძოლა, რასაც ხელი შეუშალა რუსეთმა. მან ყველა მხრიდან მოიკიდა ფეხი კავკასიაში, მათ შორის – საქართველოდანაც. ჩვენი ქვეყნის რუსეთთან დაახლოების მიზეზად მას მიაჩნია ოსმალეთთან, სპარსეთთან და სხვა კავკასიელ მუსულმან ხალხებთან ბრძოლით დაღლა. „საქართველო ერთადერთი საქრისტიანო ქვეყანა იყო მთელ კავკასიასა და წინა აზიაში. იგი მართო მთებისგან არ შედგებოდა შვეიცარიასავით და ამიტომ მთელი წინა აზია და კავკასია ემტერებოდა. კავკასიაში „ერთობა“ არასოდეს არ ყოფილა. საქართველოსთან ერთობა არასოდეს არ უნდოდა კავკასიის დიდ ნაწილს, „მხოლოდ აკლება, აწიოკება და მუდმივი ომი და ჯაშუშობა იყო ის საჩუქრები, რომლებსაც მეზობლები გვიკეთებდნენ. ამიტომ იძია შური საქართველომ და მოუწოდა რუსეთს, რომელმაც უკვე თავისი ერთობა მოინდომა კავკასიაში... ვინ იცის, იქნებ თავდაპირველად რომ მაჰმადიანები ვყოფილიყავით, ჩვენი ერთობაც კაი ხნის განმტკიცებული იქნებოდა, ოღონდ ეს იქნებოდა სპარსული ან ოსმალური ერთობა და, ცხადია, აღარ იარსებებდა ისეთი კულტურისა და სულის ორიგინალობით გამორჩეული ქვეყანა, როგორც საქართველოა“, – წერდა მიხაკო წერეთელი [გაზ. „დროება“ 1909: № 249]

როგორც ვხედავთ, სულ სხვადასხვა ისტორია აქვს კავკასიას და შვეიცარიას სახელმწიფოთა შექმნის თვალსაზრისით. სრულიად განსხვავებულია ამერიკის შეერთებული შტატების წარმოშობის ისტორია. იგი ანგლო-საქსთა შემოქმედებად მიაჩნია სტატიის ავტორს. ინგლისელთა და ევროპელთა საუკეთესო ნაწილი (მათ შორის,

მშრომელები) გადავიდა ახალ ქვეყანაში და ინგლისის ეროვნულ-კულტურულ ნიადაგზე შექმნა ახალი ანგლო-საქსური საზოგადოება, რომელიც მეტროპოლიას გამოეყო. როცა გამდიდრდა და გამლიერდა, დააარსა საკუთარი რესპუბლიკა. კოლონიებმა, რომლებიც ამერიკის ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ დამოუკიდებლად, შეერთების შედეგადაც შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, რაც მათი ფედერალიზმის საფუძვლად მიიწევა. ეს პროცესი კი იმიტომ გაადვილდა, რომ ისინი „ერთი და იმავე კულტურის ნაწილები და ერთი და იმავე ერის ნატეხები იყვნენ, ამიტომ მათ შორის არსებული უთანხმოებანი ადვილად მოწესრიგდა“ – აღნიშნავს მიხაკო წერეთელი. მისივე აზრით, ეს ვერ მოახერხეს კავკასიის ხალხებმა.

გერმანიის შესახებ მკვლევრის აზრი განსხვავებულია. ამ ქვეყნის შექმნას ის მიიჩნევს გერმანული ეროვნული სულის ნაყოფად, რომელიც თითოეულ მის დამოუკიდებელ ნაწილში ტრიალებს და სწორედ ეს სული გახდა გერმანელი ერის გამაერთიანებელი დიდ იმპერიად.

სტატის ავტორს კავკასია უფრო ავსტრიას აგონებს (სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან ერები), რადგან სხვადასხვა სოციალური ერთეულებისაგან შედგება. ზოგი ითხოვს თავის უფლებათა უპირატესობას, როგორც გერმანელები და უნგრელები, ზოგი კი უფლებათა გათანაწილებას მიიჩნევს მართებულად. ამ ნიადაგზე იქ არსებული ბრძოლა, ცხადია, იმპერიის დაშლით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ავტორი მას კავკასიას ადარებს და ლოგიკურად დაასკვნის, რომ კავკასიაში არასოდეს არ ყოფილა ავსტრიის მსგავსი ისტორიული პროცესი. ავსტრიის იმპერია ნაყოფია გერმანიის იმპერიის ევროპაზე ბატონობის ტენდენციისა. საყურადღებო შედარებაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, გერმანელი და სლავი ხალხებისა – მეორე მხრივ, რუსი და კავკასიელი ხალხების ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, გერმანელებმა მოახდინეს გავლენა სლავ ხალხებზე, თუმცა საუკუნეების მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა მათი გაგერმანელება.

ამავეს ცდილობს რუსეთი კავკასიაში. ავტორის აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა კავკასიაში იმის შემდეგ წამოიჭრა, რაც რუსეთმა ფეხი დადგა კავკასიაში და აქ თავისი ერთობა დაამყარა; დიდი რაოდენობის რუსი ჩაასახლა ჩრდილოეთ კავკასიაში და შექმნა გარკვეული ადმინისტრაციული ერთობა, რასაც არ მიიჩნევს მ. წერეთელი ჭეშმარიტ სოციალურ ერთობად. „კავკასია რომ დაყო 15 გუ-

ბერნიად და იქ დანიშნო 15 გუბერნატორი, მთელი მხარე რომ შეიყვანო რუსეთის კანონის მოწესრიგების სფეროში, ეს კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ სოციალურ ერთობას, რადგან რუსეთს ერთობის განხორციელება გარუსებით სურს, მათთვის ეს ერთობა ნიშნავს კავკასიის გარუსებას“ [გაზ. „დროება“ 1909: № 249].

ეს მცდელობა დამარცხებისთვის იყო განწირული. ვერც დემოგრაფიული სურათის შეცვლის მცდელობა დამთავრდებოდა წარმატებით; რუსების გადმოსახლებით უფრო მეტი ქაოსი იქმნება და რეალურად შედეგსაც ვერ აღწევს, რადგან კავკასიაში მცხოვრები ქართველებისა და სომხების კულტურა არის ხანგრძლივი და თვითმყოფადი.

მიხაკო წერეთლისთვის კავკასიის ერთობა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი კავკასიის ერთა შორის ფედერაციულ კავშირს. ის ფიქრობს, რომ რუსეთის „სახელმწიფო იდეა“ უარყოფით როლს ასრულებს კავკასიის ერთობის გზაზე და სანამ ეს იდეა დარჩება კავკასიაში, ყოველთვის ხელი შეეშლება კავკასიის „ერთობის“ განხორციელებას. ეს ორი მიდგომა საპირისპიროა და სავსებით გამორიცხავს ერთმანეთს. „სულ სხვა საკითხია, თუ ჩვენ შეძლება მოგვეცა ჩვენი საქმენი ჩვენ თვითონ განვაგოთ, თუ ჩვენ უფლება მოგვეცა კავკასიის საერთო ცხოვრების მოწყობისა...“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

კავკასიაში დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებრივ განსხვავებულობას. მკვლევრის აზრით, სამ უმთავრეს სარწმუნოებას შორის არ არის მეგობრული ურთიერთობა. იგი სავსებით სამართლიანად გამოთქვამს ეჭვს და სახიფათოდაც მიაჩნია ევროპის მსგავსი პროცესების განვითარება, რადგან „ჩვენ არ ვიცით, ვისთან მოისურვებენ ერთობას ქართველი მუსულმანები: გამაჰმადიანებამ ისინი მოსწყვიტა ქართულ კულტურასა და ეროვნულ ერთობას [გაზ. „დროება“ 1909: № 249].

მიხაკო წერეთელი დეტალურად განიხილავს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს შეუშლის ან განაპირობებს კავკასიის ფედერაციის შექმნას.

კავკასია ის რეგიონია, სადაც არ მომხდარა ეთნიკურ ელემენტთა აღრევის შედეგად ერთ ერად ჩამოყალიბება, ანუ „გადაადლება“, როგორც მიხაკო წერეთელი უწოდებს, განსხვავებით ევროპისგან, სადაც ამის მაგალითები იყო. აღნიშნულის წინაპირობად წერილების ავტორი რომის იმპერიის ბატონობასა და ხალხთა დიდ

გადასახლებას მიიჩნევს. საუბრობს რა კავკასიის შესახებ, წერს, რომ ქართველებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ კავკასიაზე დავით აღმაშენებლის დროს. მას „ხმლით ჰქონდა შემოხაზული შირვანი და დერბენდი, მაგრამ საქართველომ ვერ გარდაქმნა კავკასია“. ევროპაში გერმანელებმა განაახლეს ძველი რომის საზოგადოება, მისცეს მას საკუთარი ელფერი. განსხვავებული სიტუაცია იყო კავკასიაში, სადაც „უცხო ხალხთა შემოსევა გრიგალივით გადაივლიდა ხოლმე, ცეცხლსა და მახვილს აძლევდა ყოველივეს, ახალს არაფერს არ ქმნიდა, ამიტომ შემოსულებს კავკასიელები არ შერევინან. ქართველი ქართველად დარჩა, სომეხი სომხად. მთაში ისლამი შეიტანეს, საქართველოს მესამედი გაამაჰმადიანეს, დიდი კულტურა მოუსპეს, კავკასიის აღმოსავლეთი აივსო თათრებით, მაგრამ მათ ვერ შექმნეს კავკასიის ერთობა, მხოლოდ უფრო არივ-დარივეს კავკასია“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

მიხაკო წერეთელს შეუძლებლად მიაჩნია კავკასიის ეთნოსთა ფედერაციული გაერთიანება, რადგან ამ ეთნოსების უმეტესობა „შეურიგებელი ელემენტია“. ისინი ვერ იტყვიან გულწრფელად თავის თავის წინაშე – „მე კავკასიელი ვარ“.

მ. წერეთელი კავკასიის გაერთიანების საწინააღმდეგო ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად ასახელებს საერთო ისტორიული და კულტურული ტრადიციების არარსებობას. „არასოდეს არ არსებულა „კავკასიის ისტორია“. იგი მხოლოდ ხელოვნურად თუ დაიწერება, როგორც სხვადასხვა ხალხების ისტორიის შეერთება, არ არსებულა კავკასიის საერთო კულტურა, ვერცერთი ისტორიკოსი ვერ დაწერს კავკასიის კულტურის ორგანული განვითარების ისტორიას. არც კულტურული და არც პოლიტიკური ისტორია კავკასიის ხალხებისა ერთ კალაპოტში არ ჩამდგარა. თითოეულ ხალხს ჰქონდა თავისი ორიგინალური ისტორია დღემდე“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

მიხაკო წერეთელი იმ გარემოებასაც აქცევს ყურადღებას, რომ კავკასიის ხალხებს ერთმანეთზეც ჰქონდათ გავლენა, ზოგჯერ ერთიანდებოდნენ მტრის წინააღმდეგ, ზოგჯერ შეეტაკებოდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ გაერთიანებულნი არასოდეს არ ყოფილან.

ისტორიული განვითარების ხარისხი და თანასწორობა – სხვა ნამდვილ სოციალურ მსგავსებასთან ერთად – ერთ-ერთი უპირველესი საშუალებაა ერებს შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად. იმდენად განსხვავებული ისტორია აქვთ კავკასიის ხალხებს, რომ



მიხაკო წერეთელს შეუძლებლად მიაჩნია რაიმე ერთობაზე ლაპარაკი.

ავტორი აღნიშნავს: „კავკასიის მთიელებს რაც შეეხება, მათი ისტორია არ არის გამოკვლეული. არ ჰქონდათ მწერლობა, არ დაუწერიათ თავიანთი თავგადასავალი, გამოვლილი ტანჯვა და სიხარული. ისინი დღეს ისტორიული მეცნიერების ობიექტები არიან და არა თავიანთი ისტორიის შემოქმედნი“ [გაზ. „დროება“ 1909: № 242].

ერთი სერიოზული ხელისშემშლელი გარემოება ისიც არის ამ მიმართულებით, რომ მათ გვერდით არსებობენ მაღალი კულტურისა და ხანგრძლივი ისტორიული წარსულის მქონე ერები, როგორებიც არიან ქართველები და სომხები, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ორ ქვეყანასაც სრულიად განსხვავებული ისტორია აქვს.

ჩვენ ზემოთ შევხებით რელიგიურ საკითხს, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიხაკო წერეთელი. რელიგიური ერთობა არსოდეს არ არსებულა კავკასიაში – ევროპისგან განსხვავებით, სადაც პაპობამ შექმნა და „თავისი ბეჭედი დაასვა“ ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას. კავკასიაში ქართველთა და სომეხთა რელიგიური ერთობაც კი მოისპო. საგულისხმოა სომეხთა კათოლიკოსის – აზრაამის ბრძანება თავისი სამწყსოსადმი: „ქართველების შესახებ ჩვენ დავადგინეთ, გეკრძალებათ ამიერითგან მათთან იქონიოთ ერთობა ლოცვის, ჭამა-სმის, მეგობრობისა. არ მიხვიდეთ მოსალოცვად მცხეთის სახელოვანი ჯვარისა, არცა მანგლისის ჯვარისა. არ მიიღოთ ჩვენს ეკლესიაში, განეშორეთ მათთან ცოლქმრობას, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ მათ ვითარცა ურიათა“ [გაზ. „დროება“ 1909: № 249].

მიხაკო წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ენაზეც, როგორც სოციალური ერთობის ერთ-ერთ პირობაზე. ამ მხრივ კავკასია გამოირჩევა ენების მრავალფეროვნებით. ხელის შემშლელია აგრეთვე კავკასიის ხალხების იურიდიული შეგნების სხვადასხვაობა. განსხვავებული ზნე-ჩვეულებების მატარებელი არიან კავკასიაში მცხოვრები ხალხები, თუმცა გარკვეული მსგავსება მათ შორის მინც არსებობს.

ზოგადად, ავტორს სოციალური ერთობისთვის სუსტ ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნია ფიზიკური ერთობა, რადგან რომელიმე კონკრეტულ ერში მრავალი ანთროპოლოგიური ტიპია გადაადულებული. კავკასია კი ამ მხრივაც განსხვავებულია. აქ ფიზიკური ტიპის განსხვავებასაც აქვს თავისი მნიშვნელობა. მ. წერეთელს მოჰყავს

მაგალითი ქართველებისა და სომხებისა, რომლებიც ბევრად უფრო მონათესავენი არიან, ვიდრე ქართველები და მონღოლები, მაგრამ მათ შორისაც არის ტიპობრივი განსხვავება. იგი ასეთ მაგალითს წარმოგვიდგენს: „რაც არ უნდა ჯენტლმენურად ვიქცეოდეთ, მაინც ხშირად ჩხუბის დროს, გულმოსულობის დროს ვიციტ ხოლმე ფიზიკური განსაკუთრებულობის წამოყვრება, რაც ხშირად ცხვირ-პირის თავისებურებებით არის გამოწვეული“ [გაზ. „დროება“ 1909: № 249].

ავტორის დასკვნა ასეთია: როდესაც ვაძარებთ სოციალური ჯგუფებისა და ერების ფიზიკურ ტიპებს, ამ განხვავებას მნიშვნელობა მაინც აქვს, რასაც ხსნის საზოგადოების განვითარების დაბალი დონით. რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული საზოგადოება და ვიწრო კულტურული სფერო, რომელშიც სხვადასხვა ხალხი ტრიალებს, მით უფრო აქცევენ ყურადღებას ფიზიკურ ტიპს. რაც უფრო დაბალია ინტელექტი, მით უფრო ნაკლებად ეყრდნობა რაციოს. მიხაკო წერეთელი აქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი მაგალითების მოყვანა ევროპის ქვეყნებიდანაც მრავლად შეგვიძლია. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ მაგალითების განხილვას. უნდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ თუ ევროპელებს არ მოსწონთ აზიური და აფრიკული სახეები, ახლა ინდოელს, ჩინელსა და აფრიკელს ჰკითხეთ, რას ფიქრობენ ევროპელებზე ან კიდევ ქართველები და სომხები – რუსების ცხვირებზე, – წერს მ. წერეთელი.

წერილის ეს ნაწილი უფრო პოპულისტური ხასიათისაა. ფიზიკური ერთობა მკვლევარს გადამწყვეტ ფაქტორად არ მიაჩნია. მთავარი და ყველაზე მტკივნეულია კავკასიაში საზღვრების მოუწესრიგებლობა. რადგან თითქმის ყველას აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთთან, რეალური რომ გახდეს ფედერაციის შექმნა, გაურკვეველია, ვინ რა ტერიტორიით გახდება ფედერაციის წევრი. მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია ქართული ტერიტორიების საკითხი, რადგან მიწების გარეშე ერი იქსაქსება, ირღვევა მისი ეროვნული ცნობიერება. ამიტომ მას სავსებით სამართლიანად მიაჩნია ერის არსებობის პირობად თავისი საზღვრების დაცვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიხაკო წერეთელი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „იქ, სადაც არ არის სოციალური ერთობა, ანუ ერთობა ენისა, რელიგიისა (სჯულისა), ზნე-ჩვეულებებისა, ისტორიისა და ეკონომიკური ცხოვრებისა, არ არის კულტურული განვითარების ხარისხის თანასწორობა, არ არის განსაზღვრული ტერიტორიები

სხვადასხვა საზოგადოებრივ სხეულთათვის – არ არის სოციალური ერთობა. იქ ცხადია შეუძლებელია ფედერაციული კავშირის დამყარება და სოლიდარობა“. დასკვნა კატეგორიულია, თუმცა იქვე დასძენს: „არც იმას ვიტყვი, რომ სრულიად შეუძლებელი იყოს ასეთი სოლიდარობა“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

მიხაკო წერეთელმა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველმა პატრიოტებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიასთან ბრძოლა ადვილი არ იყო. ეძებდნენ გამოსავალს და სავსებით ლოგიკურად მიიჩნიეს კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ერთაგან ფედერაციის შექმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის განხორციელება არ იყო შესაძლებელი, რადგან, პირველ რიგში, ეს რუსეთის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის მიზანი კი კავკასიის გარუხება იყო. სხვა „ერთობას“ აქ ვერ განახორციელებდა რუსეთი და არც სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, თავისი შეხედულებები მისაღები გაეხადათ რუსეთში მოღვაწე პოლიტიკური პარტიებისთვის. მათი მხარდაჭერის შემთხვევაში, კავკასიაში ტერიტორიული დავა მოწესრიგდებოდა და ამის შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი ფედერაციაზე ზრუნვა. ამრიგად, მიხაკო წერეთელი რუსეთის იმპერიის პოლიტიკას კავკასიაში უპირისპირებს თავის გეგმას. მისთვის კავკასიის ერთობა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი კავკასიის ერების შეკავშირებას.

ის წერს: „ჩემის ფიქრით, ერთადერთი პირობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოლიდარობა, ე. ი. ან კონფედერაცია შევადგინოთ კავკასიის ერთაგან, ან ერთი ფედერაციული პოლიტიკური სხეული – აი, რა არის: თავდაპირველად ყველანი უნდა წარვსდგეთ ურთიერთის პირისპირ, როგორც თვითგამორკვეული სოციალური ინდივიდები, განსაზღვრულის უფლებებითა, განსაზღვრულის ტერიტორიებითა, საზღვრებითა და ჩვენის საზოგადოებრივის ფიზიონომიითა. კონფედერაცია ან ფედერაცია მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, როცა წინდაწინვე თვითოეულმა სოციალურმა ინდივიდმა იცის თავისი ვინაობა და ისიც, თუ ვის უერთებს თავის ცხოვრებას“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

მიხაკო წერეთელს აუცილებლად მიაჩნია, რომ თითოეული კავკასიის ხალხი გახდეს თავისუფალი „საზოგადოებრივი ინდივიდი“ და ამის შემდეგ დაიწყოს გაერთიანებაზე ფიქრი, მისი აზრია: „თუ ყველანი ვერა, იქნებ რამდენიმე მაინც შევერთდეთ ფედერაცი-

ული სოლიდარობით, მანამდე კი საერთო მოქმედება, საერთო დაბრკოლებათა წინააღმდეგ, ხოლო თვითგამორკვევა თვითოეულისთვის საკუთარი ძალებით“ [გაზ. „დროება“ 1909: № 251].

კავკასიის ერთობის წევრები უნდა სარგებლობდნენ შეუვალი ავტონომიით. ისინი ერთიანად და დამოუკიდებლად უნდა შევიდნენ კავკასიის ფედერაციაში. საქართველო ილაპარაკებს კავშირის შესახებ, როგორც საქართველო და არა როგორც – გუბერნიები ან ოლქები. ასეთი პრინციპების დამცველად გვევლინება მიხაკო წერეთელი.

ავტორისათვის კავკასიის ფედერაცია მიმზიდველი იდეაა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდობა მას, რადგან ადვილი შესაძლებელია, კავკასიის უმთავრესმა ნაწილმა უფრო სპარსეთსა და ოსმალეთთან მოინდომოს ერთობა. ამიტომ საქართველომ უმჯობესია იფიქროს ავტონომიაზე, ვიდრე კავკასიის საექვო ფედერაციაზე.

მიხაკო წერეთლის ეს სიტყვები გამართლდა. ამიერკავკასიაში შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 1918 წლის 22 აპრილდან 26 მაისამდე არსებობდა. საქართველოს მოკავშირის – გერმანიის მარცხი პირველ მსოფლიო ომში მეზობლებმა საქართველოს მარცხად აღიქვეს და სცადეს, თავისი ტერიტორიები ქართული მიწების ხარჯზე გაეფართოებინათ. რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში ძნელი იყო მეზობლად მცხოვრები ერების შეთანხმება ტერიტორიულ საკითხებზე. ამას დაემატა ის გარემოზაც, რომ აზერბაიჯანმა ღიად დააფიქსირა პროოსმალური პოზიცია. სწორედ ამას წინასწარმეტყველებდა მიხაკო წერეთელი. პოლიტიკური დამაბულობით მიმდინარეობდა სხდომები ამიერკავკასიის სეიმში. პოლიტიკურმა ფრაქციებმა საერთო ენა ვერ გამოიხსეს. უკანასკნელ სხდომაზე ირაკლი წერეთელმა ღიად განაცხადა: რადგან ამიერკავკასიის მუსლიმები თურქებს ემხრობიან, ამიერკავკასია წყვეტს არსებობას და საქართველოს დამოუკიდებლობის დრო დადგაო. 1918 წლის 26 მაისს 11 საათზე ამიერკავკასიის პარლამენტმა დაამტკიცა უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შესახებ [ბენდიანიშვილი 2001: 98-99].

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ არსებული ურთიერთობებსა და პრობლემებს განსაკუთრებული ცვლილებები არ განუცდია. არ ვიცით, რას გვიმზადებს ისტორია, ამიტომ ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუა-

ლობა მიხაკო წრეთლის ნააზრევს კავკასიის ერებისა და ხალხების ურთიერთობების შესახებ.

### ლიტერატურა

**ბენდიანიშვილი 2001** – ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი.

**გაზ. „საქართველო“**, 1904 წელი, № 25, 15 ივნისი, პარიზი.

**ნოზაძე 1965** – ვ. ნოზაძე, „მიხეილ წერეთელი“, კავკასიონი, პარიზი.

**წერეთელი 1989** – მ. წერეთელი, სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს, 1907 წელს. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, 1957, № 24, პარიზი.

**წერეთელი 1909** – მ. წერეთელი, გაზ. „დროება“, № 242.

**წერეთელი 1909** – მ. წერეთელი, გაზ. „დროება“, № 249.

**წერეთელი 1909** – მ. წერეთელი, გაზ. „დროება“, № 251.

**ჯავახიშვილი 1979** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი.

Tamar Gvianishvili

### **The view of Mikheil (Mikhako) Tsereteli on the ‘unity’ of Caucasia**

Caucasia has always been and presently is geopolitically and geostrategically important region. Peoples living within this region have historically co-existed not only in the neighborhood, but for a long time, they also were a part of the one state – Russian Empire and later, the face-changed empire – the Soviet Union. No matter, how the political situation may change in the South and North Caucasus, the habitants of these regions will always remain as Caucasians who have got a lot in

common. The article of Mikhako Tsereteli about the 'unity' of Caucasia touches just these issues.

As a result of the revolution in 1905-07, the population was given a right to elect the representative authority (Duma). These topics were discussed and everyone acknowledged Caucasia as the special 'unity', which would reinforce the connection to Russia, but at the same time, it would maintain its identity. Mikhako Tsereteli tries to show us Caucasia as the public personality.

Caucasian peoples had many common problems and solutions requiring the unity to be solved. The biggest problem emerged after Russia marched into Caucasia and established its own 'unity' in Caucasia.

From Russia's point of view, Caucasia is whole as one; it is obedient to the laws of Russian Empire and is divided as provinces. For Europe, Caucasia is one of the provinces and it is a part of Russia just like the province of Moscow.

Mikhako Tsereteli tries to analyze the 'unity' of Caucasia in – depth, according to the separate criteria. In order to determine whether the unity of Caucasia is real or fake, he separately describes proving criteria of the social unity.

In order to convince us in the difficulty of forming the federation, i.e. the 'unity' in Caucasia, he mentions the interesting examples from history of Europe's countries.

For Mikhako Tsereteli , the 'unity' of Caucasia only means the federal unity between independent nations of Caucasia. He thinks that 'state idea' of Russia plays a negative role in the unity of Caucasia and until this idea stays in Caucasia, the 'unity' will never be implemented.

Mikhako Tsereteli analyzes the reasons in details which prevent or stipulate the establishment of a federation of Caucasia. In his point of view, each Caucasian people should become a free independent 'public personality' and after this, start thinking about unity. Members of Caucasian unity should benefit from an invincible autonomy. They should join the federation of Caucasia together and independently.

Caucasian federation is an attractive idea for Mikhako Tsereteli, but he does not fully trust it, so Georgia should think about autonomy rather than a suspicious federation of Caucasia since during the difficult political circumstances it was hard for neighbor nations to agree on territorial, religious or other important political topics. Establishment of a federation

in the South Caucasus which existed from 22<sup>nd</sup> of April 1918 to 26<sup>th</sup> of May, proves the correctness of Mikhako's point of view.

In the Seim of South Caucasus, the sessions were held under the political tension. Political fractions could not agree and at 11 am of 26<sup>th</sup> of May, 1918, the parliament of South Caucasus approved the last decree about the disbandment of the federation of South Caucasus.

From the above mentioned, It can be concluded that after more than a century, relationships and problems have not changed significantly. We do not know what history is challenging to us, therefore, we think that ideas of Mikhako Tsereteli about relationships between Caucasian nations and peoples have not lost the relevance even these days.

## ლალი დათაშვილი

### **ბიბლიური პერსონაჟები და იგავები „დავითიანში“**

„დავითიანში“ თვალში საცემია ბიბლიური წიგნების კვალი. ჩვენი ამჟამინდელი კვლევის მიზანია ბიბლიური პერსონაჟების, იგავებისა და სასწაულთა დავითისეული დამოწმებისა და „დავითიანში“ მათი როლის კვლევა.

### **ბიბლიური პერსონაჟები**

გარდა იმისა, რომ პოეტი ადამს, ევას, ყწ. ღვთისმშობელსა და დავით წინასწარმეტყველს განსაკუთრებით ხშირად ახსენებს, „დავითიანში“ ვხვდებით სხვა პერსონაჟებსაც ბიბლიიდან.

აბრაამი და სარა უფლისაგან დაილოცნენ ქვიშასავით გამრავლებული შთამომავლობით და უხვი, წყალობით სავსე ოჯახის პარადიგმად იქცნენ. ამიტომ „ქაცვია მწყემსში“ უფლისადმი აღვლენილ ასეთ თხოვნას ვხვდებით:

„რომელმან შექმენ ადამ და ევა,  
აბრამს და სარას მიეც კურთხევა,  
ყავ ჩვენზედ წყალობა,  
ჩვენი ვაჟ-ქალობა  
შენ დაიფარე!“

ხოლო თვითონ უშვილძირო დავითი ყწ. სამებისაგან ისეთივე შეწევნას ითხოვს, როგორც სამსახოვანი უფლის სტუმრობის შემდეგ მიიღო ბერწმა და დაბერებულმა აბრაამმა, ისააკი მისთვის დამტირებლის, დამმარხველის, ღვთის მაღლით სიბერეში გამოჩენილი პატრონისა და ნუგეშის სიმბოლოა. ამიტომაც შეჰღალაღებს ღმერთს:

„დიდება შენდა ნათელო, ერთო, სამ-სახეო!  
მამისა აბრამისასა სტუმრად მსხდომარეო,  
დაბერებულთა მათ ბერწთა შვილით ახარეო,  
ძისა მათისა ისაკით ძე მოასწავეო.  
დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ, მიბოძეო!“



აბრამს იგი მშობელთათვის მისაბამ მაგალითად მიიჩნევს, ვინაიდან ღირსეული შვილის აღზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია:

„რადგან აბრამ ძე საკლავად გამოიმეტა მსხვერპლადა, შენ გემეტების რად არა ძე წვრთაზე გასაწკეპლადა?“

აბრამს ვხვდებით უფლისა და ღვთისმშობლის მოხსენიებისასაც. ყწ. დედას დავითი მიმართავს, როგორც აბრამის ყვავილს („დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუჭკნობელო“), აბრამის კარავს („სახით აბრამის კარაო, ღვთის ტევნით გულთა მყრდნობელო“) და სწორედ მისგან ელის შეწევნასა და წყალობას:

„ვით აბრამის ვანი, კარავი,  
ეგრეთ მცველი, ჩვენი მფარავი“;

უფალ საბაოთს კი აბრაამის ღმერთს უწოდებს: („აბრაჰ[ა]მის ღმერთი, საბაოთი ერთი, ... ყოვლისა მპყრობელი,“).

დავითს ახასიათებს პარალელების გავლება ბიბლიურ მოვლენებთან. მისთვის სიბრძნის ნიმუში სოლომონ ბრძენია, ამიტომაც მამა ასე ლოცავს შვილს „მხიარულ ზაფხულში“:

„ცოლი მოგცეს და ასულნი, ძენი  
ვითა სოლომონ, ჭკვიანი, ბრძენი“.

მომთინების მაგალითად კი გლახაკის დახასიათებისას იოზს იმოწმებს: „უყვარს, ვით იოზ უფალსა, გლახა, მომთმენი ჭირისა“.

დიდი ომისა და მტრის დამარცხების მაგალითიც ძველი აღთქმიდან აულია, თამაზ-ხანის ბრძოლას იესო ნავინისას ადარებს:

„თამაზ-ხანს ესმა, ეოცა, იქმნა მკბენელი ნეკისა,  
სუხავის ჯარი მან შექმნა, ვით ისომ – ამაღეკისა“.

როცა უფალთან გულწრფელი დამოკიდებულების გამოხატვა სურს, ისევ „დაბადებას“ იშველიებს:

„ჩვენნი მსხვერპლი კაენისა ნუ მიაძზავსეო.  
ვითარცა აბელ მართლისა შენ შეიწირეო“.

ემიგრანტი ქართველების ურთიერთგაუგებრობისა და გაუცხოების ასახვისას თანამემამულეებს ბაბილონელებს ადარებს:

„ვითა გოდოლთ მშენებელნი, გავხდით ენა-შარეულნი“.

აღდგომის დიდებულებისა და სასაწაულებრივი მადლის ასახვისას იონა წინასწარმეტყველი ახსენდება:

„ვით ვეშპის მუცლით იონას ხვდა მესამეს დღეს ღვინეობა,  
ეგრეთ იესოს ქრისტესა საფლავით წამოდგინება“.

როცა პოეტი რაიმეზე ევედრება ღმერთს, როგორც წესი, რომელიმე პარადიგმას იხსენებს. განსაცდელისგან თავის დასახსნელად მოსესთვის ზღვის შუაზე გაპოზა ახსენდება და უფალს – „კარგ მენავეს“ ამავე ტიპის სასწაულს შესთხოვს:

„ჩვენ შენად სადიდებულად მთლად განგვარინეო,  
განსაცდელსა მოგვარიდე, კარგო მენავეო,  
არამედ მიხსენ, ვით მოსეს შუა განუპეო!“

მოსე წინასწარმეტყველს კიდევ ერთ კონტექსტში ახსენებს: ებრაელთა რჯულს „მოსიანთ მცნებას“ უწოდებს (ჩვენი აზრით, პოეტი იმას ეყრდნობა, რომ თორა მოსე წინასწარმეტყველის დაწერილია.), ხოლო ყწ. მარიაშ – ამ მცნების შემნახველს, ანუ ჩასაწყობელს, ან „მოსიანთ დასაქადებ სჯულთა სადებ კიდობანს“:

„სჯულთ კიდობანო, მოსიანთ ღვთის მცნების ჩასაწყობელო“.

ლაზარე, შემდგომში კვიპროსის ეპისკოპოსი, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უფალი უპირობოდ მიიჩნევდა მეგობრად, ოთხი დღის მკვდარი აღადგინა იესომ (რაც დღემდე ითვლება უდიდეს სასწაულად კაცობრიობის ისტორიაში). დავითი იმოწმებს ამ ამბავს ისეთ დიდ სასწაულთა შორის, როგორებიცაა: სიკვდილის დათრგუნვა და ადამის მოდგმის ჯოჯოხეთიდან ამოყვანა:

„მოჰკალ სიკვდილით სიკვდილი და განაქარვეო,  
იხსენ ადამ საკვრელთაგან, ევას ახარეო;  
საფლავთაგან აღადგინე მკვდრეთით ლაზარეო“.

ლეკთაგან დატყვევებული დავითი თვითონაც სასწაულს ელოდება, რომ თავი დაიხსნას განსაცდელთაგან, ჯოჯოხეთს თავი დააღწიოს და საქრისტიანოს – მისთვის მიწიერ სამოთხეს დაუბრუნდეს. ეს მხოლოდ უფალს ძალუძს. ამიტომაც შეჰღადადებს მაცხოვარს, ლაზარესავით დაიხსნას „საფლავიდან“, მასაც დაუძახოს: „გამოვედ გარე“ და ყველა დარდი განუქარვოს:

„სამკურნალოს ცვარ-ცხებულო, სნეულთ წყლურების  
შემხვეო!

სნეულება განმიკურნე, მო, სალბუნი მომაცხეო;  
გამაგონე ხმა საყვირთა, ამოიღე ხმა მჭახეო,  
ვით ლაზარეს დამარხულსა „აღდექ“ – თავსა დამძახეო!“

დავითი მოციქულთაგან წმ. პეტრეზე ამახვილებს ყურადღებას. იხსენებს, რომ შეურყეველი რწმენის გამო უფლისაგან „კლდედ“ წოდებულმა წამების შიშით ჯვარცმისას უარყო უფალი, მაგრამ მოახერხა, მონანიებით ამაღლებულიყო ცოდვებსა და ამსოფლიურ პრობლემებზე, ძველებურად განმტკიცებულიყო:

„მსმენია, ქრისტე შესულა ელუსარემში კვიცითა;  
მუნ პეტრეს უვარს უყვია, – ვერ ვიცნობ, – უთქვამს ფიცითა,  
მერმე კი შეუნანია, აწ მკვიდრობს კლდე სიმტკიცითა“.

პოეტს არ გამორჩენია „სახარებისეული“ ამბავი, ქრისტეს მიერ პეტრეს დადგენა სამოთხის მცველად და მისთვის უფლების მიცემა, ვისთვისაც სურდა, გაეღო სამოთხის კარი. ამიტომ შეჰღადადებს ღმერთს, მოციქულთა თავებმა არ დაუშალონ სამოთხის მკვიდრობა:

„პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი,  
ნუ მექნებიან კართა დამხშველი!“

ვხვდებით უფლის საყვარელ მოწაფეს – იოანე ღვთისმეტყველსაც, რომელსაც ჯვარცმულმა უფალმა იესომ დედა ჩააბარა. „სახარების“ სწორედ ამ ეპიზოდზე ამახვილებს პოეტი ყურადღებას:

„რა ესმა დედის ტირილი მეს მიკრულს ჯვარსა ზედაო,  
შაემულაბნა მშობელი და მისკენ გადმოხედაო.

გამოეძრახა, უბრძანა: ეჰა, ნუ მტირი დედაო!  
მე წავალ, შენ ჩემ სანაცლოდ იონე გყვანდეს ძედაო“.

„დავითიანში“ ბიბლიიდან რამდენიმე უარყოფითი პერსონაჟიც გვხვდება. ესენი არიან: ჰეროდე, ჰეროდიადა, იუდა.

იოანე ნათლისმცემლის მკვლელ ცოდვილ ცოლ-ქმარს პოეტი სამარადისო, გამოუხსნელი სასჯელის ღირსად მიიჩნევს. „აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი“ გადმოგვცემს, თუ „თავხედმა, ბრიყვმა ირონო ირომ თამაშ-თულობით, კაპას-კახპობით, თავის თხოვნით... ლხინად მჯდომარე, ლექს-ღვინით მთვრალ“ მეფეს როგორ მოსთხოვა: „მოჰკვეთე თავი მართლის მეტყველსა“.

პოეტი ნიშნის მოგებით მიმართავს ჰეროდიადას:

„იონე, მოჰკვალ, იმან ეს გიყო!..  
ნუ გიკვირს, მის წილ ნაცვლად მიეცე  
ნავთთ ტბას, ცეცხლს მწველსა!“

მისი აზრით, განსაკუთრებით დაისჯება „ეროდიას ეშმაკობა“:

„... ეროდიასა ელდანი ევა:  
ვამე, ვიწვიო, ვერას ვიტყვიო, ვიხსნები ვერცა!“

დავითს ასეთი ადამიანების შესაფერის ადგილად ჯოჯოხეთის ცეცხლი მიაჩნია. ამიტომ ათქმევინებს უფალს, რომ სატანის გვერდით სხედან ჰეროდე და იუდა:

„ჯოჯოხეთშიგან სატანა რისხვით მივბნიდეო;  
დავაბი მაგრის ჯაჭვითა, ცეცხლსა, ნავთში ვსდეო,  
მარჯვნით დაუსვი იუდა, მარცხნივ ეროდეო“.

პოეტი ხედავს იუდას ორმაგ, ცვალებად ბუნებას, ამიტომ „სახარების“ იმ ეპიზოდებს აქცევს ყურადღებას, რომლებშიც წარმოჩნდება, ერთი მხრივ, ხარბი და გაუტანელი, მეორე მხრივ კი – მონაწილე და მორწმუნე იუდა. ჯერ მისი კარგი მოწაფეა („იუდა ქრისტეს მონებდა, ჩემობდა კაის ყმობასა“), შემდეგ ყიდის უფალს, სიხარბისაგან ძლეული („იუდამ ქრისტე გაყიდა, ვერცხლი აილო ფასადო... / სიხარბით ცეცხლში ჩავარდა, მიხვდა სატანას ძმობასა“), ბოლოს კი

ინანიებს, ვერცხლს გადაყრის და სხვებსაც უქადაგებს, რომ მართალი კაცი დასაჯეს („კვლავ შეინანა, დაფანტა, დანაშაული თავს ადო, / წავიდა, თავი დაირჩო, ეს მოუვიდა ნასადო, „სისხლი მართალი მივეცო“, მაღლა ხმოზდაო“).

მკითხველი რომ დააფიქროს და, უბრალოდ, სახარების გალექსილ შინაარსად არ იქცეს მისი ნათქვამი, დავითი იუდას საგანგებოდ ადარებს პეტრეს, სარწმუნოებით „კლდეს“:

„იტყვიან, სარწმუნოვებით პეტრეს იუდა სჯობდაო,  
თუ თავი მას არ დაერჩო, სხვას ღმერთი შეუწოდობდაო,  
ამად რომ, „სისხლი მართალი მივეცო“, – მაღლა ხმოზდაო.  
პეტრეს ჰკითხვედენ ქრისტესა, „ვერ ვიცნობ“, – ფიცით  
გმობდაო“.

ამით სურს, მიგვახვედროს, რომ მხოლოდ რწმენა, საქმისა და სინანულის გარეშე, ვერაფერს მოგვიტანს. მართლაც, პეტრეც უარყოფს უფალს, სამჯერ „ყიდის“ მას, მაგრამ მთელი ცხოვრება ინანიებს და დღეს მოციქულთა თავია. იუდა კი არასწორი ნაბიჯების გამო ეშმას მარჯვნივაა ჯოჯოხეთში. ამიტომაც დიდად საგულისხმოა დ. გურამიშვილის დასკვნა, ნებისმიერი ჩვენგანისადმი მომართული:

„აწ თქვენის სჯულის ამბავი თქვენ უმჯობესად იცითა“.

### **ბიბლიური იგაგებო**

ლუკა მახარებლისეული „მე შეცდომილის“ (ანუ „უძღეები შვილის“) იგავი მაცხოვრისა და მთელი კაცობრიობის, უფლისა და ყოველი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების პარადიგმაა, პირველქმნილი ცოდვიდან მოყოლებული ადამიანი (ანუ ის, ვინც ადამს „დაატარებს“ საკუთარი სულით) – უძღეები შვილი, მამისაგან განმდგარი და დაკარგული, თავისი სულის, სახლისა თუ სამოთხის გზას ეძიებს. ამიტომაცაა, რომ ამ იგავს წმიდა მამები ყველა დროისა და ხალხის უდიდეს მონათხრობს უწოდებენ.

„მე შეცდომილის“ იგავი დაკარგულის, შეცდომილის, წარწყმედილის მოძიების მოტივს აგვირგვინებს ლუკას სახარებაში. დაკარგული ცხვრისა და დაკარგული დრაქმის ამბავი დაკარგული მის

თემად გადაიზრდება. ოღონდ, თუ ცხვარს თავისი გულუბრყვილობითა და უმეცრებით ებნევა გზა და შორდება ფარას, დრაქმას კი დედაკაცი კარგავს, სხვათა დაუდევრობის გამოა იგი მოსაძიებელი, ძე სრულიად გააზრებულად ტოვებს მამის სახლს, თვითონვე განსაზღვრავს საკუთარ ბედსა თუ უბედობას. ცხვარი და დრაქმა მსხვერპლნი არიან, ძე – ცოდვილია. ამიტომ მას მამა არ ეძებს, მხოლოდ ელოდება. სახლსაც დამოუკიდებლად უნდა მიაგნოს, ძეობის პატივის საკუთარი ნებით უარყოფელმა თვითონვე უნდა მოიძიოს დაკარგული, მოახერხოს მამის სახლისკენ გზის გაკვლევა.

„ძე შეცდომილი“ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ასპექტს შეიცავს: მამისა და შვილის, ადამიანისა და საწუთროს, უფლისა და კაცის, ძმების ურთიერთობის თემებს; გამოღვიძების, საკუთარი თავის „მოგება-გაცნობიერების“, სინანულისა და სიყვარულის, დაკარგულის მოძიებით აღძრული სიხარულის მოტივებს; სამოსელი პირველის, ბეჭდის, ხამლის (ფეხსაცმლის), „ჭამებული ზვარაკის“ (შესაწირი საკლავის) სიმბოლურ სახეებს. ამდენად, ფართოა სპექტრი, რომელსაც იგავი სთავაზობს მწერალს.

„ძე შეცდომილი“ ღრმა და მრავალფეროვანია, ლიტერატურაში მრავალმხრივაა იგი წარმოდგენილი, მისი სხვადასხვა ასპექტი უამრავ ნაწარმოებში გვხვდება.

იგავის პარადიგმული საკითხებიდან განსაკუთრებით ხშირია მამისა და შვილის (ანუ უფლისა და კაცის) ურთიერთდამოკიდებულების მოტივი.

ადამის მაგალითზე შეიქმნა სახე მონანული ძისა, რომელიც „ვითა ცხოვარი გზაშეცთომილი“ თავისი მამის წიაღს დაეძებს, ცოდვებს გულწრფელად ინანიებს, გველივით პერანგს იხდის (გრიგოლ რობაქიძის არჩიზალდი), რათა შეიმოსოს უბიწო სამოსელი პირველი (გურამ დოჩანაშვილის დომენიკო) და მამის კურთხევით ცხონდეს.

ურჯულოთა მიერ დატყვევებული, ოლამიდან ამოვარდნილი, გურამიშვილი თავს მიიჩნევს დაკარგულ ცხვრად:

„მწყემსო კეთილი, ნაყოფ-კეთილო,  
ვარ გახდომილად ცხვარი ცდომილად“.

მისი ლოცვა მათეს სახარების გამოძახილია (იხ. მათე 18, 12-13). იგი, როგორც დაკარგული ცხვარი, „მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე“, უხენაესს მოძიებასა და ამქვეყნად – სამშობლოში, იმ ქვეყ-

ნად კი სასუფეველში დამკვიდრებას ევედრება; პოეტი შეჰღალადებს მაცხოვარს, ემმას, ანუ უხილავი მხეცისაგან დაიცვას, „თიკანთა“ – ჯოჯოხეთისთვის განწირულთა რიგებში არ ჩააყენოს და სამოთხის მკვიდრთ – „კრავებს“ შეუერთოს:

„შენ, იესო, მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!  
ვით ცხოვარი ვარ წყმენდილი, ნუ დამკარგავ, მომნახეო,  
ჩემზედ მხეცთა უხილავთა ნუ მოუშვებ, შერისხეო,  
მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვნივ კრავთან  
შემრაცხეო!“

რამდენადაც ცოდვათა სიმრავლის გამო თვითონ არ ძალუძს, ტყვეობას დააღწიოს თავი და დაბრუნდეს სამშობლოში, მაცხოვრის შეწევნას საჭიროებს („მიხსენ ცხოვარი წყმენდილი, იესო, მწყემსო კეთილო“), მზეთამზე უფალს შესთხოვს, დაიხსნას განსაცდელისგან, საჯოჯოხეთოდ არ გაიმეტოს. პოეტი წინამძღვარს ნატრობს, რომელიც ისევ ოლამში დააბრუნებს:

„ღმერთსა ვსთხოვე, მიწყალოზე შენ ასეთი წინამძღვარი,  
უვნებელად გარდმატარო ქრისტიანთა მტერთ სამძღვარი“.

უკვე მეორე ტყვეობიდან – მაგდებურგიდან დაბრუნებული დავითი, მთელი თავისი საცხოვრებლის დაკარგვას ისევ ცოდვების სიმრავლით ხსნის, თავს დაკარგულ ცხვართან აიგივებს და იესოს ევედრება, წყალობის თვალთ მოხედოს, იგი „ათი ქალწულის იგავსაც“ მოიშველიებს და მაცხოვარს შეჰღალადებს, მოჰმადლოს სინანულის ცრემლები, ცოდვები მიუტევოს, ბრძენი ქალწულივით შეადლებინოს ლამპრის ანთება და არ ჩაუკეტოს სამოთხის კარი:

„ვითა ცხოვარი გზაშეცდომილი,  
მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე,  
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,  
ისეთი საქმე მე მოგიგვარე!  
ქრისტევ, განმკურნე ბრმა-ყრუ-საპყარი,  
რომ მე ავინთო ბაზმა-ლამპარი,  
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,  
რომ შენ განმიღო ქორწილის კარი!“

„მე შეცდომილის იგავში“ სამოსელი და ფეხსაცმელი უფალ-თან სიახლოვეს ნიშნავს.

დავით გურამიშვილი ჩაცმულობითა და ტანსაცმლის ხარისხით გამოხატავს, რომ მისი ოჯახი მდიდარი და ღვთისგან დალოცვილი იყო:

„ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცემდენ არ ავს ჯუბანსა“;

ლევთა ტყვეობაში მყოფი კი თავისი ცოდვების მომრავლებას უკავშირებს „სამოსლის დაძველებასა და გაცვეთას“:

„ზურგთ მძიმე ტვირთი მკიდია ცოდვისა, არ სუბუქია;  
გზაშეცდომილი ვრონინებ, მაზრობს ქარი და ბუქია;  
მასხია ცივი ნაზადი, არა მაქვს თბილი ქურქია“.

„მე შეცდომილის იგავის“ მიხედვით, შემოსვა ძეობის პატივის აღდგენაა, რადგან იგავში მამა შინ დაბრუნებულ ძეს სამოსელსა და ხამლს აცმევს. სწორედ ამას გულისხმობს „დაკარგული ძე“ – დავით გურამიშვილი, როცა უფალს თბილი სამოსის მიცემასა და გათბობას შესთხოვს. ეს მისთვის მამის სახლში დაბრუნებასა და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დახსნას ნიშნავს:

„მე, ყინვისაგან დამძრალი, გენუკვი დასათბობელად,  
გემუდარები, ნუ გამხდი ცეცხლზედა დასართობელად“.

გავიხსენოთ, „ვეფხისტყაოსანში“ ფარსადანმა მოღალატე რამაზი საგანგებოდ შემოსა – მან ამით უძღვები შვილი დაიბრუნა და ხელახლა გაიერთგულა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბექედი, რომლითაც სრულიყოფა ძეობის პატივი. დატყვევებული დავითი უფლისგან მოშორებას სწორედ „ბექედის დაკარგვის“ მეტაფორით გადმოგვცემს:

„დავჰკარგე იგი ოქროს ბექედი,  
რომლით ნიშნულ არს ჩემი შვებადი,  
აწ მექცევიან ვანი გებადი  
მე საუკუნო განსვენებადი“  
(„ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა“).



მკითხველისთვის ცხადია, რომ ორსავე სოფელში ბედნიერების დაბრუნება მხოლოდ ამ „ბეჭდის პოვნითაა“ შესაძლებელი.

შევხებით იმ მეტაფორებსაც, რომელთა მოშველიებითაც გამოხატავს დავითი შეცდომილობის ტკივილს. ესენია: „ხნარცი“, „ეზო“, „სახლი“, „სამშობლო“, „ცის კაბადონი“.

ხნარცი, ორმო, ცოდვის ღიაა. ადამიანი რაც მეტად სცოდავს, მით უფრო „ღრმად ეფლობა ორმოში“. დავით გურამიშვილი შეჰღაღადებს ღმერთს:

„ცოდვის ღიას უკუვარდი, ღრმად შიგ დავეფალო,  
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად აღმოვალო“.

ადამიანისთვის სამშობლოც ხშირად ასოცირდება მიწიერ სამოთხესთან. მშობლიურ მიწაზე კაცი თავს კარგად გრძნობს, მისი სული მშვიდადაა, აქ ცხოვრებას გიიოლებს „დის ცრემლი და ძმის მხარში დგომა“.

სახლი სულის ნავსაყუდელია, უბინაობა – მიუსაფრობა და განწირულობა, ბინა – სულის „ნავსადგური“ და თავშესაფარი. ამქვეყნად კაცი მდგმურია. მახარებლებისა არ იყოს: „მელთა ხურელი უჩს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (მათე 8, 20; ლუკა 9, 58).

დავით გურამიშვილი ამიტომ შესთხოვს ასე მხურვალედ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, მოწყალეს, კაცობრიობის დიდ ნუგეშს, ცოდვილთ მეოხარს, დაკარგულთა იმედს, დაიფაროს განსაცდელთაგან:

„მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,  
უსახლკარო ვარო, ვითხოვ, შემიფარო“.

ადამიანის სანუკვარი და ნამდვილი სახლი სასუფეველია, იქ მისვლით ადამიანი – „მე შეცდომილი“, მამის სახლზე უარის მთქმელი და შემდეგ მისკენ მიმავალი გზის დაუცხრომლად მძებნელი, ივიწყებს მიუსაფრობისა და ობლობის განცდებს, თავს დაცულად და მშვიდად გრძნობს, იგი საკუთარ სახლშია და ლხინობს. უსასო „არა-ვერას“ სამოთხის კარს მხოლოდ მაცხოვარი გაუღებს. ამიტომაც მოუწოდებს დავითი საკუთარ თავს, უფლის კაცი და მისთვის მოსაწონი იყოს, რათა განეღოს სასუფეველი:

„ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე,  
რომ არ შეიქნა ლამპარ-შრეტილი,  
შუაღამისას მოვიდეს სიძე,  
გარეთ არ დარჩე კარ-დაკლექილი“.

ასეთივე დანიშნულებისაა ეზო, როგორც სახლის ნაწილი, ფარები (როგორც ცხვრის სადგომი, გამომდინარე ადამიანის, როგორც ცხვრისა, და მაცხოვრის, ვითარცა მწყემსი კეთილის, მეტაფორებიდან). თუ წმინდანი მარადიულად მიჰყვება უფლის გზას, რათა იყოს „ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა“ და „უფლის ეზოსაგანი“, სხვა – „ცხოვარი გზაშეცდომილი“ ეშმას ზეგავლენით „იკარგება“, „სხვა ეზოში“, ანუ მგლების ხროვაში, აღმოჩნდება და მაცხოვრის შეწევნას საჭიროებს, მგლის ხელში რომ არ ჩავარდეს და უფლის სამწყსოს დაუბრუნდეს:

„ქრისტეს მაცხოვარს, გთხოვ ამ სათხოვარს,  
მარიდე ცხოვარს, საცა მგლის ხრო არს,  
მიხსენ მათგანა“.

ცის კაბადონი კი უფლისკენ მიმავალი გზა და ის „სასინათლოა“, რომლის გავლით ადამიანი სასუფეველს დაიმკვიდრებს. ამიტომ ევედრება დ. გურამიშვილი უფალს, „სასინათლო აუხვრიტოს“. ის ბედნიერი მხოლოდ მიწიერ და ზეციურ საქართველოში იქნება.

### **დაკარგული ცხვარი**

„მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლაში“ ვკითხულობთ:

„შევსცდი და მწყემსსა წაუველ, გაუდექ მრუდათ მოვნასა,  
აწ დავკვარგულვარ თავათთვის, აღარ მოველი პოვნასა,  
უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა!  
სიმსუქნისათვის დავიკვლი, ძაღლნი შესჭამენ ქონასა“.

ამ სტრიქონებში პოეტის მიერ გააზრებულია მისი სულიერი დაშორება კეთილი მწყემსის – უფალ იესო ქრისტესგან, რაც საკუთარი ურწმუნოების, ქედმაღლობისა და ნაყროვანების შედეგად მიაჩნია: „მრუდათ მძოვნელი“ ცხვარი უფალს განრიდებული ურწმუნოა, „უძღები შვილი“ – ქედმაღალი, ამპარტავანი „ძე შეცდომილი“, ვე-

რაფრის მშოვნელი და „დაკარგული თავთათვის“ (იხ. ლუკა 15, 11-32), ხოლო სიმსუქნე და ქონი, ძაღლის ლუკმა რომ ხდება, კაცის სულს არას არგებს, „ნაყროვანების“ ცოდვაზე მიგვანიშნებს.

ეს სტროფიც ბიბლიას ეფუძნება:

პირველი სტრიქონი ეყრდნობა „სახარებისეულ“ იგავს – უფალი უხსნის მოციქულებს, რომ, როგორც 100 ცხვრის პატრონი მწყემსი მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტ ცხვარს და ერთი „წარწყმედულის“ მოსაძებნად გაემართება, რა იპოვის, „დაისუას იგი მხართათვისთა ზედა სიხარულით“, და უფრო მეტად შეიყვარებს დაკარგულს, ვიდრე დანარჩენ 99-ს. ასევე დიდად გაიხარებს უფალი ყოველი მონანული ცოდვილის ცათა სასუფეველში დაბრუნებით (ლუკა 15, 4-7).

პოეტიც თავს დაკარგულ ცხვრად მიიჩნევს (II სტრიქ.), მაგრამ შიშობს, რომ ვედარ მოძებნიან.

„სახარებაში“ დაკარგული ცხვრისა და დაკარგული დრაქმის ამბავი დაკარგული ძის თემად გადაიზრდება. დაკარგულის, შეცდომილის, წარწყმედილის მოძიების მოტივს „მე შეცდომილის“ იგავი აგვირგვინებს.

ცხვარს თავისი გულუბრყვილობითა და უმეცრებით ებნევა გზა, შორდება ფარას, იგი მსხვერპლია. დაკარგულს უფალი – „მწყემსი კეთილი“ მოიძიებს და უკან აბრუნებს, მე კი საკუთარი ნებით მიდის მამის სახლიდან და ამიტომ თვითონვე უნდა დაბრუნდეს, თვითონვე უნდა გაუჩნდეს შინ წასვლის სურვილი.

დავითის სტროფშიც ერთმანეთს ენაცვლება (ერთმანეთზეა გადაჯაჭვული) „დაკარგული ცხვრისა“ და „უძღები შვილის“ იგავები. ლუკა მახარებლის მიხედვით, მემ მიატოვა მამის სახლი, ყოველივე დაკარგა, „იშოვა“ მხოლოდ შიმშილი და მიუსაფრობა. ამით აიხსნება პოეტის მიერ მწარე იუმორით ნათქვამი: „ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა!“

ამ იგავსვე უკავშირდება პოეტის ტკივილი: „აწ დავჰკარულვარ თავთათვის“, რაც გამოძახილია ლუკა მახარებლის მე შეცდომილზე ნათქვამისა: „მოეგო თავსა თვისსა“.

დავითიც უძღები შვილია, ოღონდ „თავსა თვისსა ვერ მოგებული“. დაკარგულობის სევედა მოსვენებას არ აძლევს მას. მისი ტკივილიც უფრო მძაფრია, ვიდრე „სახარებისეული“ იგავის პერსონაჟისა, რადგან მან შეძლო მამის სახლში დაბრუნება, პოეტს კი ამის იმედი არ აქვს. მკითხველისთვის ცხადია, რომ პოეტისთვის ერთურთ-

ზეა გადაჯაჭვული მშობლიური სახლისა და სამოთხის დაკარგვის ტკივილი. მან ზეციური სასუფევლის გზა დაკარგა სამშობლოს გზისა და ცის დაკარგვის გამო. ამიტომ მოსთქვამს ფიზიკური და სულიერი ტკივილებით გათანგული:

„ვაიმე, მამა-დედისა, ძმის დამკარგავი ვარ, დისა,  
ველარ მნახავი მოყვრისა, ტან-ლერწამ, პირად ვარდისა...“

თუ პირველი სტრიქონი მიწიერ ნათესავთა დაკარგვას გულისხმობს, მეორე მაცხოვრისგან შორს ყოფნის გამო დარდს გადმოსცემს, რადგან „დავითიანში“ მოყვარე და სატრფო (თითქმის ნებისმიერ კონტექსტში) იესო ქრისტეს მეტაფორებია.

მეოთხე სტრიქონით დავითი „მრუდათ მოვნას“, „სიმსუქნეს“, „უძღებებს“, „ქონს“, ანუ, მეტაფორულად მიწიერით ტკბობას, მიიხნევს დაცემის მთავარ მიზეზად და უპირისპირებს მარხვას, ანუ ხორცის უარყოფასა და სულზე ზრუნვას. ამიტომ გვასწავლის:

„ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო...“

პოეტს მოეხსენება, რომ „სახით სიტყვა შვენიერი“ უფალი ჯეროვანი რწმენის შემთხვევაში ბედნიერებას ათასწილად დაუბრუნებს.

„მეტომილობის“ ტკივილიც მხოლოდ სულის განდიდებით დაიძლევა.

„დავითიანში“ რამდენჯერმე გვხვდება „ათი ქალწულისა“ და „მექორწინეთა“ იგავების ალუზიებიც, რომლებიც ხშირად გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ზოგჯერ დავითი მათ ჩააწნავს „დაკარგული ცხვრისა“ და „მე შეცდომილის“ იგავებსაც და ამით ორიგინალურ სახეებს ქმნის. ამ მხრივ გამორჩეულია „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“, მასში ალუზიურად გვხვდება ეს ოთხივე იგავი: იწყება „დაკარგული ცხვრით“, გადაიზრდება „მე შეცდომილში“, შემდეგ კი გადადის „ათი ქალწულისა“ და „მექორწინეთა“ იგავებში.

„დავითიანში“ თითქმის ყოველი დეტალი გვხვდება „ათი ქალწულის იგავისა“ (მათე 25, 1-13), რომელიც მორწმუნეთაგან სიფხიზლესა და უფალთან შესახვედრად მარადიულ მზადყოფნას მო-

ითხოვს: „იღვებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს“ (მათე 25, 13).

რადგან სულელ, ზარმაც ქალწულებს ჩაეძინათ და ჩაუქრათ ლამპრები, პოეტი ფრთხილობს, სიზარმაცემ არ დასძლიოს („ნუ ხარ სულელი, ზარმაც-უდები, არ დაგეკარგოს ქრისტეს ქორწილი“) და თავს შემოუძახებს:

„ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე,  
რომ არ შეიქნა ლამპარ-შრეტილი“.

ამ იგავში უფალი სიმბოლურად „სიძეა“, რომელიც მოდის გვიან ღამით და „განზადებულნი“ – ხელლამპრიანები შეჰყავს ქორწილში, ხოლო სულელ, ზეთგამოლეულ ქალწულებს არ უღებს კარს და ეუბნება: „არა გიცნო თქვენ“. დავითს „განცდა თვისთა ცოდვათა“ არც ცხადში ასვენებს და არც – ძილში: „სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი, / ქორწილში შესვლად შიგნით ვიწვევდი“, ეშინია, რომ ქორწილის, ანუ სამოთხის, მისი აზრით, უდიდესი საუნჯის, გარეშე არ დარჩეს „საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე“ და უგუნური ქალწულებივით არ დაეხშოს „ქორწილის“ კარი:

„შუალამისას მოვიდეს სიძე,  
გარეთ არ დარჩე კარ-დაკლეთილი“.

ეს განცდა გვხვდება ლექსშიც „თავისის ცოდვის მოგონება და სასინანულო სიტყვები დავით გურამისშვილისა“. პოეტი აქაც წერს:

„აწ ნუ გძინავს, ადექ, იღვიძე,  
შუვალამეს მოვალს ის სიძე:  
არ დაგიშტრეს შენი ლამპარი,  
სამეუფოს დაგეხშას კარი“.

იგავის მიხედვით, სულელებმა ბრძენ ქალწულებს სთხოვეს პატრუქი ან ზეთი, მაგრამ ვერ მიიღეს. დავითიც გრძნობს, „მტერთან“ (ეშმასა და წუთისოფელთან – ლ. დ.) ჭიდილს როგორ შეუღახავს მისი სული, როგორ გაჰქრობია „ზეთი“ (მადლი, სულიერი უბიწოება – ლ. დ.). ამიტომაც გოდებს:

„სულ დამკარგვია ზეთი და ცვილი  
და საკერასე გორგლად ხვეული“.

სამწუხაროდ, არც იმისი იმედი აქვს, რომ ვინმე გაუმართავს ხელს და მაშინ იგავის სულელი ქალწულების მდგომარეობაში აღმოჩნდება:

„ვამე, ცოდვილსა და უბადრუკსა,  
მე ვინ მადირსებს ასეთს მაზმანსა,  
რომ დამიგრეხდეს სანთლის პატრუქსა,  
ან ზეთს მისხემდეს ჩემს მქრალს ბაზმანსა!“

ოცნებაში მუდამ უფლის ქორწილშია დავითი: „ქრისტე, მიბოძე ასეთი ბედი, შენსა მას ქორწილს მეცა მიწვევდი!“ თუმცა ოცნებასა და რეალობას შორის ამსოფლიური ვნებები და ცხოვრებისეული პრობლემებია. ამიტომ შიში იპყრობს პოეტს, ვაითუ, ცოდვებმა და-აბრკოლონ („ქრისტეს წინ წავდგე ქედ-დრეკით, თავი ვერ მაღლა ავიღო; / სასწორში ცოდვა დაჭარბდეს, უმაღლომ ვერ გარდავიღო“ – „ობოლნი“). „სახარებისეული“ მეტაფორით ცოდვილებს „არასაქორწინე სამოსელი“ ამხილებთ და ანგელოზები გამოამევებენ (იხ. „მე-ქორწინეთა“ იგავი - მათე 22, 8-14). პოეტიც ამ იგავზე გადადის და წუხს:

„ვარ მე მტერთაგან მწარედ გაცრცვილი,  
ტანთ საქორწინე საცმელთ ხეული...  
მტერმან განმმარცვა მე შესამკელი  
(აქაც „მე შეცდომილი“)  
ტანთ საქორწინე შესამოსელი,  
ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,  
ქორწილსა შინა ველარ შემსვლელი!“

ღრმადმორწმუნეობა ამჯერადაც ეხმარება დავითს. ამიტომ მაცხოვარს შეჰდალადებს ხსნისა და წყალობისათვის, მეტაფორულად „სულის სამოსელსა“ და შემოსვას სთხოვს: „შენ ხარ, უფალო, აწ ჩემი მშველი, / ქრისტევ, შემმოსე მაღლით შიმველი“. თანაც იმედოვნებს, რომ უფალი დაინახავს მის გულწრფელ სინანულს, შეიწყალებს და სამოთხეს დაუმკვიდრებს. ამიტომაც ცოდვების გამო კი არ ითრგუნება პოეტი, არამედ მათზე მაღლდება და იმედოვნებს მე-ქორწინეთა თანამეინახეობას. რამდენჯერმე გამეორებული თხოვნით კი წარმოაჩენს, ცხოვნების რამდენად დიდი სურვილი აქვს:

„ქრისტევე, განმკურნე ბრმა-ყრუ-საპყარი,  
რომ მე ავინთო ბაზმა-ლამპარი,  
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!  
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!“

ლექსებში: „ვედრება ღვთის-მშობლისა დავითისაგან, ოდეს იმ ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს შაეფარა ავის დღის მიზეზით“ და „ოდეს დავით გურამისშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ღიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთის-მშობლის შესხმა“ – დავითი ყოველი მორწმუნისთვის მისაბამ მაგალითს – ყწ. ღვთისმშობელს „ათი ქალწულის“ იგავის მოშველიებითაც ახასიათებს, როგორც ქალწულთა ნიმუშს, მარად მღვიძარეს, ლამპარაუქრობელს, რომელიც, მისი რწმენით, ეგებება სიძეს და წინ უძღვის საქორწინე კრებულს. აღფრთოვანებული პოეტი ხოტბას ასხამს ყწ. დედას:

„მის სიძის მღვიძრად დამხდომო, შუაღამ ძილთა  
მფრთხობელო,  
გაუქრობელის ლამპრითა ქალწულთა წინა მსწრობელო...  
სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ-განუმქრალო,  
ქალწულთ გვირგვინთ სამკაულო, თავ-ჯილოანთ ალო...“

ბოლოს კი, როგორც ერთ-ერთი „სულელი, ლამპარ-შრეტილი მრეკელი“, ევედრება ყწ. მარიამს: „მოწყალებისა კარ-მიღე, იესოს ქრისტეს მშობელო“.

„ათი ქალწულის“ იგავის ასეთი ხშირი დამოწმება, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს დავითის ღრმა რწმენასა და ცხოვნების დიდ სურვილს.

## ლიტერატურა

**დავით გურამისშვილი**, დავითიანი, თბილისი, 1964.

**მცხეთური ხელნაწერი**, ექვს ტომად, თბილისი, 1981-86.

**ახალი აღთქუმაი**, თბილისი, 1995.

Lali Datashvili

## **Biblical Characters, Parables and Miracles in “Davitiani”**

### Summary

The trace of Biblical books is very evident in “Davitiani”. The goal of our research is representing Biblical Characters, Parables and Miracles in “Davitiani”.

The chapter called “Biblical Characters” shows us how characters like Adam and Eve, Cain and Abel, Abraham and Sarah, David the Prophet, Solomon, Job, Jesus Navin, Babylonians, Jonah the Prophet, Moses, Mary, Lazarus, Saint Peter, John the Apostle, and others are represented by DavitGuramishvili.

We also see a few negative characters from Bible in “Davitiani”. Those are: Herodias, Judas, Herod the great.

The poet discloses his views about all the Biblical characters and mentions them as paradigms of some stories.

Abundance of Biblical characters and stories related to them makes “Davitiani” exceptionally interesting. In addition, Georgian Poet shows us how repetitive Biblical stories are in the world and how good it would be if people take it into account in their own lives.

There are a lot of parables and miracles mentioned in “Davitiani”. In the chapter named “Parables” we said explained how and in what context the poet uses allusions of the parables: “Prodigal Son”, „The Lost Sheep”, “The Ten Virgins”...

In the chapter called “Miracles”, we talked about the miracle at Cana, turning water into wine by Jesus Christ (John 2, 1-10). This first miracle fulfilled by God and resurrection of Lazarus are frequently used in “Davitiani”.



## ქანეტა ვარძელაშვილი

### ცნება „მონანიება“ როგორც კულტურის უნივერსალია

(შეპირისპირებით-ინტეგრაციული ანალიზი)

წინამდებარე ნაშრომის ამოსავალ განწყობებს წარმოადგენს უახლესი ლინგვისტიკის შემდეგი დებულებები:

1) ენა ასახავს შემეცნებას და აზრის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა; აზროვნება არა მხოლოდ დამოკიდებულია ენაზე, არამედ გარკვეულწილად განპირობებულია მისით;

2) ენისა და აზროვნების სიღრმისეული კავშირი წარმოქმნის უნიკალურ ადამიანურ ფენომენს – მსოფლაღქმას;

3) ენა კულტურის იმანენტურია; კულტურის აზრობრივი ელემენტები აგროვებს მნიშვნელობებს, იზრდება და სიმბოლიზდება. ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლისას ისინი ინარჩუნებენ თავიანთ კონსტანტურ შემადგენლებს;

4) საერთო ცივილიზაციური არეალის კულტურების უდიდეს უმრავლესობაში შესაძლებელია გამოიყოს საყოველთაო ხასიათის, დროში დაწნეხილი სულიერ-პრაქტიკული გამოცდილების მქონე ტრადიციები, ჩვეულებები, ნორმები, ღირებულებები, რომლებიც ამყარებს ზოგადსაკაცობრიო კულტურის მდგრადობას; ეს უნივერსალიები ერთმანეთს ემთხვევა მათი კონსტანტური საბაზისო ელემენტებით, მაგრამ შეიძლება განსხვავდებოდნენ „მეორეხარისხოვანით“, რაც უკავშირდება კონკრეტულ კულტურულ კონტექსტს.

1987 წ. საბჭოთა კავშირის კინოეკრანებზე გამოვიდა თენგიზ აბულაძის რეჟონანსული ფილმი „მონანიება“, რომელიც წარმავალი ეპოქის სიმბოლოდ იქცა. ის 1984 წელს გადაიღეს, მაგრამ რამდენიმე წელი, ქვეყანაში საჯაროობის (ე. წ. «Гласность») დადგომამდე, თაროზე შემოდეს. ფილმი არ იყო ანტისაბჭოური, მაგრამ უდავოდ გახლდათ დისიდენტური. ეს ზედსართავი სახელები ერთ სინონიმურ სერიას მიეკუთვნება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ განსხვავება: ზედსართავი სახელი „ანტისაბჭოური“, ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემებით, არის აგიტაციური პროპაგანდა, ხოლო ზედსართავი სახელი „დისიდენტური“ საბჭოთა პერიოდის ლექსიკოგრაფიულ წყაროებში განმარტებულია არსებითი სახე-

ლით „დისიდენტი“, მაგრამ უკვე 2004 წ. მაგალითად, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარში ვკითხულობთ: «თავდაპირველად აღნიშნავდა სხვაგვარად მოაზროვნეს, ადამიანს, ვინც საეკლესიო მოძღვრების, ღვთისმსახურების ან ეკლესიის მოწყობის საკითხებში განუდგა გაბატონებული კონფესიის ოფიციალურ თვალსაზრისს. ცივი ომის პერიოდში ტერმინი გამოიყენებოდა სოციალური ბანაკის იმ პირთა აღსანიშნავად, ვინც არ ეთანხმებოდა გაბატონებული იდეოლოგიის პოლიტიკურ დოგმატიკას». ამრიგად, სიტყვამ შეიძინა მეორე მნიშვნელობაც, ჩვენი შეხედულებით, ტრანსპოზიციას საფუძვლად უდევს იგივე უნივერსალური იდეა – მიუღებლობა, წინააღმდეგობა, გაბატონებულ რწმენასთან შეუსაბამობა.

თენგიზ აბულაძემ თავისი ნაამბობი-მონანიება „დიდ ტერორზე“ გაცილებით ადრე ჩაიფიქრა და გადაიღო, ვიდრე საერთოდ შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნის ისტორიის ამ საშინელი მოვლენების შესახებ ლაპარაკი. ფილმი მოგვითხრობდა არა მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებზე, არამედ უახლეს ისტორიაში ის თითქმის პირველი ალაპარაკდა კეთილისა და ბოროტის ბრძოლაზე როგორც ადამიანის ცნობიერებაში ქრისტიანული და კომუნისტური მითოლოგიის დაპირისპირებაზე. ფილმის ფილოსოფიური და განზოგადებული აზრია მარადიული ჭეშმარიტება: სიკეთემ ბოროტებას შეიძლება სძლიოს მხოლოდ მონანიების გზით. ასე იქცა თენგიზ აბულაძის ფილმი-იგავი არა მხოლოდ ეპოქათა ცვლილების სიმბოლოდ, არამედ უზარმაზარი ეთნოსის ნატანჯ ცნობიერებაში თითქმის მივიწყებული ცნების – „მონანიება“ – აღორძინებად.

შემოთავაზებული ანალიზის ამოცანაა, თვალი მივადევნოთ სემანტიკურ ტრანსფორმაციებს მეტაფიზიკური და ყოფითი ცნების – „მონანიება“ – სტრუქტურაში, რომელიც უნივერსალურია ქრისტიანული და – უფრო განზოგადებულად – იუდეურ-ქრისტიანული ცივილიზაციური არეალისათვის. ნაშრომში გაანალიზებულია მისი აზრობრივი სახეცვლილებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლინგვისტურ ლანდშაფტში. ვისარგებლებთ კოგნიტური და ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის ტერმინოლოგიური აპარატით, მოვახდენთ ენობრივი გამოხატულების მქონე აბსტრაქტული აზრობრივი არსის მოდელირებას, რომელიც კონსტრუირდება კვლევითი მიზნით, რათა გამსხვილდეს ანალიზის ობიექტი ლექსიკალიზებული აზრების ენობრივი გამოხატულების ვარიანტების საფუძველზე.

მენტალური კონსტრუქტების (ფრეიმები, გემტალტები, სკრიპტები, კონცეპტები) მოდელირებისა და აღწერის ჩვენი ინტეგრაციული მეთოდოლოგია, რომელიც ბოლო თხუთმეტი წელია ყალიბდება კოლეგებთან მეცნიერულ დიალოგში, ეყრდნობა ავტორიტეტული მეცნიერების მიერ შემუშავებულ მეთოდიკებსა და მეთოდებს, რომლებიც უკვე აპრობირებულია მრავალრიცხოვანი კვლევებით და სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებულია როგორც ენაში ნომინირებული მენტალური ლექსიკონის ერთეულებზე წვდომის შესაძლებლობა. ობიექტთან მიდგომის თეორიული დასაბუთება და ანალიზის შემოთავაზებული ალგორითმი დაწვრილებით გვაქვს აღწერილი საკითხთან დაკავშირებულ სტატიებსა და მოხსენებებში<sup>1</sup>. აქვე საჭიროდ მივიჩნით, აღვნიშნოთ, რომ კონცეფცია ყალიბდებოდა ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური (ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის) მიდგომების სინთეზით და გულისხმობს როგორც ინტრა-, ისე ექსტრალინგვისტურ კვლევას. აუცილებელი დამატებითი პროცედურები კი მოიცავს: 1) ლექსემების კომპონენტურ ანალიზს კონცეპტუალური სისტემის ინვარიანტის დადგენის მიზნით (იძლევა შედარებით მდგრადი ცნებითი სისტემის ფარგლებში კონსტანტის ფლუკტუაციის პარამეტრების დადგენის შესაძლებლობას); 2) საწყისი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაციის რეკონსტრუქციას – რეალობის ფრაგმენტის გაგებასთან დაკავშირებული კოგნიტური და ენობრივი პროცესების სინქრონიზაციის შედეგის მოდელირება (იძლევა მენტალური სცენარის და მისი სამეტყველო გამოხატულების ლოგოსქემების მოდელირების შესაძლებლობას); 3) ობიექტის ანალიზს სინქრონიასა და დიაქრონიასში ეტიმოლოგიური და ენციკლოპედიური მონაცემების მოხმობით; 4) კონცეპტუალური სიმრავლის ვერბალიზატორების კვანტიტატურ ანალიზს, რომელიც ადგენს მის სემანტიკურ სიმჭიდროვეს და მიუთითებს მის ღირებულებით ხასიათზე ცალკეულ ენობრივ კულტურაში; 5) მხატვრული დისკურსის ფრაგმენტების ნანომასშტაბურ ანალიზს, რომელიც გამოავლენს აზრის უმცირეს ელემენტებს – ნანოსემებს [ტერმინი ჩვენია; იხ.: ვარძელაშვილი,

---

<sup>1</sup> მაგალითად: „კონცეპტუალური სტრუქტურის ლინგვო-კოგნიტური მოდელირება“. ერზრუმი, 2013; „Experimental integrative analysis of a verbalized mental construct“, Middlebury College, USA, 2016; „მენტალური კონსტრუქტის „თანაგრძნობ“ შეპირისპირებითი ინტეგრაციული ანალიზი (რუსული და ინგლისური ენების მასალაზე)“, ბათუმი, 2017 და სხვ.

2007] და კონტექსტუალური აზრდამატებათა ანალიზს. კვლევა შეიძლება შეივსოს შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში კონტრასტული ანალიზის მონაცემებით.

თუ ინტროსპექციის მეთოდის გამოყენებით შევხედავთ ჩვენს ენობრივ და კულტურულ გამოცდილებას, შეიძლება დაფიქსირდეს, რომ ცნება „მონანიება“ ყოველთვის წინ უძღვის დანაშაულის გრძნობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოიქმნება რაღაც ნორმის, იურიდიულის თუ ზნეობრივის, დარღვევის შედეგად. ლექსემის „მონანიება“ აკადემიური ლექსიკოგრაფიული წყაროების მიხედვით ჩატარებულმა კომპონენტურმა ანალიზმა ქართულ (**მონანიება**), რუსულ (**покаяние**), სერბულ (**покајање**), ბელორუსულ (**пакаянне**), უკრაინულსა (**покаяння**) და ბულგარულ (**покаяние**) ენებში გამოავლინა, რომ ცნების ენობრივი გამოხატულებების კონსტანტურ სემანტიკურ ელემენტებს სხვადასხვა ენაში წარმოადგენს *ნორმის დარღვევა//დანაშაულის გრძნობა*. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ ენაში ცნების ვერბალიზება ხდება რამდენიმე ლექსემით, რაც უკავშირდება არა მხოლოდ მის განსაკუთრებულ სიდრმისეულ გააზრებას უძველესი კულტურის ისტორიულ ვერტიკალში, არამედ ზოგადად ფილოსოფიური განსჯის ძველბერძნულ ტრადიციას<sup>1</sup>: მონანიება „იურიდიული“ (δικαίωση; ლსვ2 εξιοσιγήση) და რელიგიურ-ზნეობრივი (μετάνοια), ასევე აღვნიშნავთ, რომ ლექსემა μετάνοια ჩანანიშნით „იურიდ“. როგორც განსაკუთრებული მოვლენა გვხვდება იურიდიულ დისკურსში მნიშვნელობით **„დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის აღკვეთა“**. შეიძლება დავუშვათ, რომ მოდელირებული უნივერსალური მენტალური კონსტრუქტის პროტოტიპი/ინვარიანტი არის კონსტანტა *ნორმის დარღვევა//დანაშაულის გრძნობა*, რომელიც საერთოა სხვადასხვა ლინგვოკულტურისათვის.

მაშ ასე, ნორმის დარღვევა, „დანაშაული“ როგორც ათვლის წერტილი და მისი თანმდევი „მონანიება“. რა პოზიციაზეა მოდელირებულ კონსტრუქტში ცნება „მონანიების“ გრადუალური სინონიმები „раскаяние“ (რუს.), „кајање“ (სერბ.), „разкаяние“ (ბულგ.), „раскаянне“ (ბელ.), „каяття“ (უკრ.) და „сожаление“ (რუს.), „жаљење“ (სერბ.), „съялявам“ (ბულგ.), „жалъ“ (ბელ.) სლავურ ენებში, რომლე-

---

<sup>1</sup> საკმარისია მაგალითისთვის გავიხსენოთ, რომ ცნება „სიყვარულს“ ძველი ბერძნები აღნიშნავდნენ რვა სიტყვით, ხოლო ცნება „დიდება“ აღინიშნებოდა ოთხი ლექსემით, რომელთაგან თითოეული ენაში ამავრებდა ცნების განსაკუთრებულ რაკურსს.

ბიჯ ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანაშაულის ზომით, ისე მისი გააზრების ხარისხით (დასკვნა ემყარება სალექსიკონო დეფინიციების, კონტექსტუალური გამოყენების ანალიზსა და ინტროსპექციას). ლექსემების ანალიზმა შესაძლებელი გახადა, გამოგვევლინა მნიშვნელობის უნივერსალური კომპონენტი „დანაშაულის საზომი“, რომელიც ეფუძნება ადამიანის ფსიქიკის ისეთ უნივერსალურ თვისებას, როგორიცაა ზომის შეფასება. „საზომი არის მარტივი შეფარდება გარკვეული რაოდენობის თავის თავთან, მისი საკუთარი განსაზღვრულობა საკუთარ თავში; ამგვარად განსაზღვრული რაოდენობა ხარისხობრივია“ [ჰეგელი 1937: 387]. ჰეგელის მიერ წამოჭრილი ფილოსოფიური პრობლემა საზომის ხარისხობრიობის შესახებ წარმოადგენს კვლევის ინტერესს როგორც „წმინდა“ სემანტიკისთვის, ასევე ადამიანის ქცევის მოდელების ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციისათვის. შევადაროთ: „მორალურ სფეროში, რამდენადაც მორალური განიხილება ყოფიერების სფეროში, ადგილი აქვს რაოდენობრივის ასეთივე გადასვლას ხარისხობრივში და ხარისხის სხვადასხვაობა, გამოდის, დამყარებულია სიდიდეების სხვადასხვაობაზე“ (გვ. 435).

დასაშვებია, რომ ლექსემებში **დანაშაული-მონანიება-სინანული** (**вина – покаяние – раскаяние//сожаление**) ვერბალიზებულია უნივერსალური აბსტრაქტული საწყისი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაციის ფართო წარმოდგენა. საწყისი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია კი არის ცნება „დანაშაულის“ შესახებ სტანდარტული ცოდნისა და წარმოდგენების ერთობლიობა: გადაცდომა, დაშვება, დანაშაული, ცოდვა, შეცოდება; ჩადენილი გადაცდომის გამო პასუხისმგებლობის გრძნობა; მიზეზი, საბაბი, დასაწყისი, რაიმე არასასიამოვნოს წყარო, რაც არ გასვენებს; ჩადენილის აღიარება. ამგვარად, საწყისი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია წარმოადგენს მენტალურ სცენარს, ეპიზოდთა თანამიმდევრობას: 1) განაცხადი: გადაცდომა, ნორმის დარღვევა; 2) განვითარება: დანაშაული, დარდი, წუხილი, შიში, სინანული/დანანიება, აღიარება; 3) კულმინაცია: მონანიება – განწმენდა. შესაბამისად, სცენარი შეიცავს მორალურ-ეთიკურ ოპოზიციას: მონანიება – სინანული, სადაც სინანული შეიძლება იყოს დანაშაულის აღიარებაც, მაგრამ მხოლოდ მონანიება არის ცოდვისგან განწმენდა და ცნობიერების გარდაქმნა (შევადაროთ ექსპლიკაცია ბერძნულში:  $\delta\iota\kappa\alpha\iota\sigma\tau\eta$ ;  $\lambda\sigma\upsilon\epsilon\chi\theta\omicron\mu\iota\lambda\omicron\gamma\eta\sigma\eta$ ).

ეტიმოლოგიური წყაროებისა და ვრცელი ენციკლოპედიური ინფორმაციის ანალიზი ამტკიცებს, რომ მითითებულ კულტურებში ცნება გაიაზრება როგორც მეტაფიზიკური და ყოფითი. შეკრებილი მასალა მოწმობს მის კავშირს ქრისტიანული მორალის ნორმებთან, მიუთითებს კულტურებში მის მრავალსაუკუნოვან არსებობაზე და, შესაბამისად, ღრმა გააზრებაზე; ლინგვოკულტურებისათვის უნივერსალურ კავშირზე ცნებებთან „ცოდვა“, „სინდისი“, „გამოსყიდვა“ და სხვ. (მეტაფიზიკური ასპექტი), „საქციელი“, „შესადლებლობა“, „შემთხვევა“, „დრო“ და სხვ. (ყოფითი ასპექტი), რასაც ამყარებს ლექსიკური ერთეულების **დანაშაული-მონანიება-სინანული (вина – покаяние – раскаяние/сожаление)** სემანტიკური ვალენტობის ანალიზის მონაცემები. ეტიმოლოგიური ანალიზის აუცილებლობის კიდევ ერთ მტკიცებულებად შეგახსენებთ ბევრი სლავური ენის მატარებელთა ყოფით ცნობიერებაში დამკვიდრებულ კავშირს «каяться – Каин», რომელიც არ მტკიცდება მეცნიერული მონაცემებით, თუმცა, თუ ბიბლიურ სიუჟეტს მივმართავთ, ვფიქრობთ, რომ ის არა მხოლოდ ჰარმონიულად, არამედ ლოგიკურადაც ჟღერს რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ბულგარულ, სერბულ ენებში.

ანალიზის პროცესში გამოვლინდა, რომ ცნების „მონანიება“ საბაზისო აზრების დამთხვევისას ფიქსირდება იმ ერთეულთა რაოდენობრივი განსხვავება, რომელიც სახელს ანიჭებს განსხვავებულ კულტურაში გაგებული და გამოყოფილი ამ უაღრესად რთული მორალურ-ზნეობრივი კატეგორიის მნიშვნელობის სხვადასხვა რაკურსს. ასე მაგალითად, ბერძნული ენიდან ზემოთ უკვე მოყვანილი მაგალითის გარდა, სლავურ ენებში არსებული თანამიმდევრობა **вина – покаяние – раскаяние / сожаление** რაოდენობრივად არ შეესაბამება ქართულში არსებულ სინონიმურ თანამიმდევრობას **დანაშაული-მონანიება-სინანული**. ქართულ ენობრივ ცნობიერებაში ძირითადი აზრობრივი დატვირთვა მოდის კომპონენტებზე „სინანული“ და „მონანიება“ (სწორედ ასე ეწოდება ფილმსაც). ქართული ლექსიკური ერთეული „სინანული“ თავის თავში აერთიანებს სლავური ენობრივი აზროვნების ორი ლექსემის («раскаяние» და «сожаление») სემანტიკას და ლექსემა „მონანიების“ აზრობრივი კორელატია: „მონანიება (მონანიებისა) ძვ. სახელი მოინანიებს ზმნის მოქმედებისა. სინანულის გრძნობა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ლექსემის დეფინიციის კომპონენტური ანალიზი დემონსტრირებს ამ ერთეულის ექსპლიციტურ კავშირს რელიგიური

ლექსიკის თემატურ ჯგუფთან, რომელიც სლავურ ენებში სინქრონი-  
 აში უკვე იმპლიციტურია. „მონანიება – საიდუმლოება, რომლის  
 დროსაც მორწმუნე თავისი მოძღვრის წინაშე ცოდვებს აღიარებს. ამ  
 დროს ის ცოდვების მიტევებას იღებს თვით იესო ქრისტესაგან, რაც  
 ხორციელდება მოძღვრის შუამავლობით“ (სინანული – იხ. აღსარე-  
 ბა) (საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი). შევა-  
 დართო ლექსემის რეალიზაცია სხვადასხვა რეგისტრის დისკურსებ-  
 ში, მაგალითად: „საიდუმლო სინანულისა ერთ-ერთია შვიდ საეკლე-  
 სიო საიდუმლოს შორის...სინანული გაცილებით მეტია, ვიდრე მხო-  
 ლოდ ცოდვათა აღიარება. სინანული გულსა და სულში მიმდინარე  
 ძვრას“ (რელიგიური დისკურსი); „სინანული ერთჯერადი განცდა  
 არ ყოფილა... თუ ერთხელ განიცადე, შენს ყოველდღიურობად იქ-  
 ცევა...“ (ინტერნეტდისკურსი; საავტორო ბლოგი)<sup>1</sup>; „მონანიებული  
 ცოდვა კაცს ეპატიებაო“ (ანდაზა); ასევე შეგვიძლია შევადართო: მო-  
 ნანულ-ი: ვინც ნანობს, სინანულს განიცდის. დერივატივების ჯაჭვი  
 ახდენს სიტყვათწარმომქმნელი კომპონენტის «ნან» ექსპლიკაციას  
 სემანტიკასთან: «ნანვა (ნანვისა) იგივეა, რაც დანანება, სინანული.  
 «მომკალ,...ჩემო გაბრიელ!» – მითხრა [პეპიამ] ნანვითა (ილია)» (ქარ-  
 თული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ამგვარად, ქართული ენობ-  
 რივი ცნობიერება „ინარჩუნებს“ რელიგიური ტერმინის მნიშვნელო-  
 ბას ლექსემაში „სინანული“, რომელიც არ არის არც რუსული ლექსე-  
 მის «сожаление» ლექსიკურ-სემანტიკურ ველში და არც სხვა კვლე-  
 ვაში გაანალიზებურ სლავურ ენებში: «1. Чувство печали, скорби,  
 вызываемое утратой чего-л., невозвратимостью чего-л. || Раскаяние,  
 горечь, вызванные совершенной ошибкой, каким-л. поступком и т. п.  
 || Чувство огорчения по поводу чего-л. 2. Жалость, сочувствие,  
 сострадание к кому-л.» (რუსული ენის მცირე აკადემიური ლექსი-  
 კონი). ამ დეფინიციაში რელიგიურ ტერმინთან იმპლიციტური კავ-  
 შირი შეიძლება აღდგენილ იქნეს მნიშვნელობით, რომელიც აკადე-  
 მიურ ლექსიკონში მოცემულია ჩანანიშნით «||», დამატებითი, და აქ-  
 ტუალურდება შესაბამის კონტექსტში.

ამასთანავე, ქართულ ლინგვოკულტურაში შემონახულია ბერ-  
 ძნული μετανοια (მეტანოია) მნიშვნელობით „შეცვალო საკუთარი

<sup>1</sup> ინტერნეტრესურსი; წვდომის რეჟიმი: <https://marao.ge/novelebi/18909-thu-inaneb-sinanuli-erthjeradi-gancda-thu-mokvdavtha-yoveldghiuroba-epizodi-31.html>; წვდომის თა-  
 რიდი: 31.08. 2019.

აზრების ხასიათი“, „შეცვალა ხედვა, ცხოვრების არსის და მისი ღირებულებების გაგება“, რაც დევს ცნების „მონანიება“ საფუძველში მისი ქრისტიანული საეკლესიო გაგებით: „მეტანია (ბერძ. – აზრის შეცვლა, სინანული) – საკუთარი უღირსობის შეგრძნებით ღვთის წინაშე თავყვანისცემა ან სინანულით შევრდომა (ორივე მუხლით დაჩოქება და შუბლით მიწაზე შეხება)“ (საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი ამბიონი). ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ციტატას ე. ვოდოლაჰკინის გახმაურებული რომანიდან „ლაფერი“: „ის ბერძნულ-რუსული რწმენის კაცია და აზრების გამოცვლას გთხოვს, სხვა სიტყვებით, მონანიებას, რადგან ბერძნულად მონანიება – მეტანოიაა, რაც სიტყვასიტყვით აზრების შეცვლას ნიშნავს“. აღვნიშნავთ, რომ ქართული ლექსემა „მეტანია“ ლექსიკონებში განმარტებულია ცნებით „სინანული“. ამგვარად, ქართულ ენობრივ ცნობიერებაში ლაგდება თანამიმდევრობა **დანაშაული – მონანიება – სინანული**, სადაც ბოლო კომპონენტი შეიძლება „მონანიების“ სინონიმური იყოს, რაც ყოფით ცნობიერებაში მეტაფიზიკურისა და ყოფითის შერწყმის ილუსტრაციად გვევლინება. გამოვლენილი ფაქტის პასუხი საქართველოში ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიაშია, ხოლო შედეგი – ქართული ნაციონალური მენტალობის ფორმირებაში ქრისტიანობის როლში.

ცნების დისკურსული რეალიზაციის ვრცელი მონაცემები დაბეჯითებით მოწმობს თანამედროვე ტექსტებში ყოფითი აზრობრივი კომპონენტების რეალიზაციის მოსალოდნელ სიხშირეს, ხოლო მის მეტაფიზიკურ აზრობრივ „გაცრეცაზე“ (გაყოფიერებაზე) ცნობილ ისტორიულ პერიოდში მიუთითებს დისკურსულ გამოყენებაში ქრისტიანული ცნობიერებისათვის მიუღებელი სემანტიკური შეხამების სიხშირე, მაგ.: „თუ გინდა წინ წახვიდე, შენით მიაღწიო რამეს კარიერაში, ქმრის დახმარების გარეშე, – გაიფიქრა სერგეიმ, – დროა კბილებით ყელში ჩაფრენა და გვამებზე სიარული ისწავლო და უკან არ მოიხედო. და არაა საჭირო ამ გვამების მიმართ ცრუ სიბრალული, არაა საჭირო ასე უადგილოდ და მოუხერხებლად სინანული“ [ვ. ვალეევა. სასწრაფო დახმარება]. ან: „მოსანანიებლად წასვლის დრო იყო“ [ი. ილფი, ე. პეტროვი. თორმეტი სკამი], სადაც ცნობილი რომანის სიუჟეტი და პერსონაჟთა ხასიათი არაფრით არ შეესაბამება ცნების თავდაპირველ აზრს. ამაზევე მიუთითებს, მაგალითად, ქართველი ინტერნეტმომხმარებლის კომენტარი ოდნავ ზემოთ მოყვანილ ციტატაზე „ინტერნეტიგავიდან“ სინანულზე: „მომეწონა, მადლობა



ავტორს. თუმცა დასასრულს უფრო რომანტიკულს ველოდი<sup>1</sup>. რამდენადაც ცნება „სინანული“ არაფრით არ შეიძლება უკავშირდებოდეს რომანტიზმს, მოცემული მაგალითი მოწმობს, რომ განცდის გრადუსი მოტივირებულია არა მხოლოდ კულტურაში მიღებული ღირებულებათა სკალის მიხედვით, არამედ ცალკეული ენობრივი პიროვნების განვითარების დონითაც. მეტაფიზიკური „სინანულის“ ყოფითი მნიშვნელობაა ეკსპლიცირებული შოთა ამირანაშვილის ამავე სახელწოდების საბავშვო ლექსშიც: „- მაშ, მეორე კლასში უკვე // გადახვედი, შვილო? // – მოეფერა დილით დედა//ცუგრუმელა ნინოს. // ჰო, დედიკო, გადავედი // ორმოცივე ბავშვი. // ჩვენი მასწავლებელი კი // დარჩა პირველ კლასში“.

სამწუხაროდ, უფრო ვრცელი საილუსტრაციო მასალისა და შეპირისპირებითი ანალიზის მონაცემების წარმოდგენა აქ შეუძლებელია, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მასალა ამტკიცებს ჰიპოთეზას საკვლევ არეალში გამოვლენილი ნიშან-თვისების უნივერსალურობის შესახებ.

ასევე უნივერსალურია შემდეგი ნიშანი: ყოფით მეტყველებაში მონანიების ფორმალურობაზე შეიძლება მიუთითებდეს სინანულის გამომხატველი სიტყვების შეხამება ჟესტიკულაციასთან, ყვირილთან და ა.შ.: ადამიანი მკერდში მუშტს იცემს და თვალთმაქცურად დებს გამოსწორების პირობას, რაც მტკიცდება ჩვენი ენობრივი გამოცდილებით. მაგრამ გულწრფელი მონანიების გარეშე ხომ არ არსებობს განწმენდა, „აზრების ხასიათის შეცვლა“. და კვლავ აბუღაძის ფილმის შესახებ: სიკეთე ბოროტებაზე მხოლოდ მონანიებით იმარჯვებს... და „გამოსწორებისათვის არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე წარსულის სინანულით გახსენება“ (თ. მ. დოსტოვესკი. „იდიოტი“); «სინანული ის კიბეა, რომლის საფეხურებსაც ჩვენ ავყავართ სანეტარო ადგილას, საიდანაც ოდესღაც დავვეცით» (წმიდა ეფრემ ასური).

ინტრა- და ექსტრალინგვისტური მასალის ანალიზი და მისი კოგნიტური და ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია: 1) ამტკიცებს ჰიპოთეზას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში ღირებულებითი განწყობების ფორმირებასა და მათ ენობრივ ვერბალი-

---

<sup>1</sup> ინტერნეტრესურსი; წვდომის რეჟიმი: <https://marao.ge/novelebi/18909-thu-inaneb-sinanuli-erthjeradi-gancda-thu-mokvdavtha-yoveldghiuropa-epizodi-31.html>; წვდომის თარიღი: 3.06. 2019.

ზაციაზე ქრისტიანული და კომუნისტური მითოლოგიის დაპირისპირების ეპოქის გავლენის შესახებ; 2) მიუთითებს უნივერსალიის არსებობაზე: მონანიება, რომელიც უკავშირდება ნორმის დარღვევას და დანაშაულის გრძნობის განცდას: უკმაყოფილება, წუხილი ჩადენილი შეცდომის ან არასწორი, უღირსი საქციელის გამო, შეცდომის ან დანაშაულის აღიარება, დანანება, შეწუხება, გულის დაწყვეტა, გულის ტკივილი, სინანული, მონანიება...; ამ უნივერსალური გრძნობის ენობრივი გამოხატვა სხვადასხვა ლინგვოკუტურებში ვარირებს; 3) დანაშაულის გრძნობის განცდა მენტალურ დონეზე შეიძლება იყოს გულწრფელი ან ფარისევლური და ემყარებოდეს პრაგმატულ გამორჩენას. თანამდროვე დისკურსული წყაროები მიუთითებენ ამ მოვლენის აქტიურობაზე. ეს ფაქტი მიგვანიშნებს თანამედროვე ადამიანის ღრმა ეგზისტენციალურ კრიზისზე, მაგრამ ეს გლობალური პრობლემა სცდება მოცემული კვლევის ფარგლებს.

## ლიტერატურა

Г. Гегель. Наука логики. – М., 1937, Изд-во «Соцэкгиз», т. V.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი.თბ., 2004. [ელექტრონული რესურსი]. წვდომის რეჟიმი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3696>; წვდომის თარიღი: 21.03. 2019.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1950-1962. [ელექტრონული რესურსი]. წვდომის რეჟიმი:

<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> – წვდომის თარიღი: 20.07. 2019.

საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი [ელექტრონული რესურსი]. წვდომის რეჟიმი:

<http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/interviu-modzghvarthan/192-sinanuli-gacilebith-m>; – წვდომის თარიღი: 30.08. 2019.

ს.-ს. ორბელიანი: ლექსიკონი ქართული. თბ., 1991, «მერანი».

Новый объяснительный словарь синонимов русского языка. Под общим руководством академика Ю.Д. Апресяна. – М., Изд-во «Языки славянской культуры», 2003.

Словарь русского языка: В 4-х т. / РАН, Ин-т лингвистич. исследований; Под ред. А. П. Евгеньевой. - 4-е изд. М.: Рус. яз.; Полиграфресурсы, 1999.

Contemporary Linguistic Parameters (Contemporary Studies in Linguistics). Bloomsbury Academic. 2015.

Scott Soames. Philosophy of Language. Princeton University Press. 2010.

Janeta Vardzelashvili

## **The Concept of 'repentance' as a Culturally Universal Notion (Comparative and Integrative Analysis)**

### Summary

In contemporary linguistics, one of the methods of identifying the connection between cognitive processes and the functioning of a language within a culture is the modeling and analysis of the cognitive-verbal structures.

These structures are scientific abstractions that allow us to enlarge the object of research and facilitate a cognitive interpretation of the semantic potential of a word-stimulus inside a culture.

Structures can be modeled based on semantic prototypes, which we consider mental scenarios for the initial cognitive-denotative situation in the minds of native speakers.

The article offers research data of the comparative integrative analysis of the concept of "repentance" in various linguistic cultures. The analysis made it possible to verify the universalism of the concept for a common civilizational sphere and to identify ethno-marked components in the universal.

თამარ ვაშაკიძე, რუსუდან ციციშვილი

## **მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებლები**

### **მუხრანის ლექსში**

(რამდენიმე შტრიხი)

#### **ა) იმერიზმები**

„არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი“, – წერს ერთ ლექსში მუხრან მაჭავარიანი და მთელი მისი მრავალმხრივი და ამოუწურავი პოეზია გამთბარია ამ ფირუზჩაწურული მადლითა და სიყვარულით, რაც ნაირგვარი პოეტურ-სტილებრივი მახასიათებლებით მჟღავნდება თითოეულ ლექსში, პწკარსა თუ ფრაზაში. ყველაზე მეტად კი „არგვეთის ფირუზები“ იმერიზმების სახით დაჩნდება შემოქმედის ფურცლებზე და გამორჩეულ სილაღესა თუ კოლორიტს სძენს პოეტურ სათქმელს.

თავად მუხრანი წერს: „კუთხური სიტყვების ლიტერატურაში შემოტანა მეტ-ნაკლებად გამართლებულია ყველა შემთხვევაში, – ორი საგულისხმო მიზეზის გამო: 1. მწერლისთვის სიტყვა არასოდეს არაა მხოლოდ ცნების გამომხატველი, მწერლისთვის ჟღერადობას აქვს დიდი მნიშვნელობა; 2. მკითხველი ლიტერატურული ნაწარმოებით სწავლობს ენასაც (ვინ მოთვლის, ვაჟას რამდენი სიტყვა (ფშაური) დღეს ზოგადქართულია)“. ასეთივე „ზოგადქართული“ და საყვარელი გახდა დღეს მკითხველისათვის მუხრანისეული „კუთხური სიტყვები“, რომლებიც სამკაულებივით მოსავენ ამა თუ იმ პოეტურ ეპიზოდს და განსაკუთრებული შთაბეჭდილებით ამახსოვრებინებენ თავს ქართველს.

ერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ (რომელიც ზმნურ ფორმას წარმოადგენს) მუხრან მაჭავარიანი წერს: „სიტყვა „გამარონია“, დღეს რომ მხოლოდ იმერულში იხმარება, ძველად ზოგადქართული სიტყვა გახლდათ, ნაწარმოები სიტყვიდან „რონინი“, რაც სიარულს ნიშნავს“ – და იქვე დასძენს: „გამარონიას“ სულ სხვა ნიუანსი აქვს, ხოლო „გამატარას“ – სრულიად სხვა“. მუხრანის „სულ სხვა ნიუანსებს“, რასაკვირველია, მკითხველიც შესაფერისი ემოციით შეიგრძნობს. პოეტურ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ისეთი შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმა სარიტმო ერთეულსაც

წარმოადგენს ამავედროულად:

„მე არა ერთხელ გამიგონია  
ნატვრა მიწაზე –  
სულ ერთ მტკაველზე.  
– ახლა თბილისში **გამარონია**  
და მერე მომკლა –  
აღარ დავემბე“.

ზმნურ ფორმათაგან თვალშისაცემია დიალექტიზმების ორი ტიპი: ერთ შემთხვევაში პოეტი იმერული ლექსიკიდან უშუალოდ იღებს ამა თუ იმ ერთეულს (ამ შემთხვევაში – ზმნას) და შესაფერის ადგილს უძებნის მას ლექსის სტრუქტურაში:

„ზოგს აშკარად ეტყობა –  
ჩემი არ **ეყურება**.  
რა ვქნა, რა გაეწყობა! –  
კაცია და გუნება“.

სხვა შემთხვევაში ზმნა გამოყენებულია იმერული დიალექტი-სათვის დამახასიათებელი ფორმით (ანუ – იმერული ვარიანტით, მაგ.: ჰყვავა, შდრ., ყვავის):

„გაჟღენთილია სიძველის სუნით  
დამძალებული ოთახის ჰავა.  
გარეთ კი უკვე მზე ამოსულა.  
გარეთ კი უკვე  
ტყემლები **ჰყვავა**“.

ერთი პატარა ყოფითი სურათის დასახატავად პოეტი (სხვა მხატვრულ საღებავებთან ერთად) დიალექტურ ფორმასაც მოიხმობს:

„სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი.  
ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა.  
**აყუდება** ბუხარს ნაჯახი  
და იმჭვარტლება ღორის ვიჩინა“.

ეპიზოდური სათქმელია წარმოჩენილი შემდეგ მონაკვეთშიც იმერული „იმეს“ თანხლებით (ეს უკანასკნელი გამოხატავს გაკვირვების სემანტიკას):

„მაგონდება:  
ზამთარია.  
თეთრი,  
თეთრი ზამთარია,  
სტუმრებს ველით, –  
ვლელავთ:  
– **იმე**,  
თუ მოდიან, –  
სად არიან?!“

იმერულ კილოზეა გაწყობილი შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: „თვარა“, „მარა“, „რავარი (რავარია)“, „რავარც“, „ვინცხა“, „აგავს“ და სხვ.

„მე შენ გეტყვი  
არ მეყოფა სიტყვის მარაგი...  
არა!  
სხვისი მისაბამი  
რა მჭირს, –  
**თვარა** კი!“

ან კიდევ:

„ვინმემ  
(არცაა გასაკვირი), –  
არ იცის იქნებ, –  
ქრისტეს შობამდე რომ შეიქმნა ქართული წიგნი!  
არა –  
ეს ასე რომ არ იყოს,  
კიდევ, – ხო –  
**მარა!**  
ასე რომ არის?!“

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში დიალექტიზმები წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი პოეტურ-სტილისტიკური ხერხი. მხედვე-

ლობაში გვაქვს განსაკუთრებით იმ ტიპის შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმა სარიტმო ერთეულსაც წარმოადგენს – როცა სათქმელის შინაარსი და მისი ბგერობრივი სამყარო ისე ბუნებრივად არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ცალ-ცალკე ვერც კი აღიქმებიან; მკითხველიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდება ამ პოეტური მუსიკის თანაზიარი:

„დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,  
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...“

მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა, **თვარა**

შენ რახანია გაქვს თავი ქუდში“ – მიმართავს მუხრან

ნი ვაჟას.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმერიზმების მოხმობა ზოგჯერ განპირობებულია როგორც ემოციური ნიუანსის წარმოჩენის, ისე პოეტური პწკარის მარცვალთრაოდენობის გასამართავად. ერთ ლექსში, რომელიც პოეტის წუხილს გამოხატავს სამშობლოში შექმნილი ვითარების გამო (როცა დაკარგულია ყოველგვარი იმედი თავგანწირვისა, როცა „ფრენაზე“ ფიქრიც კი ზედმეტია), დასტურდება ზმნა „აგავს“ (ნაცვლად სალიტერატურო ენაში გაბატონებული ფორმისა – ჰგავს), რომელიც (გარდა კოლორიტული ხიბლისა) ერთ მარცვალს უმატებს პწკარულ კომპონენტებს:

„თავგანწირვისას არ იძლევა არავინ იმედს;

ირგვლივ ვინც არი, – ფიქრთა შავთა არის ამწეწი:

ტვინი ყველასი

**აგავს** ცოცხლად გაპუტულ ფრინველს,

– სადაც ფრენაზე აღარ სუფევს ფიქრის ნამცეცი“.

ძალზე საინტერესო ჩანს სარიტმო კომპონენტებად გამოყენებული ხუთმარცვლოვანი ერთეულები (სიტყვათშეხამებისა თუ კომპოზიტის სახით: „კახთ-მაჭავარი“ – „კაცი რავარი“ – „მისთვის მთავარი“):

„საყდრით გამოდის პატარა კახის

კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,

რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი

კაცი და, მერე, კაცი **რავარი!** –

ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი

ყოფილა თურმე მისთვის მთავარი“.

ხშირად მუხრანისეული სხარტი და მომხიბლავი იუმორი სწორედ იმერიზმების მოხმობით მიიღწევა ხოლმე ფრაზაში. განსაკუთრებით აღსანიშნავი ერთი რამ არის: დიალექტური ფორმები ყოველთვის მოზომილად გვხვდება მუხრანის ლექსში – გადაუჭარბებლად. ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოეტურ აქსესუარებს წარმოადგენენ მოცემულ ეპიზოდში და არა – დიალექტიზმებით გადატვირთულ ტექსტს („ხმა ისმის ზოგჯერ ტაშის ხმაში ხამუშ-ხამუში: – სად არი, თვარა, კაი კია სინდის-ნამუსი“).

სხვა შემთხვევაში:

„ვიდრე ღმერთი შენთვის სიკვდილს გაიმეტებს, –  
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!

ხოდა...

ან გამყიდე,

ან ცოლი წამგვარე,

ან...

რაღაც ამგვარი,

**თვარა,**

ხომ იცი, ღმერთი **რაგარია!**

ვინ იცის, სიკვდილს როდის გაიმეტებს!

რა გაამღებინებს ისე ადამიანს, –

თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი!“

არის ისეთი მონაკვეთებიც პოეტური სათქმელისა, როცა დიალექტური ფორმა ფრჩხილებში ჩასმული დამატებითი ფრაზის უკანასკნელ კომპონენტს წარმოადგენს და ამავდროულად სარიტმო ერთეულს ქმნის წინა სტრიქონის ბოლო სიტყვასთან. აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად სწორედ ამგვარი პასაჟებით მიიღწევა ხოლმე ის განსაკუთრებული მხატვრული ეფექტი, რომელიც ასე ხიბლავს მკითხველს:

„ნაპირს საცაა მოადგება საჩემო ნავი, –  
და მე ამ ქვეყნით,

სამუდამოდ,

იმ ქვეყნად წავალ

(სხვა, – ბარეორი წავიდა **რაგარც!**)!“



ყურადღებას იქცევს აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმით წარმოჩენილია პოეტის ერთგვარი დამოკიდებულება ლექსში მოხმობილი პირისა თუ პირების მიმართ. ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთში ლექსიკური ერთეული „ვინცხა“ თითქოს ხაზგასმით მიანიშნებს მკითხველს იმაზე, რომ სწორედ „ვიღაცები“ (უცხოტომელები) ცდილობენ ჩვენი სამშობლოს დაპატრონებას:

„კი, მაგრამ, ღმერთი აღარაა?! –  
არადა როა?!  
ვაი დედასა! – რა უბრალოდ წავაგეთ ჭკუა!  
ვის შევეყარეთ! –  
ეს **ვინცხა**, – მურვანზე ყრუა!  
როგორც ვიყავით,  
ვიმყოფებით კვალვ ორწყალშუა!“

განსხვავებული სტილური გარემოცვა იქმნება მაშინ, როცა იმერიზმები დიალოგურ ლექსშია განფენილი. ისინი აქა-იქ, მუნწად მოსაგენ შემოქმედის ფერწერულ ტილოს და – რაც მთავარია – ხშირად (როგორც უკვე ითქვა) რითმულ-რიტმული სტრუქტურის ხერხემალსაც წარმოადგენენ:

„– ბიჭი?!  
მართლა?!  
აი, მესმის!  
აბა, მე არ მგვანებია...  
– **რავა**, შენ რა?  
– რაღა **რავა**,  
კაცი ჯავრით აღარა ვარ, –  
სამი შვილის მამა ვარ და  
სამივენი ქალებია“.

დიალექტური ფორმა „რავა“ წინამავალი ლექსიკური ერთეულის („რაღა“) თანხლებით („რაღა რავა“) დიდოსტატურ ჰიპერდაქტილურ რითმას ქმნის ორსიტყვიან „აღარა ვარ“ და სამსიტყვიან „მამა ვარ და“ შესიტყვებებსა თუ ფრაზებთან, რითაც მიიღწევა აბსოლუტურად არაორდინარული პოეტური ეფექტი ენობრივ კომპონენტთა მუსიკისა თუ თანაზომადობის თვალსაზრისით.

ცალკე გამოიყოფა ერთი პოეტური ქმნილება საერთო სათაურით – „დიალოგები წვიმაში“, რომელიც რამდენიმე ეპიზოდისაგან შედგება და, ბუნებრივია, ყველა დიალოგი წვიმის დროს იხატება. ერთ-ერთი მონაკვეთის ქვესათაურია: „დერეფანში სხედან, აბოლებენ, კოკისპირულად წვიმს“, რაც მკითხველს უკვე ჩამოუხატავს გარკვეულ სურათს, უქმნის შესაფერის ინტიმს და უჩენს ინტერესიან მოლოდინს – რა მოხდება მერე, რას მოიმოქმედებენ დერეფანში მსხდომნი კოკისპირული წვიმის დროს... აღსანიშნავია, რომ კითხვა-პასუხზე აგებული სადიალოგო პოეტური ტექსტი მოიცავს სულ რამდენიმე დიალექტურ ფორმას, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეკითხვის საპასუხოდ მოიხმობიან („აპა“, „იმე“), ხოლო სხვა შემთხვევაში თავად წარმოადგენენ შეკითხვას:

„– ახლა,  
ბუხართან,  
წითელი ღვინო, –  
ჰა!  
**რავარია?...“**

აქ, რა თქმა უნდა, „რავარიას“ ნაცვლად პოეტს თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მართებული სიტყვა „როგორია“ (ასევე ოთხმარცვლიანი), მაგრამ, ვფიქრობთ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა დიალექტურ ფორმას, მუხრანისავე თქმით, „სულ სხვა ნიუანსი“ დაჰყვება, რომელშიც ფაქტობრივად მოპასუხის აზრი უკვე გამჟღავნებულია, ანუ კითხვა ისეთი ემოციითაა დასმული იმერული „რავარიას“ სახით, რომ აქ უარყოფითი პასუხი არც კი შეიძლება არსებობდეს.

სხვა შემთხვევაში, როგორც ითქვა, იმერიზმები შერჩეულია მოპასუხისათვის, რომელიც უყოყმანოდ ეთანხმება თანამოსაუბრეს ორი მარტივი – იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი შორისდებულებით – „აპა“ (შდრ. აბა) და „იმე“ (შდრ. უიმე), რომელთაგანაც ერთ-ერთი („იმე“) სარიტმო ერთეულს ქმნის სიტყვასთან „იმედს“, რაც იშვიათი შთაბეჭდილებით აგვირგვინებს წვიმიან ამინდში შექმნილ მყუდრო განწყობას:

„– რა საქეიფო ამინდია!...  
რას იტყვი?...“

– აპა!...  
– დალევდი ახლა?  
ხო დალევდი?...  
დალევდი?...  
– იმე!... –  
– შენ რავა ფიქრობ, –  
ხვალდილამდე გადიღებს, ალბათ?  
– რა ვიცი,  
ენახოთ...  
ვერ მოგცემ იმედს“.

მინიატიურული ლექსის დიდოსტატს ერთ-ერთი ამგვარი გენიალური ჩანახატი სწორედ დიალოგისა და იმერიზმების კომბინაციით აქვს შექმნილი კვლავ წვიმის თანხლებით. საინტერესოა, რომ სულ რამდენიმე წინადადებით აშკარად შეიგრძნობა მოსაუბრეთა ტკივილი პეტუშას ამ ქვეყნიდან წასვლის გამო და ამავდროულად იძერწება მოდიალოგეთა გარდაცვლილი მეგობრის სახე. ლექსი მთავრდება იმერული კილოთი გაფორმებული სიტყვით „აპა“, რომელიც სართიმო ერთეულს წარმოადგენს მეორე პწკარის ბოლოკიდურ კომპონენტთან ერთად – „ლამპა“... პოეტური ეპიზოდი დიდ სევდიან საფიქრალს უტოვებს მკითხველს:

„გარეთ ხმაურობს წვიმა...  
ოთახს ანათებს ლამპა...  
– პეტუშა გახსოვს?  
– იმე!  
– რა ბიჭი იყო?!  
– აპა!“

ხოლო ლექსში „პარასკევი“ მკითხველს თვალწინ ეხატება ერთი საინტერესო ყოფითი სურათი – თუ როგორ „მიაშურებენ“ საჩხერეს „ჩვენებურები“ ცხამიდან, ჩონთოდან, იტავაზიდან, ბახიოთიდან, რასაც მოსდევს გარკვეული სახის დიალოგური ტექსტი, ანუ ისეთი ტიპის შეძახილები, როგორებიც, ჩვეულებრივ, გაისმის ხოლმე ამგვარ ვითარებაში და რომელთაგანაც რამდენიმე დიალექტურია, რაც სტილებრივად აშკარად შეეფერება სათქმელს:

„საჩხერეს მიაშურებენ  
პარასკევს ჩვენებურები,  
ცხამიდან მოდის ურემი,  
იტავაზიდან მოდიან,  
ბახიოთიდან მოდიან...

– იმე...

– შე კაცო...

– კი, მარა...

– ქე მაინც...

და...

– რა მცოდნია! –

ისმენენ ჩემი ყურები,  
მოჭრიალებენ ურმები;  
გოჭებით,  
ინდაურებით –  
მოდიან ჩვენებურები“.

მკითხველს ხიბლავს მუხრანის არქიტექტონიკით გაწყობილი სარიტმო ცალები: „ჩვენებურები“ – „ყურები“ – „ურმები“ – ინდაურები“, რაც ყოველდღიურ ყოფით გარემოს პოეზიად აქცევს – ძალიან ლამაზ პოეზიად...

როგორც ჩანს, პოეტი იმერიზმებს მიმართავს სწორედ მაშინ, როცა „სულ სხვა ნიუანსი“, განსხვავებული კოლორიტული იერი სურს შესძინოს სათქმელს და – მაშინაც, როცა ესა თუ ის დიალექტური ფორმა რითმათა შეწყობა-შემსგავსებასა თუ პჭკარების თანაზომადობას უწყობს ხელს, რაც გვაფიქრებინებს, რომ დიალექტიზმები, კერძოდ კი იმერიზმები – წარმოადგენს მუხრანის პოეზიის ერთ-ერთ საინტერესო მხატვრულ-სტილისტიკურ მახასიათებელს.

ერთ ლექსში (უკვე დიალექტური ფორმების გარეშე) პოეტი წერს:

„გათეთრა აპნისმა  
იმერეთი, –  
მსგავსი ნაჭრის საბნისა!“

იმერიზმებით გაწყობილი მუხრანის ლექსი მართლა ჰგავს „ნაჭრის საბანს“ – იმერეთივით თბილსა და მოხატულს.

## ბ) მუხრანის ფრაზა

მუხრანის ფრაზას მაშინვე ამოიცნობ! – ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ლექსის არაერთ სინტაქსურ-სტილისტიკურ მახასიათებელს, სიტყვათა რიგსა თუ მონაკვეთის სტრუქტურას, წინადადების ტიპებსა თუ განკერძოებულ გამოთქმათა თავისებურებას და სხვ. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მახასიათებელი ჩანს ლექსიკურ ერთეულთა რიგის არაორდინარული განლაგება ფრაზაში. მხედველობაში გვაქვს მაკავშირებელი სიტყვების ინვერსიული წყობა – ამ უკანასკნელთ პოეტი გარკვეულ შემთხვევებში სტილებრივი ნაირფეროვნების წარმოსაჩენად ზმნა-შემასმენლის მომდევნო პოზიციაში მოიხმობს ხოლმე, რითაც განსაკუთრებულ ელფერს სძენს პოეტურ მეტყველებას და ამავდროულად ამძაფრებს სათქმელს:

„მწარე სინანულს განიცდიან ყველანი ახლა,  
ვინც არ ჩააგდო თავის დროზე პოეტი ძაღლად:  
ხონთქარი, – პოეტს არ უბოძა რომელმაც კვართი,  
მებადე, – პოეტს არ მიაღრთვა რომელმაც ვარდი,  
ქალწული, – პოეტს არ აღირსა რომელმაც ხელი,  
მეჯოგე, – პოეტს არ ათხოვა რომელმაც ცხენი“.

ან კიდევ:

„აბრძანდა მეფე.  
მუნთქვესვე ფეხზე წამოხტა ყველაყა,  
წყალი –  
ადუღდა რომელიც –  
უნდოდა ყველას ენახა“.

ზმნა-შემასმენლის შემდეგ დასტურდება აგრეთვე ლექსიკური ერთეულები „როდესაც“ და „როცა“. ქვემოთ წარმოდგენილ ეპიზოდში სიტყვათა რიგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება – ის განსაკუთრებით უმახვილებს ყურადღებას მკითხველს სათქმელზე:

„ცვლით როდესაც მიწას,  
ვიპყრობთ როცა ზეცას, –  
ძველთა ჩვენთა წესი  
არ გვაწყენდა დღესაც“.

გამორჩეული შთაბეჭდილება იქმნება მაშინაც, როცა მაკავშირებელი სიტყვა მოსდევს იშვიათი პოეტური ოსტატობით გაზმნავებულ სახელს – „იასპინძა“. თელავის ციხის ტკივილი (მუხრანთან ერთად) კრწანისს უკავშირდება, რომელმაც იმედი გაუცრუა ქართველს – „ვერ იასპინძა“. ყურადღებამისაქცევია აგრეთვე სარიტომო ერთეულები „არი სმა“ – „კრწანისმა“:

„შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,  
თავგანწირული ირგვლივ არი სმა.  
მოწყენილია თელავის ციხე, –  
ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა“.

საინტერესოა იმ ტიპის შემთხვევებიც, როცა სიტყვა „რამეთუ“ აბოლოებს სათქმელს, ანუ – წინადადების ბოლო წევრია და ამავდროულად სარიტომო ერთეულსაც წარმოადგენს რომელიმე წინა სტრიქონის ბოლოკიდურ კომპონენტთან ერთად, მაგ., „გაბედულს“ – „რამეთუ“:

„ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს,  
ფრთები მასხია  
თქვენგნით...  
მხოლოდ თქვენგნით...  
რამეთუ“.

ან კიდევ: „ნამეტურ“ – „რამეთუ“:

„მივიდნენ...  
შეცბნენ...  
მარტოდენ  
მეფე გალალდა ნამეტურ;  
წყლის ღვთაებრივი ნიშატი –  
იგრძნო,  
შენიშნა რამეთუ“.

„ქართლის ცხოვრებაში“ კი ლექსიკური ერთეული „ვითა“ ხან აბოლოებს, ხან კი იწყებს სალექსო სტრიქონებს, რაც აძლიერებს სათქმელის ემოციას:

„მტვერი ფერხისა მათისა –  
სქელი ღრუბელი ვითა.  
ელვა აბჯრისა მათისა –  
ელვა ცათანი ვითა.

.....  
დიმი თვალისა მათისა –  
ვითა სარტყელი ცისა...  
ჟღერა ბაგისა მათისა –  
ვითა ჭიკჭიკი სირთა“.

ზოგჯერ სათქმელის ტრაგიზმს განსაკუთრებით მძაფრად წარმოაჩენს წინადადების ბოლოს მოქცეული კითხვითი სიტყვები (ლექსში „საბა“). მხატვრული ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა იმავე კითხვით წინადადებებში (რომლებიც პოეტური გამეორების სახით მოსდევნ წინა ნაწილს) იგივე კითხვითი სიტყვები ახლა უკვე იწყებენ ფრაზას:

„– წვიმა არ არი! –  
საბას კაბა დაუსველა რამ?!  
– თოვლი არ არი! –  
საბას თავი გაუთეთრა რამ?!  
– ყინვა არ არი! –  
სულხან-საბას აკანკალებს რა?!  
– რამ დაასველა?!  
– რამ დათეთრა?!  
– რა აკანკალებს?!“

თვალშისაცემია გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულიც. ის, როგორც წესი, მკაფიოდ გამოკვეთს სათქმელს და აძლიერებს ფრაზის პოეტურ ეფექტს:

„ადამიანი ვიყო შენსავით, –  
ჩემი ხანდახან ნატვრა ეს არი“.

ერთ ლექსში კი (როცა პოეტი „ნაწვიმარი სოფლის“ ულამაზეს სურათს ხატავს) მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის საკავშირებელი სიტყვაც კი დაჩნდება. მუხრანის ფრაზისათვის ამგვარი შე-

მოხვევებიც სავსებით ბუნებრივია:

„ჟრუნა ქათმები,  
აბუზულნი ქლიავის ძირას, –  
ერიდებოდნენ  
კოკისპირულს  
რომელნიც წვიმას,  
წვიმამ გადილო თუ არა,  
მყისვე –  
პეპლებს დასდევენ,  
წინ და უკან  
იწვდიან კისრებს“.

როგორც ჩანს, მუხრანისეული პოეტური ოკაზიონალიზმები მჟღავნდება არამხოლოდ სიტყვათქმნადობაში (გამორჩეული პოეტურობით ნაწარმოებ სახელებსა თუ ნასახელარ ზმნებში), არამედ შემოქმედის მიერ ჩამოქსოვილ სტილებრივ სტრუქტურაშიც, აგრეთვე – სიტყვათა რიგსა თუ ფრაზის ინტონაციაში. მუხრანს არც ამ თვალსაზრისით ჰყავს ბადალი.

### **გ) ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაცია**

მუხრან მაჭავარიანის ლექსში ხშირად დასტურდება ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები, რომლებიც სხვადასხვა სახის დამატებით ინფორმაციას აწვდის მკითხველს ამა თუ იმ სალექსო ეპიზოდის შესახებ. მრავალგვარია ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი სათქმელის სემანტიკა: ხშირად დაზუსტებულია მოქმედების დრო, ვითარება თუ მიზეზი; არცთუ იშვიათად წარმოჩენილია პოეტის დამოკიდებულება ნათქვამის შესახებ და ა. შ. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრჩხილებში მიეთითება ყოფითი სურათების ამსახველი დეტალები და სხვ.

ფრჩხილებში ჩასმული დამატებითი ინფორმაცია ტიპობრივი ჩანს მუხრანის ლექსში: ის ერთგვარი სტილია პოეტისა – საოცარი მხატვრული რემარკაა, დახვეწილი პოეტური არქიტექტონიკით მოხმობილი.



ყველაზე ხშირად ფრჩხილებში წარმოდგენილია პოეტისეული იუმორნარევი კომენტარები:

„ოცი წლის წინათ, –  
არ მესმოდა როცა სიბერე  
(ხეირიანად, კაცმა რომ თქვას,  
არც ახლა მესმის)...  
გამოვაქვეყნე  
ოდეს სულხან-საბაზე ლექსი...“

ან კიდევ:

„არარაობა ყველაფერი მგონია ოდეს  
(კიდევ კარგი, რომ  
იშვიათად ეს ხდება ხოლმე)  
და აღარ ვიცი,  
რით დავღონდე,  
რა მიხაროდეს...“

ზოგჯერ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა სათაურს იმეორებს, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სათქმელს, ხოლო შემდეგ (პწკარის გამოტოვებით) კვლავ დასტურდება მეორე ინფორმაცია – ასევე ფრჩხილებში ჩასმული (მაგრამ – სათაურისგან განსხვავებული) – ბოლო წინადადების შინაარსის გამოსაკვეთად:

### **სხვა რომც არავინ**

„ეს მთავრეხილი ტანახოვანი! –  
ეს მოსხლეტილი მუნთით არაგვი!  
(სხვა რომც არავინ)! –  
არის რავარი დასატოვარი?! –  
(ისიც... მარადის)!“

ფრჩხილებში დაჩნდება აგრეთვე მოქმედების დრო და როგორობა ერთდროულად. ამათგან ერთ-ერთი (დრო) ლექსის სათაურსაც წარმოადგენს:

## თვეა მკათანი

„მოშავო ქვებში მოწანწკარებს ღელე ანკარა  
(თვეა მკათანი,  
დღეა თაკარა).  
ქვას  
ხან ერთს პეპლავს,  
ხან მეორეს,  
ბოლოქანქალა...“

ერთ სახუმარო ლექსში სწორედ დამატებითი ინფორმაციის სახით მიეთითება ღვინისა და წვიმის ჰარმონიულობის შესახებ. უფრო მეტიც – ფრჩხილებში მოთავსებული სათქმელი ლექსის უმნიშვნელოვანეს პოეტურ ეპიზოდს წარმოადგენს, რადგან სწორედ მასშია აღნიშნული, თუ რაზეა ლაპარაკი, როგორი ამინდია და როგორია ასეთ ამინდში ღვინო:

„– არა!  
იქნება არ მოგწონს! –  
კი ნუ გრცხვენია, –  
თქვი...  
(ლაპარაკია ღვინოზე,  
როგორც აღვნიშნეთ –  
წვიმს...  
ღვინო კი,  
მოგეხსენებათ  
კარგია, როცა წვიმს)“.

სხვა შემთხვევაში პოეტის რემარკა (ფრჩხილებში ჩასმული) უგვაღვობას აზუსტებს. ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთში თვალშისაცემია აგრეთვე საოცარი მუსიკა ოთხმარცვლოვანი სარითმოდო ერთეულებისა: „გაგანია“ – „რახანია“ – „კაკალია“:

„შუადღისას, –  
გვალვა როა, –  
სიცხე როა გაგანია  
(ამ ბოლო დროს,  
თუმცა, გვალვა

არ ყოფილა რახანია)! –  
იმ ჩეროში წამოწეცი, –  
ეზოში რო კაკალია...“

ზოგჯერ ფრხილებში პირდაპირ მიეთითება, რომ ნათქვამი ხუმრობა იყო და, შესაბამისად, არც უნდა ეწყინოს ადრესატს:

„თუ ვერ ჩავატან გემოს  
შენს ჰაერსა და ღვინოს,  
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს  
და შენი შავი ღვინოც!  
(გეხუმრე – არ გეწყინოს)“.

ფრხილებში მოქცეული ფრაზით გამოხატულია გაოცებაც:

„თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით  
და...  
გარეშე ყოველგვარი ხათრის, –  
განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით –  
ტრიბუნაზე  
უწიგნური  
ადის“.

ხშირად ფრხილებში ჩასმული ინფორმაციით დაზუსტებულია მოქმედების დრო (ზემოთ წარმოდგენილი იყო ისეთი შემთხვევა, როცა დრო და როგორცაა ერთდროულად მიეთითებოდა):

„დგას ქვის მაგიდა.  
მაგიდაზეა პატარა გობი.  
გობზე  
ფრიალა თეფშებით ხელში  
(ეს ხდება ხოლმე ივლისის თვეში) –  
პარკილობიოს კეპავს მამიდა“.

ფრხილებშივე წარმოჩნდება ინტენსივობა დროში:

„შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება  
(ყოველდღე თითქმის), –

ხან მოწყენილი,  
ხან მხიარული...“

მოქმედების ადგილიც ხშირად ფრჩხილებში მიეთითება:

„ვიყავი მოწმე, – გურიაში ვნახე პირადად  
(ანასეულში,  
ცხავათაზე,  
ნასაკირალთან):  
თავშეკავებას,  
                  ღამის წყვდიადს,  
                  როგორც სინათლე, –  
ენარცხებოდა გააფთრებით სისხლი ფირალთა“.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრჩხილებში წარმოჩენილია დროც (მასპინძლის ვინაობაზე მითითებით: „ვეწვიეთ როცა ბიძა-შენს“) და ვარაუდიც („თუ არ ვცდები, პირველად იქ ვთქვი“):

„შენ საქართველოს ეძებ მიწაში,  
მე ვცდილობ, – ცაში ვიპოვო იგი  
(ერთხელ, ვეწვიეთ როცა ბიძაშენს,  
ეს, თუ არ ვცდები,  
პირველად იქ ვთქვი)“.

ფრჩხილებში დასტურდება ირონიანარევი ექვიც:

„ერთი კაცია  
(კაცია ვითომ?!)  
ცდილობს, თუნდ ძაღლებრ,  
იცოცხლოს ოღონდ...  
ის როგორც ფიქრობს,  
შენც ისე ფიქრობ,  
ხარ კიდეც ისე,  
გეკუთვნის როგორც“.

ზოგჯერ ფრჩხილებში მოთავსებულია შესაძლებლობა-ვარაუდის ამსახველი ფრაზა:

„გაჭიანურდა ცორანო  
(ფასკუნჯს, ეტყობა, მოშივდა)...  
ნეტა, ეს შავი ყორანი  
ტატოსია თუ პოსია?!“

ან კიდევ:

„ალბათ, გვიგონებ ჩვენ  
(მანდ შეიძლება წვიმს)...  
ქარი ბიჭივით სტვენს –  
შენს თავს მაგონებს ის“.

ხშირად ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაციით დაზუსტებულ-  
ია როგორობა აღსაწერი საგნისა:

„მრავალჭირვარამგადანახადი  
უნატიფესი ენა ქართული  
(ყველაზე კარგად რომლის ლაზათი  
შოთას ლექსშია გამოხატული)“...

სხვა შემთხვევაში:

„ამ საწყუთროში (ერთი არც კი როა ნაფაზი!)  
პათიოსნებას (მვირფასს უწინ) აქვს აწ რა ფასი?!  
ამდენი როა თითლიბაზი და მატრაბაზი?!“

ორი პოეტური რემარკა დასტურდება შემდეგ მონაკვეთშიც:

„მან, – წვეპლით ხელში, – გაატარა შარაზე ძროხა  
(საქონელს თოკი წვირიანი მისთრევედა უკან).  
გაჩერდა წამით.  
ცალი თვალით გახედა „ვოლგას“  
(ლამაზი სახლის კარიბჭესთან რომელიც იდგა).  
უმატა ნაბიჯს.  
ფიქრიელმა უკვანტა ცოდვამ.  
წაიბორძიკა.  
აილანძა სახეზე ოდნავ...“

ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზაში წარმოჩენილია ვითარებაც:

„ქვეყანა დაღუპა შურმა  
(უღმერთოდ იცინის ღმერთი).  
რა გალაპარაკებს თურმე! –  
გაჩუმდი,  
იყავი შენთვის!“

ხშირად (თითქმის ყოველთვის) სარიტმო კომპონენტები ფრჩხილებში ჩასმული ფრაზებისა ლექსის საერთო მუსიკალურ ჩარჩოშია მოქცეული და ძირითადი თემის (მთავარი სათქმელის) რიტმულ-რიტმულ სტრუქტურას ქმნის (ე. ი. შემადგენელი ნაწილია მთელი ლექსის სარიტმო ხერხემლისა), შდრ.: „გახედნილთ“ – „კახეთით“, „ნაბამთ“ – „საბამ“:

„სიტყვებს, –  
წინაპართ მიერ გახედნილთ, –  
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ  
(შობილთ  
კლარჯეთით,  
ქართლით,  
კახეთით, –  
ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ), –  
ვეაღერსები, ვითარცა ყვავილთ...“

ძვექართულიეული „შეკრიბნა“ ფორმით პოეტი წარმოაჩენს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას (რომ ბევრი იყო ამგვარი სიტყვა – სულხან-საბას მიერ მოძიებული და შეკრებილი).

\* \* \*

ლექსში „საბა“ ორი ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაცია დასტურდება. ის მონაკვეთი, რომელშიც ჩანს ქართველი ელჩის იმედგაცრუება ლუდოვიკოს გულგრილობის გამო, მოიცავს დამაზუსტებელ ცნობას საბას თხოვნისა თუ მოთხოვნის შესახებ (რაც მან „სახელგანთქმულ ვერსალში“ განაცხადა – და რაც, ბუნებრივია, არ ჰგავდა „კნავილს კატისას“):

„მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა  
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);  
რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა  
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“.

მეორე შემთხვევაში კი მთელი ტრაგიზმი სათქმელისა სწო-  
რედ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზით ბოლოვდება („ჯვარის წინ“  
მუხლზე დაცემული წმინდა ნინოს სახით):

„დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, –  
აღვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, –  
სტამბოლში შვილი დედას სტირის – ჰყიდიან ყმაწვილს  
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, – მუხლზე დაცემულს)“.

\* \* \*

ერთ ლექსში ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზას, რომელშიც წარ-  
მოჩენილია მრავალგზისობა მოქმედებისა, რამდენიმე პწკარის შემ-  
დეგ მოსდევს მეორე ინფორმაცია (ასევე ფრჩხილებში ჩასმული) –  
ადრესატთა ვინაობაზე მითითებით:

„თუ გაწყრა ღმერთი  
და ჩვენი ყანა  
მოაკალოვა მეზობლის ღორმა  
(რაც არა ერთხელ ხდება),  
მამიდა ვინმეს დაზოგავს განა?  
ფილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე,  
„მიწას აყრის“ და  
„მარხავს“ მთელ სოფელს  
(განსაკუთრებით ახლო მეზობლებს),  
მაგრამ არავინ კვდება“.

ფრჩხილებში დასტურდება აგრეთვე გარკვეული პირობის  
(იუმორითურთ) ამსახველი ფრაზებიც:

„კარგია, კაცი აივანზე ნებივრად იჯდე –  
და გაჰყურებდე: მზე ქუჩაში იღვრება როგორ.“

ხედავდე ბიჭებს (თუ ქალი ხარ), ახოვან ბიჭებს!  
ხედავდე გოგოს (თუ კაცი ხარ), ხორციან გოგოს!”

პირობაა წარმოჩენილი შემდეგ მონაკვეთშიც:

„ეს სინამდვილე ვის არ აღელვებს  
(სალად აზროვნებს უკეთუ იგი):  
ბედნიერება არის რამხელა!  
ბედნიერება არის რამხელა! –  
თავისუფლება  
რომია ფიქრის!“

\* \* \*

ლექსში „ილიასადმი“ სწორედ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზით იხატება მუხრან მაჭავარიანის დიდი ტკივილი „მერმისის“ გაუმართლებლობის გამო:

„ასი წლის შემდეგ  
შენსას ვიწმენდ თვალებზე ცრემლებს  
(არ გაამართლა, ვაგლახ, მერმისმა)! –  
შენც ბედმა შენმა  
ვინაიდან არ მოგცა ჩემებრ  
დრო, – ჭირად შენდა, –  
როგორც ჩემდა,  
შენი ნებისა“.

ზოგჯერ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები (თუ განსაზღვრებები) გარკვეული ნიშნით ახასიათებს ამა თუ იმ პირს (მაგ., „გუშინდელ მეგობარს“). ტკივილწარვეი იუმორით არის ხშირად გაჟღერებული ამგვარი ინფორმაცია:

„მეცოდება მეგობარი გუშინდელი  
(აღარ მოაქვს ვისაც ჩემთვის რქაწითელი), –  
რომ ჰგონია, –  
უკვე აღარ დავჭირდები.  
მეცოდება მეგობარი გუშინდელი



(თბილისელი, საჩხერელი, ზუგდიდელი...) –  
ცოლიანა, –  
შენი როა, –  
თუ ჭირდები!  
მეცოდება მეგობარი გუშინდელი  
(ჭკუამოკლე, ენაგრძელი, გულწითელი), –  
ვინც მომავალს სრულიად არ უშინდების!”

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პოეტი ფრჩხილებში მოაქცევს ხოლმე მხოლოდ ერთ სიტყვას, რაც ძალზე მოქნილი სტილებრივი ხერხი ჩანს ამა თუ იმ ვითარებისა თუ „პერსონაჟის“ წარმოსაჩენად ლექსში:

„წაკითხულს განზე (სათვალთურთ) გადადებს გაზეთს  
და ბერიკაცი (წესიერი) სვამს კითხვას ასეთს...“

\* \* \*

„მერმისი“ ეცხადებოდა ხოლმე პოეტს მარტოობისას და სწორედ მაშინ უჩნდებოდა „გაურკვეველი კითხვა“ („არ ვიცი – რატომ?“), რომელიც ერთ ლექსში ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაციის სახით არის წარმოდგენილი. ამავე მონაკვეთში მკითხველის ყურადღებას იქცევს სარითმო წყვილები („მარტო“ – „რატომ“ და „რო შემოვა“ – „უჩემოა“):

„ოდეს ვიმყოფები ყოველმხრივ მარტო,  
ოთახში მთოვარე რო შემოვა;  
ნათლად მეცხადება (არ ვიცი, – რატომ)! –  
მერმისი, რომელიც უჩემოა“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ სახის ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები, რომლებიც ლექსში ერთგვარი რეფრენის სახით დასტურდება. ქვემოთ წარმოდგენილ ეპიზოდში ამგვარი ფრაზაა „რალამაზად ჩამომდგარა გიორგობისთვეო“ (ამავე ლექსში ფრჩხილებშია მოქცეული სხვა ინფორმაციაც, რომელშიც მითითებულია მიზეზი მოქმედებისა):

„იცის, მარა ყველამ არა!  
მეგობარო ჩემო:  
პროვინციამ სისადავის  
რომ არ იცის გემო!  
(რა ლამაზად ჩამომდგარა გიორგობისთვეო)  
არ ეგების  
(არაერთი მიზეზისა გამო):  
პროვინციამ სისადავის  
რომ არ იცის გემო!  
(რა ლამაზად ჩამომდგარა გიორგობისთვეო)...“

\* \* \*

მშობლიური ენის წვდომის იშვიათი უნარი, სათქმელის საოცარი სილადე, გამორჩეული იუმორი თუ ირონია, ყოფითი მოვლენების ლექსობრივი რეალიზაცია მუხრანის ლექსში ხშირად ფრჩხილებში ჩასმული დამატებითი ფრაზებითაც არის განპირობებული.

ერთ ლექსში, რომელიც იესოს ეძღვნება, სწორედ ფრჩხილებში წარმოდგენილი დამატებითი ფრაზით არის ნათქვამი განსხვავებული „ფრთების გაშლის“ შესახებ, რომელიც არ ჰგავს არანაირ სხვა ფრენასა თუ ზეცად აღსვლას:

„თუ არ დააძღა შენსას იარებს  
გაუმადლარი ყორანი შავი,  
ფრთებს თუ არ გაშლი  
(ორბებრ კი არა), –  
ფრთებს თუ არ გაშლი  
იესოსავით:

ვერ ახვალ ცაში,  
ვერ ახვალ ცაში, –  
მუცლით იხოხებ მიწაზე მაშინ.

გარეშე ჯვარცმის,  
გარეშე ჯვარცმის,  
ჯერ არ ასულა არავინ ცაში.  
ცად მხოლოდ მაშინ ადის მგოსანი, –

ფრთებს როცა გამლის  
იესოსავით“.

იესოსავით ფრთაგამლილი „აღვიდა“ ზეცად დიდი მუხრანი...

## ლიტერატურა

**მუხრან მაჭავარიანი**, თხზულებანი ოთხ ტომად, თბილისი, 2007.

Tamar Vashakidze, Rusudan Tsitsishvili

### **Artistic- stylistic features of Mukhran Machavariani's Verse**

#### Summary

The article analyzes several artistic- stylistic features of Mukhran Machavariani's poetry. These are: *imeretianisms (western dialectism)*, phrase idiosyncrasies and the information piece put in brackets.

*Dialectisms* are presented as special poetic-stylistic means in Mukhran Machavariani's poetry. The article considers those special types of cases when a linguistic form of a dialect also serves as a rhyming unit – i.e. when the meaning and sound form of an utterance are so naturally intertwined that they are perceived as inseparable parts of a whole structure. The reader, likewise, experiences this poetic music effortlessly.

A reader will immediately recognize Mukhran's phrase! – In this first instance, this concerns multiple syntactic-stylistic features of a verse, the sequence of words or the structure of a segment, sentence types and peculiarities of separately standing sayings, and many others. Among a variety of features, an extraordinary arrangement of words in phrases is particularly conspicuous. This entails inversion of conjunctions – the poet

places these latter after verb-predicate forms in certain cases in order to underscore stylistic diversity. This adds a special shade to the poetic speech and intensifies the saying at the same time.

The phrases put in brackets are often encountered in Mukhran Machavariani's verse. They give readers additional various types of information about different episodes of the verse. The expression presented in such a way is rich in semantics: it specifies the time, context or reason of an action; it reveals the attitude of the author towards the expression. Besides, there are cases when the information in brackets depicts the details of everyday life, etc.

## ნინო ვახანია

### ალექსანდრე ორბელიანი – აკაკის მოკანანახე

სიტყვა „კანანახი“ აკაკი წერეთელმა გააცოცხლა მე-19 საუკუნეში, როცა ბარათაშვილს უწოდა ილიას მოკანანახე. „ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული“, – წერდა იგი სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ და იქვე განმარტავდა: „... ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარად დაუვიწყრები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოდ გაგება ძნელია!“ [წერეთელი 1960: 21].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „კანანახი(კანანახისა) ძვ. ქართ.: მგალობელთა დამძახნელი (საბა). ჰკანანახობს – მოსძახის, ეხმაურება, კანანახია მისი“ [ქეგლი 1955: 1046].

ვფიქრობ, ალექსანდრე ორბელიანს თამამად შეიძლება ვუწოდოთ აკაკის მოკანანახე. ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მეთაური, მხატვრულ-დოკუმენტური და სხვა ჟანრის თხზულებების ავტორი, განსაკუთრებით უყვარდა აკაკი წერეთელს. თუმცა რომანტიკოს მწერალს, როგორც ზნეობრივ ორიენტირს, პატივს სცემდნენ და კრძალვით ექცეოდნენ ყველა თაობისა და სოციალური წრის წარმომადგენლები. მისი ერიდებოდა, მას ანგარიშს უწევდა ისეთი აღზევებული და ძლიერი პიროვნებაც, როგორც იყო გრიგოლ ორბელიანი. უფრო საყურადღებო კი ისაა, რომ ალექსანდრე ორბელიანს აფასებდნენ ახალთაობელები, ჩვენი 60-იანელები. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ „მამათა“ ასაკის ალექსანდრე ორბელიანი თაობათა ცნობილ მწვავე კამათში არ ჩარეულა, მოგვიანებით კი თავისი წერილებით, არსებითად, ახალთაობელთა მეთაურს, ილია ჭავჭავაძეს დაუჭირა მხარი. მანამდე, 1861 წელს, ილიამ თავისი „პასუხი“ სწორედ ალექსანდრეს უძღვნა (სათაურის ქვეშ ფრჩხილებში ასეთი მინაწერია: „ვუძღვნი ალ. ვახტანგის ძეს ჯ.-ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღებას აღირსებს ამ სტატიასა“). უფრო ლიგიკური იქნებოდა, „ორიოდე სიტყვის“ ავტორს შემდეგი სტატია იმათთვის მიეძღვნა, ვინც პირველ წერილზე გამოეხმაურა და ვისაც

უპასუხა (რევაზ ერისთავი, გიორგი ბარათოვი, ბარბარე ჯორჯაძისა, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი). ხოლო, ერთი შეხედვით, ამ ალოგიკურ მიძღვნაში ცხადად მჟღავნდება ილიას გასაოცარი უნარი, იოლად შეეტყო, ამოეკითხა ადამიანის დამალული, შინაგანი არსი, ბუნება, სამყარო. ილიამ ხომ ამით, ფაქტობრივად, ალექსანდრე ორბელიანი დაიგულა გვერდით და არც შემცდარა.

ალექსანდრე ორბელიანის გამორჩეულობას ხედავდნენ და აფასებდნენ სხვა სამოციანელებიც. კირილე ლორთქიფანიძემ დადებითად შეაფასა ორბელიანის მოთხრობა „ასპინძის ომი“. ერთ კერძო წერილში იგი წერდა: „ძალიან მომეწონა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია „ასპინძის ომზედ“. უდრტვინველად ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას. მარტო ამ სტატიის წაკითხვისთვისაც გამოიწერდა კაცი „მნათობს“. ხოლო სერგეი მესხი „დროებაში“ წერდა: „ალ ორბელიანი, გარდა იმისა, რომ „კეთილი, გულწრფელი და მშვიდობიანი კაცი იყო... სხვა მაღალი ღირსებითაც გამოირჩეოდა. იგი იყო ისეთი კაცი, რომელიც „ყოველთვის თავისი საზოგადოების და ქვეყნის სასარგებლო საქმეებისთვის უფრო მომეტებულს ჰფიქრობს, ვიდრე თავის თავისთვის... თავის თანამედროვეთა რიცხვში ის იყო საუკეთესო პირი... ძველ კაცებში, მგონი, მხოლოდ ეს ერთი გვყავდა, რომელიც, ვით მამულის ნამდვილი შვილი, ზრუნავდა საქართველოს ბედზე, დასტიროდა იმის უბედობას და დაჰხაროდა ბედნიერებას“ [მესხი 1962: 47-49]. ასევე თბილი წერილი უძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ნიკოლოზ ბერძენოვმა ერთ რუსულენოვან გაზეთში.

აკაკი წერეთლის დამოკიდებულება კი ამ მოღვაწესთან, როგორც ვთქვით, განსაკუთრებულია. აკაკი რამდენიმე წერილში იხსენებს ალექსანდრე ორბელიანს. ერთხელ ნათქვამით არ კმაყოფილდება, გულს ვერ შეაჯერებს, საზოგადოებასაც და საკუთარ თავსაც ხშირად შეახსენებს, რომ ისეთი მოღვაწე გვყავდა, რომელიც შეიძლება ნიშანსვეტად გამოადგეს მომავალს. აკაკის ხომ განსაკუთრებული უნარი ჰქონდა ლიტერატურული პორტრეტების შექმნისა და ეს კარგად ჩანს „ჩემ თავგადასავალში“. მის მიერ დახატული ადამიანი ცოცხლდება მკითხველის წინაშე. ერთი, თითქოს უმნიშვნელო შტრიხით შეუძლია პოეტს თავის თანამედროვეთა სულში წვდომა, მათი არსის მთლიანად გახსნა და მართალი, დაუვიწყარი პორტრეტის დახატვა. ალექსანდრე ორბელიანზე საუბრით კი ვერა და ვერ ძლება. თითქოს გარკვეული სამადლობელია უფროსი მეგობრისა-

დმი. ასეთი დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, კეთილშობილ მოსწავლეებს აქვთ ხოლმე მასწავლებლის მიმართ.

„თ. ალ. ორბელიანისთანა ქართველ კაცს ძვირად შევხვედრივარ; სულითა და გულით მოყვარული იყო ჩვენის ხალხისა და ჩვენის ქვეყნისა და თითქმის თავდასადებლადაც მზად იყო. როდესაც გაიგონებდა, რომ ესა-და-ეს ნიჭიერი ვინმე გამოჩნდა საქართველოში, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და მამაშვილურად დაუწყებდა ალერსს“ [წერეთელი 1990: 30-31]. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში შენიშნულია ის გარემოება, რომ ქართველი რომანტიკოსები და რეალისტები ერთმანეთისგან ჩინური კედლით არ არიან გამიჯნულნი, რომ მათ ბევრი საერთო აქვთ, განსხვავებულობის მიუხედავად. ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა ხშირ შემთხვევაში ერთნაირია და ეს არ არის უნებური დამთხვევა. ესთეტიკის, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე მსგავსი წარმოდგენები მათი ახლო ურთიერთობითაც აიხსნება. ვერ ვიტყვით, რომ აკაკი, როგორც მწერალი, მთლიანად ალექსანდრე ორბელიანიდანაა ამოზრდილი, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ ორბელიანმა განუმტკიცა უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებანი აკაკის, ცხადად თუ უხილავად (შეუმჩნევლად) სასიკეთო გავლენა მოახდინა ახალგაზრდა კაცზე, უფრო წააქეზა იგი თავისუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლისკენ.

„მისი გულის თქმა და მისი სულის დგმა საქართველო იყო“, – წერს ალექსანდრე ორბელიანის შესახებ აკაკი წერეთელი და ამ სიტყვებით ასევე ზუსტად ახასიათებს საკუთარი ცხოვრებისა და აზროვნების წესს. აკაკის შემოქმედება თითქოს გაგრძელებაა ძველის და დასაბამია ახლისა. ალექსანდრე ორბელიანი მისთვის ცოცხალი ძალაა, მაგალითია. ზოგჯერ, იქნებ, პირდაპირი კვალი არც ჩანდეს შთაგონების, ინსპირაციის მიღებისა, მხოლოდ მკრთალი ძაფი თუ დაგვანახებს რთული შემოქმედებითი პროცესის დროს გარდაქმნილ ნაწარმოებში უფროსი თანამოკალმის ნაზრევის კვალს. აკაკის შემოქმედებაში თითქოს განზავდა, განივთდა, მის საკუთარ სულიერ სამყაროს შეერწყა, მასში გადავიდა და ჩასახლდა ორბელიანის სული. ამას გავლენა აღარ ჰქვია.

უფროსი და უმცროსი თაობის მწერლები, რომანტიკოსი და რეალისტი ერთნაირად ზრუნავდნენ სოციალურ სამართლიანობაზე, ორივეს სწორად მიაჩნდა ეგრეთ წოდებული „მამაშვილობის თეორია“, ბატონსა და ყმას შორის არსებული გარკვეული წესრიგი და

არა განუზომელი ჩაგვრა. ბოლოს და ბოლოს ეს შეხედულება საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის მიერ ნაქადაგებ საერთო ნიადაგის თეორიას. ეროვნული თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო ის განუწყვეტელი ჯაჭვი, რომელიც ყველა თაობის მწერალს აერთიანებდა და ეს იდეა ასე მკვეთრი და გამოკვეთილია ალექსანდრე ორბელიანთანაც და აკაკი წერეთელთანაც.

„დიდი ფანატიკოსი იყო!..“ – ახასიათებს აკაკი ალექსანდრეს და განაგრძობს: „ფანატიზმი, როგორც გადაჭარბებული რამ მოქმედება, ბევრჯელ მეტია და სასაცილო, მაგრამ მისი მოვლენა კი ცხოვრებაში აუცილებელია და საჭირო!.. სადაც-კი ფანატიკოსები არ ყოფილან, იქ არც არაფერი მოვლინება განმტკიცებულა!“ [წერეთელი 1990: 163]. ამით საკუთარ ფანატიზმსაც გვიხსნის და ამართლებს ერთგვარად.

ყველაზე ხელშესახებად ერთნაირი აზროვნება ერთსა და იმავე თემაზე დაწერილ პიესებში ჩანს. სადავო არაა, რომ აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ ლიტერატურული წყარო ალექსანდრე ორბელიანის პიესაა – „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“.

ამ ორ ნაწარმოებს შორის გაცილებით მეტი საერთოა, ვიდრე ეს აქამდე შენიშნულა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“ აშკარად აირეკლავს 1832 წლის შეთქმულების იდეებსა და განწყობას. იმავე განწყობას ვადასტურებთ აკაკის პიესაშიც. აკაკისთვის კი 32 წელი არათუ გაშინაგანებულ-გააზრებული, არამედ, საერთოდ, ცნობილიც არ იქნებოდა, რომ არა ამ შეთქმულების მეთაური – ალექსანდრე ორბელიანი. იმ დისიდენტური საუბრების დროს, ალექსანდრე საკუთარ ოთახში სიფრთხილით სანთლებს რომ აქრობდა და შთაგონებით, თრთოლვით უყვებოდა ახალგაზრდებს გარდასულ ამბებს, ყალიბდებოდა აკაკის, როგორც მწერლის, განწყობა, რაც მერე შთაგონებად გარდაიქმნებოდა ხოლმე.

სალომე ყუბანეიშვილმა ერთმანეთს დაწვრილებით შეუდარა ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის თხზულებები და დაასკვნა: „აკაკი წერეთლის დრამატულ პოემაში შეინიშნება ფრაზეოლოგიური დამთხვევებიც ალექსანდრე ორბელიანის პიესასთან... [რაც] ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალექსანდრე ორბელიანის პიესა „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“ არის აკაკი წერეთლის



დრამატული პოემის – „პატარა კახის“ მნიშვნელოვანი ლიტერატურული წყარო“ [ყუბანეიშვილი 1969: 72-73]. ამასთან დაკავშირებით მაია არველაძე წერს: „სიუჟეტურად ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებები, გარდა ზოგიერთი ადგილისა, როგორცაა ერეკლეს გამზრდელის – გივის ბრძოლის ველზე დალუპვის ამბავი, აგრეთვე – ორბელიანთან ახალგაზრდა სარიდანისა, ხოლო წერეთელთან ახალგაზრდა ლევანის დალუპვის ეპიზოდები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან“ [არველაძე 2005: 9].

ცხადია, განსხვავდება და ისიც ცხადია, აკაკის შთამაგონებელი, მოკანანახე სწორედ ალექსანდრე ორბელიანია. და როცა ძველ დროს მისტირის მგოსანი, ვინ იცის, შორეული წარსული კი არა, თვალწინ წარმოესახება 1832 წლის სურათები, ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობით გაცოცხლებული განცდა შეთქმულებისა.

საყურადღებოა, რომ წყაროები ნეიშნის ომის შესახებ ცოტაა. ორივე მწერალმა კი, სხვადასხვა დროის შემოქმედებმა, სწორედ ეს ისტორიული მოვლენა – ბატონიშვილ ერეკლეს მიერ გადახდილი პირველი ომი დაუდეს საფუძვლად თავიანთ თხზულებებს.

აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ორბელიანის პიესების საერთო ისტორიულ წყაროზე მიუთითა ამბერკი გაჩეჩილაძემ 1949 წელს გამოცემულ წიგნში „აკაკი წერეთელი“. ერეკლეს მიერ გადახდილი ამ პირველი ომის განსაკუთრებულობა და ხსოვნა უთუოდ არსებობდა თანამედროვეთა მეხსიერებაში, შეგნებაში, აისახა კიდევ რამდენიმე ისტორიულ ნაშრომში, მაგრამ მხატვრული სიტყვით გაცოცხლებას სხვა, გამორჩეული მნიშვნელობა აქვს, დაუვიწყარს ხდის, მკითხველის მეხსიერებაში მყარად (სამუდამოდ) აღბეჭდავს ფაქტს და ეს გააკეთეს ჯერ ალექსანდრე ორბელიანმა და მერე აკაკი წერეთელმა.

მწერლისთვის მკითხველის დაინტერესებაა მთავარი. ამიტომ შემოქმედი არღვევს ხოლმე ისტორიით შემოსაზღვრულ ჩარჩოებს, შემოქმედებით თავისუფლებას ავლენს, ზოგ რამეს გამოიგონებს, ოღონდ ისე, რომ არ დაიკარგოს მხატვრული სიმართლე. ასე იქცევა ორივე ზემოდასახალებული მწერალი. „ისტორიულ ფაქტებს აკაკი წერეთელი ირჩევდა სრულიად გარკვეული, თუ შეიძლება ითქვას, „პრაქტიკული“ – თანამედროვე საზოგადოებაზე შემოქმედებითი ზეგავლენის თვალსაზრისით“ [ყუბანეიშვილი 1969: 22].

ალექსანდრე ორბელიანი, რომლის მწერლური პრინციპი იყო ყველაფრის სწორად, მართლად, უმეტესაკლებოდ აღწერა-გადმოცე-

მა, რომელიც გრიგოლ რჩეულიშვილს იმის გამო ეკამათებოდა, რომ მან თავის მოთხრობაში („ქვრივის ლიმონები“) 11 ისტორიული უზუსტობა დაუშვა, ეს ალექსანდრე ორბელიანიც თავის პიესებში ზოგჯერ შეგნებულად ცვლის რამეს, ვთქვათ, იყენებს ლეგენდას თუ გადმოცემას, ასხვაფერებს გეოგრაფიულ ადგილს, გარემოს, ცხადია არა შემთხვევით ან უცოდინარობით, არამედ მხატვრული დანიშნულებით, სათქმელის უკეთ, უფრო შთამბეჭდავად, ემოციურად გადმოსაცემად. ყველა ასეთ შემთხვევაში იქვე ურთავს ხოლმე შენიშვნას, რა გადააკეთა მან და ამდენად, ოდნავადაც არ სცილდება ისტორიას. აკაკი წერეთელი რეალიზმის პრინციპების დაცვით თხზავს, უფრო მეტ თავისუფლებას იჩენს, ისტორიული პირის პერსონაჟად გამოყვანის დროსაც ტიპს ქმნის, მოვლენებს აზოგადებს. მის დრამატულ პოემაშიც, რასაკვირველია, ნამდვილი ამბებია გადმოცემული. „ქარად ამ შემთხვევაში ისტორიული სინამდვილეა აღებული“ [კიკვიძე 1967: 68]. თუმცა გვხვდება როგორც ისტორიული, ასევე მწერლის ფანტაზიით შეთხზული პერსონაჟები და სიტუაციები. საინტერესოა, რომ აკაკი წერეთელი თვითონ ქმნის ლეგენდას (როგორც ილიამ შექმნა ბაზალეთის ტბის ლეგენდა). თქმულება ქოშიგორაზე ავტორის მიერ გამოგონილი ამბავია. აკაკის პოემის მიხედვით, გორაზე (მაღლობზე) აშენებული წმინდა ტაძარი, პირველი წირვის დროს მაღალი მთების დრეკა და ნათლით შებურვილი თამარ მეფის მიერ ზეციური ზარის რეკვის გაგონება, ცხადია, თამარისდროინდელი საქართველოს, დამოუკიდებელი, ძლიერი ქვეყნის ნატვრაა და სამომავლო იმედი. თამარ მეფის სახის პარადიგმა ჩვენს მწერლობაში სიმბოლოდაა ქცეული და ამდენად ერთ რომელიმე ეპოქას კი არ უკავშირდება, არამედ ზედროულია.

თავისუფლების სული მსჭვალავს ორბელიანის პიესასაც და აკაკის დრამასაც. საინტერესოა „პატარა კახის“ დასაწყისი. მწყემსი ამბობს: „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!“. ეს ცნობილი ფრაზა ქართველმა მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა. საყურადღებოა, ერთი მხრივ, ის, რომ მონოლოგს მწყემსი წარმოთქვამს. მწყემსის ქრისტიანული სიმბოლიკა მრავალგზის არის გამოყენებული მსოფლიო ლიტერატურაში. ჩვენი მწერლობის მიერაც ბუნებრივად შესისხლბორცეული და გაშინაგანებული სიმბოლოა მაცხოვრისა. ასეა ჰაგიოგრაფიაში და იქიდან მოკიდებული დღემდე. დრამაში სამოქმედო გარემოც ისეთია (დიდი ტყე წინ ვაკით. შორით უზარმაზარი მთები მოსჩანან. პატარა გორაზე ზის მწყემსი და სალამურს უკრავს), რომ

პირველივე სიტყვები პერსონაჟისა რაღაც იდუმალს, ღვთიურს, სამოთხისსადარს გვაგრძნობინებს და ვხვდებით, ნათქვამი სხვას და გაცილებით მეტსა და მნიშვნელოვანს იმარხავს, ვიდრე სიტყვებში ჩანს. მწყემსი ახალგაზრდა ქალს და მის უსინათლო მამას ელოდება, თუმცა მისი წუხილი ქართველს გმირების, თავდადებულთა გამოჩენისკენ გადაუქანებს ფიქრს. „ჯერ არსად სჩანან“, – ეს აკაკი წერეთლის გოდებაცაა და იმედიც ერთდროულად (ბესიკ ხარანაული გვახსენდება: „სად არიან შვილები, შვილები სად არიან?“)

პოემა საესეა ასეთი მინიშნება-სიმბოლოებით. მაგალითად, ქალის ნათქვამი „ამაღამ ძილი არ შეიძლება“ პირდაპირი მინიშნებაა სულიერ მღვიძარებაზე. მე-19 საუკუნეში საქართველოში ჩამომდგარ ღამეს ძილი კი არა, სიფხიზლე ესაჭიროებოდა (აკი ილიაც ქართველთა ძილისგან გამოფხიზლებას ცდილობდა და ესწრაფვოდა). „რა დროს შიშია? და რა დროს ძილი?“ – სხვა ადგილას ამბობს ბატონიშვილი, თანაც ისე, რომ იმ სიტუაციაში „ძილი“ ალოგიკურია, მოქმედებიდან არ გამომდინარეობს. აქაც ქართველთა ძილიდან გამოფხიზლება მე-19 საუკუნის პოეტის მიზანია და მარტო მე-18-ს არ გულისხმობს. პატარა კახის სიტყვები: „ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ, რა კარგია / სამოთხის ნიჭი, თავისუფლება!“ რასაკვირველია, მარტო პირად კი არა, სამშობლოს თავისუფლებას გულისხმობს უპირველესად. ასეთი ორაზროვანი მეტყველების დიდოსტატია აკაკი წერეთელი, თუმცა პუბლიცისტურ წერილებში არაერთგზის პირდაპირ და შეულამაზებლადაც ამბობს სათქმელს. რაც ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების მიზანს შეადგენდა, იგივე გახლდათ აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი – სამშობლოს თავისუფლება. ასე რომ, პიესაში პატარა კახის ნათქვამი: „საკუთარ ტანჯვათ მე მიმაჩნია ჩვენი სამშობლოს უბედურება“ თვითონ ავტორის საკრალური განცდაა. მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტურ წერილში „ჩემი აღსარება“ ვკითხულობთ: „ქართველებსა აქვსთ თავისი საკუთარი ტერიტორია და მოითხოვენ მხოლოდ იმას, რაც ისტორიულადა და რუსეთთან პირობის ძალით ეკუთვნისთ“ [წერეთელი 1990: 421]. ამ სიტყვებში ცხადად იკითხება 32 წლის შეთქმულთა განწყობა.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ფრაზები თითქმის პირდაპირ ემთხვევა ერთმანეთს ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებსა და აკაკის „პატარა კახის“ პირველ, პროზაულ რედაქციაში. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ აკაკი მარტო ლიტერატურულ ან ის-

ტორიულ წყაროებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ უფროსი მეგობრის ზეპირ ნაამბობსაც ითვისებდა, საკუთარ შემოქმედებით ქურაში აღნობდა და მხატვრულ ტექსტში მოაქცევდა, რათა არ დაკარგულიყო. პატარა კახს გამოათქმევინებს აკაკი ფორმულასავით ჩამოქნილ სტრიქონებს: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. მკითხველმაც და სალიტერატურო კრიტიკამაც იმთავითვე სწორად მიიჩნია ეს ფრაზა მე-19 საუკუნის მამულიშვილთა გულისთქმად. ასე ფიქრობენ, ასე განიცდიან სამშობლოს უბედურებას არამარტო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები, არამედ გლეხებიც. „მეფე და გლეხი, ერთი და ბერი – ყველა ერთი სურვილით არის შეპყრობილი, ეს სურვილია საქართველოს დაცვა შემოსეული მტრისგან. „პატარა კახში“ მოცემულია მთლიანი საქართველოს შექმნის იდეა. აკაკიმ სამშობლოს დასაცავად ქართველი ხალხი აამოძრავა, ერთი მიზნისკენ წარმართა. მათთვის მომავალი საქართველო გაერთიანებული, ერთი ინტერესით შეერთებული, ქართველი ხალხისგან შემდგარი უნდა ყოფილიყო“ [ხუციშვილი 1940: 120].

ბაადურის წუხილი: „სულ სხვა დრო არის და სხვა კაცები!..“ უნებლიეთ გალაკტიონის კვენსას გაგვახსენებს: „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამულიო“ რომ ამბობდა. დროთა ცვლასა და თაობებზე საუბარში სოლომონ ხუციშვილი მე-19 საუკუნის თაობათა დაპირისპირების გამომახილს ხედავს. „პატარა კახში“ დააყენა აკაკი წერეთელმა ეს მომენტი ყველასათვის საცნაურად: სამოქმედო ასპარეზი ახალთაობას უნდა მიეცეს, რადგან უფრო ჯანსაღად განსჭვრეტს იგი ცხოვრების მოთხოვნილებას და თავის შესაფერისად წარმართავს საქმეს. ახალმა თაობამ უნდა ძველი შესცვალოს – და ეს აკაკიმ წარსულშიც დაინახა“ [ხუციშვილი 1940: 121]. საინტერესო მოსაზრებაა და გასაზიარებელი, თუმცა ასეთივე წარმატებით შეიძლება სხვა ადგილების დამოწმება, რომლებშიც კარგად ჩანს თაობათა ერთიანობა და ზოგ შემთხვევაში ძველების უპირატესობაც ახლებთან შედარებით. უთუოდ მართალია მკვლევარი, როცა აღნიშნავს, პიესა ძველ და ახალ საქართველოს ერთნაირად ეხებაო. „პატარა კახი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ერთნაირად უდგება საქართველოს წარსულსაც და დაწერის დროსაც“ [ხუციშვილი 1949: 119]. მტრები „ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდნენ და ერთგულს ყველას ცრემლი სდიოდა!“ ან განსაკუთრებული ყურადღება ზნეობითი ნაკლის შევსება-გამოსწორებაზე, წინამძღოლის მოლოდინი და სხვა სწორედ მე-19

საუკუნის ყოფის რეალისტური ასახვაა და ზემოთქმულის დადასტურება.

აკაკის პოემაში ბრმა გელა და დაკუთებული ბაადური საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენენ. ორბელიანის პიესაში მსგავსი პერსონაჟია ბესარიონი.

მთისა და ბარის ერთიანობას ქადაგებენ ორბელიანიცა და წერეთელიც (შემდეგ – ვაჟა-ფშაველა). ქრონოლოგიურად უპირატესობა რომანტიკოს მწერალს აქვს. შესაძლებელია ეს იდეა მისი შთაგონებით შეეთვისებინა აკაკი წერეთელსაც. მისთვის არათუ უცხო არ გახლდათ, არამედ მთელ მის შემოქმედებას თითქოს დვრიტად უდევს საქართველოს ერთიანობის იდეის ქადაგება. ამერეთ-იმერეთის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას ქადაგებს აკაკი მხატვრულ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებში. მთისა და ბარის ერთიანობაც ამ საერთო ქართული ერთობის ერთი ასპექტია, ხოლო ეს კონკრეტული ნიუანსი (მთა ბარს ეხმარება) შერჩეულმა თემამ და წინამორბედი მწერლის გავლენამ (კანანახმა) განსაზღვრა, როგორც ჩანს. გელა მთაში წუხს ბარელთა გასაჭირზე და სოფლიდან სოფელში დადის, რათა ყველას ურჩიოს, „გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი და მიეშველონ ძმურათ ბარელებს!“ რვაზ ბებურიშვილის სიტყვებიც მწარედ ხვდება ყურს: ყორნები „გადაფრენილან აქედან ბარში და ჩვენს მოძმეებს თავს დასჩხავიან!“ მოშულარი ძაღლების იგავს პიესაში ბრძენი გივი ჩოლოყაშვილი ჰყვება. საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებას აქ, ამ კონკრეტულ ეპიზოდში ორ ახალგაზრდას, ერთმანეთის მოსისხარებს ურჩევს ბატონიშვილის გამზრდელი, თუმცა ქარაგმულად ეს იგავი მთელი საქართველოს, მეტიც, მთელი კავკასიის გაერთიანებას გულისხმობს.

არაერთგზის აღნიშნულა და ხელშესახებია, რომ აკაკის შემოქმედებაში ქალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ქართული ლიტერატურისთვის არ არის უცხო ქალის დაფასება, სულაც კულტი. „პატარა კახის“ პერსონაჟი ქალები არ გახლავან გამონაკლისი. თუმცა ყურადღებას იქცევს მათი განწყობა, ის, რომ ქალები მზად არიან, მამაკაცებთან ერთად გავიდნენ ბრძოლის ველზე, ქმრებთან, ძმებთან, შვილებთან ერთად დაიხოცონ. ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებში რამდენიმეგზის არის დადასტურებული, თუ რა დიდ მონაწილეობას იღებდნენ 1832 წლის შეთქმულებაში ქალები. ბევრი მათგანის დაფარვა და გადარჩენა მოხერხდა და ამიტომ შეთქმულების მეთაური არ გვიმხელს ყველას სახელს, მაგრამ საგანგებოდ აღ-

ნიშნავს, რომ საიდუმლო სამზადისში ბევრი ქალი იღებდა მონაწილეობას. მამაკაცებს რომ დაჰკვიანებიათ აჯანყება, ქალებს უთქვამთ, თუ თქვენ ვერ ბედავთ, ჩვენ დავიწყებთო. ქალებს ჰქონდათ დავალებული ეროვნული დროშების შეკერვა და სხვა. ამ რეალობამ გამოძახილი პოვა ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში და ამ ფაქტით უნდა იყოს შთაგონებული ომში ქალების ასეთი აქტიურობა აკაკის პიესაშიც. უპირველესად საინტერესო ქალია დედა, დედოფალი თამარი, რომელიც გზას ულოცავს ბრძოლაში მიმავალ შვილს... ახლაგაზრდა ელენე მზადაა, უშუალოდ ჩაებას ომში და მასთან ერთად სხვა ქალები ერთხმად ამბობენ: „წავიდეთ ყველა ჩვენს ძმებთან, ქმრებთან და ჩვენს შვილებთან!“.

გელას ტურფა ასული შეეწირება კიდევ ქვეყანასა და ლევანის სიყვარულს, ბრმა მამამისი კი თვალხილულზე უკეთ ხედავს ყველაფერს. სამშობლოს სიყვარული მასში შვილის სიყვარულზე მაღლა დგას. ჯერ ბატონიშვილს მიულოცავს გამარჯვებას და ადღეგრძელებს და მხოლოდ შემდეგ დაიტირებს მწარედ თავის ერთადერთ ასულს, უკანასკნელ ხმალაძეს...

ეს დასასრული თუმც სევდიანია, მაგრამ პიესა ქართველთა გასამხნეებლად დაწერილი. და მართლაც, ფინალში კარის ღვთისმშობლის ხსენება და ბიბლიის სიტყვები: „აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი იმისნი“ იმედის, რწმენის შთამნერგავია მკითხველისთვის და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგივეა რომანტიკოსი მწერლის მიზანიც.

ორგულობა, ღალატი უპატიებელ დანაშაულად მიაჩნია აკაკის. მოღალატემ გასცა 1832 წლის შეთქმულება, შეცვალა, საპირისპიროდ შეაბრუნა საქართველოს შეთქმულთა მიერ დაგეგმილი მომავალი, თუ მთლიანად ვერა, უმრავლესობას დიდი ხნით მოუკლა თავისუფლების იდეა და ასეთი ადამიანის მიმართ რა გრძნობა, რა განწყობა ექნებოდა შეთქმულების მეთაურს, გასაგებია. მსგავსია ვაჟა-ფშაველას განცდაც. თუ მასთან „წიწოლას დანაშაული აწეულია ცამდინა“, აკაკისთან: „ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს, ყოველ კაცსა აქვს ამის უფლება“. და საერთოდ, საკითხავია, მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ინტერესი ღალატის მიმართ და მოღალატის სასტიკი გაკიცხვა 1832 წლის შეთქმულების მოღალატურად გაცემამ ხომ არ გამოიწვია.

საინტერესოა გვარ-სახელის სიმბოლიკა. ბრმა გელა საქართველოს სიმბოლოდ მივიჩნით. იგი გვარად ხმალაძეა. გიორგისთვის

გელა, იგივე მგელა შეურქმევიათ. შერქმეული სახელიცა და გვარიც ე. წ. მოლაპარაკეა და შეურიგებლობას, წინააღმდეგობას, საბრძოლო სულსა და განწყობას გამოხატავს. ამის საპირისპიროდ, სულ სხვა რამე ჰქვია მოღალატეს – ტურა რამაზაშვილი – უკვე ეს სახელიც კი თვითონ ამბობს ყველაფერს.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ: ორივე მწერლის – ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის – ნაწარმოები დრამაა: ერთი – პროზაული პიესა, მეორე – დრამატული პოემა. საერთოა ორივე თხზულებაში ბევრი პერსონაჟი: ბატონიშვილი ერეკლე, მეფე თეიმურაზ მეორე, დედაფალი, ბატონიშვილის გამზრდელი გივი ჩოლოყაშვილი და სხვა; მსგავსება შეიმჩნევა გამოგონილ, მწერალთა ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟთა შორისაც. ორივეგან საგულისხმოა ქვეყნის გამოხსნის საქმეში ქალების აქტიურობა (32 წლის გამოძახილი). ორივე მწერალმა დასვა მთისა და ბარის, ანუ საქართველოსა და მთელი კავკასიის ერთიანობის იდეა (ესეც 32 წლის შთაგონება), ორივე შემთხვევაში ნაჩვენებია თავადებისა და გლეხების ერთიანობა (ესეც შეთქმულთა ჩანაფიქრი გახლდათ), ნაქადაგებია სამშობლოსთვის თავგანწირვის იდეა. არ არის დამალული წარსულის ლაქა და ჭუჭყი. ორივე დრამა თავის თანამედროვეობას ეხმაურება და იმედის, ოპტიმიზმის ჩანერგვას ემსახურება მკითხველში.

## ლიტერატურა

**არველაძე 2005** – მაია არველაძე, აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახი“ (ტექსტოლოგიური ანალიზი), თბილისი.

**მესხი 1962** – სერგეი მესხი, თხზულებანი, ტ. 1.

**კიკვიძე 1967** – აბელ კიკვიძე, „პატარა კახის“ ისტორიული ქარგა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4, თბილისი

**ქეგლი 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 4, თბილისი.

**ყუბანეიშვილი 1969** – სალომე ყუბანეიშვილი, აკაკი წერეთლის დრამატული პოემები („თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“), თბილისი.

**წერეთელი 1960** – აკაკი წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, თბილისი.

**წერეთელი 1990** – აკაკი წერეთელი, ფიქრები ბუხრის წინ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5, თბილისი.

**წერეთელი 1990** – აკაკი წერეთელი, ჩემი აღსარება, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5, თბილისი.

**ხუციშვილი 1949** – სოლომონ ხუციშვილი, აკაკის დრამატურგია, წიგნში: აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებული, თბილისი.

Nino Vakhania

### **Alexander Orbeliani – Akaki Tsereteli's Spiritual Ancestor**

#### Summary

One of the features of Georgian literature is to be considered circumstance stating that we have many common points in romanticism and realism. First of all this is dissatisfaction by present, primacy of national subject matter. This is a feature of romanticism of all world countries and is obvious that Georgian literature is no exception. Dissatisfaction was caused by the annexation of Georgia by Russia, extinction of our statehood and as neither 60s of the 19<sup>th</sup> century had changed anything to this end (on the contrary – russification of Georgian population was taking place successfully), it is natural that the reason of insulting and resentment remained the same even for realists. And though the difference is also eminent, actually Georgian romanticists are spiritual ancestors of realists.

Akaki Tsereteli used to call Nikoloz Baratashvili as a spiritual ancestor of Ilia and also considered his personal writing as directed to this point.

Though, this time I tried to emphasize spiritual precondition of Alexander Orbeliani to Akaki.

Akaki Tsereteli especially loved Alexander Orbeliani, one of the leaders of 1832 Georgian plot, author of fine and documentary or other genre writings. Akaki recalled his elder friend in some memoirs and everywhere with a special respect. Obviously both of them felt mutual



appreciation and favor. Though personal relations and other creative interests differ from each other.

In this case we see that these two writers differed from each other with age and sequence of literary course, who have similar ideology and often equal opinions both on the issues of language and literature and on social and political issues. We can not state that Akaki as a writer was completely educated by following Alexander Orbeliani, though we may doubtlessly state that Orbeliani consolidated already formed ideology and evidently or obscurely had a beneficial influence on Akaki's writing, more encouraged young Akaki for the purpose of gaining freedom towards uncompromising fight.

"His inmost feeling and his spiritual state covered Georgia" – Akaki Tsereteli used to write about Alexander Orbeliani and these words exactly express the rule of poet's life and mentality. Alike Al. Orbeliani, Akaki Tsereteli also served Georgia with his entire creation, both for the survival of state and every Georgian points (language, past, disposition, temper, religion...).

Special attention is to be drawn to similar standpoints of Alexander Orbeliani and Akaki Tsereteli on social issues. It is known that romanticist writer was developing so called parental theory of master and slave. The same way was thinking 60s poet. The main is that the representatives of elder and younger generation equally care about social justice that should be basis of national attitude.

It is known that the literary source of Akaki Tsereteli's dramatic poem "Patara Kakhi" is Alexander Orbeliani's play – "The First Time of Tsar's Son Irakli or Devotion of Georgians".

There is more similarity between these two writings than before noted in our literary criticism. "The First Time of Tsar's Son Irakli" evidently reflects ideas and disposition of 1832 Georgian plot. If not his leader, Alexander Orbeliani and his dissentic talks with younger generation, Akaki would not had neither comprehended nor at all informed about that plot.

It is noteworthy that there is a few source about Neishni Struggle. Both of these writers (creators living in different epochs) provided basis for their writings, exactly this historical fact - the first war conducted by tsar's son Erekle.

Writing of both writers is drama – one prosaic, second - dramatic poem. There are many characters in both poems: tsar's son, King Teimuraz II, Queen Tamar, Erekle's tutor GiviCholokashvili, RevazBeburishvili close friend of tsar's son... Erekle is 15 years old with Al. Orbeliani, but with Akaki 16 years old. This insignificant difference has no any characters. Activity of women is noteworthy in both cases (reflection of the period of 32). Both of these writers posed an idea of life in mountains and valleys, or unity of Georgia. In both cases is emphasized unity of nobles and peasants. There is not hidden past spot or dirt. Peculiarity on naming characters is also noteworthy (both of them applied so called speaker surnames and names). Both of the dramas serve to the instillation of optimism to reader and its contemporaneity.

**ანდროგინია და დიადა: ტყუპების მითოსის  
მსოფლმხედველობრივი ასპექტები**  
(არქაული და ინდოირანული კონცეპტები)

*„ორი სული, რომლებიც დასაბამის ხილვებშივე იყვნენ ვითარცა ტყუპი,  
ყოველ აზრში, სიტყვასა და საქმეში არიან არსით კეთილი და ბოროტი, ...“  
(ავესტა, იასნა 30,3).*

მითური ტყუპები – ერთად შობილი ზებუნებრივი პირველარ-სებები, რომელთა გაჩენაც წინ უსწრებს სამყაროს წარმოშობას, ხოლო მოღვაწეობა განსაზღვრავს შესაქმეს – სამყაროს იმ ფორმით არსებობას, როგორც დღეს არის, არქაულ კულტურებში გამოხატავენ პირველყოფილი აზროვნების მაღალგანვითარებულ, შეიძლება ითქვას, – ონტოლოგიურ, ფორმას. **ტყუპების მითოსში ორი ტყუპისცაღლის სახით წარმოდგენილია კოსმიური და სოციალური უნივერსალური დიქტომიები –სამყაროს პოლარული საწყისები.**

ტყუპების მითოლოგიური სახის წარმოშობა და ონტოლოგიური დამუშავება (რასაც, ბუნებრივია, წინ უსწრებდა ემპირიული დაკვირვება და პირველადი პრიმიტიული ცოდნა ტყუპების ბიოლოგიურ ფენომენზე) პირველყოფილ მითოლოგიებში უშუალოდ უკავშირდება პირველადი მთლიანობის დაშლის თანამდევ კოსმოგონიურ პროცესებს – კოსმოგონია და მისი სტატისკური კოსმიური მოდელი – სამყაროს მოწყობა, შესაქმის მეტ-ნაკლებად მარტივი **მონომთლიანობის** სქემიდან (რაც ბუნების ობიექტებით, ადამიანის წარმოშობით, სხვადასხვა ეტიოლოგიებით, და რაც მთავარია, – სამყაროს, ადამიანისა და ბუნების პარტიციპაციით განისაზღვრება) გაცილებით რთულ – **დიქტომიურ** და საბოლოოდ, **დუალურ** სტრუქტურაზე გადადის: ა) საწყისიდან გამოცალკეებული და უნივერსალურად (რადიკალურად) დიფერენცირებული დიქტომიური პოლარობების(ზედა და ქვედა, მარჯვენა და მარცხენა და ა. შ.) – **უნივერსალური დიქტომიების** ფორმირება (მათი კოსმოგონიური ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა კოსმოსში); ბ) მოგვიანებით (და საბოლოოდ) – წინარე უნივერსალურ დიქტომიებზე დაფუძნე-

ბული სამყაროს ფუნდამენტური დუალური ონტოლოგიური საწყისების(სიკეთე და ბოროტება) გაფორმება მითოსში.

ტყუპების მითოსის არქაულ ვერსიებშივე იწყება უნივერსალური დიქოტომიების გადამუშავება და მითური ტყუპების საწყისთა/პოლარობათა დიფერენციაცია წმინდა დუალური ნიშნით – ტყუპებს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებისა და ამ საფუძველზე წარმოშობილი კოსმიური მასშტაბის დაპირისპირების ჩვენება; თუმცა დუალური მსოფლმხედველობა რელიგიური დოქტრინების სახეს მაღალგანვითარებულ მითოლოგიებში, განსაკუთრებით, ინდო-ირანულ კოსმოგონიებში – ინდური პრაჯაპატის ბრაჰმანურ ინტერპრეტაციებსა და ძველირანულ ზურვანიზმში იძენს.

ინდური დუალური კოსმოგონია ირანულთან შედარებით მეტ-ნაკლებად ლოიალური ხასიათისაა: თუკი ინდური კოსმოგონიის ფარგლებში გარკვეული დოზით ხერხდება ორი ანტიპოდური საწყისის – ღმერთების ორი მოდგმის (ერთმანეთის ძმების) – ნათლისა („დღის“) და წყვდიადის („ღამის“) ღმერთების „ურთიერთთანამშრომლობა“, ირანული კოსმოგონია რადიკალური, რეაქციული დუალიზმით გამოირჩევა და ონტოლოგიური საწყისების უკიდურესი დაპირისპირების რეალიზებას ახდენს.

ინდური პრაჯაპატი სამყაროს შექმნასთან ერთად ქმნის ღმერთების ორ სახეობას – ზედა და ქვედა ღმერთებს (ასურებს). მმათა ეს ორი მოდგმა ერთმანეთს ანტიპოდური პოლარული საწყისებით უპირისპირდებიან: პრაჯაპატიმ „ზედა ღმერთები“ შექმნა დღისაგან და ღამისაგან შექმნა „ქვედა ღმერთები“ – ასურები. ძველინდურ მითში, რომელიც შესულია „ბაჰავატ-გიტაში“ (VIII, 24, 25), ნათქვამია, რომ ღმერთები იყვნენ თეთრები, ასურები – შავები, ღმერთებთან იყო ჭეშმარიტება, ასურებთან – სიცრუე და უსამართლობა; პრაჯაპატიმ ღმერთები შექმნა მარჯვენა ხელით, ხოლო ასურები – მარცხენით. ღმერთებს მიანიჭა ძალა, ხოლო ასურებს ის გამოაცალა, რის გამოც დაიღუპნენ კიდევ. ინდური პრაჯაპატის მსგავსად, ირანული ზურვანიც სამყაროში ორ ანტიპოდურ პოლარობას წარმოშობს. მისი მითორელიგიური სახე დუალისტურად კიდევ უფრო ღრმად და მუშავებული: ზურვანი დასაბამისეული მთლიანობის, უსასრულო დროისა და სივრცის (ზოგიერთი მკვლევარი ზურვანს აიგივებს სივ-

რცესთანაც [Hinnells, 1985: 72]<sup>1</sup>, არადიფერენცირებული ნათლისა და ბნელის, მდედრობითისა და მამრობითის განმასახიერებელი ანდროგინიური არსებაა. ზურვანის მითი და მთელი ირანული კოსმოგონიური კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა პერიოდის რელიგიურ ტექსტებს მოიცავს (უპირველესად „ავესტა“ და „დიდი ბუნდაჰიმნი“), საბოლოოდ ორ დუალურ ტყუპ სულზე დაიყვანება და მარადიული დროიდან (ზურვანიდან, რომელიც არის დრო) ამოზრდილი და თავად ამ დროში განფენილი სიკეთისა და ბოროტების, როგორც მთლიანი სუბსტანციის (თავად ზურვანის სუბსტანცია) დიფერენციაციას (ორმაზდი და არიმანი), დუალურ კოსმოგონიას/შესაქმესა და კოსმოსის სიცოცხლის ციკლურ რიტმზე (კოსმიური ციკლები) ორგანიზებას ისახავს მიზნად. „ორი სული, რომლებიც დასაბამის ხილვებშივე იყვნენ ვითარცა ტყუპი, ყოველ აზრში, სიტყვასა და საქმეში არიან არსით კეთილი და ბოროტი ...“ [Avesta, 1896: Yasna, გათა 30, 3], – ნათქვამია ძველირანულ წმინდა წიგნში – ავესტა. ორი დასაბამისეული დუალური ტყუპი სულის მითოსი, რომელთა შესახებ სტრიქონები ავესტას გათებში არაერთხელ გვხვდება, როგორც ბოიესი თვლის, არის ის ძირითადი წყარო, საიდანაც ძველირანული დუალური სწავლება, ერესად შერაცხილი ზურვანიზმი აღმოცენდა [Boyce, 1979: 68]. ზურვანიზმის სწავლების მრავალვარიანტული, თუმცა ერთადერთი მითი ტყუპი ძმის – ორმაზდისა და არიმანის შესახებ<sup>2</sup> მთლიანობაში მოიცავს დუალური მითოსის ყველა იმ ას-

<sup>1</sup> ძველი ბერძენი ფილოსოფოსის – ევდემე როდოსელის (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, „მაგები ყოველგვარ მთლიანობას და გონით საწვდომს უწოდებენ ზოგჯერ სივრცეს, ზოგჯერ დროს, რომლისგანაც წარმოიშვა ორმუზდი და არიმანი – ნათელი და ბნელი“. როგორც ელიადე წერს, ეს ცნობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოწმობს, რომ აქემენიდების ეპოქის დასასრულისთვის ირანელებისთვის ცნობილი იყო დრო-სივრცის გაგების რელიგიური სპეკულაციები: დრო-სივრცე გვეკლინება ორმუზდისა და არიმანის სახეებით ხორცმსხმული სიკეთისა და ბოროტების საერთო წყაროდ [Eliade, 1982: 309].

<sup>2</sup> ორმაზდისა და არიმანის მითოსი არის ერთ-ერთი ფუნდამენტური სპარსული რელიგიური სწავლების – „ზურვანიზმის“ (VII ს. ჩვ. წ.-მდე) ტექსტი. მითის ვარიანტების არსებობა, რაც ძირითადად არა სიუჟეტურ, არამედ იდეოლოგიურ განსხვავებებში გამოიხატება, ცხადყოფს, რომ ზურვანისტული სწავლება არ ყოფილა საბოლოოდ კანონიზებული. ზურვანიზმის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ერთი ვერსიით, ზურვანიზმი ამოიზარდა ზოროასტრიზმის წიაღში, თუმცა სხვა უფრო საწმუნო ვერსიით ზურვანის მითორელიგიური სახე და მასთან დაკავშირებული დოქტრინა გაცილებით ძველი და რთული სტრუქტურისაა და წარმოადგენს პრეზოროასტრულ რელიგიურ ტრადიციას, რომელიც აღმოცენდა

პექტს, რომელთა ცალკეულ ელემენტებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვხვდებით ტყუპების არქაულ მითებში. საბოლოოდ, ტყუპების მითოსის არქაული და კლასიკური ვერსიებით სახეზეა დუალური შესაქმის უნივერსალური მითოსური პარადიგმა. იგი მოიცავს ბოროტების წარმოშობის მიზეზშედეგობრივ კავშირსა და ბოროტების პირველად აქტს, რასაც საბოლოოდ სამყარო მიჰყავს დუალურად მოწყობილ კოსმიურ მოდელამდე.

### **პირველშობილი ტყუპისცალი და ბოროტების პირველი აქტი**

მითური ტყუპები არ არიან თანაბარი გონებრივი და ფიზიკური ძალის და შემოქმედებითი უნარის, არც – „თანაბარი ასაკის“ – ტყუპთაგან ერთ-ერთი ყოველთვის პირველი იბადება და კოსმიურ დროში(რაც მითოლოგიურ დონეზე უამრავ ღვთიურ „წელს“ მოიცავს) წინ უსწრებს მეორე ტყუპისცალის დაბადებას: *ტყუპების უფროს-უმცროსობა მთლიანად განსაზღვრავს მათ ონტოლოგიურ საწყისებს: პირველშობილი ზეციური, ნათელი არსება და სამყაროში ყოველგვარი სიკეთის შემოქმედი, ხოლო გვიანშობილი – წყვედიადის არსება და ყოველგვარი ბოროტების შემქმნელი*. შესაბამისად: **პირველშობა უპირობოდ განსაზღვრავს პირველშობილის დემიურგულ, კოსმოკრატულ უნარს/ძალასა და კოსმოსში უზენაესობის ლეგიტიმურ სტატუსს.**

დუალური ტყუპების კოსმოგონიების არქაულ ვერსიებში ძმების პირველი დაპირისპირებაც პირველშობილის სტატუსის მოსაპოვებლად იწყება: ამერიკის ინდიელთა Coahuila-ს ტომის მითური

---

აქამენიდების პერიოდში მიდიაში, მაგების ქურუმთა წრეში. ზურვანიზმი ზოროასტრიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ კეთილ და ბოროტ საწყისებს აღიარებს ერთი საერთო სუბსტანციიდან წარმოშობილად. ეს სუბსტანციები თავმოყრილია ზურვანში – უსასრულო დროში. ზურვანიზმის დროის კონცეფცია გულისხმობს კოსმოსის არსებობის ციკლიზაციას დროის ფაზებად(ნათლისა და ზნელის მეუფების ფაზები). ზურვანიზმის სწავლებიდან თითქმის არაფერი შემორჩა. ზურვანიზმის მითოლოგიამ ფრაგმენტულად მოაღწია გაცილებით გვიანდელი, სასანიდური და პოსტსასანიდური პერიოდის წყაროებით. ზურვანის მითის ყველაზე სრული ტექსტი კი ცნობილია არაირანული წარმოშობის წყაროებიდან, კონკრეტულად, სომეხი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის – ეზნიკ კოლბელისა (V ს. ჩვ. წ.-ით.) და სირიელი ავტორის – ბარ კონანის მონათხრობებიდან. მითის საინტერესო ინტერპრეტაციას ვკითხულობთ პლუტარქეს ტრაქტატში „ისიდასა და ოსირისზე“, თუმცა პლუტარქე თავად ზურვანს არ ახსენებს [Zaehner, 1955:438-439; Hinnells, 1985:71-73; Boyce, 2001:67-69; Corbin, 1983:12-20; Eliade, 1982:309-313; Plutarch, 46-47.1939:111-115].

ტყუპები – მუკათი და თემაიუთი, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ერთდროულად იზადებიან<sup>1</sup> შესაქმმედელ ქაოსურ სივრცეში, მთელ მათ კოსმოგონიურ მოღვაწეობას თან სდევს ჩხუბი უფროს-უმცროსობის გამოსარკვევად: „მათ ერთსა და იმავე დროს გამოარღვიეს თავიანთი წიაღი და თავდაპირველად მათი თავები გამოჩნდა, შემდეგ გამოჩნდა მათი – მხრები, წელი, მუხლები, ფეხები. ასე ერთდროულად გამოვიდნენ ისინი თავიანთი გარსიდან გარეთ, წყვილიადში. ბნელი სივრცის მიღმა ისინი კვლავინდებურად ვერ ხედავდნენ ერთმანეთს, თუმც კი ისხდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ. მაშინ თემაიუთიმ თქვა: – „მე შენზე უფროსი ვარ, რადგან პირველად მე გავიგონე ხმები, რომლებიც გაისმის არაწყვილიადან!“ მუკათი შეეწინააღმდეგა: – „არა, მე ვარ უფროსი, მე გავიგონე ხმები თავდაპირველად!“ – და დაიწყეს მათ ჩხუბი“ [Strong, 1929: 130-132].

პირველშობილი ტყუპისცალი ჭეშმარიტი კრეატორია, – ნამდვილი დემიურგი, რასაც მოკლებულია ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეორე ტყუპისცალი. ამიტომ შესაქმეში უუნარო, ნეგატიური ტყუპისცალის სურვილი და ბაძვა, შექმნას ისეთივე მშვენიერი სამყარო, როგორსაც კრეატორი ძმა ქმნის, აბსურდად გადააქცევს ძმებს შორის არსებულ კონკურენციის იდეას – უუნარო ტყუპისცალის „შესაქმე“ საწყისშივე განწირულია. ტყუპების არათანაბარუნარიანობა არის ის მითოლოგიური და ონტოლოგიური წინაპირობა, რაც მოგვიანებით წარმოშობს რადიკალურ დაპირისპირებას ტყუპებს შორის და **ჰარმონიულ ტყუპებს გადააქცევს ანტაგონისტურ ტყუპებად**. სწორედ აქ, ტყუპების არქაული მითოსის ამ ეპიზოდში ისახება დუალიზმის პირველი ნიშნები.

\*\*\*

**პირველშობილის სტატუსის მოპოვებას თან ახლავს ბოროტების პირველი აქტი, რაც ონტოლოგიურ დონეზე ბოროტების, როგორც ონტოლოგიური საწყისის, გაფორმებას ნიშნავს –სამყაროში ბოროტი საწყისის შემოსვლა (წარმოშობა) გაფორმებულია ბოროტე-**

---

<sup>1</sup> მითში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია პრედულური დიქტომიურ-ჰარმონიული ასპექტი.

**ხის პირველი აქტით.** ამერიკის ინდიელთა, იროკუზ-გურონების მრავალ ვარიანტებად ცნობილ მითში თავისქარასა და თავისკარონის შესახებ [ვარ.: Barbeau 1915: 44; 306-309; Kenton 1927: 84, 229], ძმებს შორის დუალურ-ანტაგონისტური დამოკიდებულება ჯერ კიდევ დედის წიაღში იწყება: უფროსი კეთილი და შემოქმედი ძმა იოსკეჰა იბადება ბუნებრივი წესით და სამყაროსთვის ყოველგვარი სიკეთე მოაქვს, ხოლო მისი ბოროტი უმცროსი ძმა თავისკარონი, რომელიც ძალადობრივი გზით იბადება, სამყაროში ყოველგვარი ბოროტების წარმოშობის საწყისია: „ცის ქალმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო ტყუპებზე. ტყუპთაგან უფროსი – თავისქარა იყო კეთილი და მეორე უმცროსი – თავისკარონი იყო ბოროტი. სანამ დაიბადებოდა, მან უთხრა ძმას დედის წიაღში: „არ მოვევლინები მე ქვეყნიერებას ჩვეულებრივი გზით, არამედ გავარდევ დედის საშოს და ჩემით გამოვალ გარეთ“. ძმამ უთხრა „ასე არ შეიძლება, ეს მოკლავს ჩვეენს დედას“. მაგრამ ბოროტმა ძმამ უპასუხა, რომ ამას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. კეთილი ძმა დაიბადა ბუნებრივი წესით, მეორე ძმამ კი, როგორც თქვა, გააპო დედის წიაღი და გარეთ გამოვიდა, რითაც გამოიწვია დედის სიკვდილი“ [Barbeau, 1915: 44-47].

მითური ტყუპების დაბადების არქაული მითოლოგემა თითქმის უცვლელად გვხვდება განვითარებულ მითოლოგიებში. ორმაზდისა და არიმანის ირანულ მითში ბოროტი არიმანი პირველდაბადების მიზნით დროზე ადრე აპობს ანდროგინიური მამის – ზურვანის წიაღს და მამის წინაშე წარმდგარი, როგორც პირველშობილი ძე, თავის სამყაროს მეუფედ გამოცხადებას მოითხოვს. ძალადობრივი ადრეშობის აქტს იმეორებს დუალურ-კოსმოგონიური ხასიათის ეგვიპტური მითი ორ ანტაგონისტ ძმაზე – ოსირისსა და სეთზე. პლუტარქეს გადმოცემით, ბუნებრივ დროზე ადრე ძალადობრივი გზით იბადება უდაბნოს ბოროტი ღმერთი სეთი, რომელმაც ძლიერი დარტყმით გააპო დედის – ცის ქალღმერთის მხარი და გარეთ გამოვიდა [Plutarch, 12. 1939: 33]. ძმების ონტოლოგიური დაპირისპირება და ოსირისის სიკვდილ-ადდგომა საფუძველს უყრის სამყაროში ზეციური და მიწისქვეშა(საიქიო) სამეფოების, როგორც საპირისპირო პოლარულ საწყისთა საბოლოო ფორმირებას (კალენდარულ-სეზონურ ასპექტთან ერთად).

*ამდენად, ტყუპების მითოსურ ციკლში – „პირველშობილის“ არქეტიპი, რაც გულისხმობს მშობელი პირველწიაღიდან (დედის სა-*



შო, ან ანდროგინური მამის წიაღი) „ჭემმარიტი ძის“/დემიურგის ბუნებრივი გზით დაბადებას, გავრცობილია „ადრეშობილის“ არქექტიპით, – „ფსევდო ძის“/უარყოფითი ტყუპისცალის – ტრიქსტერის არაბუნებრივი (ხელოვნური, ძალადობრივი) დაბადებით ბუნებრივ დროზე ადრე, „პირველშობილის“ სტატუსის/ძალაუფლების მოსაპოვებლად. აქ სახეზეა უძველესი არქექტიპების თვისობრივად ახალი ონტოლოგიური გადამუშავება, რაც წარმოშობს სრულიად ახალ მსოფლმხედველობრივ, უკვე დუალურ მითოლოგიას. ამ ახალი დუალური მითოლოგიის ონტოლოგიური საზრისი და მორალიც ასეთია: – ბოროტება იზადება ბოროტებრივი გზით და თავს ავლენს დაბადებისთანავე (წარმოშობისთანავე).

დუალური კოსმოგონიის ბოროტების წარმოშობის მითოლოგია ონტოლოგიურად კიდევ უფრო ღრმავ: იგი გვეუბნება, რომ პირველშობილის სტატუსის ძალადობრივი გზით მოპოვება ნეგატიურ ტყუპისცალს, მართალია, გარკვეული დროით უნაწილებს/ანიჭებს სამყაროს მეუფების სტატუსს, მაგრამ **მას არ უცვლის ონტოლოგიურ საწყისს**, იგი სამარადისოდ წყვედიადის არსებად რჩება და ვერასოდეს იძენს დემიურგის/კოსმოკრატის შემოქმედებით უნარს / ძალას, რაც სამყაროს მეუფების ნამდვილი ლეგიტიმაციისათვის არის აუცილებელი: ამიტომ არის, რომ ასეთი გულმოდგინებით ბაძავს ქმნადობაში დემიურგ ძმას ნეგატიური ტყუპისცალი, თუმცა მისი ყოველი მცდელობა წარუმატებელია: **ქმნადობის უუნარობაში გაცხადებულია ნეგატიური ტყუპისცალის თავად საწყისი, რომელიც შესაქმნის ანტიპოდურია** – მისი საწყისი ქაოსია, დამანგრეველი ძალაა და არა ქმნა. ამიტომ მისი მოღვაწეობა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ განადგურებისაკენ, ქაოსურობისაკენ, ესაა მისი ბუნებრივი მდგომარეობა. უარყოფითი ტყუპისცალის ადგილი კოსმოსში არ არის და როცა „შემოქმედებითი ბაძვით“ ცდილობს გახდეს ჭემმარიტი დემიურგი, იგი წინააღმდეგობაში მოდის თავისსავე ქაოსურ საწყისთან და გადაიქცევა კომიკურ მითოსახედ – ტრიქსტერად<sup>1</sup>: როცა დემიურგი ქმნის სამყაროს დადებით გამოვლინებებს, ტრიქსტერი წარუმატებელი მიმბაძველობით ამ დადებით მოვლე-

---

<sup>1</sup> „ტრიქსტერი“ – იგივე „მითოლოგიური გაიძვერა“. ტერმინი მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან “trick“, ”trickster“ ტრიუკების მოყვარული, მატყუარა, თაღლითი, ხუმარა.

ნებს უარყოფით მხრეებს სძენს. მაგ., დღეს შესძენს ღამეს, მცენარეს – ეკალს, ცეცხლს – კვამლს და ა. შ. თანდათანობით ტრიქსტერის მითოლოგიური სახე დემიურგის მიმზამველი უბრალო ორეულის ფარგლებს სცდება, ფართოვდება და დუალიზმის ონტოლოგიურ კატეგორიაში გადადის: საბოლოოდ ტრიქსტერი სამყაროს ბოროტი საწყისის პარადიგმულ ფუნქციას იძენს და კეთილ საწყისთან მარადიულად დაპირისპირებულ ძალად გვევლინება. იგი მიწისქვეშეთში ან წყვედიადის განმასახიერებელ რომელიმე განზომილებაშია განდევნილ-დამკვიდრებული; თუმცა არქაული მითების დუალური ონტოლოგია კოსმოსის საკეთილდღეოდ ბოროტი საწყისის ტყუპისცალის სრულ განადგურებასაც უშვებს თავად კეთილი ტყუპისცალის მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებით – ასეთია იროკუზურონების მითი „თავისქარა და თავისკარონის“ შესახებ.

ამდენად, დუალური კოსმოგონიების არქაული ვერსიების მთავარი კონცეპტები ამგვარად ლაგდება: **მითური ტყუპების – დემიურგისა და ტრიქსტერის მითოსახეებით გამოხატულია უნივერსალური დიქტომიები და პირველყოფილი დუალისტური მსოფლმხედველობა; ბოროტება იზადება ბოროტებრივი გზით და თავს ავლენს წარმოშობისთანავე; პირველშობილის სტატუსის ძალადობრივი გზით მოპოვება არ ცვლის ონტოლოგიურ საწყისს; შესაქმის უუნარობაში გაცხადებულია ნეგატიური ტყუპისცალის ბოროტი საწყისი, რომელიც შესაქმის ანტიპოდურია; ბოროტი საწყისის ადგილი არ არის კოსმოსში და იგი თავისივე საწყისში – წყვედიადში განიდევენება.**

ამ მნიშვნელოვანი დუალისტური კონცეპტების შემდეგ დგება ტყუპების მითოსის ყველაზე მნიშვნელოვანი ონტოლოგიური საკითხი: **რა კოსმოგონიური პროცესები განაპირობებს სამყაროში დიადას – ორი პოლარობის წარმოშობას? რატომ მოხდა სამყაროში ერთის ნაცვლად ორი ანტიპოდური საწყისის – ნათლისა და ბნელის ერთდროული ჰიეროფანია?** ამ ონტოლოგიურ კითხვას კიდევ უფრო წინარედასაბამისეულ მოვლენებში – წინარედიადის – პირველმთლიანობის, ანდროგინიის დროში გადაყვავართ: ტყუპების მითოსს იწყებს ანდროგინიის, როგორც დასაბამისეული პირველმთლიანობისა და მისი **რღვევა-ჰიეროფანიის მითოონტოლოგიური პარადიგმა**. უნდა გვახსოვდეს, რომ ანდროგინია გაცილებით კომპლექსური მოვლენაა, ვიდრე უბრალოდ სქესთა შერწყმა. როგორც ელიადე ფიქრობს, ანდროგინია არის მთლიანობის, საპირისპიროთა

თანაარსებობის, *coincidentia oppositorum*-ის გამოხატვის არქაული, უნივერსალური ფორმულა.<sup>1</sup> ღვთაებრივი ანდროგინია თავისი მთლიანობის – სტატიკური ონტოლოგიური ფორმის გადალახვით, დასაბამს აძლევს შესაქმნის ხანგრძლივ პროცესს<sup>2</sup>. ამერიკის ინდიელთა იუმას ტომის მითის მიხედვით, „კოკომათი იყო შემოქმედი და ცხოვრობდა იგი წყლის ქვეშ. იყო ორი არსება ერთში. ის აღდგა წყლიდან და წარმოთქვა საკუთარი სახელი: – კოკომათი, მამა და შემოქმედი ყოვლისა! მაგრამ მალე მისგან წარმოიქმნა მეორე ქმნილება, რომელსაც ერქვა ბაკოთალი...“ [Curtis 1968, 562-568]. ტყუპების ჩრდილოამერიკულ ზუნის ტომის მითში ანდროგინური შემოქმედი პირველარსება თავისივე წიაღიდან გამოაცალკევებს კოსმოგენეზურ გამანაყოფიერებელ ორ თესლს: „თავდაპირველად იყო მხოლოდ Awonawilono - ყველაფრის შემოქმედი, რომელიც იმ საყოველთაო სიცარიელეში სრულიად მარტო იყო. მერე მზედ გადაიქცა და თავისივე სუბსტანციიდან შექმნა ორი თესლი, რომლითაც დიდი წყლები გაანაყოფიერა...“ [Cushing 1896: 379].

**ღვთაებრივი ანდროგინის რღვევას ყოველთვის მიეყვართ ონტოლოგიურ დიადასთან, მაშინაც კი, როცა ანდროგინიური პირველწიაღი ერთადერთი (და არა ორი) ნათელი საწყისის ჰიეროფანიის მოლოდინშია.** „ერთი და არა ორი“ – ეს ონტოლოგიური პრობლემა მთელი თავისი სისრულით უკვე ინდოირანულ მაღალგანვითარებულ დუალურ მითოლოგიებშია გაცნობიერებული.

ინდოირანული დუალური პარადიგმა ონტოლოგიური თვითწინააღმდეგობის ფონზე ყალიბდება: უზენაესი მსხვერპლშეწირვების თანხლებით ზურვანიცა და პრაჯაპატიც **ერთადერთი ჰემმარტი ძის (და არა ორის)** დაბადების მოლოდინშია – ეს უკანსაკნელი ფაქტორი გვევლინება ინდოირანალური ანდროგინიის გამორჩეულ

---

<sup>1</sup> ანდროგინიის საკითხი ფუნდამენტურად აქვს შესწავლილი მირჩა ელიადეს წიგნებში: Eliade Mircea, Mephistopheles and the Androgyne: studies in religious myth and symbol. Sheed and Ward, 1965.

<sup>2</sup> ანდროგინიური პირველმთლიანობის დიფერენციაცია ორ პოლარულ საწყისად კოსმოგონიებში ორი განსხვავებული ფუნდამენტური ნიშნით არის რეალიზებული – **ონტოლოგიურ საწყისთა (ნათელი და ბნელი) ნიშნით** – ტყუპების კოსმოგონიებში (პირველარსებული ანდროგინიური წიაღიდან გამოიყოფა სამყაროს ნათელი და ბნელი ონტოლოგიური საწყისები ორი ტყუპისცალის სახით) და **სქესობრივი ნიშნით**: ჰიეროგამიური წყვილის („საკრალური ქორწინება“) – მამრი – ზეცისა და მდედრი – მიწის დამორიშორების კოსმოგონიური აქტით.

ონტოკოსმოგენეზურ შტრიხად, რაც თავისთავად პირველყოფილი მითოწარმოდგენების შემდგომი – ღრმად თეოლოგიური გადამუშავების შედეგია. მივეყვით მოვლენათა განვითარებას ინდოირანული ანდროგინურ-კოსმოგენეზური სცენარით.

დუალური კოსმოგონიური პარადიგმა გვეუბნება, რომ რამდენადაც ანდროგინიური პირველწიალი – მარადიული დრო – ზურვანი, პრაჯაპატი (პრაჯაპატიც ზურვანის მსგავსად პირველარსებულ უსასრულო დროს განასახიერებს) თანაბრად ატარებს ორივე საწყისს საერთო სუბსტანციაში, სწორედ ამიტომ შესაქმისას, როცა შესაქმე საკუთარი წიალიდან საკუთარი სუბსტანციით ხდება და არა რაიმე გარეგანი „მატერიისაგან“, ასეთ შემთხვევაში გარეთ გამოდის ყველფერი ის, რაც შიგნით არის, **გარეთ გამოდის (გაცხადდება) ღვთაების დაფარული ზნელი ნაწილიც, რაც კოსმოსის შემოქმედის, ტრანსცენდენტური უზენაესი ღვთაების სრული ონტოლოგიური ლუსტრაციაა** (რა თქმა უნდა, აქ დგას არა ღვთაებრივი „მორალის“, არამედ ონტოლოგიური პოზიციის საკითხი). ამ ონტოლოგიურ ლუსტრაციას, როგორც შესაქმეში კატასტროფული „ხინჯის“ შესაძლო გაპარვას – მომავალი კოსმოსის საკეთილდღეოდ, ათასწლოვანი მსხვერპლშეწირვებით მთელი არსებით შეეწინააღმდეგა ზურვანიც და პრაჯაპატიც: „როცა არაფერი არ იყო, არ იყო მიწა, არ იყო ცა, არ იყო არანაირი სულდგმული ცისა და მიწისა, იყო ერთადერთი არსება – უსასრულო დრო, სახელად ზურვანი. ზურვანი, თავისივე სიდიადით გარემოცული, არსებობდა ყოველთვის და იარსებებდა მარადიულად. მაგრამ ზურვანი მარტო იყო საკუთარ სიდიადეში და რადგან არავინ შეუქმნია მას სამყაროში, არც არავინ ეთაყვანებოდა მას და არავინ უწოდებდა შემოქმედს. სამყარო იყო ცარიელი, ზურვანს სურდა შესძენოდა ვაჟი ორმაზდი, რომელიც შექმნიდა ცას, მიწას და ყოველივეს, რაც არის მათში. ამისთვის ზურვანი ათასი წლის მანძილზე სწირავდა მსხვერპლს...“ [Zaehner, 1955: 438] – მოგვითხრობს ზურვანის მითი. პრაჯაპატიც თავისი თავიდან ქმნის სამყაროს და რომ მიეცეს ვაჟი, ამისათვის მიმართავს განსაკუთრებულ მსხვერპლშეწირვას – Dakṣayana-ს [Eliade, 1982: 312].

ფალაურ ენაზე დაწერილ ირანული შესაქმის ტექსტში „დიდი ბუნდაჰიშნი“ წერია, რომ „ყველა ქმნილება შეიქმნა მსხვერპლშეწირვის გზით“ [Bundahishn, 3, 20] და ეს მსხვერპლშეწირვები თავისი ხასიათით განსაკუთრებულია. როგორც ჰინელსი შენიშნავს ზურვანის მითთან დაკავშირებით, სპარსულ რწმენა-წარმოდგენებში მსხვერ-

პლშეწირვას აქვს თავისთავადი ღირებულება და ძალა (Hinnells, 1985:71). არც ზურვანის და არც პრაჯაპატის მსხვერპლშეწირვა არ არის ტიპური (ტრადიციულ-არქეტიპული) კოსმოგონიური მსხვერპლშეწირვა, რომელიც მიმართულია „გარეთ“ კონკრეტული ობიექტისკენ/სუბიექტისკენ – პირველელემენტის/სუბსტანციის მოსაპოვებლად, როცა მსხვერპლშეწირვა მოიაზრებს ღვთაების დაკვლას, – „დასაბამიერ მკვლელობას“. არამედ, ინდოირანული დუალური კოსმოგონიების მსხვერპლშეწირვა არის მსხვერპლშეწირვის სრულიად ახალი კოსმოგონიური მოდელი, მიმართული – არსად და არავისკენ, რაც თავისთავადობას, თვითკმარ ონტოლოგიურ ღირებულებას ანიჭებს მსხვერპლშეწირვის ამ ახალ პარადიგმას. ირანული ზურვანი და ინდური პრაჯაპატი ამ მსხვერპლშეწირვებით საკუთარი წიაღიდანვე ქმნიან სამყაროს და „ვაჟებს“, რომელთაც ეს სამყარო უნდა შექმნან (რაც ერთი და იგივეა – შესაქმის პროცესის დაწყება საკუთარი არსებიდანვე), ისე რომ ამით მათი არსება არ ცარიელდება, ეს მათ ღვთაებრივ საწყისს ოდნავადაც არ ასუსტებს. **ეს არის ზურვანისა და პრაჯაპატის (და ყველა მათი ტიპის ღვთაების) უზენაესობის უმაღლესი ტრანსცენდენტურობის არსებითი ნიშანი და ყველაზე ონტოლოგიური შესაქმის – Creatio ex nihilo, „შესაქმე არარადან“ – მითორელიგიური გაფორმება.**

ათასწლოვანი მსხვერპლშეწირვების შემდეგ კოსმოგონიის დუალური სცენარით განვითარებაც ამ ონტოლოგიური შესაქმის – Creatio ex nihilo, ხასიათით არის განსაზღვრული – სამყარო იქმნება „არარადან“ უზენაესი ღვთაების მიერ საკუთარი წიაღიდანვე გამოტანილი ნათელი და ბნელი „საწყისებით“ (და არა ქაოსური პირველმატერიით) – **ეს საწყისებია არამატერიალურის, სულიერის „იდეალურის“**, ისევ ირანულ მითორელიგიურ ტერმინებში რომ მოვაქციოთ – menok-ის **განზომილება**, მომავალში ორმაზდის პირველქმნილი პრემატერიალური სულიერი ქმნილებები. ისინი წინ უსწრებს მატერიალურ getik-ს<sup>1</sup>, რომელიც ასევე ორმაზდის ქმნილებებია –

---

<sup>1</sup> „menok და getik“ – არამატერიალური და მატერიალური განზომილებები(იგი არ გამოხატავს ოპოზიციას – ნათელი და ბნელი). მე-4 საუკუნის ტექსტში – “Pand Namak i Zartusht” (“The Book of Counsels of Zartusht”) ნათქვამია: „მე მოვედი ზეციური სამყაროდან (menok), არ არის მიწიერი (getik) ის, რაც მე გაგხდით. თავდაპირველად მე გამოვჩნდი სულიერი მდგომარეობით და ჩემი პირველქმნილი არსი არ არის მიწიერი...“ (Corbin 1983:1).

არამატერიალური მდგომარეობიდან მატერიალურში გადაყვანილი - და ამით შესაქმის დაგვირგვინება.

ამიტომ ის „რიტუალური შეცდომაც“ – „დაექვება“, რომელიც ხორცს ასხამს შესაქმის დუალურ სცენარს, შესაძლოა, მართლაც, „ტექნიკური ხასიათის“<sup>1</sup> იყოს: ვაჟის შექმნის სურვილით შეპყრობილი პრაჯაპატი, რომელიც მიმართავს განსაკუთრებულ მსხვერპლშეწირვას, ვარდება ექვში – „უნდა ვწირავდე მსხვერპლს თუ არ უნდა ვწირავდე მსხვერპლს“? (Eliade, 1982: 312); ისევე როგორც ექვი ანგრევს ზურვანის მსხვერპლშეწირვას: „მაგრამ გადიოდა დრო, ორმაზდი კი არ ესახებოდა. ათასი წლის შემდეგ ზურვანს გაუჩნდა ექვი: – რა სარგებელი მოაქვს ჩემს მსხვერპლშეწირვას, კიდეც რამდენ ხანს უნდა ვიცადო? მომეცემა კი საერთოდ ვაჟი ორმაზდი? ამ ექვებში ჩაესახა ორმაზდი – მსხვერპლშეწირვის ძალით, მაგრამ მასთან ერთად ჩაესახა არიმანიც – დაექვების ძალით“ (Zaehner, 1955: 438-439).

„ექვი“ ბოროტების, როგორც საწყისის, ონტოლოგიური მეტასტაზია, რომელსაც როგორც კი გასაქანი მიეცა, „მომრავლაში მოვიდა“. მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ „მეტასტაზია“ და მთელი თავისი დამანგრეველი პოტენციალის მიუხედავად, უბრალოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს – წყვდიადი/ბოროტება ნებისმიერ შემთხვევაში დაიბადება თავისი ანდროგინიური (ზურვანი, პრაჯაპატი) პირველწილიდან, რადგან ასეთია Creatio ex nihilo-ს კოსმოგონიური სტრუქტურა: **კოსმოგონიის არცერთ პარადიგმაში არ არსებობს ისეთი ღვთაებრივი ტრანსცენდენტური ძალა, რომელიც თავისთავს, თავისსავე ღვთაებრივს – საკუთარ ტრანსცენდენტურ საწყისებს გააქარწყლებდა.**

**ბოროტების, როგორც ონტოლოგიური საწყისის, წარმოშობა „არარადან შესაქმის“ – Creatio ex nihilo, პირდაპირი განსხეულებაა და მთლიანად განსაზღვრავს სამყაროს მოდელის დუალურ პარადიგმას, რომლის ცენტრშიც სამყაროს უზენაესი შემოქმედი, წინააღმდეგობრივი მრისხანე ღმერთი დგას.**

---

<sup>1</sup> მაგრამ თავად ბოროტების წარმოშობა ვერ იქნება „ტექნიკური ხასიათის უბედური შემთხვევის შედეგი, გამოწვეული ღვთაებრივი მსხვერპლშეწირველის გაუფრთხილებლობით“ (Eliade, 1982: 312), – როგორც ამახ ელიადე წერს.

## ლიტერატურა

**Avesta:** Yasna (sacred liturgy). Based on edition of Karl F. Geldner, Avesta, the Sacred Books of the Parsis, Stuttgart, 1896. This digital edition prepared 2010 by Joseph H. Peterson.

**Barbeau, C. M.** Huron and Wyandot Mythology, MEMOIR 80, No. 11, Anthropological Series, Government Printing Bureau, OTTAWA, 1915.

**Boyce, Mary.** Zoroastrians. Their Religious Beliefs AND Practices. The Library of Religious Reliefs and Practicec. "ROUTLEDGE & KEGAN PAUL". London, Boston and Henley, 1979.

**BUNDAHISHN.** ZAND-AKASIH. IRANIAN OR GREATER BUNDAHISHN. TRANSLITERATION AND TRANSLATION IN ENGLISH By BEHRAMGORE TEHMURAS ANKLESARIA, M. A. BOMBAY, 1956.

**Eliade, Mircea.** The Quest History and Meaning in Religion. Chicago-London: The University of Chicago Press, 1975.

**Eliade, Mircea.** A HISTORY OF RELIGIOUS IDEAS, 2. From Gautama Buddha to the Triumph of Christianity. The University of Chicago Press. Chicago and London, 1982.

**Curtis, natalie.** The indians book, New York, Dover, 1968.

Kenton E, The Indians of North America. New York, 1927.

**Corbin, Henry.** Cyclical Time and Ismaili Gnosis. Kegan Paul International London, Boston, Melbourne and Henley in association with Islamic publications London, 1983.

**Plutarch. Moralia,** Volume V, Isis and Osiris. Series "Loeb Classical Library", Harvard University Press. 1939.

**Strong, William** Duncan. Aboriginal society in southern California. University of California. Publications in American Archaeology, 1929, volume 26.

<https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=uc1.32106000538527;view=1up;seq=149>

**Hinnells, Jon.** Persian Mythology. LIBRARY OF THE WORLD'S MYTHS AND LEGENDS. New York: Peter Bedrick Books, 1985.

**Zaehner 1955:** Zaehner R. C. Zurvan: A Zoroastrian Dilema. Oxford. 1955.

Khatuna Tavdgiridze

**Androgyny and Diada: Ideological Aspects of Twins Myth  
Archaic and Indo-Iranian concepts**

Summary

The firstborn twin is always special and has real creative abilities of Demiurg, while the other twin lacks these abilities. Less creativeness of negative twin makes absurd the idea of competition as his creation of Universe is predestined from the very beginning. Unequality of the twins (correspondingly dychotomy polarities) is the mythological definitive factor, which later creates radical opposition between the twins polarities and cosmic rhythm of shifting turns into cosmic rhythm of struggle between them. Just here, in this episode of archaic myth of twins first signs of dualism and the idea of opposition between evil and kindness appears. From now on dichotomy twins (harmonious pair) is interchanged by dual twins (antagonic pair).

In dual paradigm of myth one of cultural heroes is Demiurg, but the other his negative demonic double, “mythological pushful person” – Trixter. Trixter imitates Demiurg’s action but he is not successful: his origin is covered in negative twin Trixster’s inability, which is antipode of creation of Universe – his origin is chaos, destructive power, but not creative. That is why his work is directed only to chaos. This is his natural state (condition). There is no place for negative twin in cosmos and when he tries to become real Demiurg by “creative imitation” he is opposed with his chaotic origin and becomes a cosmic mythological image. By mythological images of Demiurg and Trixster, ancient ideological concepts of archaic dualism are expressed.

The myth of Twins ideologically first of all expresses primary perception and accordingly appears as the basis of dichotomy division-differentiation of the Universe.

In myth of twins cosmic and social universal dychotomies are represented by two twins-polarities.



Universal dychotomies were formed after disintegration of the primary wholeness (e.g. the whole body of the sky and the earth) of the Universe and after their absolute differentiations as the polarities.

Universal dychotomies are polarities having equal power and importance. They make cosmos balanced and full as the whole and at first ideological antagonism between them is not noticeable.

## **რეპრესირებულ მწერალთა პორტრეტებიდან – ლევან ხაინდრავა**

ეს არაორდინარული, მრავალთათვის ჯერ კიდევ უცნობი მწერალი წინააღმდეგობრივი, ურთულესი ეპოქის ამსახველი 9 წიგნის, მათ შორის, 5 რომანის, ავტორია. კრიტიკოსი ამირან გომართელი მისი შემოქმედების ლაიტმოტივს ამგვარად განსაზღვრავს: „ლევან ხაინდრავამ ჩვენი მწერლობის მარადიული თემა თუ იდეა – საქართველოს დამოუკიდებლობა – საკუთარ მხატვრულ ქმნილებებში ჩააქსოვა“ [ხაინდრავა 2016: 8].

ის, გამორჩეული ხვედრის შემოქმედი, 1916 წლის 27 დეკემბერს ქ. ხარბინში დაიბადა. მამა – ივლიანე ხაინდრავა (1873-1938) სენაკის მაზრის სოფელ ლეხაინდრაოდან იყო, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და, როგორც მის ბიოგრაფიაშია აღნიშნული, იქ ანარქისტების რიგებს შეუერთდა. ერთ-ერთი აქციის დროს ამ ორგანიზაციის წევრებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი აუფეთქებიათ. ტერორისტულ აქტში მონაწილეობისათვის ივლიანე ხაინდრავას 25 წლიანი კატორღა მიესაჯა. მან პატიმრობაში 14 წელი დაყო, რის შემდეგ რუსეთის იმპერიიდან გაასახლეს და იძულებული გახდა, საცხოვრებლად ჩინეთში გადასულიყო.

ივლიანე ხაინდრავა მანჯურიასში, ქ. ხარბინში დამკვიდრდა და გადასახლებულის სტატუსის მოხსნა მოახერხა. აქ ის ბიზნესმენობდა და დიდძალი ქონებაც დააგროვა. 1908 წელს ი. ხაინდრავას მონაწილეობით ხარბინში „ქართული სათვისტომო“ დაარსდა, რომლის თავმჯდომარე გარდაცვალებამდე თავად გახლდათ. ლევან ხაინდრავას დედა – მარიამ კაჩანოვა – ასევე რეპრესირებულთა ოჯახიდან იყო. ხარბინში ცოლ-ქმარს 2 ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე – შეემინათ.

რუსეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ხარბინში გასული საუკუნის დასაწყისში დიდი კოლონია დაარსდა. იქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დასახლდა, მათ შორის, ქართველებიც. ქალაქ ხარბინის იმდროინდელი რეალობა და იქ ქართველი ემიგრანტების ცხოვრება ასახუ-

ლია ლევან ხაინდრავას მოთხრობებსა და რომანებში: „მამისეული სახლი“, „მოჯადოებული შორეთი“, „კვამლი ჰორიზონტზე“ და სხვ.

ჩინეთში ცხოვრების წლებში ლევან ხაინდრავამ კარგი განათლება მიიღო. 1938 წელს მან შანხაის ფრანგული უნივერსიტეტი „ავრორა“ დაამთავრა. მალე მას მამა გარდაეცვალა. 1947 წელს ლევანი დედასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. 1951 წელს ის დააპატიმრეს და რამდენიმე თვე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ციხეში იმყოფებოდა. შემდეგ იგი ყაზახეთში გადაასახლეს, საიდანაც მწერალი 1955 წელს დაბრუნდა (გადასახლებაში ლევან ხაინდრავას გაჰყოლიან დედა და მეუღლე, 2 წლის ვაჟთან ერთად). 1955 წელს საქართველოში ლევანის ძმა ალექსანდრეც ჩამოსულა, რომელიც რეპრესიებს გადაურჩა.

ლევან ხაინდრავას ბიოგრაფიის, კერძოდ, მისი პატიმრობის, უცნობი დეტალების აღდგენა შესაძლებელი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით, რომელიც ჩინეთიდან დაბრუნებული რეემიგრანტის, ლ. ხაინდრავას თანამოაზრის, ვლადიმერ მატკავას სისხლის სამართლის საქმეში ინახება (*ფონდი 6, საარქივო # 50287, ტ. 4, ყუთი 164*).

1950 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული რუსულენოვანი დოკუმენტი, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ ნ. რუხაძის სახელზე ტყიბულიდან გამოუგზავნიათ. ამ წერილით ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მატკავას დაკავების ნებართვას ითხოვენ. დასკვნა მის დაპატიმრებაზე 1950 წლის 12 ოქტომბრით თარიღდება. ლეიტენანტ ასათიანს შეუსწავლია ე. წ. „შანხაელების“ საქმე და გამოურკვევია, რომ ვლადიმერ მატკავა, 1913 წელს დაბადებული, ქ. ვლადივოსტოკის მკვიდრი, არასრული უმაღლესი განათლებით, მცხოვრები ქ. თბილისში, „ტყიბულნახშირის“ ტრესტის ბუღალტერი იყო. 1918 წელს იგი მშობლებმა ვლადივოსტოკიდან მანჯურიამი გადაიყვანეს და იქ 1947 წლამდე ცხოვრობდა. 1947 წელს მატკავა რეპატრიაციით სსრკ-ში დაბრუნდა, ცხოვრობდა ქ. სვერდლოვსკში, 1949 წელს კი საქართველოში ჩამოვიდა.

ამავე საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1935-1937 წლებში ვლადიმერ მატკავა ხარბინში ქართული ემიგრაციის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდათ და აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა. 1938 წელს იგი თავის ძმებთან, ხარბინი-

დან შანხაიში გადავიდა, ერთხანს ინგლისურ გემზე მატროსად მუშაობდა, შემდეგ ფრანგული არმიის დამხმარე რაზმში ირიცხებოდა. ბრალდების თანახმად, ვლადიმერ მატკავა ხარბინში ანტისაბჭოთა სტატიებს წერდა სათაურით „ყველანი კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“, იყო ფაშისტური პარტიის წევრი. საბრალდებო დასკვნაში დამოწმებულია ასევე აგენტურული ცნობები იმის თაობაზე, რომ რეპატრიანტი უკმაყოფილო იყო საქართველოში არსებული მდგომარეობით და აცხადებდა, რომ იაპონიაში უკეთ ცხოვრობდა. დოკუმენტების მიხედვით, 1950 წლის 20 ოქტომბერს მისი დაპატიმრების ნებართვა გაიცა. ვლადიმერ მატკავა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-4 მუხლით დააკავეს.

იმავე, „შანხაელების“, საქმეში ინახება დოკუმენტი „დასკვნა დაპატიმრებაზე“, რომელიც ეხება ლევან ივლიანეს ძე ხაინდრავას, დაბადებულს 1916 წელს, ქ. ხარბინის მკვიდრს, ქართველს, თბილისში მცხოვრებს, ჩინეთის ყოფილ ქვეშევრდომს, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ჟურნალისტს. დასკვნის თანახმად, ლევან ხაინდრავა 1947 წელს ჩინეთიდან საბჭოთა კავშირში რეპატრიაციით დაბრუნდა, ერთხანს ქ. ყაზანში იმყოფებოდა, შემდეგ მუდმივი ცხოვრებისათვის თბილისში გადმოვიდა. ამავე დასკვნის მიხედვით, ხარბინში ხაინდრავა გახლდათ წევრი ანტისაბჭოთა ახალგაზრდული წრისა, რომელიც დააარსა „ქართულმა საზოგადოებამ“ და მის მიერვე ფინანსდებოდა. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ ეს ემიგრანტული წრე საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად და კადრებს კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური სულისკვეთებით ზრდიდა. დასკვნის მიხედვით, წრის თავმჯდომარე ვლადიმერ მატკავა გახლდათ, ლევან ხაინდრავა – წრის ყველაზე რეაქციული წევრი, ამასთანავე, „ქართული საზოგადოების“ ყოფილი თავმჯდომარის – ივლიანე ხაინდრავას შვილი. 1934 წელს იგი შანხაიში გადავიდა და შევიდა ფრანგულ ინსტიტუტში „ავრორა“, რომელსაც რომელიღაც კათოლიკური საზოგადოება ინახავდა.

პატიმრის საბრალდებო დასკვნაში მოყვანილია ფრაგმენტები მოწმეთა ჩვენებებიდან იმის ხაზგასმით, რომ ლევან ხაინდრავა „ქართული საზოგადოების“ წევრთა შეკრებებზე ხშირად ნაციონალისტური მოხსენებებით გამოდიოდა, რომ ის მომხრეა „დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს“ შექმნისა, რომ დაამთავრა ფრანგული უნივერსიტეტი „ავრორა“ და შანხაიში ერთხანს ფრანგულ პოლიციაში მსახურობდა, ახლო ურთიერთობაში იყო ამერიკელ და ინ-

გლისელ კორესპონდენტებთან, ვლ. მატკავასთან ერთად იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ფერად მეტალებს ყიდულობდა და ა. შ.

„სრულიად საიდუმლოს“ გრიფი ადევს ვლ. მატკავასა და ლ. ხაინდრავაზე შედგენილ „ცნობებს“, სადაც იგივე ბრალდებები მეორდება. ხაინდრავას შესახებ დამატებით მითითებულია, რომ 1938 წელს იგი საფრანგეთის პოლიციის რუსულ დამხმარე რაზმში მსახურობდა, 1941 წლიდან თანამშრომლობდა პროსაბჭოთა გაზეთში „ახალი ცხოვრება“, ჩინეთში ყოფნის დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თეთრ ემიგრანტულ წრეებთან. დოკუმენტის მიხედვით, სსრკ-ში გამომგზავრების წინ ლევან ხაინდრავა მონაწილეობდა ლიტერატორთა შეხვედრებში, სადაც ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდნენ (ცნობის თარიღია 1950 წლის 21 ოქტომბერი). სხვა დოკუმენტის მიხედვით, ხაინდრავა ანტისაბჭოთა სულისკვეთებით აღიზარდა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს იზიარებდა.

1951 წლის 29 მარტით დათარიღებულ საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში 1951 წლის იანვრიდან დაიწყო გამომიება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-4 და 58-11 მუხლებით, იმ მონაცემთა საფუძველზე, რომ ჩინეთიდან საბჭოთა კავშირში რეპატრიაციით დაბრუნებული ლ. ი. ხაინდრავა საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში მოღვაწეობდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში და მტრულ საქმიანობას ეწეოდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სსრკ-ში რეპატრიაციის შემდეგ ის ცხოვრობდა თბილისში და უკმაყოფილო იყო აქ დაბრუნებით, ანტისაბჭოთა შეხედულებებს გამოხატავდა და აქებდა მანჯურიის ცხოვრების პირობებს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბრალი დადასტურებულად ჩაითვალა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ლევან ხაინდრავას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. ამავე დროს, მისი საქმე განსახილველად სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ სათათბიროს გადაეგზავნა.

იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაცული დოკუმენტების მიხედვით, 1951 წლის 7 დეკემბერს მოსკოვში სსრკ პროკურატურის სპეცსაქმეების განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველ შარუტინს განუხილავს ვლ. მატკავასა და ლ. ხაინდრავას საქმეები და დაუდგენია: ლევან ხაინდრავას საქმე დამატებითი განხილვისათვის დაბრუნებოდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშ-

როების კომიტეტს. ამავე დროს, ხაინდრავას ბინიდან, ასევე, საქართველოს არქივიდან ან მოსკოვის ცენტრალური წიგნის პალატიდან უნდა ამოეღოთ მისი სტატიებისა და მოხსენებების ასლები. ვლ. მატკავას სისხლის სამართლის საქმე განსახილველად სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ საბჭოს გადაეზავნა.

როგორც აღინიშნა, ლევან ხაინდრავა გადასახლებიდან 1955 წელს დაბრუნდა და ლიტერატურულ და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. მწერალი თბილისში 1996 წელს გარდაიცვალა. ტარიელ ჭანტურია წერს: „ლევან ხაინდრავა ჩვენზე კარგი მამულიშვილი იყო – ჩვენ სამშობლო გამზადებული დაგვხვდა. მან კი თავად მოიპოვა იგი და ამით პატიოსნად შეასრულა მამის ანდერძი“.

ლიტერატურული მოღვაწეობა ლევან ხაინდრავამ 1938 წლიდან დაიწყო. ხარბინში მას დაუწერია რომანი, რომლის ხელნაწერი საქართველოში ჩამოიტანა, თუმცა ეს ტექსტი მწერლის არქივთან ერთად განადგურდა.

რეპრესირებულმა, მრავლისმნახველმა მწერალმა ცხოვრების მანძილზე ნანახი და გაგონილი მხატვრულ ტექსტებში გადაიტანა. ბევრ მათგანს ავტორის პირადი ბიოგრაფიის სულისშემძვრელი ანაბეჭდები შემოუნახავს. ლევან ხაინდრავას პროზაული ტექსტების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა შექმნილი. მის კალამს ეკუთვნის: „პირველი შეხვედრა“ (1962), „ტყეში“ (1972), „კვამლი ჰორიზონტზე“ (1977), „მშობლიური კერა“ (1985) და სხვა წიგნები.

ქართულ ენაზე მწერლის მოთხრობები გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1973 წელს გამოსცა, მეორე, უფრო სრული კრებული „მოკრძალებული მოწმე“ 1980 წელს იმავე გამომცემლობაში დაიბეჭდა. წიგნის ანოტაციაში მითითებულია, რომ ტექსტებში ასახულია სამშობლოდან მოშორებით მცხოვრებ თანამემამულეთა ერთგულება უძველესი ქართული ტრადიციებისადმი, პიროვნების სწრაფვა თავისუფლებისაკენ. მოთხრობაში „მორს მშობლიური მიწიდან“ მეოცე საუკუნის დასაწყისის ქალაქ ხარბინის რეალობაა ასახული, მასში გადმოცემულია აქაური ქართული კოლონიის თვალსაჩინო წევრის, დავით ნიჟარაძის თავგადასავალი. წიგნში დაბეჭდილია ლევან ხაინდრავას სხვა მოთხრობები: „ანდერძი“, „ბედნიერება“, „მოკრძალებული მოწმე“, „ინტურისტი“, „თევზის ვერცხლისფერი ქერცლი“ და სხვები. ეს საინტერესო ტექსტები ავტორის ინდივი-

დუალური ხელწერით, სტილის ორიგინალობითა და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მწერლის მხატვრული ოსტატობის საჩვენებლად დავიმოწმებთ ფრაგმენტს მოთხრობიდან „თევზის ვერცხლისფერი ქერცლი“: „სიჩუმეა. სიჩუმეა გარეთაც. ისეთი სიწყნარეა, გარკვევით ისმის.. როგორ მოძრაობს ნაკადი – დროის მდინარე, რომელიც შეუცნობლიდან შეუცნობელშივე მიედინება, სადაც თევზის ვერცხლისფერი ქერცლივით გაიელვებს ადამიანის ცხოვრება და იდუმალ სივრცეებში სამუდამოდ უჩინარდება“ [ხაინდრავა 1980: 300].

პიროვნული თუ ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას ხედავს კრიტიკოსი ამირან გომართელი მწერლის ვრცელ მოთხრობაში „ასლან-ბეკ“, რომელიც პირველად 1991 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა.

გამორჩეული ღირებულებისაა ლევან ხაინდრავას ვრცელი რომანი „ჟამი მეექვსე“, რომელიც 1958-1969 წლებში დაიწერა და 1992 წელს რუსულ ენაზე გამოიცა (რომანს ავტორი უძღვნის შვილებს: ივლიანეს, გიორგის და ლიდას). 2016 წელს, მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეოდ, მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა (მთარგმნელები: ელზა მეტრეველი, ნინო ქუთათელაძე). რომანში წარმოდგენილია ქართული საზოგადოების ცხოვრება გასული საუკუნის 30-50-იან წლებში. თხრობა 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენებით მთავრდება. ლევან ხაინდრავას ამ რომანს ოთარ ჩხეიძისა და გურამ გეგეშიძის თხზულებებთან ერთად იმ იშვიათ გამონაკლისად მიიჩნევენ, რომელმაც 9 მარტის თბილისური ტრაგედია აღწერა, რაც მისი ავტორის მოქალაქეობრივ გამბედაობაზეც მეტყველებს. „ჟამი მეექვსის“ წინასიტყვაობაში ამირან გომართელი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის წინააღმდეგობრივ ხასიათზე მსჯელობს და მართებულად შენიშნავს: „რაოდენ გასაოცარი და პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავისუფალი სიტყვა იმ კაცის ძეგლთან გაისმა, ვინც მთელი ცხოვრება ახშობდა მას“ [ხაინდრავა 2016: 13].

ამ ცნობილ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით „ჟამი მეექვსის“ ავტორის პოზიცია ნათლად იკვეთება რომანის ერთ-ერთი გმირის სიტყვებში: „არა, იქ ჩემი ადგილი არ არის. ამ დროშის ქვეშ ვერ აღსდგება საქართველო.. ჩვენი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა“ [ხაინდრავა 2016: 234]. 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მონაწილეთა სულისკვეთების გამომხატველია მიტინგის ერთ-ერთი ორატო-

რის ლაკონური, მრავლისმთქმელი ფრაზა: „ჩვენ არავითარი ორგანიზაცია არ გვაქვს.. საქართველო – აი, ჩვენი ორგანიზაცია! ჩვენ ყველანი ამ ორგანიზაციის წევრები ვართ“ [ხაინდრავა 2016: 233] და ა. შ.

ლევან ხაინდრავა მეოცე საუკუნის საქართველოს რეალობის უმნიშვნელოვანესი, ჯერ კიდევ იდუმალეობით მოცული, წინააღმდეგობრივი ეტაპების საიმედო მხატვრული მემკვიდრეა. მისი ტექსტები სტილის სისადავითა და გმირთა ხასიათის სიღრმისეული კვლევით გამოირჩევა. რეპრესიებგამოვლილი პროფესიონალი მწერლის შემოქმედება ჯერ კიდევ გამოვლენას, საფუძვლიან შესწავლასა და შეფასებას ელის.

### ლიტერატურა

**ხაინდრავა 2016** – ლ. ხაინდრავა, ჟამი მეექვსე (რუსულიდან თარგმნეს ელზა მეტრეველმა და ნინო ქუთათელაძემ). თბილისი.

**ხაინდრავა 1980** – ლ. ხაინდრავა, მოკრძალებული მოწმე. თბილისი.

**ხაინდრავა 1973** – ლ. ხაინდრავა, მოთხრობები. თბილისი.

Manana Kvataia

### **From the Portraits of Repressed Writers – Levan Khaindrava**

#### Summary

The paper is dedicated to one of the victims of twentieth-century communist repression, the prose writer Levan Khaindrava (1916-1966), whose extensive work is still unknown to most of the public. The writer is an author of 9 books, including five novels reflecting the most difficult times of the twentieth century. The paper highlights the most important moments of Levan Khaindrava's biography. It is noted that the creator, who was born in the city of Harbin in Manchuria, spent many years there and returned to Georgia in 1947. He was arrested in 1951 on charges of



anti-Soviet activities abroad and was put in prison of the Ministry of State Security for several months. After the trial, Levan Khaindrava was sentenced to 10 years in prison and exiled to Kazakhstan, where he remained until 1955. According to the archival documents found in the archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia, the hitherto unknown details of Levan Khaindrava's biography have been detected. The key aspects of the prose writer's work are considered. The author particularly highlights Khaindrava's novel "The Six Fate", Georgian translation of which came out in 2016.

**Key words:** communist repression, writer Levan Khaindrava, novel "The Six Fate".

## **სინტაქსური ელიფსი – დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების საშუალება**

წევრის კვეცა (ელიფსი) სინტაქსურ კონსტრუქციასა და რთული წინადადების ნაწილებში გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება [კვანტალიანი 1990, კვაჭანტირაძე 1978]. დამოუკიდებელ წინადადებებში კვეცის კანონზომიერების დასადგენად აუცილებელია ამ წინადადებათა კონტექსტში შესწავლა, ვინაიდან სწორედ კონტექსტში ვლინდება მთელისა და ნაწილების ის ორგანული მთლიანობა, რომელიც სტრუქტურათა შერჩევის, კომბინაციისა და განაწილების მოწესრიგებული სიმრავლეა და არა მათი მექანიკური ჯამი.

ცალკეული წინადადებები ტექსტში მრავალმხრივ ავსებენ ერთმანეთს. ეს გარკვეულ გავლენას ახდენს არა მარტო წინადადებათა სიტყვათგანლაგებაზე, არამედ მათ შედგენილობაზეც. ეს კი, თავის მხრივ, ხშირად იწვევს წინადადების ამა თუ იმ წევრის ელიფსს (კვეცას).

წინადადება, რომელსაც აკლია ესა თუ ის წევრი, არის უსრული და მას განიხილავენ როგორც შესაბამისი სტრუქტურულ-გრამატიკული ტიპის წინადადებების ვარიანტს. ასეთი წინადადებები არასტაბილურია, ვინაიდან კონკრეტული პირობების გარეშე უსრული წინადადების შინაარსი მხოლოდ სრულმა შეიძლება გადმოსცეს. ამასთან, წინადადების ერთსა და იმავე სტრუქტურას შეიძლება უსრული წინადადების რამდენიმე ვარიანტი შეესაბამებოდეს [იუხტი 1962: 69].

წინადადების წევრის ელიფსს საფუძვლად ეკონომიის პრინციპი უდევს. მისი ზოგადი გამომწვევი მიზეზი განპირობებულია ენის მიდრეკილებით, რომლითაც იგი შესაძლებლობის შემთხვევაში თავიდან იცილებს განმეორებას. კვეცის პირობებს კი ქმნის კონსტრუქციაში, წინადადებასა თუ წინადადებათა ჯგუფში ერთი და იმავე ან მსგავსი ლექსიკური ერთეულების არსებობა.

ელიფსური წინადადების განხილვისას კ. გუზევეა ეყრდნობა საერთო ელემენტის ფრჩხილებს გარეთ გამოტანის წესს, რომელიც შემუშავებულია ა. დებრუნერის მიერ ერთგვარწევრებიანი წინადა-

დების მაგალითზე. ამ წესის თანახმად, წინადადება ემორჩილება შემდეგ კანონზომიერებას: თუ არის ელემენტთა ამგვარი თანაარსებობა –  $ab+ac$ , იგი უტოლდება  $a(b+c)$  - ს;  $ac+bc = (a+b)c$  - ს;  $abd+dac = a(b+c)d$  - ს.

შესაძლებელია დასახელებული წესის ტექსტზე განვრცობაც და ელიფსური წინადადების კვლევა აღნიშნული მეთოდით [გუზე-ევა 1980: 41].

დამოუკიდებელ წინადადებათა ჯაჭვში ცალკეული წინადადების სტრუქტურის რეალიზება იზოლირებული წინადადებისაგან განსხვავებულად ხდება. წინადადებათა შორის გარკვეული შეთანხმება მყარდება, რაც ხშირად საკომუნიკაციო თვალსაზრისით არა-აქტუალური კომპონენტების ანაფორულ შეცვლასა თუ წინადადების სტრუქტურის არასრულ რეალიზებაში ვლინდება.

წინადადებაში შეიძლება შეიკვეცოს ნებისმიერი წევრი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში არ არის საკომუნიკაციო ინფორმაციით დატვირთული. ამასთან, უფრო ხშირად და დიდ მანძილზე იკვეცება სტრუქტურის მთავარი ელემენტები.

შემასმენლის ან მისი ნაწილის კვეცა:

მზადაა ყველაფერი. ტანკენარი ქალები ილესებიან. კიდევ უფრო [ილესებიან] მათი ხმლები (გრ. რობაქ., 303);

გოგომ კმაყოფილების ღიმილით შეხედა. ბიჭს წვრილი მკლავები და კიდევ უფრო წვრილი თითები ჰქონდა. ასეთი თითები – [ნეტა ჰქონდეთ] პიანისტებს! (რ. ინან., 224);

მოიხედა და გამიცინა. როგორც მომეჩვენა, ძალიან თავშეკავებულად [გამიცინა] (ა. მორჩ., 30);

ქუჩის ერთი პირიდან შესაძლოა გადახტე მეორეზე. ერთი სახლიდან [გადახტე] – მეორეში (გრ. რობაქ., 12);

აქ მარტო „დინამომ“ იცის აფეთქება. ორწუთიანები, კობტად [იცის] (ა. მორჩ., 90);

ბორიამ ისეთი გამომხედა, რომ... დაცინვით [გამომხედა] და კიდევ მიმტვევებლურად (ა. მორჩ., 90);

გაზეთებში მეტად რთული ამბები ტრიალებს. ამბიციები, ინტრიგები, მთელი კარიერისტული ფილოსოფია [ტრიალებს] (ა. მორჩ., 29);

ხედავთ, რა რელიგიური ვარ? ამ დროს, არაფერი [ვარ] განსაკუთრებული (ა. მორჩ., 21);

...ვერ იტანს პროფესიონალებს. განსაკუთრებით [ვერ იტანს] სახელგავარდნილ მწვრთნელებს და ადმინისტრატორებს (ა. მორჩ., 89).

დასახელებულ შემთხვევებში კვეცა ვრცელდება მხოლოდ მოკლე მანძილზე. წინადადებთა კავშირში შემასმენლის ან მისი ნაწილის ელიფსი განპირობებულია რეალიზებული და არარეალიზებული პრედიკატული ელემენტების იდენტურობით. ამგვარ ჯაჭვში მეორე წინადადება დამოკიდებულია, ვინაიდან მასში იკვეცება წევრები, ხოლო პირველი საყრდენი [არინშტეინი 1980: 14] წინადადებაა და დამოკიდებულთან შედარებით სრულია.

როცა შემასმენელი „ყოფნის“ სემანტიკისაა, კვეცა უფრო დიდ მანძილზეც ხორციელდება. ცალკეული წინადადებები უფრო დამოუკიდებელია და წევრის აღდგენა შესაძლებელია ერთი წინადადების ფარგლებშიც, ვინაიდან ამ შემთხვევაში ელიფსი ნაკლებად ან სრულიად არ არის განპირობებული კონტექსტით:

„მზე და ხმალი“. აქ ეს რკალია უთუოდ. დუმილი და დუმილში: გაგუდული წუხილი [არის]. თან – [არის] შვებაც გაურკვეველი (გრ. რობაქ., 237).

ნახატი გამოდის ჟურნალში რეპროდუქციით. იქვეა ავტორის პორტრეტი [არის] (გრ. რობაქ., 19);

სახე: [არის] ნელი. თვალები: [არის] რუხისფერის ოდნავ ლაყვარდ გადაკრული. ცხვირი: [არის] სწორი – მხოლოდ ორბულ აჭედილი [არის] შუაზე. თმა: [არის] შავი ორად გაყოფილი. მთელს მეტყველებაში: [არის] სასტიკი სინელე (გრ. რობაქ., 19);

ტილო არაა დიდი. უბრალო ლანდშაფტი. სიცხით ამწვარი ველი. ფართო მდინარე მოთეთრო. მდინარის პირას შავი ხარები [არის] მრავალი (გრ. რობაქ., 19);

მტვერი და წვირე – [არის] ყველგან. არ არის საფიქრალი: თითქო სპარსელს მტვერი უყვარდეს ან წვირე (გრ. რობაქ., 12);

რამდენი ვაჟური შეტევა და რამდენი ქალური გარინდება [არის]?! რამდენი კამარა სიყვარულის თუ ტრფიალი პოემის [არის]?! ბოლოს: [არის] თითქო ქალის დატყვევება და აჭრილი კამარით მის გატაცება (გრ. რობაქ., 39-40);

არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში. თვალებში ირონია და ბაგეზე სევდა [არის] (გრ. რობაქ., 12);

ნახევარ საათში – [არის] სადგური. ძველი შენობა ქვის. [არის] თითქმის მიწგრებული, კედელი: [არის] ორი ალაბი სიგანით. შენობა

– [არის] შაჰაბაზის დროის. ასეთი შენობა ძველ სპარსეთში [არის] (გრ. რობაქ., 205);

მდერიან „მრავალჯამიერს“ ქართველურს: რომელიც იღვსება როგორც ქართლის ველი მდორე. ჯერ ისიც შენელებული [არის]. შემდეგ გაქანებული [არის]. შემდეგ ქედაზნექილი [არის]. ბოლოს ქედამართული [არის] (გრ. რობაქ., 37);

აქლემები ასამდე [არის]. დიდი. მომცრო. ერთკუზიანი. ორკუზიანი. დატვირთულები – [არიან] ყველა. აქა იქ ვირებიც დატვირთულნი [არიან] (გრ. რობაქ., 116);

ჯგუფის განზე ვინმე პირდაღებული გამოჩნდება მონძებში გახვეული. თმა [არის] აბურძგნილი. ლაშებზე [არის, აქვს] დორბლი. თვალებში [არის] ცხელების კიაფი. თვალის კანკალი ოდნავ [არის, აქვს] ამღვრეული. ეს დერვიშია (გრ. რობაქ., 13);

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი თითქო „რუახჰ ელოღჰიმს“ უმზერს. ცხვირი – [არის] ადამიანის. ბაგე – [არის, აქვს] ადამიანის. წვერი – [აქვს] ადამიანის. ყველაფერში – [არის] ხაზი პიროვნების. თვითონაც პიროვნება: [არის] ქვეყანაზე ერთხელ მოვლენილი. მთელი ყოფა – [არის] ახლო და ხელსაღები და მაინც [არის] შორს წასული. ყოფა [არის] სადღაც გადასხმული თუ გადაღვენთილი (გრ. რობაქ., 75);

თვიონ სიტყვა არაა გაშანთული?! ყოველი კუნთით. [არის]... ყოველი ამოსუნთქვით... ვაჟი ისედაც სიტყვაა (გრ. რობაქ., 39);

ყოველ კუთხეში [არის] ყავახანა საესე ხალხით. დათლილი თითები და კრიალოსნები – [არის] ქარვის და გიშერის (გრ. რობაქ., 12);

უცხო კაცი შეიძრა. შორიდან ცხენების თქარათქური [არის] (გრ. რობაქ., 16);

გაიკეთებს სათვალეს და კვლავ თითქოს ორი საათით ჰაერჩაგუბებული იხრება წიგნებისაკენ. წიგნები – [არის] ძველები, ახლები, დიდები, პატარები. ქართული, რუსული, სპარსული, გერმანული. მათ გვერდით – [არის] რვეულზე მომცრო ზომის ქალაღები. ქალაღებზე – [არის] თითბრის წვრილი, პასტიანი კალამი (რ. ინან., 216).

დასახელებული მაგალითების შედარებით თავისუფლება კონტექსტთან მიმართებით, ვფიქრობთ, აიხსნება მათი სიახლოვით სახელდებით წინადადებასთან, რომელიც ყოველთვის ერთშემადგენლიანია, მასში არ არის შემასმენელი და არც გამოტოვებულად

იგულისხმება [კვაჭაძე 1966: 213]. მიუხედავად ამისა, სახელდებითი წინადადება აღნიშნავს საგანს თუ მოვლენას, რომელიც არის ახლანდელ დროში. თუმცა ზოგი ავტორი დასაშვებად მიიჩნევს ამგვარ წინადადებაში შემასმენლის აღდგენის შესაძლებლობას, სადაც აღდგენილ შემასმენელს უპირისპირდება „იყო“ და „იქნება“ ფორმები [სილინი 1974: 42].

ჩვენ არ განვიხილავთ სახელდებით წინადადებას როგორც შესაბამისი სრული წინადადების უსრულ ვარიანტს. ქართულსა და იმ ენებში, რომლებშიც მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან ზმნა და სახელი, რამდენადაც პირველი აღნიშნავს პროცესს, მეორე კი – საგნობრიობას, ვფიქრობთ, სრული საფუძველია საიმისოდ, რომ სახელდებითი წინადადება არ იქნეს გაგებული ორშემადგენლიანი წინადადების ნაწილად და, შესაბამისად, მის უსრულ ვარიანტად.

ქვემდებარის ჯგუფი არ მოიცავს და არც გულისხმობს შემასმენლის ჯგუფის არსებობას. ამდენად, სახელდებითი წინადადება არ უნდა იქნეს განხილული სტრუქტურის უსრულ ვარიანტად (თუ პრედიკაციის ფართო მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, იგი, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი იქნება ყოველი გამონათქვამისათვის).

სახელდებითი და უშემასმენლო უსრული წინადადების გასამიჯნად ვეყრდნობით რეალიზებულ წევრებს: თუ წარმოდგენილი წევრები იერარქიულად ქვემდებარის ჯგუფში შედიან, სახელდება გვექნება, ხოლო თუ დასახელებულ წევრთაგან რომელიმე მაინც შედის შემასმენლის ჯგუფში, იგი გვავარაუდებინებს ელიფსირებული შემასმენლის არსებობას და, შესაბამისად, გვექნება უშემასმენლო ელიფსური წინადადება.

დამოუკიდებელ წინადადებათა ჯაჭვში ჩვეულებრივია პირველი – საყრდენი წინადადების ქვემდებარის გადასვლა მომდევნოს ან მომდევნოების დამატებად, ანდა ისევე ქვემდებარედ, ან – პირიქით. ამასთან, თუ პირველ წინადადებაში ქვემდებარე არსებითი სახელითაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივ, მისი დასახელება ხდება ხოლმე ანაფორული ნაცვალსახელით:

პირველი შეგრძნება **ნოდარისა** იყო ხალხი, რომელიც შემოხვეოდა. **მას** გარსშემოხვეულებისა შერცხვა და თვალეზზე ხელი აიფარა (გ. რჩ., 43);

**ნოდარმა** დინჯად დაამთავრა თხრობა. **იგი** ამ წუთში ხის კენწეროს უყურებდა (გ. რჩ., 45).

შეერთება შეიძლება ზოგჯერ სინტაქსური ანაფორითაც მოხდეს და განმეორდეს გრამატიკული კონსტრუქცია:

**მე** თვითონ **არ ვიცი**, ვინა ვარ... **მე არ დაგზადებულვარ... მე მოვევლინე** ქვეყანას... **თქვენ გიკვირთ? მე მხანეს** ქუჩაში – აი საიდუმლო... (გრ. რობაქ., 323).

დასახელებულ შემთხვევებში ანაფორული ნაცვალსახელი დამოუკიდებელ წინადადებათა მაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს. რთულ წინადადებაში ნაცვალსახელის ეს ფუნქცია განხილულია გრამატიკულ ლიტერატურაში [კვაჭაძე 1966: 318, 334; კიზირია 1969: 20-22].

ხშირია დამოუკიდებელ წინადადებათა ჯაჭვში წინადადებათა ნაცვალსახელის გარეშე დაკავშირება. ამ დროს ხდება ქვემდებარის ან დამატების კვეცა. ქართული ზმნის მრავალპირიანობა შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ ორი, არამედ სამი და მეტი დამოუკიდებელი წინადადების დაკავშირებას ელიფსის საშუალებით. კავშირი ხორციელდება უფრო გრძელ მონაკვეთზე, ვიდრე უშემასმენლო წინადადებაში, სადაც ჩვეულებრივია დამოუკიდებელ წინადადებათა ორშემადგენლიანი ჯაჭვი.

ქვემდებარისა და პირმომართი დამატებების კვეცა:

**მარგო** შეკრთა. მკერდი პერანგით დაიმალა (მ. ჯავახ., II, 301);

**ედიშერი** სტუდენტია. ღამით მსახურობს. შუადღემდის სძინავს, მერმე ლექციებს ამზადებს, ხოლო საღამოზე უნივერსიტეტში მიდის და იქიდან კლუბისაკენ მიეჩქარება. ეხლაც თავჩაქინდრული ზის და გაკვეთილს იზეპირებს, უფრო კი თავის უბედობას დასტიორის (მ. ჯავახ., II, 97);

**დედაბერი** შავად ამოიმართება ყორის იქიდან, საწველელს ყორეზე შემოდგამს. დგას და იყურება. მერე ჯადოქარით იძახის (რ. ინან., 63);

ტყით მიდის **ვინმე**, უცნაურ ბალახს ფეხს დააბიჯებს. წამსვე აერევა გონება. განაგრძობს ვლას. ჰგონია, უკან მიდის. ჰკარგავს მიმართებას. გაიხდის ტანსაცმელს. გადააბრუნებს. ჩაიცვამს გადაბრუნებულს. გონზე მოდს. უბრუნდება გზნება მიმართების. გზას გაუდგება (გრ. რობაქ., 18);

**სოფიო** კედელს მიეყუდება და გულის ფანცქალით შესცქერის დოსტაქარს. თვალები უცნაურად უბიზინებს. სისხლი უთრთის. ტუჩებზე ნელი ღიმილი უთამაშებს (მ. ჯავახ., II, 29).

დასახელებულ შემთხვევებში ელიფსი, როგორც დამოუკიდებელ წინადადებათა ნულოვანი მაერთებელი, გაცილებით მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან წინადადებებს (ვიდრე ეს კავშირიანი შეერთებისას გვაქვს), რაც უკავშირო შეერთების ანალოგიურია და შერწყმას უტოლდება.

## ლიტერატურა

**კვანტალიანი 1990** – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.

**კვაჭანტირაძე 1978** – თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბილისი.

**კვაჭაძე 1966** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კიზირია 1969** – ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.

**არინშტეინი 1980** – Аринштейн В. М., О коммуникативной обусловленности структуры – контекстно-связанных предложений, в сб.: «Семантико-стилистические исследования текста и предложения», Ленинград.

**გუზევა 1980** – Гузеева К. А., Синтаксическая неполнота предложения как импlicative итерация, в сб.: «Семантико-стилистические исследования текста и предложения», Ленинград.

**სილინი 1974** – Силин В. А., Лексический эллифс в германских языках.

**იუხტი 1962** – Юхт В. Л., Некоторые вопросы теории неполных предложениях, НДВШ, «Филологические науки», № 2.

## წყაროები

**რ. ინანიშვილი**, „ჩიტების გამომზამთრებელი“, თბ., 1978.

**ა. მორჩილაძე**, „ვალისშვილის ქუჩის ძაღლები“, თბ., 2000.

**გრ. რობაქიძე**, „გველის პერანგი“, „ვალესტრა“, თბ., 1988.

**გ. რჩეულიშვილი**, მოთხრობები, თბ., 1965.

**მ. ჯავახიშვილი**, რჩეული თხზულებები, II, თბ., 1959.



Tamar Kvachadze

## **Ellipsis as Interconnective of Independent Sentences**

### Summary

Independent sentences show various relations when they function within larger – than – the sentence structures. The context usually regulates not only the word order of independent sentences but their structure as well.

Contextual ellipsis functions as a kind of zero connective and the interconnection expressed elliptically seems to be stronger.

## ნანა კუცია

### **წყლის კონცეპტი ქართულ პოსტმოდერნიზმში**

(შოთა ბოსტანაშვილი – „ოთხი ლაპარაკი“)

ქართული პოსტმოდერნისტული პოეზიის საინტერესო წარმომადგენლის, შოთა ბოსტანაშვილის – არქიტექტორისა და პოეტის – მეტატექსტი „ოთხი ლაპარაკი“, ცალკეულ პასაჟებად დაბეჭდილი 2004-2010 წლებში („მნათობი“, „აფრა“, „ჩვენი მწერლობა“), „უნივერსალმა“ 2012 წელს გამოსცა გაგა ლომიძის რედაქტორობით.

რედაქტორის მართებული დასკვნით, ტექსტი „საბას „სიტყვის კონასთან“ ერთგვარი დიალოგია“, რადგან, შოთა ბოსტანაშვილის მრწამსით, „სიტყვა არის ჰეგემონი, ყველაფერი სიტყვაში იწყება და სიტყვაში მთავრდება... სემანტიკური ესთეტიკის თვალსაზრისით, სიტყვის შიგნით წარმოიშობა ახალი სინტაქსი, ახალი სააზროვნო სიტუაციები [ბოსტანაშვილი 2012: 20].

იგივე დამოკიდებულება სიტყვისადმი ირეკლება საბას ქრესტომათიულ ლექსიკონში – რევაზ სირაძის დაკვირვებით, „ძალზედ ხშირად გვხვდება სიტყვათა სახისმეტყველებითი, სახეობრივი გააზრებანი, ზუსტ დეფინიციებს ცვლის მხატვრული წარმოდგენები, სახის (ენიგმის) შემოღება, იგავთ მოყვანა“ [სირაძე 1992].

თავად პოეტისათვის „ლექსიკონი საბაური სიტყვის საბალახეა“ [ბოსტანაშვილი 2012 : 683].

„ოთხი ლაპარაკი“ პოეტი-არქიტექტორის კოსმოგონიაცაა და ეგზისტენციაც, სიტყვა-ფონემათა და გრაფემათა დენოტაციური რიგი. მეტატექსტში „ლაპარაკათაგან“ თითოეული ხატოვან სიტყვა-თქმად დაქარაგმებული ენიგმაა: 1. „წყალწყალა ლაპარაკი“, 2. „გაცეცხლებული ლაპარაკი“, 3. „ჰაერზე ლაპარაკი“, 4. „მიწა ვარ“.

შოთა ბოსტანაშვილს რედაქტორთან საუბრისას განუმარტავს: „ოთხი ლაპარაკი“ დაწერილია არა იმდენად წყალზე, ცეცხლზე, ჰაერსა და მიწაზე, რამდენადაც – წყლით, ცეცხლით, ჰაერითა და მიწით. მას საქმე აქვს არ იმდენად სტიქიებთან, რამდენადაც კულტურის ნიშნურ სისტემასთან“.

ავტორისეულ განმარტებას რედაქტორი განავრცობს და აღრმავებს: „ლაპარაკებში“ მნიშვნელობები იფანტებიან, იშლებიან, ხე-

ლახლა იყოფიან და ქმნიან ახალ კავშირებს – ლიგიებს. ამ გაგებით „ოთხი ლაპარაკი“ დე/ლიგიური და იმავდროულად, რე/ლიგიური ტექსტია“.

ბოსტანაშვილისეული პოეტური ტექსტი, პოსტმოდერნისტული ვერლიბრი, როგორც მთავარი რელიგიური ტექსტი, წყლითა და ალით იწყება: „ნელი იდო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალსა“ (შესაქმისაი, 1,1,) – ვკითხულობთ დაბადებაში. „ოთხ ლაპარაკშიც“ „წყალშიც ალია“ (1271) – ლაჟვარდში – მეწამული. იგივეა დანტესთან – ტკბილი ფერი აღმოსავლური საფირონისა, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ხ. ლ. ბორხესი „შვიდ საღამოში“:

პოეტური ტექსტი წინასწარმეტყველებით იწყება:

„ხუროთმოძღვრებაში პოეტი მოვა! პრამატიკოსი დამპროექტებლების დაპყრობილი მიწა მხსნელს ელოდება, როგორც ქაოსის წყალი – იმ პირველ სიტყვას!“ (აღნიშნული ფრაზა რეფრენია და მრავალგზის მეორდება, კონცეპტუალურ მნიშვნელობას იძენს).

წინასწარმეტყველება კონსტანტირებაა იმისა, რაც მოდერნიზმში უკვე დაფიქსირებულყო – საუფლო მიწა, ჩვენთვის, კაცთათვის, უფლისგანვე უთვალავ ფერად ნაწყალობევი (რუსთაველის კონცეპტი), დანტეს მეზადის (უფლის ენიგმური სახელი) წალკოტი „პრამატიკოსმა დამპყრობლებმა“ ელიოტისეულ უნაყოფო, ბერწ მიწად – დიხაშხოდ აქციეს.

პოსტმოდერნისტულ ტექსტში მანუგეშებელი ობერტონები ჟღერს: „დღემ იდღევა და ღამემ იღამა. ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრმა წყლულმა და იარამ და უფრო ბევრმა ხარებამ“.

ამონარიდი დასტურია იმისა, რომ პოსტმოდერნიზმშიც შენარჩუნებულია ქართული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური ხაზი – საკრალურისა და სეკულარულის, რელიგიურისა და ყოფითის განუყოფლობის შეგრძნება, რეფლექსია, რეცეფცია: ჰაგიოგრაფიიდან – ვიდრე დღემდის.

ისტორიის „წყლულსა და იარებს“ პოსტმოდერნისტულ ტექსტშიც „ხარების“ მადლი ანელებს, თუმც პოეტმა იცის, საღმრთო წყალი, რომლით დარწყლულებულსაც არასდროს მოსწყურდება, ადამიანმა თავად უნდა მოისაკლისოს, მოინატროს, ეძებოს და განერიდოს: „წყელთა და შეუწყალეებელთ, [ვისი] წყალიც არ დაიწმინდება, რამდენმა წყალმაც არ უნდა ჩაიაროს“ [იქვე: 27].

დამოწმებული ციტატა: „დღემ იდღევა და ღამემ იღამა“ „დაბადების“ რეფრენითაა ინსპირირებული; „იყო მწუხრი და იყო განთიად – დღე იგი ერთი“.

თავად ავტორის განმარტებით, მისი „ტექსტები ბგერწერული შემთხვევებისა და დამთხვევების შედეგია და „ოთხი ლაპარაკი“ – როგორც შემთხვევითი/შემთხვევების ტექსტი ერთ ამბად ვერ ყალიბდება. აქედან – კითხვა: „რა ხდება?“ „რა ამბავია?“ ჩინურივით გაუგებარია, შეუღწევადი“.

თუმც, ავტორის განსაზღვრებისამებრ, „ლაპარაკთა“ ტექსტი ამბად ვერ ყალიბდება, ქრონოტოპოსი მაინც ფიქსირდება: „ცრის. წყალია სც/ენაზე. სცრის სიცრუის სიბრძნეს“ (სინტაგმა გადამახილია საბას ქრესტომათიული ტექსტის სათაურთანაც და, ზოგადად, ლიტერატურის ზოგად კონცეპტთან – fiction – ფიქშენტან, მხატვრულ გამონაგონთან, ფანტაზიაში, ფიქციურში არეკლილ სიბრძნესთან).

„წყალი სც/ენაზე“ ასევე მნიშვნელოვანი კონცეპტია – სცენა თამაშსაც გულისხმობს, ნიღაბს, მეტამორფოზას. შენიღბვის არსენალიდანაა ფრაგმენტიც: „გამოვცრი – ჩემსას ვილაპარაკებ“ – „გამოვცრი“ („ცრ“ ძირი) წყლის ასოციაციებსაც იწვევს და წინასწარმეტყველთა მკაცრი სამართლიანობისაც.

პოსტმოდერნისტული ტექსტის კითხვისას საცნაური ხდება, რომ ავტორს ინსპირაციად ჰქცევია „არისტოტელესეული მოძღვრება სამყაროს პირველელემენტთა (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) შესახებ, ასევე იოანე დამასკელის „გარდამოცემისა“ და ბასილი დიდის ჰომელიების კონცეპტები.

ავტორისეული მრწამსით, „წყლის მეტაფორათა სათავეები ღმერთია, მწყალობელი. წყლის ელემენტი – იდუმალი, აუხსნელი – ერთადერთ მოლეკულად დაწურული წყლის პაწია წვეთშიც და უნაპირო ოკეანეებიც ტექსტის (ახალი სამყაროს) კოსმოგონიისათვის დაუსაჭიროებია ნარატორს. ესაა სტიქიონი – სიტყვით დამორჩილებული“.

ვერლიბრში ვკითხულობთ: „წყალობა საჩინო სიტყვაა წყლის დიდ ოჯახში – წყალობა არის მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა (საბა) (ციტირება – ნ. კ.) ... მწუხარება, მწუხარე სახის რაინდობა და უმიზეზო სევდა პოეტის ბედისწერაა (სევდა – სავდა სხვათა ენაა, ქართულად შავი ნაღველი ჰქვია – საბა) (ციტირება – ნ. კ.).

ეს ნაწერი დაკარგა სამყარომ – სამყარომ სევდა დაკარგა – გაიქარწყლა სევდა“.

წყლის დამკარგავ ბერწ მიწაზე, სევდის დამკარგავ სამყაროში, რომელსაც (გავიმეორებ ზემოთქმულს) „პრაგმატული დამპროექტებლები“ აპროექტებენ, მხოლოდ მწყალობელი უფლის იმედი რჩება, იმედი უფლისმიერი ნუგეშისა, რაც პოეტურ სიტყვად, იგავად, პარაბოლად ტრანსფორმირებული გვეწყალობება.

ვერლიბრში განსჯა პლასტიურ ხატებად გარდაისახება:

„აბა, კენჭი აფრინე წყალზე – ხმა გაეცი წყალს.

პასუხად – ლაპ! და წყალზე შემოწერილი წრეწირი, მერე – უფრო დიდი წრეწირი

და კიდევ უფრო –

სულ რამდენიმე წამით... კიდევ ერთი კენჭი, კიდევ ერთი ლაპ! და იგივე იგავი, იგივე არაკი – ლაპარაკი.

(არა-კი – არც არი და კიც არი).

ლაპარაკი უყვარს წყალს – მისი მოგონილია ლაპარაკი –

გაბმული გრძელი ღიღინი (ჩივილი, ჩიჩინი) – დიდი ჩინური კედელი“.

სათაურის თავმდაბლური კონცეპტის („წყალწყალა ლაპარაკი“) საპირწონედ – ზემოთქმული სულაც არაა წყალწყალა განსჯა. არც ტექსტის სხვა პასაჟი, სადაც პოეტი-არქიტექტორი წყლის კონცეპტის გააზრებისას ბოლომდის თავის სტიქიაშია (როგორც პოეზიის, ასევე არქიტექტურის სივრცეში):

„წყალი და არქიტექტურა ისევ თანამზრახველნი არიან,

შე/თქმულებებს ერთად თხზავენ და ერთად ხუროთმოძღვრობენ –

მათი ლაპარაკის მოსასმენად ვენეციის ნახვაც კმარა, ან ძველი თბილისის – მტკვარში ჩამდგარი სახლებითა და ვირის ხიდით...“

წყლისა და არქიტექტორის დიალოგი ბრწყინვალედაა „ნათარგმანები“ მილორად პავიჩის „სხვა სხეულში“, თომას მანის ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“, ბორხესის მინიატურა „ვენეციაში“.

არქიტექტურა და პოეზია ბოსტანაშვილის პოსტმოდერნისტული ვერლიბრის სხვა პასაჟშიც აქცენტირებული ჯღუფთია: „წყალთან განდობილი მეგობარი მაინც ხიდია (არქიტექტურა – ნ. კ.), ხიდი და მდინარე – მყარი და მედინი დრო მირაბოს ხიდის მეტაფორაში“...

მირაბოს ხიდი აპოლინერისეული ქრესტომათიული ენიგმაა. ამ პარადიგმას ბოსტანაშვილთან ჭის (ხთონური წყლის) ალეგორიაც მიეკუთვნება: „საიდუმლო იცის ჭამ, წყალმა საიდუმლო იცის ამ ცისა და იმ ცის“ (წანამძღვარი ბარათაშვილისეული ციტატა: „გულისხმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“ – მიმართვა „ამ“ ხილული ცისადმი – მონატრება „იმ“ (უხილავი) ცისა). ცა და წყალი ჯუფთებად ცხადდება: „საიდუმლო ცამ იცის, საიდუმლო იცის ცამ – წყლის ტყუპისცალმა და მისმა ღვიძლმა დამ“.

თეორიული პოსტმოდერნისტული დისკურსი მეტაფორული ვიზიონით გრძელდება: „წისქვილის დოლაბის ქვები წყლის დამქანცველი ალერსით ამრავლებენ პურს. არა პურით ერთითა არსებობს წყალი – წვიმის გუბებში ჩავარდნილი მთვარისა და კიბის ანარეკლის პოეტიკით და სანახაობით“.

წყლის ნარატივის მიწურულს პოსტმოდერნისტი პოეტი იკითხავს:

„მაინც ვინ არის წყალი – ეს შინაური უცხო?  
ყველაზე ხნიერი, ყველაზე ძლიერი და ნიჭიერი,  
შესაქმისეული ექვსდღიურის წინარე ჭამი –

ნათლისმხმობელი,

სამყაროს მშობელი, დასაწყისის დამწყები?“

უპასუხო კითხვებია. საკრალური, მხოლოდ გულით საწვდომია ღვთის ხატად და მსგავსებად ქმნილის პოეტისეული დეფინიცია: „მე წყალი ვარ – სითხე, მე ვარ მოთხე (მოსიარულე) და სამოთხე.“

ეს ლაპარაკი არაკია, მრავალსაუკუნოვან ქართულ „ლაპარაკთა“ ექო.

მთავარ ქართულ ტექსტში ნესტანის წერილში ოთხ ელემენტად დაბლა „მზის ელვათა კრთომამი“ – სასუფეველში დაბრუნება გაიაზრება:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლავ დამხსნას სოფლისა

შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა შრომასა,

მომცეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვხედავდე მზისა ელვათა კრთომასა...“

შოთა ბოსტანაშვილის „მწყალობელი სიტყვაც“ ლოგოსის ტელოსური ბუნების გააზრებაა.

## ლიტერატურა

**ბოსტანაშვილი 2012** – შ. ბოსტანაშვილი, ნარატივი, ჩვენი მწერლობა, # 16 (172), თბილისი.

**ბოსტანაშვილი 2012** – შ. ბოსტანაშვილი, ოთხი ლაპარაკი, თბილისი.

**სირაძე 1992** – რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, წიგნი პირველი, თბილისი.

Nana Kutsia

### Water Concept in Postmodernism

#### Summary

One of the most important representatives of Georgian postmodernism Shota Bostanashvili is an author of “The Four Speeches” – the verse-collection about four elements: air, water, fire and ground.

The author was an outstanding scientist who had two degrees – in Philology as well as in Architecture.

We have studied water-concept of, the poet, reflected in the verse-collection—from ancient Greek views to Postmodernism. We have compared authors views with the concept of Baratashvili, Tabidze.

Water as an element of Creationism as well as a cultural system paradigm is reflected in the text:

We read in Old Testament: “The raging ocean that covered everything was engulfed in total darkness and the Spirit of God was moving over the water” (Genesis 1,2); We read in New Testament: “As soon as Jesus was baptized by John he came up out of the water” (Matthew 3, 16).

Shota Bostanashvili tried to describe exactly the nature of water – as an element and as a “sacral material” of Baptizing.

“Water” was a wide-spread paradigm in Georgian hagiography as well as in Romanticism, Modernism. The author especially respected the great

Georgian thinker Silkhan-Saba Orbeliani whose water-conceptis reflected in “Sitkvis Kona” ( Georgian dictionary of XVIII c.).

One of the most complex poets of Georgian postmodernism, Shota Bostanashvili was interested and delineated the water-paradigm in most complicated and unusual “Situafions” determined by the author’s philosophy.

The outsanding architect and a poet planed new buildings as well as texts and saw that they were buit properly.



## მაკა ლაბარტყავა

### შედარება მუხრანის ლექსში

საოცარი პოეტია მუხრან მაჭავარიანი, მას „სათქმელის დინჯად, დარბაისლურად თქმა უყვარს და ეხერხება. თუ აუცილებლობა მოითხოვს, მკვირცხლად, ცქაფად თქმაც ძალუძს. ამ დროს დამუხტულ სტრიქონს იდუმალ ხსნის, სიტყვას უცებ მოიქნევს, დაატორიალებს და მოსალოდნელი დრამის მოლოდინში აღგზნებული მკითხველის განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებს“ [მაღრაძე 1985: 14].

განსაკუთრებულად იხატება მუხრანის ლექსში შედარება. სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულით შთაგონებული პოეტისათვის შესადარებელ ობიექტებად ქცეულან ფრინველები თუ ცხოველები, ციური სხეულები თუ ბუნების მოვლენები, მცენარეები..., რაც მუხრანის პოეზიას განუმეორებელ ელფერს სძენს.

„პოეტს უაღრესად დიდი რწმენა აქვს სიტყვისა, მან იცის ჭეშმარიტი, ალალი, გაბედული სიტყვის ფასი. პოეტს გაბედული სიტყვით ასხია ფრთები და სჯერა, რომ „ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს...“ [მაღრაძე 1985: 14].

ქართველთა რწმენა – ენა ქართული – მუხრანისათვის ღმერთად ქცეული, ზღვასავით დიდია:

„ქართული მარტო ენაა?!  
ქართული ქართველთ რწმენაა!  
ღმერთია!  
ბედისწერაა!  
ზღვა როა! –  
იმოდენაა!“ [მაჭავარიანი 1985: 58].

„ბიბლიური ტვირთივით აწევს პოეტს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე, რაკი სამშობლოს სიყვარული დალხენილ ყოფას კი არ გულისხმობს, არამედ მისი კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვას, ხოლო თუ ამას ქვეყნის გადარჩენის დარდიც ემატება, მართლაც, გოლგოთაზე უფრო ციცაბოდ ჩანს ამ ტვირთის საზიდი გზა“

[გვერდწითელი 2005: 261].

მამულის უკვდავება პოეტისათვის ენის უკვდავებასთან არის გაიგივებული. ეს მოტივი მთლიანად გასდევს მის ლირიკას, პოეტი ეალერსება ქართულ სიტყვებს და უნდა ისინი ისე ჰყვაოდნენ მის საფლავზე, როგორც ყაყაჩოები:

„სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,  
რომ ჩემს საფლავზე  
ყაყაჩოსავით  
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“

[მაჭავარიანი 1985: 7].

მუხრანის პოეზიაში ერთმანეთს ცვლის ქალაქი და სოფელი, ზამთარი და ზაფხული. სოფლიდან წამოსული პოეტი თბილისის დილას ძმაკაცივით ეგებება:

„გული სოფლიდან წამოვიღე სწორუპოვარი  
და ძმაკაცივით გადავკოცნე დილა თბილისის“

[მაჭავარიანი 1985: 219].

პოეტი მზად არის ტოროლასავით მისწვდეს თბილისის ზეცას:

„წამოვიდოდი ცივ ტოროლად თბილისის ციდან.  
ტოროლასავით მივწვდებოდი თბილისის ზეცას...“

[მაჭავარიანი 1985: 367].

ხშირად დილის დადგომა მაჯაზე ტოროლას დაჯდომას წაგავს:

„ტოროლასავით დამისკუპდა დილა მაჯაზე“

[მაჭავარიანი 1985: 365].

ყველაზე და ყველაფერზე შეყვარებული მუხრანი მზად არის ჰაერში ორბივით აიჭრას:

„მწყურია ავფრინდე ჰაერში ორბივით!

ავარდნა მწყურია მიწიდან...“ [მაჭავარიანი 1985: 319].

განსაკუთრებული სიყვარულითა და სიდიადით გვიხატავს პოეტი დიდ შოთას და ერის მამად წოდებულ საბას – „მოპარიზებულ“ საბას წვერები ქათქათაა, როგორც ჩანჩქერი:

„მკერდზე გეფინა ჩანჩქერივით ქათქათა წვერი“  
[მაჭავარიანი 1985: 10].

ზოგან კი საბას წვერები თოვლივით თეთრია და თოვლივით დნება:

„თითქოს თოვლივით თეთრი წვერი – თოვლივით  
დნება“  
[მაჭავარიანი 1985: 127].

რუსთაველი „ძელი ულპოლველია“, რომლითაც აღფრთოვანებულია მუხრანი და მზეს ადარებს მას:

„კაცი კი არა მზე ხარ ნამდვილი!  
ვის შეგადარო, რას შეგადარო“  
[მაჭავარიანი 1985: 124].

შემოდგომა... ბუხრის ყელიდან ამომავალი კვამლი მტრედისფერი გამხდარა, ძეწნის გაფანტული ფორთლები კი წიწილებს წააგავს:

„ბუხრის ყელიდან  
მტრედისფერი ამოდის კვამლი...  
წიწილებივით გაფანტვია ძეწნას ფორთლები“  
[მაჭავარიანი 1985: 215].

გახშირებული წვიმისა და დამჭკნარი გვირილების ფონზე ზვინი მტრედივით შემოსჯდომია ხეს:

„წვიმა გახშირდა...  
დაჭკნა გვირილა.  
ხეზე მტრედივით  
შემოჯდა ზვინი“ [მაჭავარიანი 1985: 227].

საწნახელში მდგარ ბიჭს კი: „გაწითლებია მტრედვიტ წვივინი“ [მაჭავარიანი 1985: 217].

ქვიშის ბზინვარება ხორბლის ელვარებასაა შედარებული, ხოლო კომბაინის მოძრაობა უთოს მოძრაობას წააგავს:

„ქვიშა ბზინავს ხორბალივით,  
იღიმება ხუთოსანი,  
ხოდაბუნში კომბაინი  
დასრიალებს უთოსავით“ [მაჭავარიანი 1985: 376].

გაზაფხულის დადგომას კი ბარტყევივით პირდაფჩენილი კვირტები გვაუწყებენ:

„არემარეს მხიარულად აწვიმს.  
ბარტყევივით პირს აღებენ კვირტები...“  
[მაჭავარიანი 1985: 375].

„ოცნებასავით ტკბილი“ სამგორი აშრიალებულა, ხარობენ ლედვისა და ატმის ხეები, ჯეჯილი დადაღანებს, ბარტყევივით მიუღიათ ფოთლები ჩიტებს:

„ფოთოლი ღვიძლი ბარტყევივით  
მიიღო ჩიტმა ხმატკბილმა“ [მაჭავარიანი 1985: 307].

მზეგანფენილი არგვეთის ველები, მოდიდებული პაწია ღელე, შუა ეზოში „ქათმის ლაშქრით“ მდგარი დედა, ალივით აელვარებული ატმის ყვავილი და კვამლივით აღელვებული ტყემალი ქმნის გაზაფხულის დადგომის გასაოცარ სურათს:

„ტყემლის ყვავილი კვამლივით ღელავს,  
ელავს ალივით ყვავილი ატმის“

[მაჭავარიანი 1985: 386],

რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ლაშურის პირას მერცხლის მიმოფრენა, აღმართზე მიმავალი მუხრანი და ლამარა (მეუღლე), აგრეთვე – მზის საოცარი ენერგია, რომელსაც ძალუძს მიწიდან ცვრის ასრუტვა, როგორც მაგნიტს შეუძლია აისრუტოს მიწიდან პაწია ლურსმანი:

„მზემ როგორც ასწია მიწიდან ლურსმანი,  
ისე აღიტაცა მაგნიტმა ცვარი [მაჭავარიანი 1985: 225].

კუდმაკრატელათი დაწინწკლულა ცა, გელათი უსაზღვრო  
ლოდინს განაგრძობს, მერცხლის ბოლო კი, რომელიც მაკრატელთა-  
ნაა შედარებული, ბაგრატის ტაძრის ზეცას ლერწნივით სხლავს:

„მერცხალმა ბოლოთი  
ვითარცა მაკრატლით,  
ლერწნივით მიმოსხლა ციანნი ბაგრატის“  
[მაჭავარიანი 1985: 190].

კაკლის ხეების მიხრა-მოხრა ტალღისებურია:

„ღობეს ტოტები ტალღებივით  
ასკდება კაკლის“ [მაჭავარიანი 1985: 243].

ქარის მოძრაობა ხერხთან არის შედარებული:

„ქარი ჩვეული ლაღობით, –  
გადი-გამოდის ხერხივით“ [მაჭავარიანი 1985: 256].

ენერგიამოჭარბებული პოეტი საკუთარ კანში ვერ ეტევა და  
აბოზოქრებული, გაზაფხულის მდინარესავით გადმოდის სხეული-  
დან:

„მე გაზაფხულის მდინარესავით  
ვეღარ ვეტევი საკუთარ კანში“  
[მაჭავარიანი 1985: 317].

ან კიდევ:

„მდინარესავით მსურს გაჭრა მინდვრად“...  
[მაჭავარიანი 1985: 318].

მოხიბლულია მკითხველი, როცა თვალწინ წარმოუდგება, თუ  
როგორ ერჩის ძალ-ღონე სისხლს ზღვასავით:

„ძალ-ლონე  
სისხლსაც ზღვასავით ერჩის,  
ზღვასავით  
ბრდღვინავს ხანდახან ისიც“ [მაჭავარიანი 1985: 201].

მუხრანს ქალივით უყვარს ყველაფერი:

„ქალია დილა,  
მიწა – ქალი,  
სალამო – ქალი,  
წვიმა ქალია...  
ყველაფერი ქალივით მიყვარს“  
[მაჭავარიანი 1985: 179].

ზოგჯერ ზეთისხილივით ულაპლაპებს თვალები ქალებს:

„ირგვლივ ბევრია სხეული უცხო,  
ზეთისხილივით  
ულაპლაპებს თვალები ქალებს“  
[მაჭავარიანი 1985: 366].

ქალის თვალები შეიძლება დედამიწას მზესავით ეალერსებოდეს:

„ეალერსება დედამიწას თვალები შენი – მზესავით“  
[მაჭავარიანი 1985: 329].

თვით პოეტს, რომელიც აღტაცებულია მოალერსე თვალებით, სურს, მზესავით ხელგაშლილი შეხვდეს სიცოცხლეს:

„მზესავით მინდა  
გავშალო ხელი  
და...  
მთელ ქვეყანას  
შეეძახო მინდა:  
მიმოიხედე! –  
რა კარგია სიცოცხლე –  
ხედავ?!“ [მაჭავარიანი 1985: 38].

მაშინ, როდესაც „მუძუბივით ზვინებს მზეზე აფიცებს კალო“ და „ნაყამირალზე ღელავს ყანა ზღვასავით ლურჯი“, სიცოცხლეს ვაშას შესძახის პოეტი.

მუხრანი ქვეყანას მზესავით ეწაფება და სრუტავს:

„სამყაროს ვეწაფები მზესავით...“

და ვსრუტავ ყველაფერს მზესავით“

[მაჭავარიანი 1985: 339].

პოეტის სურვილია, ისიც ცვარივით აიტაცოს ზეცაში მზემ:

„მეც ცვარივთ აღმიტაცე,

უფრო დაბლა დაეშვი“ [მაჭავარიანი 1985: 337].

მუხრანის ლექსში კატის „ავტომობილივით“ თვალების ბრიალითა და მატარებლის გასულიერებით შედარების უიშვიათესი ნიმუშები დასტურდება – თუ ერთგან კატის მობრიალე თვალები ავტომობილის თვალებსაა შედარებული:

„კატა ხალიჩაზე მოკალათებული

ავტომობილივით თვალებს აბრიალებს“

[მაჭავარიანი 1985: 364],

სხვა შემთხვევაში ავტომობილს (მანქანას) კაცივით ლოდინის უნარი აქვს:

„ვისროლეთ ბადე...“

მანქანა კი

მახლობლად,

იქვე,

კაცივით გვიცდის

რიყეზე მდგარი“ [მაჭავარიანი 1985: 300].

მატარებელი კი ხშირად გველივით მსრბოლია:

„და აი,

საცაა მის სოფელს გადასერავს

ეს მატარებელი – გველივით მსრბოლი“

[მაჭავარიანი 1985: 88].

ზედმეტ კაცს აგონებს პოეტს განზე გამდგარი ცხენი:

„განზე გადგა და გაჩერდა  
ცხენი –  
ზედმეტი კაცივით“ [მაჭავარიანი 1985: 402].

მანდილოსნის მოძრაობა თევზის მოქნილობას წააგავს:

„მარილიანად ოხუნჯობდა,  
სიცილით ბუქნავდა  
კუთილშობილი მანდილოსანი –  
თევზივით მოქნილი“ [მაჭავარიანი 1985: 87].

ხშირად დიაცის რიდესავით თიმთიმებს ფიქრი:

„თიმთიმებს ფიქრი,  
როგორც სუნთქვით დიაცის რიდე“  
[მაჭავარიანი 1985: 109].

საოცრად იხიბლება პოეტი განთიადით და მას ურმულს ადარებს:

„განთიადია! –  
ურმულივით მომხიბლავია!  
განთიადია!“ [მაჭავარიანი 1985: 50].

ფერწასული მთვარისა და ამომავალი მზის ფონზე მთებს ორ-  
თქლი ახალშობილივით ასდით:

„მთები ოთქლოვანი ახალშობილივით.  
მზე ამომავალი.  
მთვარე ფერწასული“ [მაჭავარიანი 1985: 236].

მამინ, როცა სიბნელეს ებრძვის ჭრაქი, შეიძლება ყვინჩილა –  
ჭრაქივით ებრძოდეს ღამეს:

„სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი –



ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა“  
[მაჭავარიანი 1985: 223].

მამლის ყივილი ასანთის სიელვარეს შეადარა პოეტმა:

„იელვებს ხოლმე  
ასანთივით  
ყივილი მამლის“ [მაჭავარიანი 1985: 281].

ყაყაჩოსავით წითელი მზის ფონზე დადუმებულია სვეტიცხოვლის ზარი:

„დუმს სვეტიცხოვლის ზარი.  
ყაყაჩოსავით  
მზეა წითელი  
და მეცინება მწარედ“ [მაჭავარიანი 1985: 52].

ყაყაჩოსავით შეღებილია კრწანისის ველიც, ქართველის მკერდიც:

„კრწანისის ველი,  
ქართველის მკერდი  
შეღებილია ყაყაჩოსავით“ [მაჭავარიანი 1985: 355].

ზოგჯერ პოეტის ფიქრი ცასავით ვრცელა:

„ცას ეხორცება  
ფიქრი ჩემი – ცასავით ვრცელი“  
[მაჭავარიანი 1985: 161].

ფეხებგამობმული ფიქრი ხშირად ფანჯრიდან იპარება და ხმელეთს ცასავით გადაემხოზა ხოლმე:

„ფიქრი ფანჯრიდან გავიდა გარეთ  
და გადაემხო ხმელეთს ცასავით“  
[მაჭავარიანი 1985: 138].

პოეტის თვალით ტყე-ტყე მიმავალი ბილიკი ნაკადულივით

ალიკმება:

„მდინარის მიღმა შრიალებდა მინდორი დიდი,  
ნაკადულივით მიდიოდა ბილიკი ტყე-ტყე“  
[მაჭავარიანი 1985: 140].

შარაგზა გაფრენილ მწყერთან არის შედარებული:

„გაფრენილი მწყერივით  
მიდიოდა შარაგზა“.

მამიდის მრისხანების მიზეზი ხშირად მეზობლის ღორის მი-  
ერ მოკალოებული ყანაა. აღელვებული მამიდა კი:

„ვილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე,  
„მიწას აყრის“ და  
„მარხავს“ მთელ სოფელს“ [მაჭავარიანი 1985: 224].

ზოგჯერ თევზივით უხმოა პოეტი:

„თევზივით უხმოდ ამომდის სული“  
[მაჭავარიანი 1985: 181].

„მუხრანს დიდი, უხვი და შთაგონებული სულიერი სამყარო  
აქვს... დიახ, პოეზიაში მუხრანი უხვია და ხელგამლილი, უშურვე-  
ლი და აღმაფრენით აღსავსე“ [მაღრაძე 1985: 17].

მუხრანისთვის ლექსი სხვადასხვაგვარია:

„ზოგი ლექსია, –  
მისრიალებს,  
ვით სალამანდრა,  
ლექსია ზოგი, –  
ვით კენგურუ,  
იმგვარად მიხტის“ [მაჭავარიანი 1985: 189].

ერთ შემთხვევაში ქართლს ტყემლის კურკას ადარებს პოეტი:

„როსმე ფრიადი ქვეყანა  
ქართლი, –  
დღეს ერცახეა, ვით ტყემლის კურკა“  
[მაჭავარიანი 1985: 114].

როგორც ვხედავთ, პოეტისათვის შესადარებელ ობიექტებად ქცეულან ფრინველები და ცხოველები („მწყურია ავფრინდე ჰაერში **ორბივით!**“, „**წიწილებივით** დაფანტვია მეწინას ფოთლები“, „კეთილ-შობილი მანდილოსანი **თევზივით** მოქნილი“, „და აი, საცაა მის სოფელს გადასერავს ეს მატარებელი **გველივით** მსრბოლი“), ბუნების მოვლენები თუ ციური სხეულები („თითქოს **თოვლივით** თეთრი წვერი **თოვლივით** დნება“, „**მზესავით** მინდა გავშალო ხელი“), მცენარეები („**ყაყაჩოსავით** მზეა წითელი“, „**ზეთისხილივით** ულაპლაპებს თვალები ქალებს“...), ტრანსპორტი (კატა ხალიჩაზე მოკალათებული **ავტომობილივით** თვალებს აბრიალებს“...) და სხვ. უბადლოა მუხრანის შედარება...

## ლიტერატურა

**გვერდწითელი 2005** – გ. გვერდწითელი, ლიტერატურული ნარკვევები, პორტრეტები, პოლემიკა, თბილისი.

**მადრაძე 1985** – ე. მადრაძე, მუხრან მაჭავარიანი, თბილისი.

**მაჭავარიანი 1985** – მ. მაჭავარიანი, ლექსები, თარგმანები, თბილისი.

Maka Labartkava

## Comparison in Mukhran's Poems

### Summary

The paper deals with the examples of comparison in Mukhran's poetry. The poet inspired by the love of his mother tongue compares birds and animals (*mçquria avprinde haerši orbivit!*, *çiçilebivit gapanția zeçnas*

*potlebi, da ai, sacaa mis sopels gadaseravs es mațarebeli gvelivit msrboli, țetilșobili mandilosani tezvivit moknili, etc.*), natural phenomena or planets (*titkos tovlivit tetri țveri tovlivit dneba, mzesavit minda gavșalo xeli*), plants (*qaqaçosavit mzea țiteli, zetisxilivit ulaplaprebs tvalebi kalebs, etc.*), vehicles (*kața xaliçaze moķalatebuli avțomobilivit tvalebs abrialebs, etc.*) and so on that give Mukhran's poetry a unique tinge.

Comparison in Mukhran's poetry shows the poet's great spiritual energy, ability to express dignified ideas in a simple way, strong lyrical character, unparalleled mastery of showing what he saw and felt, and great thinking.

## ნანა მაჭავარიანი

### მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსის („ორნი“) ინტერპრეტაციისათვის

#### ორნი

„მოდინ, როცა ღამეა  
ჩემთან კახი და ფშაველი;  
კახია ზაქიჭამია,  
ფშაველი, – გველისმჭამელი.  
გათენებამდე რჩებიან  
ჩემთან კახი და ფშაველი;  
ხითხითებს ზაქიჭამია,  
ქვითინებს გველისმჭამელი.  
გათენებისას მიდიან  
ჩემგან კახი და ფშაველი;  
თეთრონით – ზაქიჭამია,  
წითლონით – გველისმჭამელი.

1986.

ლექსის სათაური „ორნი“ წინასწარ განგვაწყობს ორი რამის აღსაქმელად, მიგვანიშნებს ორ სხვადასხვა საწყისზე, რაღაც ორი არსებისა თუ ამბის აღსაქმელად გვამზადებს.

#### **რა არის ეს ორი?**

დგება ღამე, დრო ამსოფლიურ და იმსოფლიურ ყოფაზე ფიქრისა, განსჯისა... პოეტის წარმოსახვაში ურთიერთდაპირისპირებული ორი ცნება და ამავდროულად – ფიზიკურად განსხეულებული ორი არსება შემოდის:

ჩვენი აზრით, ესენი არიან:

**კახი ზაქიჭამიაა** (როგორც ცნობილია, ზაქიჭამია ქართლ-კახეთის ბოლო მეფის, გიორგი XII-ის მეტსახელია, მას ძალიან უყვარდა მოლხენა და განსაკუთრებით – ზაქის ხორცი), ხოლო **ფშაველი – ვაჟას გველისმჭამელი**.

ეს ორივე განზოგადებული სახეა, სიმბოლოა: **კახი – ზაქიჭამია** – ხორციელების, ამსოფლიურობის, **გველისმჭამელი** კი – სულიერების, იმქვეყნიურობის.

ისინი გათენებამდე პოეტთან რჩებიან. ზაქიჭამია ხითხითებს, გველისმჭამელი ტირის... ეს ორი განსხვავებული სიმბოლო სულისა და ხორცის ჭიდილს, უდარდებლობასა და დარდს, სიმსუბუქესა და სიმძიმეს განასახიერებს.

თენდება... და ეს ორი განზოგადებული არსება, გრძნობა თუ ცნებათა სიმბოლო ტოვებს პოეტს, თეთრი ცხენით ზაქიჭამია მიდის, წითლით – გველისმჭამელი.

### **რისი სიმბოლოებია თეთრი და წითელი?**

ცნობილია, რომ:

**თეთრი** ფერი სიმბოლურად ყოველთვის სულის უმანკოებას, სიწმინდესა და სისუფთავეს გამოხატავდა, რაც ბიბლიის არაერთ ეპიზოდში დასტურდება. ფერისცვალების დროს ქრისტეს „სახის იერი შეიცვალა და მისი სამოსელი თეთრად მოქათქათე შეიქნა“ (ლუკ. 9:29); მათეს სახარებაში ციდან ჩამოსულ უფლის ანგელოზს, რომელმაც ლოდი გადააგორა მაცხოვრის საფლავის შესასვლელიდან, „თოვლივით სპეტაკი“ ტანისამოსი ეცვა; მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი თეთრებში იყო შემოსილი; უმანკოდ ჩასახვისა და ტაძრად მიყვანების ამსახველ სცენებში მარიამ ღვთისმშობელს თეთრი ტანსაცმლით გამოსახავდნენ; რომაელ ქურუმ-ქალწულებს სიწმინდის ნიშნად თეთრი სამოსი ეცვათ. სწორედ ეს ტრადიცია იქნა გადმოტანილი თეთრი კაბით ქალწულთა პირველი ზიარების მიღებისას. ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანი მღვდლები ატარებდნენ თეთრ ანაფორას. ეს ფერი დღესაც გამოიყენება შობის, აღდგომისა და ამაღლების დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ლიტურგიების დროს; ახლადმოქცეული ქრისტიანები თეთრ სამოსს იცვამდნენ და ამ სამოსით გამოხატავდნენ მართლმორწმუნეთა სულებს ღვთის სამსჯავროს შემდეგ; რომის პაპის თეთრი სამოსი სიმბოლურად გასხივოსნებას, დიდებულებასა და ზეციურ გზას აღნიშნავს; ფერწერულ ტილოებზე სულიწმიდას თეთრი მტრედის სახით გამოსახავენ – თეთრი სულის სიმბოლოა.

**წითელი** სისხლის ფერია და რამდენადაც მას გრძნობებს უკავშირებენ, ის იქცა როგორც სიყვარულის, ისე სიძულვილის სიმბოლოდ.

იოანე მახარებლის, ქრისტეს საყვარელი მოწაფის, წითელი ტანსაცმელი სიყვარულის სიმბოლოა; კარდინალების წითელი ფერის სამოსი ეკლესიის სახელით თავგანწირვისთვის მზადყოფნას გამოხატავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზნეო ქალებსაც წითელი სამოსი ეცვათ. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში „უწმინდურებით სავსე“ ბაბილონი, „მეძავთა და მიწის სიბილწეთა დედა“, „შემოსილი იყო პორფირით და მოწეულით“ – და იგი იჯდა შვიდთავიან ურჩხულზე, „ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შავწითელ მხეცზე“ (17:1-6). ამის გამო წითელი ფერი ჯოჯოხეთისა და ემშაკის ფერად იქცა. ეკლესიის მიერ წითელი რიტუალურ ფერად გამოიყენება წამებული წმინდანების მოხსენიების დღეს, ვინაიდან ადრეულ ქრისტიანთა უმრავლესობამ რომაელთა და ბარბაროსთა დევნის დროს რწმენიდან განდგომას წამებით სიკვდილი არჩია. წითელი, როგორც ცეცხლის ფერი, ეკლესიის მიერ რიტუალურ ფერად არის მიჩნეული სულთმოფენობის, მოციქულებზე სულიწმიდის მოფენის დღესასწაულის აღნიშვნის დროსაც.

ტრადიციულ ქრისტიანულ ხელოვნებაში წითელი ფერი ქრისტესა და წამებულთა სამსხვერპლო სისხლის ფერია – წითელი ხორციელების სიმბოლოა, წითელი სისხლია, სისხლი მატერია!

\* \* \*

ფერთა სიმბოლიკაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, უფრო მოსალოდნელი იყო, რომ წითლონზე ამხედრებული ზაქიჰამია წასულიყო, თეთრი ცხენით კი – გველისმჭამელი. რატომ მოხდა ისე, რომ წითლონით გველისმჭამელი ტოვებს პოეტს, ხოლო თეთრონით – ზაქიჰამია?

ვფიქრობთ, სწორედ ამ მონაკვეთში ჩანს პოეტის სათქმელის ძირითადი აზრი – ორი ურთიერთდაპირისპირებული საწყისის მთლიანობა, უერთმანეთოდ არსებობის შეუძლებლობა! წითელი ამსოფლიურობას, ხორციელებას, უდარდებლობას უნდა გამოხატავდეს, თეთრი კი – იმსოფლიურობას, სულიერებას, დარდსა და სევდას. თეთრი ცხენი ხომ წმინდა გიორგის ცხენია, ანუ – დაუშლელი ნათელის, ღვთაებრივი სინათლის, უნივთო ცეცხლის სიმბოლო.

ხორციელება და სულიერება, სხვადასხვა ფერის ცხენებზე „ამხედრებული ფიქრები“ – სიმბოლოები, შეთანხმებულნი სულიერისა

და ხორციელის ერთდროულ არსებობასა და საყოველთაოობაზე, გათენებისას ქრებიან.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ლექსი „ორნი“ სულიერებისა და ხორციელების ცნებათა განზოგადებისა და განსხეულების, ამავდროულად – დაპირისპირებულთა ერთიანობის მხატვრულად გადმოცემის იშვიათი ლიტერატურული ნიმუშია.

Nana Machavariani

### **On the Interpretation of Mukhran Machavariani's Poem ("Two")**

Summary

The paper deals with the interpretation of Mukhran Machavariani's poem "Two". The poem is a rare literary example of generalizing and impersonating notions of spirituality and fleshliness as well as expressing the unity of opposites artistically.



## აკაკი მინდიაშვილი

### ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

მწერლობა, მოძღვრობა, მასწავლებლობა და წინამძღოლობა ერისა, უპირველეს ყოვლისა, სამსხვერპლოა, რომელზედაც ყველა მწერალმა, ყველა საზოგადო მოღვაწემ საკუთარი ცხოვრება, საკუთარი თავი, ადამიანური ბედნიერება მსხვერპლად უნდა მიუტანოს ღმერთს, სამშობლოსა და ადამიანებს.

მწერლობა, საზოგადო მოღვაწეობა – ესაა ღვთისა და ხალხისადმი მსახურება თვითმეწიწრვამდე, რასაც მხოლოდ ისინი შეძლებენ, რომელთაც უფალმა ამგვარი მსახურებისაკენ, „საზოგადო მოღვაწეობისაკენ“ მოუწოდა, – მათ უფლის შემწეობა არასოდეს არ მოაკლდებათ, ხოლო ვინც მოწოდებულნი არ არიან ღვთისაგან „ერის მოძღვრებად“, „მკურნალებად“, „მოციქულებად“ და „მწყემსებად“, – ასეთები არა თუ სხვების, არამედ საკუთარი თავის გადარჩენასაც ვერ შეძლებენ. ამიტომ, აკაკის თქმით, „ვისაც არ შეუძლიან, ის ნუ გამოდის საზოგადო ასპარეზზე!“

„საზოგადო, საქვეყნო საქმე შეგნებული კაცისთვის იგივე სჯული და სარწმუნოებაა, – როგორც ნამდვილი მორწმუნე სარწმუნოებას ვერ უღალატებს, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებს, გინდ სამსხვერპლოდაც გაუხდეს საქმე“ [წერეთელი 1961: 406].

„მე აღვიარებ საზოგადო მოქმედ პირად იმას, ვინც მხოლოდ იმდენად ჰვიქრობს თავის თავზე, რამდენადაც საჭიროა მისი დღიური არსებობისათვის და დანარჩენ ყოველივეს მსხვერპლად სწირავს საზოგადო საქმეს! მე ვენდობი მხოლოდ ამგვარ მუშასა! და ის კი, ვინც თავის თავზე მომეტებულად ზრუნავს, რომელსაც მისი ცხოვრების ხიდად და გზათ უნდა საზოგადო ასპარეზი: შორს ჩემგანო!“

ისიც უნდა იცოდეს მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ, რა მოელის თავისი შრომის საზღაურად:

„დეენა! დიახ, მტრობა, შურის-ძიება და დევნა! ადრევე უნდა გამოეთხოვოს პირად ბედნიერებას და დასჯერდეს და მიითვალოს,

ყოლიფერის სამაგიეროდ, მხოლოდ წმინდა სინდისი, მას სჯერდებოდა და სხვალითაც ამას ინატვრიდეს, „გული წმინდა დაბადე ჩვენთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიხლე გვამსა ჩემსა“ [წერეთელი 1960: 6.7].

„აი, ამგვარი მწერლები და მშრომელები სჭირდება ჩვენს სამშობლოს!..

სიტყვა – თესლია, ხალხია – ნიადაგი, თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ დარჩება... მწერალი უნდა იყოს წმინდათ განმძრახველი და წმინდის მიზნისკენ მომავალი!“ [წერეთელი 1960: 7.XII].

ღვთის რჩეულ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მიცემული აქვთ, აკაკის თანახმად, „მწყემსობის“, „მოდვრობის“ ძალაუფლება.

ის, რომ ძალაუფლების მქონე მბრძანებლობდეს და უფროსობდეს იმ ხალხზე, ვინც უფალმა სამწყსოდ ჩააბარა, დამახასიათებელია წარმართთათვის, ხოლო ქრისტიანებს შორის, როგორც ქრისტე შეგვაგონებს და მცნებად გვიწესებს:

„თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, ის იყო თქვენი მსახური. და ვინც თქვენი მოისურვებს პირველობას, ის იყოს ყველას მონა“ (მსახური), რადგან თვით უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა „იმისთვის კი არ მოვიდა, რათა სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს, და თავისი სული მისცეს მრავალთა გამოსახსნელად“ (მარკოზი 10, 43-45).

იესო ქრისტეს ეს სიტყვები ის საზომია, რითაც „გაიზომება“ უფლის მიერ ყველა თანამდებობის პირი, საერთოდ, ყველა ადამიანი. ეს სიტყვები ის კრიტერიუმი იქნება, რითაც შეფასდება ნებისმიერი ძალაუფლების მქონე და თანამდებობის პირი. აკაკისაც ღრმად სწამს, რომ ჩვენი მიწიური, ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრეს შინაარსს მსახურება შეადგენს, მსახურება ღვთის, სამშობლოსა და ადამიანთა მიმართ, ოღონდ მსახურება – თავგანწირული, თავდადებული, თვითუარყოფელი, ქრისტესმიერი. ამდაგვარი მსახურების მეშვეობით ღვთის მსგავსების მიღწევა და ღვთის დიდება წარმოადგენს ამქვეყნად ადამიანის არსებობის უმთავრეს დანიშნულებას, ხოლო ქრისტიანული, მაღალზნეობრივი ცხოვრება, საუფლო მცნებათა დაცვის გზით სიწმინდის მოპოვება, ცოდვათაგან განწმენდა, ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენა და ღმერთთან ნეტარი ერთობა – ადამიანის ცხოვრების უზენაეს მიზანს.

სწორედ ქრისტესმიერი თავგანწირული სულისკვეთებით უნდა იზრდებოდეს და სუნთქავდეს ყოველი ქართველი, რომელიც ჩვილობიდანვე, აკვნიდანვე დედის რძესთან ერთად უნდა შეისიხლორცებდეს სარწმუნოებისა და სამშობლოს საკუთარ თავზე აღმატებულ სიყვარულს:

„გაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო;  
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!  
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!“  
[წერეთელი 2010: 59]

აკაკი გვიჩვენებს, რომ ღვთისა და მამულისადმი მსახურების გზაზე ყოველთვის თვალწინ უნდა გვყავდეს კაცთა მოდგმის ხსნისათვის ჯვარცმული ქრისტე და მისი გზით სვლა, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ ყმაწვილს უკან არ დარჩება „მრუდე კვალი“ და მუდამ „სწორმხედველი“ იქნება:

„მიჰბამე იმას, ვისაცა  
თავს ედგა ეკლის გვირგვინი“ [წერეთელი 2010: 229].

მართლაც, თუკი ძე ღვთისა „ღმერთი ჭემმარიტი ღვთისაგან ჭემმარიტისა“, აკაკის თქმით, „ღმერთი – უფალი“, რომელიც „დიდ არს... აქ ქვეყანასა და ცათა შინა“, მოვიდა ამქვეყნად კაცის ძის სახით და არავისგან არ მოითხოვდა თავისი თავისადმი მსახურებას, არამედ ამქვეყნად იმისთვის მოვიდა, რომ ადამიანებისადმი ემსახურა, რაც აღასრულა კიდევ და მეტიც – ჩვენი ხსნისათვის სიცოცხლეც გაიღო მსხვერპლად, მაშინ განა ვინმეს მეფეთაგან, ქვეყნის უმაღლეს პირთაგან დაწყებული და თითოეული ჩვენგანით დამთავრებული, უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი თავგანწირულ მსახურებაზე?

ამიტომ „ქვეყნის ერთგული საზოგადო მოღვაწე... ისე უნდა დნებოდეს, როგორც ხატის წინ წმინდა სანთელი... ყველაფერი უნდა აიტანოს ქვეყნის გულისათვის, იტანჯოს ის, იკვნესოს და მსხვერპლად შეიწიროს!.. როდესაც კაცს ქალი უყვარს, თუ მართლა ნამდვილი გრძნობით არის გამსჭვალული, მისთვის ტანჯვა ნეტარებად მიაჩნია, ნუთუ ქალზე უფრო მაღლა სამშობლო არ დგას?“

„ძველი ქართველი მოღვაწეები... თავდადებით შრომობდნენ და სასყიდლად ითვლიდნენ საქვეყნო ვალის მოხდით გამოწვეულ ს ა ი დ უ მ ლ ო ს ი ტ კ ბ ო ბ ა ს“, მართალია, დღესაც არიან ისეთი მამულიშვილები, რომლებიც საზოგადო, ეროვნული საქმისათვის თავგანწირვით შრომობენ საკუთარ კეთილდღეობაზე უარის თქმით, „პირადობის გაწირვით, დასტურ, უნდა რომ ქართველი იყოს!“ და აკაკი ჰმადლობს ღმერთს ამის გამო, რადგან ეს ნიშანი და გამოხატულებაა იმისა, რომ „ჩვენში ქართველსულობა“ ჯერ არ გამქრალა [წერეთელი 1960: 437].

აკაკი ღვთისა და სამშობლოსადმი კაცთა მსახურებას ყოველთვის მაშინ აქებს, როდესაც სიტყვა საქმიანთა დამოწმებული, რადგან, სამწუხაროდ, მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან სიტყვით არა მარტო მთელი თავისი მშობლიური ხალხი, მთელი კაცობრიობა ძმასავით ჩაიკრან გულში, საქმით კი საჭიროების დროს თავის ძმასაც კი არ მოხვევენ ხელს სიყვარულით. „ძალიან კუჭის ამყოლი ხალხი ვართ!.. საზოგადო საქმეს ერთ თავის დაკვრას შევსწირავთ და ერთ მეხვად გავყიდით და სიტყვით კი ყველა ძალიან თავდადებული ვართ ქვეყნისათვის, „მაგრამ როცა არასა ვჭამ, და არა მაქვს მე კახური, მავიწყდება საქართველო და იმისი მსახური“.

მაღალი წოდების, სხვადასხვა თანამდებობის, „მეთაური ინტელიგენციის“ წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი არა მარტო უნდა ემსახურებოდნენ და თანაიტანჯებოდნენ მშობლიურ ხალხთან ერთად, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, თავიც უნდა გაწირონ მოყვასისათვის, ერისათვის.

აკაკის შემოქმედებითი სამყარო წარმოგვიდგენს ასეთ თავდადებულ ადამიანთა მთელ გალერეას როგორც ისტორიული პირების, ისე ღირსეულ თანამედროვეთა სახით, იმ ადამიანების სახით, რომელთათვისაც პირადი ბედნიერებისათვის, საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა უცხოა.

აკაკის მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს წინაშე ჰქონდა დანაშაულის განცდა იმის გამო, რომ იგი არ იყო მისი ღირსეული შვილი და ჭემმარტი მსახური [წერეთელი 1960: 129], რომ „ჩემზედ ბედნიერნი ყოფილან ისინი, რომელთაც სამსახური შეძლებიათ სამშობლოსი და უფრო ბევრი ღვაწლი მიუძღვისთ“:

„ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:  
რომ გულწრფელად მოეხადათ  
ქართლის შვილებს მათი ვალი  
და სიკვდილით გამოეხსნათ  
ჩვენი ქვეყნის მომავალი!“ [წერეთელი 2014: 68].

\* \* \*

აკაკი ყოველთვის გაურბოდა გარეგან, ადამიანურ დიდებას, რასაც, მისი მრწამსით, თავისთავად არანაირი ღირებულება არ გააჩნია და არც იმას იმსახურებს, რომ თუ თავს კეთილგონიერ, მით უფრო, ღვთისწიერ ადამიანად მიიჩნევ, შენთვის სახელი და დიდება ძიების საგანს წარმოადგენდეს. აკაკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავს ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის უბრალო „დღიურ მუშა-მწერლად“, „ჭიანჭველად“, „ფუტკრად“ მიიჩნევდა, საკუთარ პიროვნებასაც არ თვლიდა იმ სიყვარულის ღირსად, რასაც ხალხისგან იღებდა:

„სახელისათვის არასოდეს მიფიქრია. გამოვდიოდი მხოლოდ უბრალო დღიურ მუშათ, რომელსაც ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი აუაროს, გინდ წვრილმანიც იყოს. არასოდეს მის გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა. და უფრო გამომაჩენს, ეს კი პატარა და შეუნიშნავი; ეს სასახელო, იმ სხვების სასიამოვნო და გულის მისაგები. ის კიდევ საწყენი და სხვანი... კალამიც ისე მეჭირა ხელში, როგორც ყოველ დღიურ სამუშაო იარაღი...

რა ჯობია იმ შეგნებას, როცა მუშაობის დროს გრწამს, რომ შენი შრომა უნაყოფოდ არ დარჩება და გამოადგება ქვეყანას, არა თუ დღეს, ხვალ და ზეგაც! ეგებ თავს ვიტყუებდი, მაგრამ მე ყოველთვის ჩემ თავზე ამ აზრის ვიყავ და ამ ერთადერთ სიტყვებით ვცოცხლობდი... მადლობა უფალს, რომ მე მაინც ჩემი გზა არ შემიშლია და დღიური მუშაობისათვის თავი არ დამინებებია... დღეს უფრო საჭირონი არიან ჩემისთანა დღიური მუშა-მწერლები! ამაზე ისე დარწმუნებული ვარ, რომ თუ სიმრთელი არ მიშლიდეს ხელს, მთლად მწერლობად გადავიქცეოდი“ [წერეთელი 1961: 235-236].

აკაკი ჭეშმარიტი ქრისტიანია, – ყოველდღიური მუშა-მსახური უფლისა, მთელი ერისა, ყოველი ქართველისა. აკაკი „ტოტალური ქართველია“ – საყოველთაო ქართველი. ის ქრისტესა და მამუ-

ლისადმი სწორედ ყოველდღიური მუშა-მსახურებით გახდა დიდი („ვისაც თქვენს შორის სურს დიდობა, ის თქვენი მსახური იყოს“ – მარკოზი 10, 42-43).

ამ საღვთო მცნების აღმსრულებელ ისტორიულ პირებს უსახავს აკაკი თანამედროვე „გაუკუღმართებულ“ და „დამახინჯებულ“ ქართველობას, რომელიც „ხორციელადაც იხრწნება“ და „სულიერად კვდება“ და რომელიც

„გადაცდენია ძველ გზასა  
და დაბნევია კვალია...  
აღარ სწამს თავის ქვეყანა  
და თავის სალოცავია!..

ხატი და ჯვარი აღარ სწამს,  
და ფიცის გამტეხელია...  
ეტყობა ამის მარჯვენას  
ღვთის მადლი გამოეღია...

აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,  
არც სადმე სასწაულიო  
და ჯოჯოხეთის სიბილწით,  
გადარეცხია გულიო“ [წერეთელი 2011: 347].

მამისაგან (ღვთისაგან) განშორებულ ქართველობას, რომელიც სახარებისეულ „უძღებ შვილს“ მიმსგავსებია, დაჟინებით უმეორებს, შეახსენებს, რომ „ჩვენს სამშობლოში იმისთანა ადგილს ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, – ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს“...

ღვთისა და ერისათვის მრავალი გამირისა და მოწამის მიერ დაღვრილი წმინდა სისხლითაა აღბეჭდილი ყველა საუკუნე. აკაკის მიზანია, მამულისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლისა და მსახურების სული ააღორძინოს საქართველოში, რასაც ემსახურება მისი სიტყვა, მისი შემოქმედება.

ღმერთი ყოველთვის ემსახურება ქმნილებას. წმინდა ანგელოზები უძღურებს შეეწევიან და ემსახურებიან მათ. და იგივე კანონი უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაშიც, ერშიც – ძალმოსილები უნდა

შეეწოდნენ მათ, ვისაც არ შესწევთ ძალა და უძლურთა უძლურებებს იღებდნენ საკუთარ თავზე, ღვთის რჩეულები უნდა ემსახურობოდნენ იმ ხალხს, ვისი წიადიდანაც გამოარჩია უფალმა რჩეულნი. ესაა ხვედრი ძალმოსილთა და ღვთის მიერ გამორჩეულთა, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, ადამიანებისადმი ჭეშმარიტი და უანგარო სიყვარულით მსახურების წყალობით მიემსგავსონ უფალს, მაცხოვარს. სწორედ ასეთი უანგარო და თავშეწირული მოღვაწენი წარსულიდან თუ აწმყოდან იმსახურებენ აკაკის ქებას. და სწორედ მათ უსახავს მისაბამ ნიმუშებად თვითმსახურებაში მყოფ, ღვთისა და მოყვასისაგან გაუცხოებულ, როგორც საერო მეცნიერებათა, ისე საღვთო მოძღვრებებში განუსწავლელ, სულიერად დაკნინებულ და ზნეობრივად დაცემულ, გაეგოისტებულ, მხოლოდ „საპირადოზე“ მზრუნველ ქართველობას.

ერის საყოველთაო დაკნინებას ცხოვრების ყველა სფეროში ხედავდნენ და განიცდიდნენ არა მარტო საქართველოში მკვიდრნი, არამედ საქართველოს გარეთ მცხოვრები როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. ასე მაგალითად, 1900 წლის 20 ივნისს საქართველოში წმინდა ათონის მთიდან თავისი სულიერი შვილისადმი, იოანე ჭიჭინაძისადმი, გამოგზავნილ წერილში ათონის მთაზე მოღვაწე ბერი, ალექსი ბაქრაძე წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მისი „თანამედროვე ქართველნი ზნეობრივად დაცემულნი არიან“, რომ „ამისი უმთავრესი მიზეზი არის უსწავლელობა, ურომლისოდაც ყოველი პატიოსანი კაცობრიული მოვალეობა დაკარგულია ჩვენში. – და თუ ვინმე მოგვეძებნება ნასწავლი, ისიც, სამწუხაროდ, ისეთს თანამდებობას ემსახურება, რომ ის მხოლოდ თავის პირად სარგებლობისათვის ზრუნავს, და თავის მოძმის ბედ-იღბლისათვის არას დაგიდევს. და იმას ცდილობს, რომ უკანასკნელი ლუკმაც კი უნდა რომ წაართვას!.. თქვენ თვით წარმოიდგინეთ, როდესაც ადგილობრივ მკვიდრი... ასეთ საზიზღარ საქმეს ჩადიან, – აბა, გეთაყვა, მოსრულ თანამდებობის კაცს არა ენადვლება და რათ შესტკივა გული ქართველთა ბედ-იღბალზე“.

არადა, ნებისმიერი თანამდებობის პირი ღვთის წინაშე პასუხისმგებელია იმ ხალხისათვის, რომელიც მას ღმერთმა ჩააბარა. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, უნდა ემსახურობოდეს მას. როდესაც ხალხი ამ მსახურებას ხედავს, თანამდებობის პირის, ხელისუფალის ნებას და იმ კანონებს, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებს, ყოველგვარი ძალდატანების გარე-

შე ემორჩილება, მეტიც, სიხარულითაც კი ემორჩილება მაშინ, როდესაც ხედავს და გრძნობს, რომ ეს მსახურება ხალხისადმი სიყვარულიდან გამომდინარეობს. როდესაც ქართველ ხალხს ღვთივკურთხეული, მირონცხებული მეფე ჰყავდა, სამეფო ხელისუფლებას აღიქვამდა ჯილდოდ, რითაც იგი უფალმა დააჯილდოვა და იგი ამ ჯილდოს იღებდა როგორც მადლს, როცა თავის სულიერ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ცხოვრებით ამ ღვთიურ საბოძვარს იმსახურებდა. და ქართველი მეფენიც, ვითარცა სახარებისეული გონიერი მშენებლები, კლდესა ზედა ანუ ქრისტეზე, მის წმინდა მოძღვრებაზე და წმინდა ეკლესიაზე, ქრისტიანულ-რელიგიურ და ეროვნულ ფასეულობებზე აშენებდნენ სახელმწიფოს „სახლს“ და ამ „სახლის“, ანუ სახელმწიფოს მშენებლობისათვის ისინი ღვთივბოძებულ მადლსა და ძალაუფლებას იყენებდნენ. ამ „სახლის“ მშენებლობისათვის ამავე ძალაუფლებით ისინი ხალხის სხვადასხვა ფენათა საერთო ძალისხმევას აერთიანებდნენ ერთი უმაღლესი საერთო მიზნის განხორციელებისათვის. და მეფობა თუ ამა თუ იმ პირის მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა პრივილეგია კი არ იყო, არამედ უმძიმესი ჯვარი და უადრესად საპასუხისმგებლო ტვირთი, ტვირთი მსახურებისა და მოვალეობა და მოწოდება ერისათვის ზვარაკად შეწირვისა საჭიროების შემთხვევაში. უმეფოდ და უპატრონოდ დარჩენილ საქართველოში მეფე-პატრიარქთა უმძიმესი ჯვრის ზიდვა ღვთის საიდუმლო განგებულებით მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოუწიათ სხვა სასულიერო თუ საერო ღვთის რჩეულ პირებთან ერთად ილიასა და აკაკის, – „უგვირგვინო მეფეებს“, „ციურ მოციქულებს“, „ზეგარდმო ნიჭით ცხებულებს“...

აკაკის აღიარებით, ესევეთარი ჯვრისმტვირთველობა და მსახურება მას განაცდევინებდა „საიდუმლო სიტკბოებას“ (აკაკი ამბობდა: „ამ ერთადერთი სიტკბოებით ვცოცხლობდი“). ამ სიტკბოებას აძლიერებდა იმის შეგნება, რომ ერის სამსახურში ყოფნა, ჯვრისმტვირთველობა უნაყოფო, უშედეგო არ დარჩებოდა.

როდესაც საქართველოში მეფე იკურთხებოდა, იგი, იმავდროულად, იმ პირად აღიქმებოდა ქართველი ხალხის მიერ, ვინც მუდმივ მზადყოფნაში იყო თვითშეწირვისათვის. ასევე აღიქვამდა უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ხალხი ილიასა და აკაკის, ამიტომ სრულიად ლოგიკურია „უგვირგვინო მეფეებად“, „ერის მოძღვრებად“, „ხალხის წინამძღოლებად“ მათი სახელდება.



წარუშლელია აკაკის მიერ შექმნილ ქართველ მეფე-დედოფალთა მხატვრული სახეები, იქნება ის ბაგრატი, თეიმურაზი, თამარი, ლუარსაბი, ერეკლე თუ ვახტანგი და სხვანი, რომლებიც ხალხის გადარჩენის მიზნით მუდმივ ღვაწლში, მსახურებასა და ბრძოლაში იმყოფებიან და მუდმივ მზადყოფნაში არიან, საკუთარი სიცოცხლე გაწირონ მისთვის.

ამიტომ აკაკის სიყვარული ქართველი მეფეებისადმი, ისტორიული გმირებისადმი, წმინდანებისადმი – განუზომელია.

მეფისა თუ გმირების, ისევე როგორც თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების ხალხისადმი სიყვარულში აკაკი ღვთიური სიყვარულის გამოხატულებას ხედავდა, ხოლო ხალხის სიყვარულში მეფეთა, გმირთა და მოღვაწეთა მიმართ – ღვთის წინაშე მათი მსახურების, მათი ღვაწლის გამართლებას: წარსულში „თუ თორნიკე ერისთავები იყვნენ, დღეს რაფიელ ერისთავები გვყავს სანუგეშოდ“.

აკაკი ხან სიბრალულით, ხან სიმკაცრით საუბრობს იმ ქართველების შესახებ, რომლებიც „მუცლის მსახურნი“, „კუჭის თაყვანისმცემელნი“ და დამღუპველი „ფართო გზით“ მავალნი არიან, რომელთაც, თავიანთი არაქრისტიანული ცხოვრებიდან გამომდინარე, შეუწინაღობისა და გამოუსწორებლობის შემთხვევაში არანაირი თანამონაწილეობა არ ექნებათ მარადიულ სიხარულში ქრისტესთან ერთად, ვინც უარყო თავი თვისი ჩვენთვის და იტანჯა ჩვენთვის, ვინც მოკვდა ჩვენთვის, აღდგა ჩვენთვის, ამაღლდა ჩვენთვის და გზა გაგვიკვალა ჩვენი მიწიური სამშობლოდან ზეციური სამშობლოსკენ, ვინც მცნებად დაგვიტოვა, ვიაროთ ამ წუთისოფელში „ვიწრო გზით“, იმ ერთადერთი გზით, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცათა შინა ამაღლება. აკაკის აზრით, „მუცლისმსახურ“, „მეკუჭე“, „ეგოისტ“ ქართველებს არანაირი კავშირი არა აქვთ ქრისტიანობასთან, – ისინი ნამდვილი კერპთაყვანისმცემლები არიან, რადგან ცოცხალი, ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად თავისთავს და თავის „მუცელს“ ემსახურებიან ისე, როგორც ღმერთს. და ასეთი არაქრისტიანული ცხოვრებით ხშირად თავსაც კი იწონებენ. მათი ცხოვრება შორს დგას ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ნამდვილი ცხოვრებისაგან და მსგავსია იგი „საკუთრად პირუტყვის ხვედრისა“. აკაკი ამგვარი ცხოვრების დამკვიდრებაში სხვა გარემოებებთან და ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხალხის წინამძღოლებს, მეთაურებს, თანამდებობის პირებს, რომელთა ცხოვრების წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხალხის მიერ საკუთარი ცხოვრები-

სეული წესის არჩევაზე, მის მორალურ-ზნეობრივ და სულიერ ორიენტირებზე: თავისთავად „ჩვენი დაბალი, ღარიბი ხალხი კეთილი გრძნობებით არის გამსჭვალული, რაც კი შეუძლია, თავს არ იზოგავს, მაგრამ მეთაურები არა ჰყავს შესაფერისი. ის ვაჟბატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე უჭირავს ხელში, ერთი ერთმანეთს მიდგომით ირჩევენ და საზოგადოებაზე არას ჰფიქრობენ!.. საკუთარი, საპირადო ხაზი და ღარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ“ [წერეთელი 1961: 361-362]. სამწუხაროდ, „ჩვენში ყველას საკუჭო-საპირადოზე აქვს თვალი გამოპრაწული და საზოგადო მხოლოდ პირბადედა აქვს ენაზე... ჩვენი საქმეები სულ უკან-უკან მიდის და კიდევ მივადექით უფსკრულის კიდეს!.. გაფრთხილებთ (თავადაზნაურობას – ა. მ.), ნუ ვარდებით ცოდვაში, გამოახილეთ თვალი... ახლა მაინც და ნუ დაღუპავენ ქვეყანას, იქონიონ სახეში მხოლოდ საზოგადო და არა კერძო – ჩვეულებრივი რამ საპირადო“ [წერეთელი 1961: 357].

„ჩვენთვის დღეს აღარც ეროვნებაა ქრისტიანულის ელფერით... მივწყევბით ვითომ მოციქულების კვალს, მაგრამ რომლისას – იუდა გამცემლისას თუ დანაშთენებისას – იმას კი ვეღარ ვარჩევთ, მოვისწრაფით, მაგრამ სავანეში გასავანებლად თუ უფსკრულში ჩასავარდნელად, – არ დავეძებთ და გამაფრთხილებელიც არ ვინა გვყავს. თანამედროვე ქართველის გული კუჭმა ჩაყლაპა და არ გვმართებს მოთქმა-ტირილი?!“

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მას სწამს მომავალი თაობის, ახალგაზრდების, თუ „ქართველებად გამოიზდებიან და ქართველებად კი გამოიზდებიან იმ შემთხვევაში, თუ „ქვაკუთხედად ედებათ სახარება და თავზე გვირგვინად ედგმებათ „ვეფხისტყაოსანი“. მხოლოდ ამ ორ წმინდა საიაზმოში ჩაყენებული დედის რძე შეერგება ჩვენს შვილებს! ამას მოველით, და... მომავალი არ გვატყუებს“.

აკაკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ვითარცა ღვთის საყვარელი შვილი, ქრისტეს „ახალ მცნებას“ ერთგულად აღასრულებდა და თავისი ღვაწლით თანამომძიებებს ყოველდღიურად ეწირებოდა მსხვერპლად – „საამო კეთილსურნელებად“ (პავლე მოციქულის გამოთქმა). აკაკის ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ ქრისტესმიერი სიყვარულითა და თავგანწირვის სულისკვეთებით შემოსილ ქართველობას ძალუმს მისი უტკბილესი სამშობლოს – „სატრფოს“ – ხსნა და მისი კეთილი მომავლის უზრუნველყოფა.

ამრიგად, მოყვასი, სამშობლო უნდა გვიყვარდეს არა საკუთარი თავით, რისკენაც ძველათქმისეული საღვთო მცნება მოგვიწოდებს, არამედ საკუთარ თავზე მეტად, ისე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა. მხოლოდ ამგვარი თავგანწირული სიყვარულით გულანთებული ქართველობა შეძლებს სამშობლოსათვის სანუკვარი თავისუფლების მოპოვებას და გაქრობისაგან მის გადარჩენას. ესეითარი სიყვარული უნდა იყოს მისი ზნეობრივი იდეალი, მისი ყოველდღიური ცხოვრების ნორმა.

„მოყვასის საკუთარი თავით სიყვარულის“ ძველათქმისეულ მცნებაში სიყვარულს ზღვარი აქვს დადგენილი, ქრისტესმიერი სიყვარულის ახალი მცნება კი ამ ზღვარს არღვევს და, ასე ვთქვათ, ზღვარგადასული, უსაზღვრო, ზეუხვი სიყვარულისაკენ გვემახის.

აკაკის სწორედ ზღვარგადასული, ქრისტიანული სიყვარულით უყვარდა თავისი მოყვასი, თავისი სამშობლო, მსგავსად წარსულში თავდადებულ მამულიშვილთა, რომელთაც

„ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა  
რომ გულწრფელად მოეხადათ  
ქართლის შვილებს მათი ვალი  
და სიკვდილით გამოეხსნათ  
ჩვენი ქვეყნის მომავალი!“ [წერეთელი 2014: 68].

აკაკი სამშობლოსადმი, მოყვასისადმი თავის სიყვარულს ავლენდა, გამოხატავდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, და – აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა მორალური უფლება, ქრისტესმიერი სიყვარულისაკენ, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებისაკენ მოეწოდებინა როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობებისთვის.

აკაკი თავყანს სცემს სიყვარულს, რადგან ღმერთი სიყვარულია (1 იოანე 4, 8), სიყვარულია თავისი არსობრიობით [წერეთელი 1962: 572] და აკაკის სურს, ქართველობას სიყვარულით შემოსილს, ე. ი. ღმერთშემოსილს ხედავდეს, სურს, მისი თანამომემნი ქრისტეს უარმყოფლებიდან „ქრისტეს მეგობრებად“ – უფლის მცნებათა დამცველებად იქცნენ („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ“, – მოგვმართავს უფალი. – იოანე 15, 13).

აკაკის როგორც მგოსანს, როგორც „ციურ მოციქულს“, ღვთისაგან ეძლევა ძალა, მადლი და შემწეობა, მძლეად იმოქმედოს თანა-

მოძმეთა გულეზზე, „დაიპყროს“ ისინი, მიიზიდოს ქრისტესაკენ და სულიერ-ზნეობრივად გარდაქმნას ისინი, სულიწმიდით განათლებულმა, საღვთო მადლით აღვსილმა ამხილოს თანამემამულეთა ცოდვებით დამძიმებული უღმერთო, არაქრისტიანული ცხოვრება, ღვთიური სიმაართლით გამოააშკარავოს, ფარდა ახადოს და გააშიშვლოს ყოველგვარი სიცრუე და შეაგონოს ცოდვებში მცხოვრებთ, რომ თუ ცოდვებში გამოუსწორებლად და მოუნანიებლად დარჩებიან და უკეთურ ცხოვრებას გააგრძელებენ, ამქვეყნადაც, ამ დროებით, წარმავალ წუთისოფელშიც და მომავალ მარადიულ ცხოვრებაშიც სასჯელი მიეგებათ უფლისაგან.

აკაკი, როგორც „ღვთის რჩეული“, როგორც „ზეგარდმო მადლით ცხებული“, როგორც „ციური მოციქული“, ქრისტეს მოციქულთა მსგავსად, თავის მშობლიურ ქვეყანაში თანამოქმედებს სულიწმიდასთან, – ამხელს თანამედროვეთა უკეთურებას, გამოააშკარავებს ბოროტებას ქრისტიანული სიმაართლის პრიზმაში და მსჯავრს დებს მათ, ვინც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ღვთის, ეკლესიის, სამშობლოს, მოყვასის, საერთოდ, ქრისტიანული და ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ მოქმედებენ და თანამოძმეებს ჭეშმარიტების, ანუ ქრისტეს გზით ცხოვრების აუცილებლობისაკენ მოუწოდებს, მოუწოდებს, მიბამონ იმ გმირ წინაპრებს, რომლებმაც საკუთარ თავზე მეტად ღმერთი და სამშობლო შეიყვარეს და წუთისოფელი ქრისტესმოყვარე და კაცთმოყვარე ცხოვრებით განვლეს, ღირსეული სიკვდილის შემდეგ „ზეცაში“ ამაღლდნენ და განსასვენებელი „წმინდანთა წიაღში“ პოვეს.

## ლიტერატურა

**წერეთელი 1960** – აკ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, (ტ. XI), თბილისი.

**წერეთელი 1960** – აკ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, (ტ. XII), თბილისი.

**წერეთელი 1961** – აკ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, (ტ. XIII), თბილისი.

**წერეთელი 1961** – აკ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, (ტ. XIV), თბილისი.

**წერეთელი 1963** – აკ. წერეთელი, პირადი წერილები, რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებანი, (ტ. XV), თბილისი.

**წერეთელი 2010** – აკ. წერეთელი, ლექსები, (ტ. I), თბილისი.

**წერეთელი 2011** – აკ. წერეთელი, ლექსები, (ტ. II), თბილისი.

**წერეთელი 2014** – აკ. წერეთელი, პოემები, (ტ. IV), თბილისი.

**წერეთელი 2014** – აკ. წერეთელი, დრამატული პოემები, (ტ. V), თბილისი.

Akaki Mindiashvili

## **The purpose of a man and the aim of life in the literary works of Akaki Tsereteli**

### Summary

According to Akaki Tsereteli's strong belief, the main purpose of human's existence is to do kind things, keep the commandments, develop morally, devote life to God, homeland and people, make sacrifices and admire God.

Akaki Tsereteli strongly believes that human's top priorities should include not only studying and perceiving Christianity but leading a religious life, getting rid of sins and achieving real freedom free of sins and restoring the lost contact with God.

It is impossible to serve the above-mentioned purpose by just making a human effort. In order to achieve the aim, it is necessary to have a blessing. When man is useless, the power of God is very strong; the divine power rescues the human who relies on, believes in and loves God.

Akaki Tsereteli's characters, who follow this world view, work and try hard not to let the divine light die in their souls. They serve God and their country devotedly and light up the ways from Earth to Heaven for their fellows whose lives are full of sins.

Like Christ's apostles, Akaki Tsereteli reveals all the evil and unkind things done by his contemporaries and accuses everyone who consciously or unconsciously acts against God, church, their religion, country and native language, against all the Christian and national values. As a poet

and citizen, both with his works and personal life experiences, Akaki Tsereteli encourages people to lead a true Christian life. He encourages everyone to look up to those ancestors who loved God and their country more than themselves and died a hero's death.

## **ნარატიული ხერხები ნინო ხარატიშვილის რომანში „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“**

ნინო ხარატიშვილის სახელი დღეს უკვე არა მხოლოდ გერმანულენოვანი სალიტერატურო სივრცისთვისაა ცნობილი, იგი საქართველოშიც პოპულარულია, ხოლო მისი მხატვრული ტექსტები ბოლო ორი-სამი წელია ლიტერატურათმცოდნეთა სერიოზული ყურადღების საგანი გახდა.

დღეს იგი რამდენიმე პიესისა და ოთხი დასრულებული რომანის ავტორია, მოღვაწეობს გერმანიაში, როგორც რეჟისორი და მწერალი. 2008 წლიდან ათზე მეტი პრიზი, ლიტერატურული პრემია და სტიპენდია აქვს მიღებული, კერძოდ: ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის ავტორთა პრიზი, როლფ მარეს პრიზი, ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის მთავარი პრიზი, ბუდენბროკების სახლის სადებიუტო პრიზი, ალბერტ ფონ შამისოს პრემია, გერმანიის დამოუკიდებელ გამომცემლობათა ასოციაციის პრემია და კრანიხშტაინერის ლიტერატურული პრემია. „მისი შემოქმედების შესახებ 2011 წლიდან სისტემატურად იბეჭდება რეცენზიები გერმანიის ყველაზე პოპულარულ გაზეთებში: „ზიუდდოიჩე ცაიტუნგ“, „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგ“, „ნოიე ციურიხე ცაიტუნგ“, „ფრანკფურტერ რუნდშაუ“, „დი ტაგესცაიტუნგ“ [გაგნიძე 2017: 287-288].

ნინო ხარატიშვილის 1197-გვერდიანი რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ (Das achte Leben (Für Brillka) ჯერჯერობით ყველაზე მასშტაბურია მის ლიტერატურულ პროდუქციაში როგორც დრო-სივრცული არეალით, ისე მასში გადმოცემული ამბების ისტორიული, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ პიროვნული ასპექტებით. იგი 2014 წელს გამოსცა გერმანულმა გამომცემლობამ *ფრანკფურტერ ვერლაგსანშტალტმა* (Frankfurter Verlagsanstalt), ქართველმა მკითხველმა კი 2019 წელს მიიღო ნინო ბურდულის თარგმანით (გამომცემლობა „ინტელექტი“). „მერვე სიცოცხლე“ ძალიან სწრაფად მოხვდა გერმანული წიგნების ტოპათეულში. ამ რომანისთვის მწერალს მიღებული ჰქონდა ბოშის სტიპენდია (Das

Grenzganger Stipendium der Robert-Bosch-Stiftung), რომელმაც მას შესაძლებლობა მისცა, ემოგზაურა რუსეთში, გასცნობოდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ ცნობებს, 20-40-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების ისტორიას, ცალკეულ ადამიანთა ტრაგედიებს ტოტალიტარული მმართველობის პირობებში... საკუთრივ ამ რომანისთვის „მწერალმა მიიღო გერმანული ბიზნესის კულტურის კომიტეტის ლიტერატურული პრემია (Literaturpreis des Kulturkreises der deutschen Wirtschaft) და ანა ზეგერსის პრემია (Anna Seghers-Preis). 2016 წელს ნინო ხარატიშვილი კიდევ ერთი სალიტერატურო პრემიის, ზეპ შელჰორნის სტიპენდიის (Sepp-Schellhorn-Stipendium) მფლობელი გახდა“ [გაგნიძე 2017: 288]. 2017-2018 წლებში აღნიშნული რომანი დაჯილდოვდა ჰერტა კოენიგისა (Hertha Koenig-Literaturpreis) და ბერტოლტ ბრეხტის (Bertolt-Brecht-Literaturpreis) ლიტერატურული პრემიებით. გასულ წელს კი ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის „საბას“ მფლობელი გახდა (დაჯილდოება ფრანკფურტში, წიგნის საერთაშორისო ბაზრობის ფარგლებში, გაიმართა).

გერმანული სალიტერატურო და სახელოვნებო კრიტიკა გამოსვლისთანავე აქტიურად გამოეხმაურა რომანს. მწერალი, რეჟისორი და ჟურნალისტი ნორბერტ კრონი წერს: „ნინო ხარატიშვილი ოსტატურად უკავშირებს ერთი ქართველი ოჯახის სულისშემძვრელ ცხოვრებას მეოცე საუკუნის რევოლუციათა ისტორიას. საუკუნის რომანი, რომელიც კითხვას მოგაწყურებთ და ძლიერი ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავისი სამშობლოს მამაკაცთა საზოგადოებისგან გათავისუფლდა. მასშტაბური ისტორიული რომანი, ადამიანური ტრაგედიებით ისევე სავსე, როგორც ცხოვრება“. ხოლო მწერალი და ლიტერატურის კრიტიკოსი ფოლკერ ვაიდერმანი აღტაცებული აღნიშნავდა: „ნინო ხარატიშვილმა ევროპის ისტორია ოჯახის ისტორიის სახით ხელახლა მოგვითხრო. წლის საუკეთესო გერმანული რომანი. ფენომენალურია!“ (აღნიშნული შეფასებები დართული აქვს რომანის პირველ ქართულ გამოცემას).

„მერვე სიცოცხლე“ საოჯახო რომანია, იგივე თაობათა რომანი, რთული და მრავალშრიანი ტექსტი რამდენიმე ძირითადი და უამრავი შენაკადი ამბით. ამიტომ მისი კვლევა ნარატოლოგიის მეთოდის გამოყენებით განსაკუთრებით საინტერესოა. ტექსტი 8 ნაწილისაგან შედგება, თითოეულს კი რომანის ერთი რომელიმე მთავარი პერსონაჟის სახელი ჰქვია („სტასია“, „ქრისტინე“, „კოსტია“, „კიტი“,



„ელენე“, „დარია“, „ნიცა“) და ძირითადად მის ამბავს მოგვითხრობს. რაც შეეხება მერვე თავს, რომლის სახლწოდებაა „ბრილკა“, იგი ცარიელი ფურცელია, რადგან ბრილკა აწმყოა, მისი ამბავი სწორედ ახლა იწყება. მთელი ეს საგაც მისთვისაა მოთხრობილი, რათა მან, დაბნეულმა, თავის თავში ჯერ კიდევ გაურკვეველმა 13 წლის გოგომ, გვარის წარსულის გაანალიზებითა და წინაპართა ცოდვების გააზრება-გაზიარებით სწორი გზის პოვნა შეძლოს ცხოვრებაში. რაც შეეხება თავების შიდა სტრუქტურას, ისინი თავის მხრივ ქვეთავებად იყოფა, რომლებიც ასევე ორიგინალურადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული ეპიგრაფებით, რომლებიც თავისებური სათაურებია ამ ნაწილებისა და ხან პირდაპირ, ხანაც ირონიულად გამოხატავენ სათქმელს. შინაარსობრივად მწერლის ეპიგრაფები მრავალფეროვანია: ციტატები ცნობილი პოეტებისა და მწერლების ტექსტებიდან (მაიაკოვსკი: „*მამ, მწყობრში! არავინ მოდუნდეთ! / მე ყბედ ორატორებს ვაუწყებ: / – თქვენ, ეი! გეყოფათ! დადუმდით! / სიტყვა აქვს ამხანაგ მაუზერს!*“; ახმატოვა: „*შენ უკვე მკვდარი ხარ, შრიალა / ფიფქებში ხარ მიწას დახლილი. / თავს გადგას ოცდარვა ხიშტიანი / და ხუთიც – ტყვიების დამხლეელი*“; ევტუმენკო: „*მან ხომ მემკვიდრენი დატოვა იმდენი, / მსოფლიოს ავსებენ კიდიდან კიდემდე, / მე მგონი, კუბოში უდგას ტელეფონი / და იმ მემკვიდრეებს აძლევს მითითებებს. / იგი არ მომკვდარა... ახლაც არ გვასვენებს...*“), ნაწყვეტები საბჭოთა პლაკატებიდან („*სკკპ ჩვენი ეპოქის გონება, დიდება და სინდისია!*“; „*საბჭოთა რაკეტა მშვიდობისთვის შეიქმნა!*“; „*სულ უფრო უკეთესი, სულ უფრო ხალისიანია მშრომელთა ცხოვრება!*“ და ა. შ.), სოციალიზმის იდეოლოგთა გამონათქვამები (ტროცკი: „*როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომს თავისი კანონები აქვს და ისინი ჰუმანურ კანონებად არასდროს მიიჩნეოდა*“; ლენინი: „*რუსეთის მასებს რამე ძალიან მარტივი და მათი ტვინისთვის გასაგები უნდა დაანახო, კომუნიზმი კი მარტივია*“; ტროცკი: „*რევოლუციები ყოველთვის უზრდელობით გამოიჩნეოდა; ალბათ იმიტომ, რომ გაბატონებული კლასები ზედმეტად არ იწუხებდნენ თავს, ხალხს კარგი მანერები ესწავლა*“; გენერალსიმუსი: „*ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონების სიკვდილი კი – მხოლოდ სტატისტიკა*“ და ა. შ.), ნაწყვეტები სოციალისტური ლექსებიდან და სიმღერებიდან („*ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს, / ძმებო, დავცინოთ სიკვდილს! / მონობას მოვუღოთ ბოლო, / დავლოცოთ უკანასკნელი ბრძოლა*“...). გამონაკლისი ამ მხრივ მხოლოდ ორი ქვეთავია. საექსპოზიციო ნაწილს უზის სათაურად

„2006“, ხოლო რომანის ბოლო ქვეთავს – „2007“, რაც წლებზე მიუთითებს და თხრობის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავს. მწერლის ამგვარი გადაწყვეტილება რომანის ქვეთავებად დაყოფა-დასათაურებისა სტრუქტურულად ძალიან საინტერესოა და ფუნქციურად მნიშვნელოვანი.

„მერვე სიცოცხლე“ მძიმე ეპოქის რეალურ სურათს აღადგენს რამდენიმე თაობის ტრაგიკული თავგადასავლის თხრობით. „ჩემი საყვარელი ორეულის“ მსგავსად, ისიც წრიული სტრუქტურისაა – დასაწყისი წიგნის ფინალში კიდევ ერთხელ მეორდება. აქ მწერალი უკვე ნაცად ხერხს იყენებს: ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ნიცა დისშივლის მიმართავს და განუმარტავს, რატომ უნდა უამბოს წინაპრების საუკუნოვანი ისტორია. რომანის ბოლოს ამ მიმართვის ტექსტი თითქმის უცვლელად მეორდება და ამით იკვრება კიდევ რომანის კომპოზიციური ხაზი, ერთგვარი წრე, რომელიც ბრილკას მაპროვოცირებელი საქციელით იწყება და სრულდება.

როგორც ნარატოლოგიაშია აღნიშნული, მხატვრული ტექსტი არის მოდელი, რომლის მეშვეობითაც მწერალი გადმოგვცემს ამბებს, თხრობას აქვს გარკვეული შინაგანი მიმართულება, მნიშვნელოვანი, ე. წ. ბირთვული მოვლენების ან კულმინაციური წერტილისაკენ [ლიტერატურათმცოდნეობის... 2012: 147]. სიუჟეტური ხაზი 1900 წელს იწყება საქართველოს იმ პატარა ქალაქში, „კავკასიის ნიცად რომ უნდა ქცეულიყო“, და 2007 წელს თბილისის ცენტრალურ მოედანზე სრულდება (ნოემბრის აქციებისას). მწერალს რომანში საქართველოსა და ევროპის ბევრი ქალაქი და სოფელი აქვს დასახელებული, რომანის გეოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანია, ქრონოლოგია კი – უაღრესად რთული. სწორედ ამ ამბების მწერლისეული დალაგება, გადაბმა, პარალელური თხრობა ქმნის იმ გამორჩეულ ნარატივს, რომელიც ასე იზიდავს მკითხველს. რაც შეეხება კომპოზიციას, გადაწყვეტა აქაც ორიგინალურია: თითოეულ თავს თავისი საკუთარი კომპოზიციური ღერძი გააჩნია, საკუთარი კვანძი, ამბის განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა. ამიტომაც აქ ხშირია აზრობრივი თუ ემოციური გრადაციები, ამბავი ხან უაღრესად დამაბულია, ხანაც შედარებით მშვიდდება. ყოველ თავში ეპიზოდები, პასაჟები თუ კოლიზიები იმ ერთი მთავარი პერსონაჟის ცხოვრებაზეა ასხმული, დანარჩენი გმირები კი თავიანთი ამბებით მის გარშემო ლაგდებიან და რაღაც მნიშვნელოვანით უკავშირდებიან მას, მეორე ნაწილში უკვე მეორე პერსონაჟია ცენტრალურ ადგილზე და ახლა

მის გაშემო გადააწყობს მწერალი ამბებსა და პერსონაჟებს და ასე ყოველ ნაწილში. მაგალითად, პირველი თავი „სტასია“ შოკოლადის ფაბრიკანტის ქალიშვილის ცხოვრებას აღწერს: სიყვარული, გათხოვება, ქმართან განშორება, I მსოფლიო ომი, რუსეთში მოგზაურობა და ქმრის ძებნა, საქართველოში დაბრუნება და ა. შ. აქ მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ პერსონაჟს უკავშირდება ყველაფერი, სხვა მთავარი თუ მეორეხარისხოვანი გმირები მწერალს იმ დოზით შემოჰყავს ტექსტში, რამდენადაც ეს სტასიას ამბის განვითარებისთვის არის საჭირო. ნარატივის აგების ამ მოდელს მიჰყვება მწერალი ყველა მომდევნო ნაწილშიც.

როგორც ცნობილია, ნარატოლოგიის უმთავრესი საკითხებია: მთხრობელი, მთხრობის პროცესი და მონათხრობი ამბავი. ასევე – ნარატოლოგიის ძირითადი ანალიტიკური კომპონენტებია: სიუჟეტი, ხმა, დრო, თვალთახედვა, პერსონაჟი, როლი. თავად ნარატივი კი ნარაციის, ანუ მთხრობის შედეგია [ლიტერატურათმცოდნეობის... 2012: 146-148].

უკვე ანტიკური ტრადიცია ერთმანეთისგან განარჩევს რამდენიმე ტიპის მთხრობელს – ავტორ-მთხრობელს, პერსონაჟ-მთხრობელსა და ამ ორი მეთოდის კომბინაციას. ნინო ხარატიშვილი უარს ამბობს ავტორისეულ მთხრობაზე და პერსონაჟისეულ მთხრობას ანიჭებს უპირატესობას. როგორც თავად ამბობს, ეს არჩევანი მას გარკვეულწილად დაეხმარა კიდევ წერის პროცესში: „*ძალიან დამეხმარა ის ფაქტი, რომ მთელი ეს რომანი მიძღვნილი ფორმიტაა დაწერილი, ანუ ერთი ადამიანი მეორეს უყვება ამ ყველაფერს. აქ მე, როგორც ავტორი, საერთოდ არ ვფიგურირებ... ამ ხერხით მე შევეცადე, თავიდან ამეცილებინა რაღაც აბსოლუტურის, ჰერმეტულის ილუზია*“ [ნინო ხარატიშვილის... 2014]. თუკი ტექსტს ამ კლასიკურ ჩარჩოს მოვარგებთ, ნინო ხარატიშვილის ნარატივი იქნება არა ავტორისეული, არამედ პერსონაჟი-მთხრობელისეული, ოღონდ ეს პერსონაჟი-მთხრობელი ე. წ. *პერსონიფიცირებული მთხრობელია*, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პოზიცია განიხილება როგორც ავტორთან დაახლოებული პოზიცია, ოღონდ – არა მისი იდენტური. მართლაც, ნიცას მსოფლმხედველობრივი პოზიცია ზოგჯერ შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს კიდევ ავტორისეული „ხმისაგან“, თუმცე ბოლომდე ვერც მათ მსგავსებას გამოვრიცხავთ, რადგან პერსონაჟ-მთხრობელსა და ავტორს აერთიანებთ საერთო საცხოვრებელი დრო (მე-20–21-ე საუკუნეთა მიჯნა) და ადგილი (პოსტსაბჭოთა საქართვე-

ლო და ევროპა). ისინი ერთი თაობის, ერთი ეპოქის შვილები არიან. სწორედ ამგვარი სუბიექტური შეგრძნებებისა და ობიექტური გარემოებების აღქმის სინთეზით ვიღებთ იმ საინტერესო ნარატივს, რომელსაც პერსონაჟი-მთხრობელის ენით გვთავაზობს მწერალი, ანუ ამბავს, რომელიც ხან საკმაოდ დისტანცირებულია ავტორისეული დროისაგან და ხანაც – არა. ეს დისტანცირება პერსონაჟ-მთხრობელს/ავტორს წარსული მოვლენების ნაკლებად ემოციური და მეტად ობიექტური გააზრების საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება თხრობის პრინციპს, იგი ლინეალურია (ანუ ქრონოლოგიურად ვითარდება) თითოეული თავის ფარგლებში, თუმცე თავად ეს თავები არაა დალაგებული ქრონოლოგიური პრინციპით. უფრო ზუსტად, ისინი გარკვეულწილად გადაფარავს ერთმანეთს. ყველა მომდევნო თავი წინაზე „გვიან იწყება“ და ასევე „გვიან მთავრდება“ (ვეულისხმობთ ქრონოლოგიურ დროს), თუმცე თავის თავში დიდწილად მოიცავს წინა თავის ქრონოსსაც და ტოპოსსაც; მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შესახებ თხრობა გვხვდება თავებში – „კოსტია“ და „კიტი“ – ავტორი გვიყვება ერთსა და იმავე დროში, ოღონდ სხვადასხვა სივრცეში მომხდარ სხვადასხვა ამბავს (ერთგან კოსტიასა და იდას სიყვარულს რუსეთში, მეორეგან – კიტისა და ანდროს სიყვარულს საქართველოში); მეორე შემთხვევაში დროც და სივრცეც ერთია – საბჭოთა სახელმწიფოს ბოლო ათწლეულები და პოსტსაბჭოთა საქართველო, ოღონდ ეს ამბები რომანის ერთ ნაწილში („ნიცა“) მაშინ იწყება, როცა იგი უკვე დასრულებულია მეორეში („დარია“). ამრიგად, დროითი სტრუქტურების მიხედვით ნინო ხარატიშვილის ნატაციულ სისტემაში საქმე გვაქვს როგორც *დროის განგრძობითობასთან*, ისე მის *განმეორებითობასთან*. რომანში ასევე ხშირად გვხვდება დროითი თანმიმდევრობის დარღვევის ხერხები, იგივე *ლიტერატურული ანაქრონია*, რაც, თავის მხრივ, ორ კომბინაციას გულისხმობს – *ანალებსისს*, ანუ ე. წ. უკან გადახვევას (როცა თხრობის დისკურსი წყვეტს ამბის ნორმალურ თანმიმდევრობას და უბრუნდება უფრო ადრე მომხდარ ამბავს) და *პროლეგსისს*, ანუ ე. წ. წინ გადახვევას (როცა თხრობა გადაინაცვლებს მომავალი მოვლენისკენ).

საინტერესო სურათი გვაქვს ასევე ხედვის ხერხების გამოყენების მხრივაც. ნარატოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ტერმინია „თვალთახედვა“ (ცნება შემოიტანა ჰენრი ჯეიმსმა, განავითარა ბ. უსპენსკიმ და „ახალმა კრიტიკამ“). ესაა ხედვის კუთხე, რომლის საშუა-

ლებითაც გადმოიცემა მოვლენები და განცდები. ის, თუ „საიდან, რა კუთხიდან აღიქმება ის, რაც მოთხრობაშია ნაჩვენები“ (რიკიორი). სწორედ თვალთახედვათა სიმრავლეზეა დამოკიდებული ნაწარმოების მრავალპლანიანობა. ავტორის, მთხრობელებისა და პერსონაჟების თვალთახედვათა ვარიანტებით მწერალი ქმნის ნაწარმოების რთულ კომპოზიციას [ლიტერატურის... 2008: 207-208]. ნინო ხარატიშვილს ჩვენ მიერ უკვე გაანალიზებული კომპოზიციური მოდელი აძლევს იმის საშუალებას, ესა თუ ის პასაჟი, სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენა, პერსონაჟის საქციელი დაგვანახოს სხვადასხვა კუთხიდან. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ანდროს ის საქციელი, როცა იგი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მხარეს გადადის ანტისაბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენით. მისი ბავშვობის მეგობრის, თუმც აწ უკვე საბჭოთა უშიშროების თანამშრომლის, კოსტია ჯაშის შეხედულებით – იგი ერთმნიშვნელოვნად სამშობლოს მოღალატეა, მასზე შეყვარებული კიტი ჯაშისთვის უდანაშაულოა, ხოლო სტასია და ქრისტინე საერთოდ არ განიხილავენ ანდროს საქციელს ამ კატეგორიების მიხედვით; ისინი მხოლოდ იმას განიცდიან, რომ ანდროს წინაშე ყველანი დამნაშავეები არიან და ვალდებულნიც, დაეხმარონ მას. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და, ალბათ, ჭეშმარიტიც ბრილკას პოზიციას, რომელსაც ავტორი ღიად ტოვებს სწორედ იმ დაუწერელ ბოლო თავში. ხედვის ამ განსხვავებულ კუთხეებთან ერთად პერსონაჟთა პერსპექტივებს შორის სხვაობაც იკვეთება. იგივე შეგვიძლია ვთქვათ სხვა მრავალი პასაჟისა თუ პოლიტიკური მოვლენის შესახებაც, როგორებიცაა ტექსტში საბჭოთა სისტემა, „პერესტროიკა“, ეროვნული მოძრაობა, პრადის ნაადრევი გაზაფხული და ა. შ.

ბოლოს კი ყურადღებას შევაჩერებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნარატოლოგიურ ტერმინზე, ესაა *თანმიმდევრობა*, ოღონდ არა ქრონოლოგიური, არამედ თემატური, ერთგვარი მოქმედების ლოგიკის განვითარება. ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ტექსტი შეიცავს რაღაც უმთავრეს სათქმელს, რომელსაც ავტორი აწესრიგებს ამბის ან ასე, ან ისე განვითარებით. ძალზე ზოგადად რომ ვთქვათ, ეს სქემა ასეთ სახეს მიიღებს: დანაშაული (ან შეცდომა) – სასჯელი (რაც თავის თავში მოიცავს ტანჯვას) – სინანული და განწმენდა. ჩვენ მიერ განხილულ ტექსტშიც ეს სქემა მუშაობს: დანაშაული – სისხლიანი ბოლშევიკური პერიოდი, რომელიც გადაიზრდება საბჭოთა ეპოქაში (სიმბოლურად ამის სახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ უშიშროების

ერთგული ჩინოვნიკი კოსტია ჯაში), სასჯელი – კოსტიას ერთადერთი ქალიშვილის, ელენეს დაუსრულებელ უბედურებათა წყება, ასევე ამ უკანასკნელის ქალიშვილების – დარისა და ნიცას ცხოვრება, რომლებიც ტანჯვის ნიშნითაა აღბეჭდილი და ვერა და ვერ აღწევენ ბედნიერებას; განწმენდა – ჯაშების საგვარეულოს ბოლო წევრი ბრილკა, რომანის ბოლო დაუწერელი თავი, რომელიც სწორედ ამის მოლოდინს აჩენს.

ამრიგად, ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ნარატოლოგიის უმთავრესი პრინციპები ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლის“ მაგალითზე. თვალთახედვათა, თხრობის ტიპებისა და დროითი სტრუქტურების მრავალფეროვნება, ფართო ქრონოტოპული მოდელი, რთული კომპოზიციური ხაზების დალაგება, ერთმანეთში გადასვლა და განვითარება, პერსონაჟთა განსაკუთრებით მდიდარი გალერეა – ესაა ყველაფერი ის, რაც ერთობლიობაში ამ უდავოდ საინტერესო რომანს ნარატოლოგიური კვლევისთვის ესოდენ საინტერესოს ხდის.

## ლიტერატურა

**გაგნიძე 2017** – ნ. გაგნიძე, ნარკვევები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან, ქუთაისი.

**ლიტერატურათმცოდნეობის... 2012** – ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბილისი: GCLAPress, 2012.

**ლიტერატურის... 2008** – ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური მიმდინარეობები და კონცეფციები, თბილისი.

**ნინო ხარატიშვილის... 2014** – ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე“, ნაწ. 1, 21 სექტემბერი 2014, ესაუბრა *მარიკა ლაფაური* <http://einblickgeorgien.blogspot.com/2014/09/1.html>).

**ხარატიშვილი 2019** – ნ. ხარატიშვილი, მერვე სიცოცხლე (ბრილკას), თბილისი.

Ada Nemsadze

**Narration techniques in Nino Kharatishvili's novel  
*The Eighth Life (for Brilka)***

Summary

Nino Kharatishvili's 1197-page novel *The Eighth Life (for Brilka)* (Das achte Leben (Für Brilka)) is by far the largest in her literary production. It is a family novel or the novel of generations, which recreates the real image of the hard epoch through telling the tragic adventure of several generations and covers the whole century. The text consists of 8 chapters; each of them is titled with the name of one of the main characters and mainly tells the story of each of them. Each chapter has its own compositional axis; therefore, there are many notional and emotional gradations. Nino Kharatishvili refuses narration by author and gives advantage to character's narrations, but that character-narrator is a so called *personified narrator*, which means that their position is considered as the position affiliated with that of the author, only not identical with it. Narration principle is linear; time sequence is often violated and the *literary anachronism (both analepsis and prolepsis)*, is seen. All the aforementioned make the novel highly interesting for narratological study.

## მარიამ ორკოდაშვილი

### **ინფორმაციის წყაროს გრამატიკული გამოხატვა ევიდენციალობის საშუალებით**

ევიდენციალობა სხვადასხვა ენაში განსხვავებული ლექსიკურ-გრამატიკული, ლინგვისტილისტიკური თუ პრაგმატული საშუალებით გამოიხატება, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია არის ინფორმაციის წყაროს გრამატიკული გამოხატვა, ინფორმაციის გადმოცემისას წყაროს სიზუსტის ან მოსაუბრის დარწმუნებულობის ხარისხის ამსახველი სამეტყველო და ლინგვისტური ერთეულების მართებული გამოყენება. ამ მხრივ, მის ძირითად ასპექტს წარმოადგენს განწყობის, მოსაუბრის ან მწერლის დამოკიდებულების გამოხატვა ნათქვამის ან დაწერილისადმი. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ევიდენციალობის გამოხატვის მაგალითებს ინგლისურსა და ქართულში.

ევიდენციალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა დარგისა და სფეროს ტექსტებისა თუ სამეტყველო აქტების წარმართვაში. ეს დარგებია: ინფორმაციის თეორია, სამეცნიერო მედია, სამეცნიერო წერა, საჯარო პრეზენტაციები, აკადემიური დისკურსი, იურიდიული დისკურსი, ბიზნესდისკურსი და მრავალი სხვა. ყველა ეს დარგი თავისი არსიდან და პროფესიული თავისებურებიდან გამომდინარე, საჭიროებს ევიდენციალობის შემცველი, გამომხატველი თუ ნაგულისხმევი ლინგვისტური ერთეულებისა და სტრუქტურების გამოყენებას.

ჩატარებული კვლევა ეფუძნება ენების შედარებით-შეპირისპირებით და ტიპოლოგიურ ანალიზს, რადგან ის ადარებს და უპირისპირებს ინგლისურსა და ქართულში ევიდენციალობის გამოსახატავად გამოყენებულ ლინგვისტურ ერთეულებსა და სტრუქტურებს. ზოგადად, ევიდენციალობის გამომხატველი რთული სისტემის მქონე ენები (მაგ: თარიანა, ტუკანო - ჩრდილო-დასავლეთ ამაზონიის ენები) ლინგვისტური ტიპოლოგიური კვლევისთვის მდიდარ მასალას გთავაზობს, მაშინ როდესაც მსოფლიოს ენების მხოლოდ მე-



ოთხედს თუ აქვს ევიდენციალობის გამომხატველი გრამატიკული საშუალებები.

### *ევიდენციალობა ინგლისურსა და ქართულში*

ევიდენციალობის კატეგორია მსოფლიოს სხვადასხვა ენაში გვხვდება. განსაკუთრებით ხშირია ის სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ადგილობრივ ენებში, ტიბეტურ-ბურმულსა და კავკასიურ ენებში. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ევიდენციალობის გადმოცემის შედარება ინგლისურსა და ქართულში.

როგორც ინდოევროპული ენების უმეტესობაში, ინგლისურში ევიდენციალობა ძირითადად ლექსიკური ფრაზებითა და სინტაქსური სტრუქტურებით გადმოიცემა, ხოლო ქართულში ევიდენციალობა ძირითადად ზმნის პირველი თურმეობითის ფორმით გამოიხატება.

It appears he has said; he is said to have proved; it turns out that he has lied; it turns out she has shouted (as they say it); she is said to have seen it.

უთქვამს, დაუმტკიცებია, მოუტყუებია, (თურმე) უყვირია, (თურმე) უნახავს.

### *ევიდენციალობის სახეობები*

ევიდენციალობის შემდეგი ძირითადი სახეობების გამოყოფა შეიძლება.

ა) ვიზუალური - Visual evidentiality (საკუთარი თვალით ნანახი):

წარსულის (პერფექტული ან აორისტის) ფორმებით გამოხატული:

წიგნები უკვე მოიტანეს (მე ვხედავ მათ თაროებზე). წიგნები უკვე მოტანილია.

They have already brought the books (I see them on the shelves).

ბ) გადმოცემული ევიდენციალობა (სხვისი ნათქვამი) – reported evidentiality:

პერფექტულ-რეზულტატური, პირველი თურმეობითის ფორმით გადმოცემული:

(თურმე) წიგნები უკვე მოუტანიათ (როგორც მითხრეს).

It appears/turns out they have already brought the books.

The books are said to have already been brought.

გადმოცემული ევიდენციალობა ხშირად ინფორმაციის სანდოობის გამოხატვასთან არის მჭიდრო კავშირში.

გ) ინფერენციული ევიდენციალობა, ლოგიკური მსჯელობის ან დაკვირვების შედეგად გამოთქმული ვარაუდი ან დასკვნა - inferential evidentiality:

(ეტყობა) წიგნები უკვე მოუტანიათ (ყველა სტუდენტს წაკითხული აქვს ტექსტები იმ წიგნებიდან, ე.ი. დაკვირვებიდან დასკვნა გამოვიტანე, თუმცა შეიძლება წიგნები არ მქონდეს ნანახი).

They must have already brought the books (I see, everyone has read the texts from those books, although I might not have seen the books themselves).

დ) საეჭვო, სავარაუდო ევიდენციალობა - Dubitative evidential:

სავარაუდო ევიდენციალობა ხშირად *თუ* კავშირ-ნაწილაკს იყენებს, რომლის ინგლისური შესატყვისი whether კავშირის მეშვეობით გამოიხატება.

საეჭვოა, თუ სიმართლეს ამბობდა (დარწმუნებული არ ვარ).

It's doubtful whether he was telling the truth (I am not sure).

### *ასპექტი და ევიდენციალობა*

ევიდენციალობა შეიძლება არა მხოლოდ პერფექტულ-რეზულტატური, არამედ განგრძობითი, უსრული ასპექტის ფორმებითაც გამოიხატოს.

დავინახე, რომ წიგნები მოიტანეს (პერფექტულ-რეზულტატური ასპექტი).

I saw them bring the books.

დავინახე, რომ წიგნები მოჰქონდათ (განგრძობითი ასპექტი).

I saw them carrying the books.

თურმე წიგნები მოჰქონდათ (როგორც მითხრეს).

They are said to have been carrying the books.

ეტყობა, წიგნები მოჰქონდათ (სიტუაციიდან დასკვნა გამოვიტანე, ინფერენციული).

They seem/appear to have been carrying the books.

### *აწმყოს და მომავლის ევიდენციალობა*

მართალია, ევიდენციალობა ძირითადად თავისთავად წარსულ ან დასრულებულ ფაქტს, ან ქმედებას გულისხმობს, იგი აწმყოს და მომავლის ფორმებსაც გადმოსცემს.

აწმყოში ევიდენციალობა ინგლისურში უმეტესად ეპისტემური მოდალური ფორმებით გამოიხატება.

ახლა პაატა სახლში უნდა იყოს (როგორც წესი, ამ დროს სახლშია ხოლმე).

Paata should be at home now. (He usually is at home at this time).

ახლა წესით სტუდენტები დავალებებს უნდა წერდნენ (ამ დროს ასე ხდება ხოლმე).

The students should be writing the tasks right now. (They usually do this at this time).

მომავლის ევიდენციალობა უმეტესად მყოფადის ფორმებით გამოიხატება ქართულში, ხოლო going to / will კონსტრუქციებით ინგლისურში.

ხვალ უნდა მოვიდეს / მოვა (თვითონ მითხრა).

He is going to come tomorrow. He will come tomorrow (he told me so).

(თურმე) ხვალ უნდა მოვიდეს (როგორც მითხრეს, როგორც გავიგე).

It appears he is going to come tomorrow (as I was told).

ეტყობა ხვალ მოვა / უნდა მოვიდეს (როგორც მე ვვარაუდობ).

It seems he will come tomorrow (as I assume).

### *ინფერენციული ევიდენციალობა Inferential evidentiality*

ინფერენციული ევიდენციალობა განსაკუთრებულად საინტერესო კატეგორიაა, რადგან ის სხვისი ნათქვამის, გადმოცემულის და მსმენელის ლოგიკური მსჯელობისა და დასკვნის ნაზავია.

მუქარა შენიღბულად / მინიშნებით გადმომცეს (ე. ი. სხვის ნათქვამს და ჩემს მსჯელობას ვაერთიანებ).

The threat was couched in the vaguest possible terms (combines others' speech with my logical deduction).

### *მირატიულობა და მოულოდნელობის ეფექტი Mirativity and unprepared mind*

ევიდენციალობა ხშირად მოულოდნელ, წარმოუდგენელ ფაქტს გადმოსცემს.

თურმე ამდენ ხანს სულ გვატყუებდა! (არ ველოდით, ახლა შევიტყვეთ).

It appears, he was telling a lie all through this time! (we did not know it, we just learnt about it).

თურმე სულ სხვა რამ მომხდარა! (არ ველოდით, ახლა აღმოვაჩინეთ, მივხვდით).

It turns out, something different has happened (we did not expect it; we just found out about it).

უნდა აღინიშნოს, რომ მირატიულობის გამომხატველ ფორმებს ხშირად ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით განცვიფრების, აღფრთოვანებისა თუ აღშფოთების ელფერი დაჰკრავს.

*მოდალური ზმნები და ევიდენციალობის გრადაცია დარწმუნებულობის ხარისხის მიხედვით – მრავალმოდალურობა*

ინგლისურში ნათქვამში დარწმუნებულობის ხარისხი უმეტესად მოდალური ზმნებით გადმოიცემა.

He must have made a mistake (I am sure based on the evidence).

ნამდვილად შეცდომა დაუშვა (დასკვნა გამოვიტანე შედეგებზე დაყრდნობით).

He could have misunderstood me (physical possibility).

შეიძლება, სწორად ვერ გაიგო (დასკვნა გამოვიტანე ფიზიკურ შესაძლებლობაზე დაყრდნობით).

შესაძლებელია (ალბათ, სავარაუდოდ), სწორად ვერ გაიგო (ვა-რაუდი გამოვთქვი).

He may / might have misunderstood me (it is likely that he misunderstood me, but I am not sure).

*მარკირებული და არამარკირებული ევიდენციალები*

ფაქტის თვითმხილველის პოზიციიდან დაფიქსირების დროს ევიდენციალობა არამარკირებულია, ე. ი. მის გამოსახატავად დამატებითი გრამატიკული ფორმა არ გამოიყენება, მაგ.: მან ქვეყანა გუშინ დატოვა (ჩემი თვალით დავინახე).

He left the country yesterday.

სხვისი ნათქვამიდან გამომდინარე ფაქტის დაფიქსირებისას ევიდენციალობა მარკირებულ ფორმას იძენს თურმეობითიმ ფორმის საშუალებით, მაგ.: (თურმე) ქვეყანა დაუტოვებია (როგორც მი-თხრეს, როგორც გავიგე).

It appears, he left the country (as I was told).

აღსანიშნავია, რომ დასკვნის გამოტანის შედეგად ფაქტის დაფიქსირების დროსაც ევიდენციალობა მარკირებულია, მაგ.: ეტყობა, ქვეყანა დაუტოვებია (დასკვნა გამოვიტანე სიტუაციიდან).

He seems to have left the country.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის პირველწყაროს (თვითმხილველის) პოზიციიდან ევიდენციალობის გამოხატვა ყველაზე არამარკირებულია, ყველაზე მარკირებულად კი ინფერენციული ევიდენციალობა გადმოიცემა.

გარდა ამისა, ინფერენციულ და სხვის მიერ გადმოცემულ ევიდენციალობის ფორმებს ხშირად მეტი ემფატიკურობის მისანიჭებლად ნაწილაკებიც ახლავთ, რაც უფრო მეტად მარკირებულს ხდის ამ ფორმებს.

თურმე, კაციც კი მოუკლავს!

As it turns out, he has even murdered a man!

დასკვნის სახის აღვნიშნავთ, რომ ევიდენციალობის გამოხატვა გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებებით ენების ტიპოლოგიური კვლევისა და ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რადგან ის ანალიზურ და სინთეზურ (პოლისინთეზურ) ენებში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა. გარდა ამისა, ის საკვლევ ენაზე მოსაუბრე ერის სოციალურ-კულტურული თავისებურებების ამსახველი ლინგვისტური საშუალებაცაა.

## ლიტერატურა

- Aikhenvald, A. (2004). *Evidentiality*. Oxford: OUP.
- Boeder, W. (2000). Evidentiality in Georgian. In L. Johanson and B. Utas (Eds.), *Evidentials: Turkic, Iranian and Neighbouring Languages*. Mouton de Gruyter.
- Comrie, B. (1976). *Aspect*. CUP.
- DeLancey, Scott. (1997). Mirativity: The grammatical marking of unexpected information. *Linguistic Typology 1*: 33–52.
- Giachalone Ramat, A. and M. Topadze (2007). The coding of evidentiality: a comparative look at Georgian and Italian. Evidentiality between lexicon and grammar, *Italian journal of linguistics 19(1)*.

- Kratzer, A. (2012). *Modals and conditionals*. OUP.
- Lau, Monica & Johan Rooryck (2017) Aspect, evidentiality, and mirativity. *Lingua Special Issue Essays on Evidentiality*, ed. by Monica Lau & Willem Adelaar, *Lingua* 186–187, 110–119.
- Matthewson, L. (2011). On apparently non-modal evidentials. In O. Bonami and P. Cabredo-Hoffher (Eds.), *Empirical issues in syntax and semantics, Volume 8*, pp. 333–357.
- McCready, E. and N. Ogata (2008). Evidentiality, modality and probability. *Linguistics and Philosophy* 30, 147–206.
- Ritz, M.-E. (2012). Perfect tense and aspect. In R. I. Binnick (Ed.), *The Oxford handbook of tense and aspect, Chapter 31*, pp. 881–907. OUP.
- Speas, M. (2012). Evidential situations. *The Nature of Evidentiality*, 14-16 June 2012, Leiden University,  
<http://media.leidenuniv.nl/legacy/speas-peggy.pdf>.
- Topadze, M. (2011). The expression of evidentiality between lexicon and grammar. a case study from Georgian. *Linguistic discovery* 9(2), 122–138.
- Willet, T. (1988). A cross-linguistic survey of the grammaticization of evidentiality. *Studies in Language* 12, 51–97.

Mariam Orkodashvili

## **Grammatical Expression of Information Source Through Evidentiality**

Summary

Evidentiality is the grammatical way of stating the source of information. The present paper analyzes the lexical and grammatical means of expressing evidentiality in Georgian and English.

The paper identifies the following types of evidentiality: the firsthand visual (eyewitness) evidentiality, when the speaker sees the fact with his own eyes; the reported evidentiality, when the speaker quotes

others' words; the inferential evidentiality, when the speaker draws a logical conclusion from the result, even though he might not have witnessed the action himself; and dubitative evidentiality, when the speaker doubts whether the fact is true.

The firsthand visual evidentiality is the least marked category, whereas inferential evidentiality is the most marked grammatical form. Furthermore, reported and inferential evidentiality is often accompanied with a particle for adding more emphatic connotation to the expression. Such structures become even more marked linguistic units.

It is noteworthy that while English uses syntactic structures and phrases for expressing evidentiality, Georgian implements the verbal forms that pertain to morphological conjugation system of screeves and series.

A special note should be made of mirativity, as the means of expressing unexpected surprising fact and emphasizing the unprepared mind of a speaker. In this case, it conveys an additional meaning of surprise, admiration and condemnation.

## მარინე ტურავა

### ლადო კოტეტიშვილი – „კეთროვანთა ზღაპრების“ მთავარი კონცეპტები

არაერთი ცნობილი მწერალი პროფესიით ექიმი იყო, მათ შორის: ანტონ ჩეხოვი, მიხაილ ბულგაკოვი, არტურ კონან-დოილი, ფრიდრიხ შილერი, სომერსეტ მოემი, ფრანსუა რაბლე. ეს ჩამონათვალი უდავოდ ჰიპოკრატეთი უნდა დავიწყოთ. ქართველი მწერლებიდან დიმიტრი ერისთავი გვახსენდება, მაგრამ ცოტა იყო მათ შორის მოქმედი, პრაქტიკოსი ექიმი, ისეთი, როგორც ლადო კოტეტიშვილი გახლდათ. ჯერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მერე თბილისში მუშაობდა ნევროპათოლოგად. მის სახელს უკავშირდება კარაბადინის მეცნიერული გამოცემები. სამი უძველესი ძეგლი – „უსწორო კარაბადინი“ (მეათე საუკუნე), „წიგნი სააქიმო“ (მეცამეტე საუკუნე) და „იადიგარ დაუდი“ (მეთექვსმეტე საუკუნე) სრული მეცნიერული აპარატით, სწორედ ლადო კოტეტიშვილმა დაბეჭდა.

„ინტელექტის“ მიერ დაბეჭდილი „კეთროვანთა ზღაპრები“ (2018 წელი) პროზაული კრებულია, რომელიც ლადო კოტეტიშვილს ქართული მოდერნიზმის სრულფასოვან წარმომადგენლად აქცევს.

პირველი ორი მოთხრობა „გოჩმანა“ და „მიმქრალი ჩრდილები“ „პატარა ადამიანზე“. მოდერნიზმში ამგვარი პერსონაჟი უკავშირდება აქცენტის გადატანას „ყოფიდან ადამიანზე“ (ბახტინი). ადამიანის, როგორც სამყაროს უმთავრესი „საშენი მასალის“ გაიაფება, პიროვნების, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის „პირველ-მიზეზის“ სრულმა დევალვაციამ გამოიწვია ის, რომ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე უბრალო, არაფრით გამორჩეული „პატარა ადამიანი“, სამყაროსთან მისი ტრაგიკული დამოკიდებულების პრობლემა [მირესაშვილი 141] აქტუალური გახდა მწერლობაში. ამგვარ პერსონაჟს ვხვდებით დავით კლდიაშვილის „შერისხვაში“, „მსხვერპლში“, „უბედურში“, შიო არავისპირელისა და ჭოლა ლომთათიძის ნოველებსა და მინიატურებში, მიხეილ ჯავახიშვილის – „ჩანჩურაში“, „მეჩქეჟე გაბოში“, „მემოდგომის ღამეში“, „კურკას ქორწილში“, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობებში: „დიდი იოსე-



ბი“, „ქოსა გახუ“, „ზარები გრიგალში.“ ამ ჩამონათვალს უნდა მიემატოს ლადო კოტეტიშვილის პერსონაჟები: გოჩმანა და მიხაკა.

„გოჩმანა“ 1930 წელს არის დაწერილი და რეალისტური ტენდენციებით, თხრობის ტრადიციული მანერით გამოირჩევა. აქ ტექსტი და ქვეტექსტი ერთმანეთს, სიუჟეტური ხაზიც უწყვეტია, მაგრამ შეფარულად არის მხილებული საბჭოთა დრო. 60 წლის უწარსულო, უოჯახო, უისტორიო ადამიანის ცხოვრების მაგალითზე გვიყვება მწერალი საშინელ სინამდვილეს, კომუნისტების ეკლესიასთან, რწმენასთან, განსხვავებულ აზრთან ბრძოლის ისტორიას. აქ გამოჩნდება პირველად ლადო კოტეტიშვილი როგორც ურბანისტი ავტორი, თბილისური ხედების, ყოფის, სულიერების მოთაყვანე. სასაცილო გარეგნობის მოხუცს, რომელიც გამუდმებით ისწორებს ცხვირსა და თოკებით დამაგრებულ შარვალს, დასცინის და მასხარად იგდებს მთელი ქალაქი: ქუჩის ბიჭებიდან დაწყებული პოხრუას სარდაფის კლიენტებით დასრულებული. ლადო კოტეტიშვილი პერსონაჟის ხატვისას თითქმის ყველგან განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პიროვნულ ან ფსიქოლოგიურ დეტალზე და მას არაერთხელ იმეორებს. ყველა რაღაცით ასაქმებს გოჩმანას, მაგრამ ფულს კი არავინ აძლევს. პირველად სიონის ტაძრის გამოგვისათვის გადაუხადეს ერთი აბაზი. მნათე ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ადრე ჭონი იყო და ბოლო გზაზე უკანასკნელმა მეჭონეებმა გააცილეს, გოჩმანა იკავებს მის ადგილს. მნათედ ქვეული გოჩმანა სიონის სამრეკლოში ცხოვრობს 6 წელი. მერე კომუნისტებმა სიონის ზარები, მათ შორის დიდი ზარიც, ჩამოაგდეს და გოჩმანა ისევ უფუნქციო, უსახლკარო, მსხემი გახდა, თუმცა უწარსულო აღარ იყო. 9 წლის მერე დაბრუნდა ისევ პოხრუას სარდაფში: „წინათ თუ მარტო დუდუკები კვნესოდნენ, ეხლა მედუდუკეებიც კვნესოდნენ“. მოქიფეები სიონის მთავარ ზარს ქელესს უხდიან, მხოლოდ უბრალო ადამიანები დარდობენ მისი გაქრობის გამო. გოჩმანა ჯერ დამუნჯდება, მერე გაგიჟდება და ქალაქისათვის ახალ გასართობად იქცევა. „არც გოჩმანას სიგიჟე აწუხებდა ქვეყანას. აშკარად ჩანდა, რომ ეს გაგიჟება ვეღარ იხსნიდა ძველ ტფილისს სამუდამო დამუნჯებისაგან, ძველი სიონის დიდი ზარის დამსხვრევის შემდეგ“ (გვ. 68).

„მიმქრალი ჩრდილები“ ერთი წლით ადრე, 1929 წელს არის დაწერილი. მიხაკა პატოსანი, გამრჯე ხელოსანია, წარსულიც აქვს, ოჯახიც და კარგი სახელიც. მისი პაპა და მამაც ხელოსნები იყვნენ, მიხაკა ყველას უყვარს, კარგი მოქიფეა, კარგი მსმელი, ვერავინ

ატყობს მთვრალია თუ ფხიზელი. არც ზედმეტსახელი აქვს. მთელი დღე შრომობენ თბილისელი ხელოსნები ბაზარში, მერე სანოვაგეს იძენენ ოჯახისათვის და სამიკიტნოში მიდიან, საქეიფოდ. კვირობით განსაკუთრებით ქეიფობენ: „დამკვრელი დუდუკს კოცნიდა, დუდუკი სმენას, სმენა – დაბერებულ გულს.“ მაგრამ ხელოსანთა სიმყუდროვეს ჯერ რუსი გოროდოვოი, „ნიკოლაის ტახტიდან გადმობრძანების შემდეგ“ კი მილიციონერი არღვევს, რეკოლუცია ჯერ გადასახადს ითხოვს ხელოსნებისაგან, შემდეგ კი მათაც უფუნქციოდ ტოვებს. მიხაკას სამი ვაჟი და ცოლი გარდაეცვლება, ერთადერთი ქალიშვილი უთხოვდება და გალოთებული, მიტოვებული, ბოგანო და მსხემი მარტოდმარტო კვდება, მამა გორიოსავით. მასთან ერთად კვდება ძველი თბილისის ბოჰემა, პატოსანი შრომა და ხელოსნობის დიდი ტრადიცია. არამთავარი პერსონაჟებიდან ყურადღებას იქცევს ოთხ ენაზე მოლაპარაკე კრუხო, რომელიც თავისი ტყუილ-მართლით, ჭოროთა და ნალდი ამბებით ართობს ბაზრის ამქარს. ურბანული სურათები აქაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს: „ძველი ტფილისი... სახლები ისე არიან ერთმანეთზე მიკრული, როგორც პატარა მტრედები ბუდეში. სახლი თუ ორსართულიანია, მეორე სართული შიშით და კანკალით ზის პირველ სართულზე და ტოკავს. წელში მოღუნულ ბოძებს გაჭირვებით უჭირავთ გაზმორებული აივნები, ქუჩები ბებერი დედაკაცის თითებივით არის მოკაკული, მოღუნული, აკანკალებული. საკვირველია, ძველ თბილისში ქუჩას ბოლო არა აქვს. თუ ქუჩა თავდება, იქ ტფილისიც თავდება“ (გვ. 74). თბილისის ხედები და ვიზიონები ძველი ალბომის ფოტოებთან არის შედარებული. ლადო კოტეტიშვილი ვიზიონების მწერალია, იგი ყველგან ქალაქურ და პიროვნულ ხატებს ხედავს და ხატავს, რაც მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი თვისებაა.

კრებულის მთავარი ნაწარმოები „კეთროვანთა ზღაპრებია“, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ წიგნმა მისი სახელი მიიღო. მე უფრო მინი რომანს დავარქმევდი, კომპოზიციიდან და სათქმელის მასშტაბიდან გამომდინარე. პირველ ორ მოთხრობაში მწერალი ჯერ კიდევ ინარჩუნებს რეალიზმის ერთგულებას, იკვებება მისი მწერლური მანერა, სტილიზაციის მცდელობები, რითაც იგი ვასილ ბარნოვისა და გრიგოლ რობაქიძის მხატვრული ნაწარმოებების ენას უახლოვდება. „მიმქრალი ჩრდილები“ ძალიან გვაგონებს ვასილ

ბარნოვის რომან „მიმქარლი შარავანდედის“ სახელს. ეს რომანი 1927 წელს გამოიცა.

„კეთროვანთა ზღაპრები“ მოდერნისტული ნაწარმოებია, პირველ რიგში, მხატვრული მეთოდიდან გამომდინარე. აქ იკვეთება ფრიდრიხ ნიცშეს პირველი რეცეფციები ლადო კოტეტიშვილის შემოქმედებაში. ნიცშესათვის მისი თანამედროვეობა, ანუ მოდერნის ეპოქა, არის მითოსის, საკრალური ცნობიერების, საკრალურობის განცდის, საკრალური ცხოველმყოფელობის გაუქმებისა და აღსასრულის ეპოქა. ამიტომაც თავის პირველ ფილოსოფიურ ნაშრომში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ ნიცშე ცდილობს მითოსის ცნების ხელახალ გააზრებას, რასაც იგი შემდგომ უკავშირებს დიონისურობის კონცეპტს: ანუ მითოსის ცნება, მითოსურობის იდეა გულისხმობს სწრაფვას საკრალური პირველსაწყისებისკენ და მის დიონისურ განცდას, თავისებურ კოსმიურ აღტკინებას, გულისხმობს ამოქმედებული ტოტალური დესაკრალიზაციისათვის, რაც მოჰქონდა რაციონალიზაციისა და ტექნოკრატიზაციის გარდაუვალ და შეუქცევად პროცესს, ალტერნატიული სივრცის შექმნას [ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია 210]. მოდერნისტული მწერლობის რობაქიძისეული მითოსურ-დიონისური საკრალური გაგება თანხვდება ევროპულ, ზოგად მოდერნისტულ ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პარადიგმას, 1926 წელს გამოიცა რობაქიძის პირველი რომანი „გველის პერანგი“, რომელმაც დიდად არ მიიპყრო ქართველი მკითხველისა და კრიტიკის ყურადღება. რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ორიგინალური ფორმის ძიებისას „გველის პერანგისათვის“ ითვალისწინებს გოეთესა და ნიცშეს შემოქმედებით მემკვიდრეობას, იმ ესთეტიკურ პრინციპებს ნაწარმოების გარეგანი და შინაგანი ფორმის შესახებ, რომელთაც გერმანელი ავტორები თავიანთ თეორიულ შრომებში აყალიბებენ და მხატვრულ პრაქტიკაში ახორციელებენ. ნიცშეს მსგავსად არღვევს რობაქიძე სინტაქსის წესებს, ტვირთავს პროზას პოეზიით, ხოლო ფორმა ხელოვნებასა და ლიტერატურაში ესმის როგორც ინდივიდის სტილი, და ასევე სტილი როგორც ხელოვნების კონკრეტული სკოლისა ან ეპოქისა. ორივე შემოქმედთან მითოსი და მხატვრული სახე ძალზე ახლოა ერთმანეთთან და „გმირის“ ცნებაც ერთნაირად მოიაზრება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გ. რობაქიძე ნიცშეს მიერ თანადროულობის შესაბამისად ინტერპრეტირებულ ანტიკურ ცნებებსა და მხატვრულ სახეებს ქართულ ნიადაგზე ნერგავს, ქართულ ისტორი-

ას, თანადროულობასა და კულტურას შეუსაბამებს. თუ ნიცმეს „ტრაგედიის დაბადების“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ მე-19 საუკუნის მიწურულს ადამიანი დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს, გ. რობაქიძის აზრით, ქართველი ერის სულში მქდანდება „ის დიდი ჰუმანიტარული, ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც ქართველმა ერმა, თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გამოამჟღავნა“ [რობაქიძე 1996: 39] და რომლსაც თანადროულობაშიც ინარჩუნებს (ნუგემა გაგნიძე, ნიცმეს რეცეფცია გრიგოლ რონაქიძის შემოქმედებაში). საკვლევია, ლადო კოტეტიშვილი ამ დროისათვის იცნობდა თუ არა უშუალოდ ნიცმეს ნაშრომებს, როგორც ცნობილია, მან უცხო ენები იცოდა, თუ გრიგოლ რობაქიძისგან გადმოიღო მისი ფილოსოფიური კონცეპტები და სამყაროს აღქმის ნიცშეანული მოდეელი?

ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმი ხშირად მიმართავს ბიბლიურ ან ძველბერძნულ მითოსურ პარადიგმებსა და არქეტიპებს. თომას მანის „ჯადოსნური მთა“, „სიკვდილი ვენეციაში“, დიობლინის „ბერლინი. ალექსანდერ-პლაცი“, ჯოისის „ულისე“, მუზილის „უთვისებო კაცი“, მეორე მხრივ, გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, რობაქიძის „გველის პერანგი“ „ჩაკლული სული“, შენგელაიას „სანავარდო“, ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ და ა. შ. ამ რიგში უნდა განვიხილოთ ამიერიდან „კეთროვანთა ზღაპრებიც“. ეს ნაწარმოები, უპირველესად, თავისებური კოსმიური აღტკინებით, ქართული მწერლობისათვის აქამდე ასე უცნობი ეროტიზმისა და ვნების ტირაჟირებით, წაწლობის მასობრივი სცენების აღწერითა და ადათისადმი მოდემის დამოკიდებულებით გამოირჩევა. ქართული კუთხური ტრადიციებიდან ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ამოუცნობი ფენომენი ფშავ-ხევსურეთში დამკვიდრებული სწორფრობა/წაწლობის ტრადიციაა. დღეს ეს ტრადიცია მთლიანად გამქრალია და ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენად რჩება. რას ემსახურებოდა ეს ტრადიცია? იყო თუ არა ეს თავისუფალი სექსის ნიშნების გამოვლინება, ან ქალისა და კაცის თანასწორობის ერთგვარი მანიფესტი? ამ კითხვებზეც არ გვაქვს პასუხი და უცებ ლადო კოტეტიშვილმა მასობრივი წაწლობის სცენები შემოგვთავაზა, მათ განსაკუთრებული საკრალურობა მიანიჭა და თავსატეხიც გაგვიმრავლა.

ერთი მხრივ, უშვილო და უმემკვიდრო ქურუმი რამისანდარი, ხოლო მეორე მხრივ, ხალხის წიაღიდან გამოსული გმირი ლადური

ქმნიან ნაწარმოების ორ ღერძს, მათი დაპირისპირება კი მთავარი კონფლიქტია. მოქმედება ისტორიულ ჰერეთში, წარმართულ ქართლში მიმდინარეობს, ქართველი მკითხველისათვის კარგად ნაცნობ და მშობლიურ ტოპოსში. ეპოქა წარმართულია, ადათებიც უძველესი, პრობლემა კი – მარადიული, კაცობრიული. ლადურისა და ულამაზესი მაიმახის სიყვარულს თერია ეღობება, რომელსაც ასევე უყვარს ლადური. იგი ყველა ღონეს მიმართავს საყვარელი კაცის ხელში ჩასაგდებად და მაიმახის გასანადგურებლად. უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო და ფატალური ქალია ჩვენი ლიტერატურის. თერიასა და მისან ქოქოლას ბოროტი ზრახვანი და ჩადენილი ცოდვები მთელ მოდგმაზე ვრცელდება, ხოლო ქურუმის მიერ წაწლობის ტრადიციის დარღვევა და თერიასთან ფიზიკური სიახლოვე მისი მმართველობის დასასრულის მომასწავებელია. ქურუმი, რომელიც ადათების სადარაჯოზე უნდა მდგარიყო, მათი დამრღვევი გახდა, სწორედ ამ კოსმიური წესრიგის დარღვევა არ ეპატია მას და დასრულდა მისი მმართველობის ხანა. პარალელურად ავტორი ლადურის მონოლითურ, ძლიერ პიროვნებას გვიხატავს, ცალსახად დადებითს და არა სქემატურს. საინტერესოა ქოქოლას საჯარო აღიარებაც. ამ საყოველთაო სინანულმაც განსაზღვრა ბევრი რამე ნაწარმოებში. არაერთი საინტერესო სცენა და პერსონაჟია „კეთროვანთა ზღაპრებში“ და არაერთი მინიშნება იმ ტოტალიტარულ რეჟიმზე, იმ დროზე, რომელშიც ცხოვრობს მწერალი ლადო კოტეტიშვილი.

ჯოისმა ახალი ენა შექმნა ლიტერატურაში, ასე წერდა ელიოტიც. ორივემ შეცვალა ჩვეულებრივი ნარატიული მეთოდი ახალი მითოლოგიურით და ამით თანამედროვე სამყარო ისევ აქციეს ხელოვნებისათვის აქტუალურად. სწორედ ამგვარი მითოლოგიური ენის შექმნის მცდელობაა „კეთროვანთა ზღაპრები.“

კრებულის ბოლო ნაწარმოებია „საგიჟეთში“, რომელიც, ჩემი აზრით, ასევე მინი რომანია და რომლის 35 წლის პერსონაჟი ზირან ზვიადაძე თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ზირანი ყველაზე მეტად გამოხატავს ფსიქიატრი ავტორის აზრებსა და შეხედულებებს. მას აინტერესებს საგიჟეთის რეალური სახე, ამიტომაც მიდის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ტოვებენ როგორც პაციენტს. ზირანი შიგნიდან აკვირდება იქ მიმდინარე მოვლენებს, ფაქტობრივად კი – ცხოვრებას. იქ აღმოჩენილი უამრავი უსამართლობის, არაპროფესიონალიზმის, გამოსავლის არარსებობის შემდეგ ზირანი კითხულობს ფსიქიატრი ქალის დღიურებს, ერთგვარ აღიარებას: „ამ ხალხის გა-

საგებად ორი რამ გახდა აუცილებელი: მომავლის რწმენა და ნაადრევად განთავისუფლებული ხალხის სიყვარული, რომელსაც ვერ იძლეოდა ფსიქიატრია თავისი უთვალავი კლასიფიკაციით და ათასგვარი კვლევისა და მკურნალობის მეთოდებით. აქვე უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ამგვარი გაგების შემდეგ ზედმეტად გამიძნელდა მუშაობა საავადმყოფოში, როგორც ექიმს. ნაფიცი ექიმური სინდისი ვეღარ ეგუებოდა ჩემი ტვინის სითამამეს. გულწფლად გამოვტყდები და ვიტყვი: ექიმობას ავადმყოფობა მერჩინა, რომ უფრო მართალი ვყოფილიყავი ჩემ თავთან, მაგრამ რას ვიზამდი, ამისთვის ათასნაირი გაქანება იყო საჭირო, ერთგვარი მაღალი ნიჭი, რომელიც მე არ მქონდა. რალა იქნებოდა, მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც ექიმად უნდა დავრჩენილიყავი, რაც საშინლად მაბრაზებდა, მაგრამ დიპლომის მონად უნდა ვქცეულიყავი სიკვდილამდის, ამის მეტი სხვა გამოსავალი აღარ იყო, თავის მოკვლის გარდა, რაც გაქცევას ნიშნავდა...” (გვ. 335). საგიჟეთი, სადაც გიჟსა და ჯანმრთელს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, სადაც ავადმყოფებზე ძალადობენ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურად, სადაც ექიმები დასცინიან პაციენტებს სწორედ რეალური ცხოვრება! საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგაც ზირანი დიდ ხანს ვერ ახერხებს კვლავინდებურ ცხოვრებას, განსაკუთრებით აურევს თავ-გზას გაზეთებში გავრცელებული სენსაციური ამბავი: ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შესლილ ავადმყოფს დაეხრჩო ფსიქიატრი ქალი, რომელსაც დიდი ხანია მწვავე ფსიქოზის ნიშნები ჰქონდა. მიცვალებულს უპოვეს პატარა ბარათი: „მე განგებ განვიზრახე, ავადმყოფს მოვეკალი!“ (გვ. 44). ცხოვრების გაძლება, მისი ბოლომდე ატანა არც ისე ადვილია!

პაუნდი თვლიდა, რომ თანამედროვე სამყაროს გადარჩენა მხოლოდ თანამედროვე ეპოსს შეუძლია. ეპოსი იმ ენის ლექსიკონია, რომელზეც ლაპარაკობს კულტურა. პაუნდი იმგვარ ეპოსზე ოცნებობდა, რომელიც გააერთიანებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს. რამდენ ადამიანს მოედებოდა გულზე მალამოდ ლადო კოტეტიშვილის ეპოსის წაკითხვა თავის დროზე, მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში. ეპოსში მთელ მის შემოქმედებას ვგულისხმობ, მაგრამ კარგია, რომ ეს სახელი და ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა საბოლოოდ მაინც არ დაკარგა ქართულმა მწერლობამ!

## ლიტერატურა

**გაფრინდაშვილი, მირესაშვილი 2011** – ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი.

**კოტეტიშვილი 2018** – ლ. კოტეტიშვილი, კეთროვანთა ზღაპრები, თბილისი.

**რობაქიძე 1996** – გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბილისი, ჯეკსერვისი.

**ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია**, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.

Marina Turava

### **Lado Kotetishvili The main concepts of "leper tales"**

#### Summary

Many prominent writers were doctors by profession, including Anton Chekhov, Mikhail Bulgakov, Arthur Conan-Doyle, Friedrich Schiller, Somerset Moyem, François Rample; Undoubtedly, this list should start with Hippocrates. Among the Georgian writers is Dimitri Eristavi, but few were practicing and active doctor, such as Lado Kotetishvili. He worked as a neuropathologist in different parts of Georgia, then in Tbilisi. His name is linked to the scientific publications of Carabadine. Three ancient monuments - "Shameless Carabadine" (tenth century), "Book of Saakimo" (thirteenth century) and "Yadigar Daud" (sixteenth century), with full scientific apparatus, were printed by Lado Kotetishvili. "The Tale of Lepers" (2018), published by Intellect, is a prose collection that makes Lado Kotetishvili a full-fledged representative of Georgian modernism!

The first two stories "Gochman" and "Pale Shadows" are about a little man. The main work of the collection is "Tales of Lepers", so it is quite natural that the book was named after it. I would rather write a mini-

novel based on the composition and scale of the story! In the first two stories, the writer still maintains a devotion of realism, revealing his writing manners, attempts at stylization, bringing him closer to the language of the works of Vasil Barnov and Grigol Robakidze!

The latest work in the collection is "In the Madness," which is, in my opinion, also a mini-novel whose 35-year-old character Ziran Zviadadze is distinguished by his individuality! He is interested in the real face of madness, so he goes to a mental hospital where he leaves as a patient. Ziran observes what is going on inside, in fact, life! Pound believed that only the modern epic can survive the modern world. Epic is a dictionary of languages spoken by culture! Pound dreamed of an epic that would unite East and West! How Many people would have been pleased to read the Epic Of Lado Kotetishvili In His Time in the 30s and 40s of the Twentieth Century. I mean all his creations in the epic, but it's good that this name and this literary legacy are not lost on Georgian literature anyway!



## მედია (დოდო) ღლონტი

### ღვთიესათნო სიტყვა მუხრანისა

„ჰქუხდა სტრიქონი.  
ხმა ქარიშხალს იწვევდა ხმაღში“  
მუხრან მაჭავარიანი

**„ამით არს ჭემმარიტ სიტყუამ იგი, ვითარმედ სხუამ არს მთესვარი და სხუამ არს მომკალი“** (იოანე 4,37) – გვიბრძანებს უფალი ჩვენი იესუ ქრისტე. ამ საღმრთო შეგონებაში თქმული **„ჭემმარიტი სიტყუამ იგი“** მხატვრული სიტყვითაც რომ აღიბეჭდება – ამას ქართული პოეტური სიტყვის შემოქმედნი გვარწმუნებენ!

#### ❖ **ქუხილივით აღმოთქმული პოეტური სიტყვა მუხრანისა:**

ამის დასტურად გვესახება მრავლისმეტყველი ზეწოდება – **„ძე ქუხილისა“**, რომლითაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, **უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ** მიმართა **მუხრან მაჭავარიანს** – ქართველთა მიერ გამორჩეული სიყვარულით აღიარებულ პოეტს. 2005 წლის 8 დეკემბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში პატრიარქმა თავად უმასპინძლა მას და შეხვედრის დასასრულს დასძინა:

**„მართლაც საოცარი დღეა, დაუფიწყარი დღეა ჩემთვის... თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები: მან უწოდა თავის ორ მოწაფეს – „ძენო ქუხილისანო!“...**

**თქვენ შეგშვენით ეს – „ძეო ქუხილისაო“!**

**მართლაც, თქვენ გამოიარეთ საოცარი გზა... და თქვენ დგახართ მწვერვალზე, საიდანაც ელაპარაკებით ჩვენს ხალხს. თქვენი პოეზია თქვენი გულიდან კი არა, ერის გულიდან ამოსულია. და ჩვენ მადლობას გწირავთ. მადლობა!“** [„ფუბე“ 2009; „ფუბე“ 2010].

ღირსყოფა ამ მაღალი წოდებისა – **ძე ქუხულისა**, როგორც წესი, მრავალმოწყალე უფალი ღმერთის წინაშე დამაშვრალს ენიჭება. წმიდა მარკოზ მახარებელი გვამცნობს: იესო ქრისტემ სამოციქულო მოღვაწეობისათვის თორმეტი მოწაფე იმ მიზნით გამოარჩია, რომ **„იყენენ მის თანა და წარავლინნეს იგინი საქადაგებლად“** (მარკოზი 3,14). მაგრამ უფალმა მათგან მხოლოდ რამდენიმეს გამორჩეულობა

გააცხადა მისეული სახელდებით: წმიდა ანდრია პირველწოდებულის ძმას, სიმონს, უწოდა – პეტრე („კლდე“), ხოლო იაკობ ზებედესს და მის ძმას, იოანეს: „დასდვა სახელები: **ზანერგეს**, რომელ არს ძენი ქუხილისანი“ (მარკოზი 3,16-17).

მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამები (ორიგენე, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი) განმარტავენ: უფალმა თავის რჩეულ მოწაფეებს, იაკობს და იოანეს, – ვითარცა დიდებულ მქადაგებელთა და ღვთისმეტყველთ, – „ძენი ქუხილისანი“ უწოდა; ორივე ძმის ქადაგება, თურმე, გამოაგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. ორიგენეს თქმით კი, ძმათაგან ერთ-ერთი, წმიდა იოანე მოციქული, მახარებელი და ღვთისმეტყველი – იყო „მოაზროვნე ქუხილი“, „ქუხილი გონიერი“, რომლის ბაგეთაგან ქუხილივით აღმოთქმული „ღვთის სიტყვა მსმენლის გულისყურს კეთილად სჭრიდა“ [თეოფილაქტე ბულგარელი 2007; ლოპუხინი 1, 3].

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია თავად მუხრანის მიერ წარმოთქმული ლექსი თუ სიტყვა, დამეთანხმება, რომ მის ბაგეთაგან ამგვარივე გამორჩეული ძალისხმევით წარმოითქმის „ენა ქართული“, და მუხრანის ლექსის მსმენელსაც და მკითხველსაც მსგავსი გაოგნება და განცდა ეუფლება.

უაღრესად ძნელი და დიდად საპასუხისმგებლო საქმეა, ღირსეულად წარმოაჩინო და შეაფასო მუხრან მაჭავარიანის პოეზია, მისი პოეტური სიტყვის ძალა და მნიშვნელობა. ყოველივე ამის უტყუარი მოწმე თავად მუხრანის ლექსებია, რომელთა ფესვები სწვდება შოთას, სულხან-საბას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს... თუმცა მუხრანის სიტყვის უშუალო წინამორბედი, პოეტისავე მრავალგზისი აღიარებით – **სულხან-საბა ორბელიანი** გახლავთ: „ეს არის ჩემი სალოცავი“, – ბრძანებს ბატონი მუხრანი სულხან-საბაზე. – „ისეთი მხატვრული ნაწარმოები, როგორც არის მისი ლექსიკონი, მე სხვა არ ვიცი ქართულში!“.

ბატონი მუხრანი მიიჩნევს, რომ პოეტის საქმეა ყველაფერი, რაც კი სიტყვასთან არის დაკავშირებული. იგი შეგვახსენებს პოეტის აღნიშნულ უზადლო ძველ ქართულ სიტყვას – **სიტყვის-მოქმედი**, რამეთუ პოეტი, ბატონი მუხრანის რწმენით, უპირველესად **სიტყვის** შემოქმედი.

ბატონი მუხრანი ამიტომაც ელოლიავება და თავს ევლება ყოველ ქართულ სიტყვას, შესაშურად პატრონობს და შეხარის „ყალბით ნახატ“ ქართულ ენას, და ჩვენც – ქართველებსაც გვასწავლის

მის სიყვარულს. მუხრანის ლექსით არაერთი ქართული სიტყვის სიტკბოება ვიგემეთ და იმ საიდუმლოებასაც ვეზიარეთ, რომელიც „ამას ენასა შინა“ ღვთის განგებითა და ძალით „დამარხულ არს“.

გამორჩეულად მქუხარება თავად პოეტის სახელიც – **მუხრანი!** იგი იდუმალი დიდებულებით არის მოსილი, და ამ ძალმოსილებას – მუხრანის პოეტური სიტყვა ჰქვია. მუხრანის პოეზიის (ასევე – პუბლიცისტიკის) უდიდესი წილი სწორედ რომ ქართველი „ერის გულიდან ამოსულია“, რადგან მის თითქმის ყოველ ლექსში ის „კეთილად მჭრელი“ პოეტური სიტყვა აღმოჰქუხს, რომელიც ფარულად თუ ცხადად იტევს საღმრთო სათქმელს.

### ❖ **უძველესი ქართული პოეტური სიტყვა:**

რაც შეეხება საკუთრივ ქართული **პოეტური სიტყვით გამოთქმულ საღმრთო სათქმელს**, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის 20-საუკუნოვანი ხნისაა... დიახ, ამგვარი განაცხადის უფლებასა და საფუძველს გვიქმნის ქართული ჰიმნოგრაფიის როგორც დიდებულად თარგმნილი, ისე ორიგინალური ნიმუშები, სადაც საიდუმლოდ, შრეობრივად და ვანებული უძველესი ქართული ლექსი, ქართული პოეტური სიტყვა – მისთვის „დამახასიათებელი ელემენტებით“ [ივანე იმნაიშვილი 1975, 106].

ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი **ივანე იმნაიშვილი** 864 წლის „სინური მრავალთავის“ ხელნაწერისადმი მიძღვნილ თავის გამოკვლევაში [ივანე იმნაიშვილი 1975] გულდადებით მიმოიხილავს საკითხს ქართული ლექსის უძველეს სახეობათა შესახებ. **პავლე ინგოროყვას** და **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ მიკვლეული უაღრესად საყურადღებო დასკვნებიდან გამომდინარე<sup>1</sup>, იგი სარწმუნოდ განავრცობს უკვე არსებულ დასკვნებს და ქართული ლექსის ფასდაუდებელ – დასაბამიერ ნიმუშებს განამრავლებს „სინური მრავალთავიდან“<sup>2</sup>.

ბატონი ივანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ უკვე VII-VIII საუკუნეებიდან მოკიდებული ზემოხსენებული უძველესი ქართული

---

<sup>1</sup> იხ.: პავლე ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, 1954; მისივე: „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ – ჟურნალი „მნათობი“, 1939, №1-2, 4, 9, 10-11. სიმონ ყაუხჩიშვილი, „ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის“, ჟურნალი „მნათობი“, 1956, №10.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ.: [ივანე იმნაიშვილი 1975, 102-119].

საღიქსო კონტექსტები (უმეტესწილად – ქართული თავისუფალი ლექსის სახით) მოიპოვება არა მარტო ქართულ საგალობლებში, არამედ ქართული საეკლესიო ჟანრის სხვა თხზულებებშიც – თვით ქართულენოვან წმიდა სახარებაშიც:

„გამოვიდა **გარე**, [6]  
და ტიროდა **მწარედ**“ [6]

ეს დიდებული ქართულენოვანი სახარებისეული პოეტური სტრიქონი ბატონმა ივანემ წმიდა მათეს სახარებიდან „ამოიცნო“ (მათე 26, 75) და ეს საკვირველი აღმოჩენა ძველი ქართული ენის ერთ-ერთ ლექციზზე ჩვენ, მის სტუდენტებს, სიხარულით გაგვიზიარა: ნახეთ, როგორი წყობაა და რითმააო!

„სინურ მრავალთავში“ წარმოდგენილ თხზულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ლექსთწყობის სხვადასხვაგვარი ელემენტისა და ორიგინალური პოეტური სინტაქსის შემცველია, კერძოდ:

ა) ტექსტის ცალკეული ნაწილი „დაფარულად“ არის სტროფებად დაყოფილი, რაც მკაცრად განსაზღვრული წესის დაცვით ხორციელდება;

ბ) დაცულია საღიქსო ზომაც, ანუ მარცვალთა რაოდენობა;

გ) მონაცვლეობს სხვადასხვაგვარი რითმა (რკალური, ჯვარედინი, მოსაზღვრე, მიჯრითი და სხვ.);

დ) გამოიყენება პოეტური ხერხები: განმეორება (ზმნა-შემასმენლებისა და სახელებისა), ალიტერაცია (უმთავრესად – თანხმოვანთა), ზგერათა ასონანსური და დისონანსური მონაცვლეობა და სხვ.;

ე) ამ ლექსთწყობითი წესების დაცვის მიზნით მთარგმნელი არც თუ ისე იშვიათად არღვევს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ წესებს, მაგალითად, შდრ., რამდენიმე პწკარედი საკითხავიდან „თქუმული წმიდისა ანთიპატროს ნოსტრელ ეპისკოპოსისაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისათჳს და ზაქარიას დადუმებისათჳს“ [ივანე იმნაიშვილი 1975, 28, 3-4]:

„ნაზარეთა მივიდა [7 მარცვ.]

გაბრიელ [3 მარცვ.]

მივიდა **ქალწულისა**, [7 მარცვ.]

და აქუნდა [4 მარცვ.]

სიხარული **დედისა** [7 მარცვ.]“.

ბოლო 7-მარცვლოვან პწკარედში („სიხარული დედისა“) და-რღვეულია მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების

ძველქართული გრამატიკული წესი, კერძოდ: სახელობით ბრუნვაში დასმული საზღვრული („სიხარულ-ი“) ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელისგან („დედ-ის-ა“) ითხოვს სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვას („დედ-ის-ა-ი“), რის გამოც უნდა ყოფილიყო:

მივიდა **ქალწულისა**, {7 მარცვ.}

და აქუნდა {4 მარცვ.}

სიხარული **დედისაი** {8 მარცვ.}“.

მაგრამ ამით დაირღვეოდა არა მარტო მარცვალთა რაოდენობრივი თანაზომიერება (7-ის ნაცვლად – 8-მარცვლოვანი), არამედ შეილახებოდა როგორც ლექსთწყობითი წესი (რითმა: „ქალწულ-ისა“ – „დედ-ის-ა“), ისე საეკლესიო თხზულებაში საგანგებო პოეტური სიტყვა-ფორმით აღბეჭდილი საღვთისმეტყველო თუ ქრისტიანული ზნეობრივ-სულიერი სათქმელი და შეგონება [ივანე იმნაიშვილი 1975, 110].

მადლიანმა ძველმა ქართველმა მთარგმნელმა სწორედ ამიტომ „დაარღვია“ ქართული სიტყვის გრამატიკული წესი, რათა საეკლესიო საკითხავის ამომკითხველიც და მსმენელიც „განმარტებულითა სიტყვითა“, ანუ მშვენიერი ქართული პოეტური სიტყვა-ფორმით მიახლებოდა მაცხოვრებელ ღვთის სიტყვას.

ჩვენმა ქართველმა სიტყვის-მოქმედმა ამგვარად ამსახურა კაცობრივი სიტყვა – ღვთის სიტყვას.

ყოველივე ამის დასტურად რამდენიმე სხვა მაგალითსაც მივმართოთ (იხ. [ივანე იმნაიშვილი 1975, 105-107; 116]).

X საუკუნეში ძველქართულად თარგმნილი თეოდორე აბუკურას თხზულება „წამებაჲ წმიდისა მიქაელისა, ტიბერიელისა“ (VIII-IX სს.) იმ კონტექსტებით იპყრობს ყურადღებას, რომლებშიც მართლაც შესაშური სიფაქიზითა და კრძალულებითაა აღბეჭდილი სალექსო მეტრის (სალექსო ზომის), მარცვალთა მონაცვლეობისა და რიტმულობის შემცველი არაერთი პწკარედი, შდრ.:

„მიც ჩუენ {2}

ნუგეშინის-მცემელი, {7=4+3}

პური ჳმელი, {4}

და სეფისკუერი ლბილი, {7=5+2}

და სასუმელი ტკბილი“. {7=5+2}.

ასევე:

„მოიჳსენე {4}

მოყუასი შენი ლოცვასა {8=5+3}

და ღირს იქმნე წყალობასა“ {8=4+4}.

ან:

„ლოცვად მოყუსობა {7=3+4}

ნებად არს ღმრთობა {7=4+3}

მრავალ-მოწყალობა“ {7=2+5}.

კვლავაც:

„ვის არ ერევის ჰრული {7=5+2},

იგი არს კაცი სრული“ {7=5+2}.

დაბოლოს:

„საყუარელნო შვილნო აღთქუმობანო,

და მკვდრნო სარწმუნოებობანო, {10=3+7}

ვერჩდეთ წამებასა მამობასა {10=6+4}

და გამოჩინებასა ძიასა {10=7+3}

და მადლსა სულისა წმიდობასა“ {10=6+4}.

ეს ის უძველესი ქართული პოეტური სიტყვის სალექსო ფორმებია, რომლებსაც ოსტატურად მიმართეს უდიდესმა ქართველმა კლასიკოსმა პოეტებმა:

#### რუსთველმა:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი, {16=4+4+4+4}

სადმრთო სადმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“  
{16=4+4+4+4}.

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, {16=5+3+5+3}

მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი“  
{16=5+3+5+3}.

#### დავით გურამიშვილმა:

„გულმან მითხრა: ადგო, {7=4+3}

რალათ მაიცადგო? {7=4+3}

თუ არა იქ, ვით იქნას? {7=4+3}

რაც რომ დაიქადგო?“ {7=4+3}.

#### აკაკი წერეთელმა:

„საიდუმლო ბარათო, {7=4+3}

გითხრეს: ექმენ მარადო {7=4+3}

სიხარულის მომნიჭედ {7=4+3}

და სევდისა ფარადო!“ {7=4+3}.

## და გალაკტიონმა

(პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“):  
„დასაბამიდან მოლივლივებს ლირიკის შუქი, {14=5+4+5}  
იგი არ არის უბრალო რამ, რამე მსუბუქი, {14=5+4+5}  
ზენა-ნიქს გარდა - გემოვნებას მისას ეწნება {14=5+4+5}  
თავისებური გამოსახვა და შემეცნება“ {14=5+4+5}.

„ის იდეურით უნდა იყოს მადლით ფენილი, {14=5+4+5}  
მისით სულდგმული, შთაგონებით აღმოჩენილი“ {14=5+4+5}.

**წმიდა ილია მართალმა** (ჭავჭავაძემ) კი თავისი მართალი სი-  
ტყვის მახვილით დაგვიგვირგვინა:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა;  
{16=4+4+4+4}

არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა.  
{16=4+4+4+4}

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა;  
{16=4+4+4+4}

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარგუძღვე წინა ერსა“  
{16=4+4+4+4}.

ძველქართულ საეკლესიო ლიტერატურაში უხვად მოიპოვება  
მსგავსი უბადლო ნიმუშები, რომელთა მკითხველი კიდევ ერთხელ  
რწმუნდება, რომ: „ქართულ სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა  
ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთაწყობის ხმოვანებისა და მუსიკისა-  
თვის“ (წმიდა ილია მართალი).

## ❖ ძველ ქართველ სიტყვის-მოქმედთა მადლიანი მემკვიდრე

(„რაც სურდა საბას“, „ძელი უღპოლოველი“)

ჭეშმარიტი სიტყვის „მთესველი“ მუხრანის ლექსიც და სახე-  
ლიც „აფრის ტკაცუნით, ვაჟკაცურად“ მოვარდა და „მეწყერივით“  
შემოიჭრა ქართულ სინამდვილეში. მუხრანის სიტყვა ქართველი  
მკითხველისა თუ მსმენლის „გაციებულ გულში“ კეთილი თესლი-  
ვით ჩავარდა. ამ თესლმა უკვე გამოიღო კეთილი ნაყოფი, „რომელ-  
მანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი“ (მათე 13,  
23).

დიახ, პოეტური ქმნილება სწორედ თავისი აზრით (სათქმელით) გამოიღებს იმ კეთილ, მაღლიან ნაყოფს, რომელიც ლექსის მკითხველისთვის არის განკუთვნილი, რადგან: „**მაღლი ერთისაგან გაწირვა და მეორისაგან შეწირვაა ერთსა და იმავე დროს**“ (წმიდა ილია მართალი). ეს დიდებული შეგონება აშკარად საზრდოობს ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი „მთესვარის“ იმ საღვთისმეტყველო განმარტებით, რომელსაც უფალი იესო თავის მოწაფეებს აწვდის: „**ამით არს ჭეშმარიტ სიტყუამ იგი, ვითარმედ სხუამ არს მთესვარი და სხუამ არს მომკალი**“ (იოანე 4, 37).

„**სხუამ არს მთესვარი**“ – ეკლესიის წმიდა მამების თქმით, წმიდა სახარების მკითხველს ამ ქრისტესმიერ იგავურ სახე-სიმბოლოში შეუძლია იგულისხმოს ღმერთი, ასევე მოსე (რჯული), მღვდელმთავარი ან წმიდა იოანე წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცემელი – ანუ ყველა ია, ვინც ღვთის სიტყვის სამკალად განამზადებს ერს.

„**სხუამ არს მომკალი**“ – ბრძანებს უფალი და თავადვე განუმარტავს მოწაფეებს, რომ მომკალთა შორის უპირველესად თავისი მოციქულები იგულისხმებიან, რომელთაც ის მოიმკეს, რაც არ დაუთესავთ: „**მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაშუერთით, სხუანი დამაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით**“ (იოანე 4, 38) – ეუბნება უფალი თავის მოწაფეებს. და „**სხუამ**“, ანუ სხვა მომკელნი, ამჯერადაც ის „სხუა მთესვარნი“ არიან, რომელთა ნამუშაკვევი ქრისტეს მოციქულებმა მოიმკეს [თეოფილაქტე ბულგარელი 2000].

უფალი, რაღა თქმა უნდა, სულიერ მთესველსა და სულიერ მომკელზე გვიბრძანებს. წმიდა მამები გვეკითხებიან: განა ვინმეს უნახავს ან გაუგონია, რომ მთესველის დათესილს სხვა იმკიდეს და მთესველს კი სიხარულს ჰგვრიდეს ეს საწუთისოფლო უსამართლობა? უფალი ამჯერადაც უზენაეს სიბრძნეს შეგვაგონებს იგავურად, სანეტარო სიხარულს გვპირდება და გვანუგემებს:

ღვთის სიტყვის მთესველი მე ვარ, მოციქულები და ეკლესიის მსახურნი კი მომკელნი არიან. შენ კი, თუ ინებებ, შეგიძლია ეკლესიის წიაღში უშრომელად მოიმკო ეს დიდებული სამკალი და ღირსეულად მიიღო ჩემ მიერ დათესილი საცხოვრებელი სიტყვა. აი, სწორედ მაშინ გაიხარებს „ერთბამად“ – მთესველიც და მომკელიც (იოანე 4, 36) [იოანე ოქროპირი 1993].



ამ ბრწყინვალე სახარებისეულ იგავთქმაში თამამად შეგვიძლია ვივლოთ მხატვრულ-პოეტური სიტყვის მთესველიც და მომკელიც. მართლაც – მწერლისა თუ პოეტის სიტყვას (საზოგადოდ, ხელოვანის მიერ ქმნულს) სამკალად ხომ, როგორც წესი, „სხუად“ იღებს ხოლმე? ან სად გაგონილა მხოლოდ საკუთარი ლექსების მკითხველი პოეტი?!

მუხრანის ლექსით დათესილ ქართულ სიტყვას კეთილ სამკალად დღემდე იმკის ქართველი და დღეის ამას იქითაც მოიძკის - „ქართველთ რწმენად“!

და ყოველივე ამის დასტურად, ამჯერად, მუხრანის ორი ლექსით მოწეული კეთილნაყოფიერი პოეტური სიტყვა გავიზიაროთ:

**„მსურს მხოლოდ იგი, რაც სურდა საბას!“** – გვიბრძანებს მუხრან მაჭავარიანი ლექსში „რაც სურდა საბას“ – და იმას გვიმოწმებს, რომ მისი მქუხარე პოეტური სიტყვა, არსობრივად, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულით“ საზრდოობს:

თუკი **სულხანი** – ქართული „სიტყვის მარაგს“ უმდიდრებს პოეტს:

„სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავწანი, ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი...“ („\*\*\* ხარ საესავი ჩემთვის ტამარი“),

**საბა** – მის მზერას პირველქმნილი, დასაბამიერი ქართული სიტყვისაკენ წარმართავს: „უნდა შვას ლექსი, როგორც წესი, ღვთის ძალამ...“ („\*\*\* უნდა შვას ლექსი“).

ერთადერთია „საბას სურვილით“ შემსჭვალული მუხრანის მძლავრი პოეტური სიტყვის **საგანიც, მიზეზიც, მიზანიც** და **გზაც**, ანუ – საქართველოს და ქართველთა ღირსეულად გადარჩენის უზენაესი საქმის მსახურება, კერძოდ:

\* იყოს პატრონი მრავალჭირვარამგადანახადი „უნატიფესი **ენა ქართულისა**“ („მრავალჭირვარამგადანახადი“):

„კაცმა ქართველმა, მსურს, ქართულად ილაპარაკოს...“ („რაც სურდა საბას“);

„ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენა“ („ენა ქართული“);

„პოემა მისი ძელს ჰგავს ულპოლველს“ („ძელი ულპოლველი“);

\* თავგანწირვით უერთგულოს წინაპართა დაღვრილი სისხლის ფასად დღემდე მოღწეულ **მამულს**:

„და საქართველოს – საქართველო, მსურს ერქვას მუდამ!..“  
(„რაც სურდა საბას“);

„იმ კიდობანმა, ვით იხსნა ყველა, – ვინც კი და რაც კი მკვიდ-  
რია მიწის“ („ძელი ულპოლველი“);

\* არ უღალატოს საუკუნოვან **რწმენას** ქრისტე უფლისადმი:

„ამქვეყნიური საქართველოს არ იცავს ძალა“ („\*\*\* საქართვე-  
ლოზე ვინც ამჟამად კბილებს ილესავს“);

„ჩემი სამშობლო მაღალია! ... უფალთან ახლოს ამიტომაც -  
უფროა ჩემი!“ („\*\*\* ჩემი სამშობლო მაღალია!“);

„საქართველოსი ზეცაშია ბედი სრულქმნილი“ („ვით,- ერ-  
თხელ,- წინათ“ ).

„პოემა ესე, სამშობლოს ჩემსას, თუ წარღვნა იქნა, ისევე იხ-  
სნის“ („ძელი ულპოლველი“).

ამ მხრივ, ასევე საგულისხმოდ გვესახება შესაქმნიელი სა-  
ხისმეტყველებიდან ამოზრდილი მშვენიერი პოეტური ქმნილება  
მუხრანისა – „ძელი ულპოლველი“, რომელშიც „რუსთველის ძლიერ-  
ი სულით“ ქმნილ „ვეფხისტყაოსანს“ პოეტი ქართული ლექსის  
სრულქმნილების უტყუარ საზომად აღიარებს:

„რუსთველს ბადალი ვერსად ვუპოვე;

პოემა მისი ძელს ჰგავს ულპოლველს!“.

ამ მრავლისმეტყველი პოეტური შედარებით პოეტი გვაწვდის  
„იდეას“ სამშობლოს ქრისტესმიერი გამოხსნის შესახებ:

„პოემა ესე, სამშობლოს ჩემსას, თუ წარღვნა იქნა, ისევე

იხსნის“.

ასე რომ, მუხრან მაჭავარიანი თავისი ამ მშვენიერი პოეტური  
ქმნილებით, მთლიანობაში, უძველესი ქართული პოეტური სი-  
ტყვის-მოქმედების მაღლიანად გამგრძელებელია, იგი ქართველთა  
საუკუნოვან უზენაეს სამსახურებელ საქმეს ემსახურება, და ამჯერა-  
დაც ამჟღავნებს საკუთარ ერთგვაროვნად მსასობებელ დამოკიდებუ-  
ლებას:

\* **ქართული ენისადმი:** „პოემა მისი ძელს ჰგავს ულპოლველს“;

\* **მამულისადმი:** „იმ კიდობანმა, ვით იხსნა ყველა, – ვინც კი  
და რაც კი მკვიდრია მიწის“;

\* **რწმენისადმი** – მამულის ქრისტესმიერი გამოხსნის მიმართ:  
„პოემა ესე, სამშობლოს ჩემსას, თუ წარღვნა იქნა, ისევე იხსნის“.

ლექსს „ძელი უღპოლველი“ პოეტმა წარუძმღვარა ამონარი-  
დი ძველი აღთქმის წიგნის – „შესაქმის“ („დაბადების“) მეექვსე-მე-  
შვიდე თავებიდან:

„და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: „ქმენ კიდობანი  
ძელთაგან უღპოლველთასა... და ყოველისაგან ჳორციელისა ორ-  
ორი შეიყვანე კიდობნად... და ქმნა ნოე ყოველნი რაოდენნი ამცნო  
მას უფალმან ღმერთმან... და იქმნა რღუნა და მოკუდა ყოველი ჳორ-  
ცი მოძრავი ქუეყანასა ზედა... და დაშთა მხოლოდ ნოე და მისთანანი  
კიდობანსა შინა“...

ამ ამონარიდის მართებულად აღქმისა და მიღების მიზნით ეკ-  
ლესიის წმიდა მამები განგვიმარტავენ:

ერთი მხრივ, ურთხმელის, კედარისა თუ კვიპაროსის მსგავსი  
ხისგან შეკრული „ნოეს კიდობანი“ და, მეორე მხრივ, „წარღვნა“ –  
ძველადთქმისეული სახისმეტყველებითი წინასწარმეტყველებაა  
ჯვარცმის ხესა და ნათლობის წყალზე, რაც მინიშნებს ახალი აღ-  
თქმის კაცობრიობის ქრისტესმიერ გამოხსნაზე „ცოდვის წარღვნისა-  
გან“. ისიც საგულისხმოა, რომ ამ წინასწარმეტყველებას თავად მა-  
ცხოვარი იესო განგვიცხადებს: „ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოესთა,  
ეგრეთ იყოს მოსლვაჲ მისა კაცისაჲ“ (მათე 24, 37; ლუკა 17, 25); ხო-  
ლო წმიდა პეტრე მოციქული თავის ეპისტოლეში ნოეს კიდობანს იმ  
ნათლობის ეშაზად სახავს, რომლითაც ქრისტეს ნათლით ვიმოსე-  
ბით და, ესრეთ გაძლიერებულნი, კეთილგონიერებით შევუდგებით  
ცხოვნების გზას (1 პეტრე 3,20-21; იხ.: ლოპუხინი 1,3).

ძველ ქართველ სიტყვის-მოქმედთა მაღლიანი მემკვიდრის –  
**მუხრან მაჭავარიანის** შემოქმედებაში მრავლად იპოვება მის მიერ  
მქუხარე პოეტური სიტყვით გამოთქმული საღმრთო სათქმელი, რაც  
ცხადლივ გვარწმუნებს:

**როგორც ქრისტიანობა მკვიდრობს ნიადაგ ქართველ ერში,  
ისევე უშრეტად ცოცხლობს ქართული სიტყვის დასაბამიერი  
მადლმოსილება ქართულ პოეტურ სიტყვაში!**

## ლიტერატურა

**ბასილი დიდი 2002** – წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი,  
ძველბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა  
კოპლატაძემ, თბილისი.

**ბიბლია 2015** – ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, „ალილო“, „ქრონიკონი“, თბილისი.

**გალაკტიონი 1971** – გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**თეოფილაქტე ბულგარელი 2000** – ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, სახარება მათესი, მოსკოვი (რუსულ ენაზე).

**თეოფილაქტე ბულგარელი 2007** – ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მარკოზის სახარების განმარტება, გამომცემლობა „მრწამსი“, თბილისი, გვ. 34-35.

**ივანე იმნაიშვილი 1975** – ივანე იმნაიშვილი, სინური მრავლთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი. თბ ლისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 102-119.

**იოანე ოქროპირი 1993** – თარგმანებად იოანეს სახარებისად, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, I, თბილისი.

**იოანე ოქროპირი 1996** – თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, I, თბილისი.

**ლოპუხინი 1, 3** – Толковая Библия, А. П. Лопухина, Петербург, 1, 1904-1907; 3, 1911-1913, გვ. 30-31; 185-186.

**მუხრანი 1979** – მუხრან მაჭავარიანი, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**მუხრანი 1993** – მუხრან მაჭავარიანი, არამც და არამც, „ორიონი“.

**მუხრანი 2007** – მუხრან მაჭავარიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი პირველი: ლექსები, პოემა; ტომი მეორე: ლექსები. „ინტელექტი“, თბილისი.

**რუსთაველი 1992** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარი დაურთო ნოდარ ნათაძემ; რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული, თბილისი, 1992.

**სინური მრავალთავი 1959** – სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი.

**„ფუძე“ 2009** – „პოეტი-აკადემიკოსი მუხრან მაჭავარიანი“, „ფუძე“, მართლმადიდებლური ჟურნალი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, №1(17), ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 23-24, თბილისი.

**„ფუბე“ 2010 – „მე ქუხილისა“**, „ფუბე“, მართლმადიდებლური ჟურნალი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, №2(21), მაისი-ავგვისტო, გვ. 22-25, თბილისი.

**ღლონტი 2004-2005** – მედეა ღლონტი, „დასაბამიდან მოლივე-ლივებს ლირიკის შუქი“ (გალაკტიონის „ქარი ჰქრის“ საღვთისმეტყველო ასპექტები), სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, 2004, №7-8-9, №10-11-12; 2005, №1-2-3.

Medea (Dodo) Ghlonti

### **Mukhran's Divine Word**

#### Summary

In the works of great Georgian poet and public figure Mukhran Machavariani, the divine word expressed in his poetic speech attracts readers' attention.

The present paper is an attempt to analyze the issue using the principle of unification of faith and knowledge which is made credible by:

On the one hand, the ancient Georgian elements of a poem structure secretly reflected in the centuries-old Georgian church literature and 20 centuries old samples (brilliantly translated from hymnography, homiletics, the Bible, etc.) having original poetic syntax that was found in the last century and on the basis of which highly significant findings were suggested by famous Georgian scholars Pavle Ingorokva, Simon Kauhchishvili and Ivane Imnaishvili.

On the other hand, the relevant works by the greatest Georgian classics of the ancient Georgian secular poetic word (Rustaveli, Davit Guramishvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Galaktion Tabidze);

Lastly, the proper theological explanations from the exegesis of the Holy Fathers of the Orthodox Church (St. Basil the Great, St. John Chrysostom, Blessed Theophylact of Bulgaria, etc.).

On the basis of all the above-mentioned, we discuss Mukhran Machavariani's several poems to prove that he, as a successor of the

ancient Georgian poetic word-action, serves the supreme centuries-long affair for Georgians and still demonstrates his felicitous attitude towards the mother tongue and faith.

## ვაჟა შენგელია

### მაჭავარიანები

(ედღენება მუხრან მაჭავარიანს)

მუხრან მაჭავარიანმა ლექსს „კახთ-მაჭავარი“ წაუმძღვარა ერეკლე მეორის სიგელის ტექსტი, რომლითაც მეფეს მღვდელი იასე მაჭავარიანი დაუჯილდოებია სამღვდელო მსახურებისა და იარაღით ქვეყნის დაცვაში მონაწილეობისათვის.

ბატონი მუხრანი მისთვის ჩვეული მაღალმხატვრული საშუალებებით, ერთგვარი სიამაყით ახასიათებს პატარა კახის კარის მოძღვარს, კახეთის მკვიდრ მაჭავარიანს, არაჩვეულებრივ ადამიანსა და ჭეშმარიტ პატრიოტს, პატარა კახის კარის მოძღვარს:

„საყდრით გამოდის პატარა კახის  
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,  
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი  
კაცი და, მერე, კაცი რავარი!  
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი  
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.“

**მაჭავარიანი** დიდი ისტორიის მქონე გვარია, საკმაოდ გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ვითარებაში. ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნის „გვარსახელები საქართველოში“ (1997) მიხედვით, საქართველოში მაჭავარიანის გვარის სულ 3536 პირი ცხოვრობს, მათ შორის თბილისში – 1543, ზესტაფონში – 271, ქუთაისში – 239 (სილაგაძე, თოთაძე 1977: 135). სამწუხაროდ, წიგნში არ არის აღრიცხული მ. მაჭავარიანის მშობლიურ საჩხერის რაიონსა და სოფელ არგვეთში მცხოვრებ მაჭავარიანთა რაოდენობა.

**მაჭავარიანი** ანთროპონიმია, გვარსახელი, რომელიც **მაჭავარ** საკუთარ სახელს უნდა ემყარებოდეს, ხოლო **-იანი** ქართული გვარის მაწარმოებელი სუფიქსია, **მაჭავარ-** ფუძე კი აგებულებით იმავე ტიპისა ჩანს, როგორსაც **მა-** პრეფიქსითა და **-არი** სუფიქსით (კონფიქსით) ნაწარმოები მიმდებარა გვიჩვენებს. ასეთებია, მაგალითად, სი-

ტყვები: **მაქებარი, მამებარი, მადევარი, მაცივარი, მაწინარი** და სხვ.

თავად **მაჭავარ** ფუძე, ჩვენი ვარაუდით, უნდა უკავშირდებოდეს **მჭევრ** სიტყვაში წარმოდგენილ **ჭევ**- ძირს (შდრ., აგრეთვე, **მჭევრმეტყველი, ენამჭევრი**). ამ ძირის **ე** ხმოვანი **ა**-ში გადასულა წინა და მომდევნო მარცვლის **ა** ხმოვნის გავლენით: \***მაჭევარ** -> **მაჭავარ**.

**მაჭავარ**- ფუძის მნიშვნელობის შესახებ ლექსიკონები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებისა და საილუსტრაციო მასალის გარეშე გვაქვს პარალელური ფორმები: **მჭევრი, მჭევარი, ზჭევრი** [აბულაძე 1973: 313]. ზ. სარჯველაძის ლექსიკონში წარმოდგენილია **ენათმჭევრობა** და **მჭევრობა** სიტყუათა „მჭევრმეტყველება“ [სარჯველაძე 1995: 78, 159]. გ. რუხაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში“ **მჭევრ**- ფუძე არ დასტურდება [რუხაძე 2008].

ს.-ს. ორბელიანი გვამცნობს: „**მჭევრი** ესე არს თითო სახენი გვარნი მეტყველებისანი... რომელსა ელლენებრ ეწოდების რიტორი, ხოლო ქართულად ბ ა ს ი ლ ი კ ო ნ ი; **მჭევრობა** რიტორება“ (სულხან-საბა 1991: 549). ცოტა სხვაგვარია ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: „**ენამჭევრი** ენამარჯვე, მშვენიერმოუბარი... красноречивый || მოხდომილი, ტანოვანი, ანუ კისკასი“ [ნ. ჩუბინაშვილი 1961: 209, 307]. დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: **მჭევრი** ზედ. მშვენივრად მოუბარი; მოხდომილი, ტანოვანი ან კისკასი; красноречивый, статный, пригожий [დ. ჩუბინაშვილი 1984: 931]. ნ. ჩუბინაშვილიცა და დ. ჩუბინაშვილიც **მჭევრ**-ის მეორე მნიშვნელობის აღნიშვნისას „ვეფხისტყაოსანზე“ მიუთითებენ. აღ. ბარამიძის, ვ. კვეკელიძისა და ა. შანიძის მიერ მომზადებულ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ბოლოში ერთვის იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც გვთავაზობს ასეთ განმარტებას: **მჭევრი** „ლამაზი, კობტა, შწოიანი“ [ვეფხისტყაოსანი 1951: 373].

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ V ტომში წარმოდგენილია ორივე მნიშვნელობა: „1. მჭევრმეტყველი, ენამეტყველი, ენაწყლიანი. 2. ლამაზი, მოხდენილი შწოიანი, კობტა“ [ქეგლი 1962: 1231].

ზემოთ მოყვანილი ორი მნიშვნელობიდან **მაჭავარ**- || **მჭევრ**- || **მჭევარ**- ფუძისათვის რომელიც არ უნდა იყოს ამოსავალი („მჭევრმეტყველი“ თუ „ლამაზი, ტანადი, მოხდენილი“), ერთი რამ უეჭველია, ორივე ზუსტად შეეფერება მუხრან მაჭავარიანის პიროვნებას.



გვარი **მაჭავარიანი** დოკუმენტურად დადასტურებულია XIV-XV საუკუნეებიდან. ამ გვარის მატარებელი მრავალი პირია დასახელებული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებულ „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ III ტომში, რომელიც 2004 წელს დაიბეჭდა და XI-XVII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებს ემყარება. აღნიშნულ ლექსიკონზე დამყარებით, ჩვენ მხოლოდ ზოგ მათგანს შევვხებით [პირთა ლექსიკონი 2004: 113-115].

XIV-XV საუკუნეთა მიჯნის საბუთში შეტანილია **გიორგი მაჭავარიანი**, მოურავი და მოწმე.

კახეთის მეფის – ალექსანდრეს ეპოქაში უცხოვრია **ავთანდილ მაჭავარიანს**, რომელიც მოხსენიებულია მეფის 1496 წლის განჩინებაში.

XVI საუკუნის შუა წლებში მოიხსენიება **დავით მაჭავარიანი**, მწიგნობარი, შემწირულების წიგნის დამწერი.

XVI საუკუნეშივე მოხსენიებულია **მელქისედეკ მაჭავარიანი**, კაცხის მონასტრის წინამძღვარი.

XVII საუკუნის ბოლოდროინდელ საბუთებში შეტანილია **ინანა მაჭავარიანი**, ჩხეიძეების აზნაურიშვილი.

1673-1696 წლებში იმერეთის დედოფლის მოღარეთუხუცესი ყოფილა **ქაიხოსრო მაჭავარიანი**, რომელსაც ორი შვილი ჰყოლია: გიორგი და როსტომი.

მაჭავარიანების გვარმა XIX-XXI საუკუნეებში საქართველოს მრავალი ცნობილი შემოქმედი და მოღვაწე შესძინა. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით (ძირითადად ვემყარებით „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ VI ტომში წარმოდგენილ ცნობებს – ქსე 1963: 513-514).

ქრონოლოგიის გათვალისწინებით, თავდაპირველად **ივანე მაჭავარიანს** (1863-1943) უნდა შევეხოთ, რომლის მოღვაწეობა მეტად მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურის თარგმანის სფეროში. მან მრავალი შესანიშნავი თარგმანი განახორციელა: ერკმან-მატრიანის „გლეხკაცის ისტორია“, ა. დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, ვ. ჰიუგოს „93 წელი“ და „საბრალონი“, ა. ტოლსტოის „პეტრე პირველი“, მ. გორკის ნაწარმოებები და სხვ. სანიმუშო თარგმანია იმის მიზეზი, რომ საილუსტრაციო მასალად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდგენილია ნაწყვეტები ივანე მაჭავარიანის თარგმანებიდან.

**ალექსანდრე მაჭავარიანი** (1884-1941) იყო ცნობილი ქირურგი, და, როგორც „ქართულ ენციკლოპედიაშია“ აღნიშნული, საქართვე-

ლოში კლინიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ორი **მიხეილ მაჭავარიანია** ცნობილი პიროვნება: ერთი (სერგის ძე) იყო ცნობილი მფრინავი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებელი; მეორე (სპირიდონის ძე) გახლდათ ცნობილი არქიტექტორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე, პროფესორი.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი **ალექსი მაჭავარიანი** ავტორია მრავალი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებისა – მათ შორისაა ოპერები („დედა და შვილი“, „ჰამლეტი“), ბალეტები, სიმფონიები, სონატები, რომანსები... მისმა ბრწყინვალე ბალეტმა „ოტელომ“ მთელს მსოფლიოში მოიპოვა აღიარება (დაიდგა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენაზე). თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „ოტელოს“ დადგმა დიდი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში (შემსრულებლებიც გამოჩენილი ხელოვანები იყვნენ: ოტელო – ვახტანგ ჭაბუკიანი, დეზდემონა – ვერა წიგნაძე, იაგო – ზურაბ კიკალეიშვილი). შემდეგ ბალეტი ფილმდაც გადაიღეს.

ენათმეცნიერმა, პროფესორმა **გივი მაჭავარიანმა**, რომელიც, სამწუხაროდ, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის.

ქართული ფილოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია პროფესორი **ელენე მაჭავარიანი**, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქართული დამწერლობის შესანიშნავი მკვლევარი.

ქართველი ერის საამაყო შვილია **მუხრან მაჭავარიანი**, დიდი პოეტი და დიდი მოქალაქე, რომლის დაბადების 90 წლის იუბილე წელს აღნიშნა სრულიად საქართველომ. სურვილი გვაქვს და იმედიც უნდა გვქონდეს, რომ საქართველოს მომავალშიც ეღირსება ბატონი მუხრანის დარი ადამიანები.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ვეფხისტყაოსანი 1951** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

**რუხაძე 2008** – გ. რუხაძე, ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბილისი.

**სარჯველაძე 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**პირთა ლექსიკონი 2004** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**სილაგაძე, თოთაძე 1997** – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახე-ლები საქართველოში, თბილისი.

**სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. I, თბილისი.

**ქეგელ 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, თბილისი.

**ქსე 1983** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი.

Vazha Shengelia

### **The Machavarianis**

(Dedicated to Mukhran Machavariani)

#### Summary

The surname *mačavariani* has been attested in documents since XIV-XV centuries. It has had a number of famous representatives in the old and modern Georgian history.

The surname *mačavariani* was derived from the proper name *mačavar-i* by the suffix *-ian* having a function of deriving surnames. *mačavar-i* was derived from the root *chev* by the prefix *ma-* and the suffix

-ar (confix): \**mačevari* > *mačavari* (through assimilation).

The author of the paper believes that *Machavar-i* is related to the word *mchevr* that have two meanings: “1. eloquent, rhetorical, 2. beautiful, elegant, clean-limbed”. Both of the meanings suit great poet and citizen **Mukhran Machavariani**.

**„მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ –  
წვიმის ლექსიკოგრაფიული პორტრეტი  
მუხრანის პოეზიაში**

პოეტური ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია ლინგვოპოეტის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო უბანს წარმოადგენს. მხატვრული ლიტერატურის, და მით უფრო პოეზიის, ენა საყოველთაო ენის გამდიდრების ძირითადი წყაროა: ლექსიკური ერთეულები – ახლადშექმნილი, თუ უკვე არსებული, ახლებური ელფერით, უჩვეულო კონტექსტები, ნიუანსთა და კონოტაციათა გამკვეთრება თუ დაჩრდილვა, მეტაფორები, ე. წ. „შეუძლებელი სემანტიკური შეხამებანი“ და მისთ. მხატვრული ენის ის ძირითადი ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც იქმნება მხატვრული სამყარო. რჩეულ ხელოვანთაგან აღქმული, განცდილი და წერილობით გაცხადებული მხატვრული სამყარო გამორჩეულად საინტერესოა უპირველესად იმიტომ, რომ მრავლისა და ბევრის მთქმელია. მხატვრული ლიტერატურის, და კონკრეტულად პოეზიის, ენა ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშებს გვთავაზობს.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ჩვენი დაკვირვება დიდი ქართული პოეტის – მუხრან მაჭავარიანის პოეტურ სამყაროში დახატულ ისეთ ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენაზე, როგორცაა **წვიმა**. სიტყვის ძალა და, საერთოდ, ქართული სიტყვის ფენომენი მუხრანის პოეზიაში ნაირგვარი კვლევა-ძიების გზებს სახავს და სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ თვალწინ გაჩენილ ახალ სამეცნიერო მიმართულებას – მუხრანოლოგიას წინ დიდი და შთამბეჭდავი სამეცნიერო სამუშაოები და მონაპოვარი ელის. მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილ ერთ წერილში მუხრანი წერს: „მე მყავს ჩემი საყვარელი სიტყვები“ (ტ. III, გვ. 242). ვფიქრობთ, წვიმა პოეტის ერთ-ერთი ასეთი საყვარელი სიტყვაა. ჩვენ შევეცადეთ აღვვწერა მუხრანის სიტყვა წვიმაზე ან, უკეთ რომ ვთქვათ, **მუხრანის წვიმა** (თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამ აღწერას სისრულის პრეტენზია არა აქვს, სისრულე მომავლის საქმეა). ჩვენი დაკვირვების კვალდაკვალ შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვებს:

## წვიმა – რატომ? წვიმა – როგორ? წვიმა – რისთვის?

მუხრანის პოეზიის უბრალოდ მოყვარული თუ დაკვირვებუ-  
ლი თვალ-ყურის მქონე მკითხველი (ცხადია, პროფესიონალი, მით  
უფრო) უსათუოდ შენიშნავს, რომ წვიმა მის პოეზიაში გამორჩეული  
სიტყვა და მოვლენაა და ეს, უპირველესად, და არა მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ და არც მხოლოდ იმის  
გამო, რომ „არგვეთის წვიმა“ მისთვის საკუთარ სხეულზე მეტად  
სისხლხორცეულია. არა, წვიმა პოეტისთვის სამყაროს ისეთივე ნი-  
შანია, როგორც ანბანში რომელიმე ასო, როგორც ბგერის გრაფი-  
კული ნიშანი. სწორედ ამიტომაც მასთან ბევრი წვიმა (თუმცა – არა  
უსასრულო), უკეთ „წვიმები“ და მათით, ისევე როგორც ასო-ნიშნე-  
ბით, შენდება და მშვენივლი ტექსტები, იქმნება პოეტური ჰარმონია.  
პოეტი წვიმის ნაირგვარობას საბასეული რუდუნებით ანივთებს თა-  
ვის ლექსებში და ამის შემგრძობს და შემცნობს თითქოს ჩაგესმის  
კიდეც მისი მართალი სიტყვები: „უბნობს საბა და მე საბას ვუსმენ“  
(ტ. II, გვ. 280). ამის გამგებს კი კიდეც ერთხელ გარწმუნებს, რომ ნა-  
ცნობი წვიმების გარდა რამდენი უცნობი წვიმა არსებულა და აქ ისევე  
სულკურთხეულის სიტყვები გიხმინანდება:

„მეც ვაჩნევ ჩემსას  
დედაენას რამეთუ ორნატს, –  
ჩემი ჩემამდე

ქართველთათვის უცნობი სუნთქვით“ (ტ. II, გვ. 19).

მაინც როგორია ლინგვისტურად სახელური თუ ზმნური  
ფორმებით გამოხატული პოეტური წვიმა, მუხრანის „ყალბით ნახა-  
ტი“ წვიმა? კონტექსტთა ანალიზის თანახმად, **წვიმა** წარმოდგენი-  
ლია როგორც:

I. **ჩვეულებრივი წვიმა** – ბუნებრივი მოვლენა ანუ სემანტიკუ-  
რი და სტილისტიკური თვალსაზრისით ის ამ შემთხვევაში ნეიტრა-  
ლური ლექსიკური ერთეულია. ამ რიგის ნიმუშები სტატისტიკუ-  
რად ყველაზე მრავალრიცხოვანია, საილუსტრაციოდ მოვიხმობთ  
რამდენიმე მათგანს: „შუადამისას დაწყებული გრძელდება წვიმა“  
(ტ. I, გვ. 171); „აი, მთვარე. აი, წვიმა“ (ტ. I, გვ. 195); „ვიყავი მარტო. /  
წვიმდა... / წვიმდა... / მუდამდღე წვიმდა“ (ტ. I, გვ. 273). ნეიტრალუ-  
რი მნიშვნელობით, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეუ-  
ლი ლექსის სათაურადაც აქვს გამოტანილი ის პოეტს „წვიმს...“ (ტ. I,  
გვ. 241); ის ამგვარივე მნიშვნელობით რამდენიმე ლექსის სათაურის

ფრაზაშიც გვხვდება, ასე მაგალითად: „ფიქრი, – დამეული წვიმის თქარუნში, – სოფლად, – აივანზე“ (ტ. II, გვ. 269); „ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა“ (ტ. I, გვ. 89); „დიალოგები წვიმაში“ (ტ. I, გვ. 268). საგანგებოდ აღსანიშნავია ლექსები: „დიღმის წვიმა“ და „არგვეთის წვიმა“, სადაც სათაურში თითქოსდა ნეიტრალური წვიმა უკვე ლექსში თავისუფლდება ნეიტრალობის არტახებიდან და სრულიად ახალ სააზროვნო სივრცეს, ახალ ხატს ქმნის, დამოუკიდებელ მოვლენას, ერთცნებიან კომპოზიტს (ამაზე ვრცლად ქვემოთ).

II. **ნაცნობი წვიმა** – ეს პოეტის ნაცნობი წვიმაა, რომელსაც, მართალია, მკითხველიც იცნობს, მაგრამ პოეტის ფრაზაში ამის მოსმენა მაინც ახარებს ისევე, როგორც სასიამოვნო ნაცნობის ნახვა: „ხანდახან მოდის ნაცნობი წვიმა“ (ტ. II, გვ. 202); „ვითარცა ნაცნობს წარმოადგენს / ზღვათათვის წვიმა“ (ტ. I, გვ. 149) და ეს ნაცნობი წვიმა პოეტის ფრაზაშიც ცოცხლდება: წვეთებად ცვივა, ცრის, ესხურება, თქარუნებს, თქარათქური გაუდის, უეცრად დასცხებს, ხმაურობს – „გარედან წვიმის ისმოდა თქაშუნი“ (ტ. I, გვ. 303). ზოგჯერ ეს ნაცნობი სულაც არ ჩანს, მაგრამ ძალუმად იგრძნობა: „ჩამობრძანდა ფეხად ზეცა, / გაილუმპა შრიალეთი“ (ტ. III, გვ. 50).

III. **„...აქვს სახელი ცხრა“** – წვიმის ცხრასახელიანობა მის მრავალგვარობას აღნიშნავს და გვხვდება კიდევაც მრავალგზის პოეტის ფრაზაში: თქეში, ლეშხი, დელგმა, ლელმა, ჟინჟლი, ცვარი, ნამი, ცვარ-ნამი, ღვარი, ლემტერი, ღვართქაფი, ნიაღვარი, კოკისპირული. და, აი, ამგვარი – ჩვეულებრივი, ნაცნობი და ცხრასახელიანი – წვიმის გარდა პოეტთან სხვაგვარი წვიმებიცაა; პირობითად, ასეც ვუწოდეთ კიდევ ამ პუნქტს:

### **სხვაგვარი წვიმები**

**დიღმის წვიმა** – ამავე სათაურითაა ლექსიც (ტ. II, გვ. 7-8). „აღორძინება ქართლისა – მძლავრი, იწყება / დიღმის წვიმით“. ეს ეპოქალური წვიმაა პოეტისათვის, ავი ამბობს კიდევ:

„ოცდასამი საუკუნის წვიმა  
ვერ დაწონის  
ვერც ცხადში,  
ვერც ძილად, –

ოცდასამი საუკუნის წინათ  
მოსულ დიღმის წვიმას“.

ამავე აზრს სხვაგვარი შთამბეჭდაობით ახმიანებს ლექსშიც „ფარნა-  
ვაზი“:

„ფარნავაზ, – დასტურ მაღალთა სწორი,  
შერთული უკვე დღეს სულთა სირას,  
ისეა სულ სხვა, – მეფეთა შორის, –  
წვიმებში, – დიღმის რომაა წვიმა“ (ტ. II, გვ. 17).

საკუთარი სისხლის ხმიანობას მიყურადებული პოეტისათვის (აკი საკუთარ სისხლს კითხულობდა!) ამგვარი წვიმების შემჩნევა, ალბათ, ჩვეულებრივი რამ იყო, მისთვის ჩვეულებრივი. ამბობს კი-  
დევაც: „წვიმა მასველებს მეჩვიდმეტე საუკუნისა“ (ტ. I, გვ. 103). ამ-  
გვარი ხედვისა და ხილვების გამოძახილია ფრაზაც: „წითლად გა-  
წვიმდა ანაზდად“; თუმცა მასთანაც, როგორც საერთოდ ქართულ  
პოეზიაში, **სისხლის წვიმა** ჩვეულებრივი ამბავია (ანკი როგორ იქნე-  
ბოდა სხვაგვარად „შენ, სისხლო ჩემოო“, რომ ამოიქუხა?!), იმდენად  
ჩვეულებრივი, რომ საბას განცდას ასე გადმოსცემს:

„მამული სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა, –  
წვიმას ვერ იტანს“ (ტ. I, გვ. 106).

გახსოვთ „საბა“? „– წვიმა არ არი! – / საბას კაბა დაუსველა რამ?! / ...  
საქართველოა / მისთვის: / წვიმაც, / თოვლიც და ყინვაც!..“ (ტ. I, გვ.  
33). დიახ, ასეა, ისტორიის განაჩენს „ცრემლისა საქმეს ვერ შველის  
წვიმა“ (ტ. III, გვ. 34).

**ლირიკული წვიმა** – ასე ვუწოდეთ პირობითად პოეტის სა-  
ტრფილო ლირიკაში დავანებულ წვიმას, რომელიც ნაირფერია,  
კერძოდ:

*ხათრიანია:*

„იყო ერთ-ერთი ტურფა დილა ჩემი ცხოვრების...  
ბათუმო, გახსოვს?! –  
ხათრიანად იმ დილით წვიმდა!“ (ტ. I, გვ. 68);

*გულმოდგინეა:*

„სამი დღეა გულმოდგინედ წვიმს“ (ტ. I, გვ. 253);

ხან – *ფიქრი* და *ნატვრა*, ხან – *მომაბეზრებელია:*

„უშენოს წვიმამ მომაბეზრა თავიც და ტანიც...  
ახლა რომ წვიმდეს, –



ორთავეს გვინდა, –

და წვიმა ახლა აღარ მოდის მაინცდამაინც“ (ტ. I, გვ. 273);  
*საიდუმლოს შემნახავია*, იმ საიდუმლოსი, მარტო პოეტმა რომ იცის,  
თუმცა განა მარტო მან?

„კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,

ცამ და პოეტმა იციან მარტო:

ქალი წვიმაში რომ ილუმპება, –

რატომ იცინის უმისამართოდ“ (ტ. I, გვ. 361).

ბოლოს და ბოლოს – დიდებული მეტაფორით **წვიმა თვითაა ქალი**:

„წვიმა ქალია...

ყველაფერი ქალივით მიყვარს“ (ტ. I, გვ. 91).

სწორედ ამგვარი სიყვარული ათქმევინებს პოეტს:

„ამქვეყნად ერთად ვიმყოფებით მე და შენ ვიდრე –

მზე თუგინდ სულ არ გამოვიდეს! –

თუგინდ – სულ წვიმდეს!“ (ტ. I, გვ. 171).

**არგვეთის წვიმა** – ეს მუხრანის ადგილის დედის ძახილია, ფუძის, კერიის წვიმაა, სრულიად განსაკუთრებული წვიმა; მერე რა, რომ ასე მხოლოდ ერთი ლექსია დასათაურებული, განა ეს წვიმა, უფრო სწორად, ამ წვიმის მადლი არ იგრძნობა სრულიად მის პოეზიაში? განა ამ წვიმას არ უსმენდა იგი „შუალამისას, – / ოდეს საფლავს აწვიმს მამისას“ (ტ. I, გვ. 214); განა ეს წვიმა არ ანაღვლიანებდა? „წვიმს... / ვლონდები წვიმის გამო“ (ტ. I, გვ. 241); განა ამ წვიმამ არ გააცნო და შეაყვარა მას ერთი ქალიშვილი? განა ამ წვიმაზე არ ამბობს: „როგორც აღვნიშნეთ, – / წვიმს... / ღვინო კი, / მოგეხსენებათ, / კარგია, / როცა წვიმს“ (ტ. I, გვ. 271); განა ამ წვიმამ არ უთხრა, რომ: „საყურეებად გაუყრიათ სამყურებს ცვარი“ (ტ. I, გვ. 157); „იბანენ თქემით ხეები ხელ-პირს“ (ტ. III, გვ. 10); განა ამ წვიმის ხმიანობასა და ფერებში უკეთ არ იგრძნობა მის პოეზიაში მიმოზნეული იმერიზმების სურნელი? განა ამ წვიმამ არ უთხრა დიღმის წვიმაზე? საბას ცრემლზე? განა ამ წვიმამ არ გაანდო, რომ ნიჭიერებაც, დიადი ლექსიც „თავისით უნდა წამოვიდეს, / რაც, / როგორც წვიმა!“ (ტ. III, გვ. 97); განა ამ წვიმაზე არ ამბობს პოეტი, როცა ლაშურას ეფერება:

„დღეს კი...

პატარა უკვე აღარ ვარ.

ვარ დიდი.

ალბათ, – გამზარდა წვიმამ!“ (ტ. I, გვ. 123).

სწორედ ამიტომ და ასეთია **მუხრანის წვიმა**, რომელიც ჩვენც დაგვანახა და შეგვაყვარა.

ამგვარად, კონტექსტთა ანალიზის გზით, ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა **წვიმის ლექსიკოგრაფიული პორტრეტი** მუხრანის პოეზიაში. პოეტური სემანტიკის შესაძლებლობებისა და კონტექსტთა ანალიზის თანახმად, დავასკვნით, რომ სემანტიკური გრადაცია ჩვეულებრივი ფორმიდან (მაგ., „ქალი წვიმაში რომ ილუმპება“) სრულ მეტაფორულობამდე (მაგ., „წვიმა ქალი“, „დიღმის წვიმა“) განსაკუთრებულ პოეტურ ელფერს სძენს მუხრანის დიდებულ პოეზიას.

## წყარო

**მუხრან მაჭავარიანი**, სამტომეული, თბილისი, 2013.

Manana Chachanidze

### **"Only rain has nine names" – lexicographical portrait of *rain* in Mukhrani's poetry**

#### Summary

Poetic lexicology and lexicography are one of the most noteworthy areas of linguopoetics. The language of fiction and specifically, of poetry demonstrates the most impressive models in this regard.

The present paper presents my observation on natural phenomenon such as **rain** that is depicted in the poetic world of the great Georgian poet Mukhran Machavariani. All contexts are analyzed in terms of poetic semantics and thus the lexicographical portrait of **rain** is described in Mukhrani's poetry. Based on the analysis of contexts, I make conclusion that the semantic gradation from the ordinary form (e.g. "a woman is getting drenched in the rain") to metaphor (e.g. a woman is rain, morning – woman, evening – woman ...) gives a special poetic tone to Mukhrani's glorious poetry.

## მერაბ ჩუხუა

### ბასკური ენის გენეალოგიური კლასიფიკაციისათვის

ბოლო პერიოდის დასავლურ კომპარატივისტიკაში იგნორირებულია ბასკურ-ქართველურ-კავკასიური გენეტიკური კავშირის შესახებ არსებული საფუძვლიანი კლასიკური თეორია (ლუი იელ-მსლევი, ნიკო მარი, რენე ლაფონი, ჟორჟ დიუმეზილი, ჰანს ფოგტი, კარლ ბოუდა, იან ბრაუნი...). სამეცნიერო საკითხი, რომელიც გარკვეულ პერიოდში არ იყო აქტუალური, 2000-იანი წლებიდან კვლავ გააქტიურდა დასავლურ სამეცნიერო წრეებში. უფრო მეტიც, ბასკური ენის ადგილის განსაზღვრას მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში მიეძღვნა სპეციალური ნაშრომი. ამერიკელმა ლინგვისტმა შექმნა საყურადღებო მონოგრაფია ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე [ბენგტსონი 2017]. მასში მეტად მცირე მონაკვეთი ეძღვნება ბასკურ-ქართველურ ენობრივ მიმართებებს [ბენგტსონი 2017: 484-485]. ამ კონტექსტში უცნაური ის არის, რომ ავტორი მხოლოდ ათამდე ძირს განიხილავს, თუმცა აკეთებს გლობალურ დასკვნას, რომ ქართველური და კავკასიური ენები სხვადასხვა ენათა ოჯახის წევრებია. საზოგადოდ, მკვლევარი საკუთარ ნაშრომებში ყოველთვის ერთიან კონტექსტში განიხილავს ბასკურ და ჩრდილო-კავკასიურ ენებს, ქართველური ენები იქ არ შეაქვს. იქვე, პრობლემის შესწავლის ისტორიაში, რატომღაც, საერთოდ არ ახსენებს იან ბრაუნის კვლევებს და მის ჰიპოთეზას ბასკურ-ქართველური ნათესაობის შესახებ. ცხადია, ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების ერთმანეთისგან გამიჯვნის აქ აღწერილი მცდელობა იმეორებს რუსულ სქემას, ვინაიდან მოსკოვის ლინგვისტური წრის წარმომადგენლები ქართველურს ნოსტრატულ ენებთან განიხილავენ [ილიჩ-სვიტიჩი 1971; 1976], ხოლო ჩრდილოკავკასიური ენების ადგილს ბასკურ-კავკასიურ-სინო-ტიბეტურ მაკრო ოჯახში ხედავენ [სტაროსტინი 1999; 2005]. ბენგტსონის ნაშრომში „Basque and its Closest Relatives: A New Paradigm“ არგუმენტადაა მოყვანილი ასეთი მცდელობაც, რომ ი. გრინბერგმა ქართველური დრავიდულთან ახლომონათესავედ მიიჩნია [გრინბერგი 2000], ხოლო აღან ბომჰარდმა ქართველურს ნოსტრატულ მაკროოჯახში მიუჩინა ბინა. მართალია, აღან ბომჰარ-

დი ჩრდილოკავკასიურ ენებს ნოსტრატული ჰიპოთეზის კონტექსტში სპეციალურად არ იკვლევს, მაგრამ სამაგიეროდ ეტრუსკული და შუმერული ნოსტრატულ ენათა მაკროოჯახში ოჯახში შემოიტანა, რაც ანგარიშგასაწევი და საყურადღებო ტენდენციაა [ბომჰარდი 2018].

ზემოთ მოცემული მიდგომის საპირწონედ მინდა წარმოვადგინო ახალი ბასკურ-კავკასიური შეპირისპირებანი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ იზომორფებში (მორფოლოგიის დონეზე) ბასკური გენეტიკურ მიმართებას ავლენს არა რომელიმე კონკრეტული იბერიულ-კავკასიური ენის (ან ჯგუფის) მიმართ, არამედ იგი არის დამოუკიდებელი წევრი ამ ენათა ოჯახისა საკუთარი მახასიათებლებით, რაც კარგად გამოჩნდება ბასკურ-კავკასიური მორფოლოგიის შედარებითი შესწავლისას:

ბასკური	კავკასიური
ნი „მე“	ლაკ. ნა, დარგ. ნუ „მე“,
სვან. ნი-,	ნი-შგვეი „ჩვენ“
ჰი „შენ“	დარგ. ჰუ, ნახ. ჰო „შენ“,
შდრ. ქართ. ჰ- II ს. პ. ნიშ.	
ჰურა „ის“	ხინალ. ჰუ „ის“
გუ „ჩვენ“	ხინალ. ქინ „ჩვენ“,
სვან. გუ- (გუ-შგვეი „ჩვენი“), ქართ. გვ- „I ობ. პირ. ნიშ. მრ.“	
სუ „თქვენ“	აფხ.-აბაზ. შვა-..., ნახ. შუ „თქვენ“, სვან. სგა- <- *შქვა-, ს.-ქართვ. *შვა-, წახურ. შუ „თქვენ“
ჰა-ი-ქ „ისინი“	ხინალ. ჰა „ისინი“, ზან. (ლაზ.) ჰი-ნი „ისინი“
ჰა-უ „ეს“	ს.-ქართვ. *ჰე- „ეს“, ზან. (ლაზ.) ჰა-ია „ეს“. ჰა-ნი „ესენი“
ა-უ „ეს“	ქართ. ე-გ, ე-ს...
ნო-რ „ვინ“, ნო-ლა „როგორ“	ს.--ქართვ. *ნე- , ზან. ნა-მუ „რომელი“, ლაზ. ნა-კო „როგორ“, ლეზგ. ნი, აღულ. ნა „ვინ“, წახ. ნე-ნ „როგორი“...

სერ „რა“

ქართ. სა-, ზან. სო- „სად“  
(ი. ბრაუნი), ჰინუხ. სე,  
დარგ. სე, კრიწ. სი „რა“...

ბერი „ეს ЭТОТ САМЫЙ“

ზან. (მეგრ.) ა-მარ-ი

ორ-ი „ეს“, ორ „იქ“

„აგერ“, აფხაზ. ა-ბრი „ეს“  
სვან. ერე „ვინმე“, აფხაზ.  
არ-ი „ეს“, არ-თ „ესენი“...

თუ საკითხს განვიხილავთ ფონეტიკა-ფონოლოგიის დონეზე, აქაც აღმოჩნდება, რომ ბასკურ-ქართველურ ენებში შესატყვისობანი ძირითადად იდენტური ხასიათისაა. მაგრამ ამ საკითხზე ახლა აქ ვერ შევჩერდებით (საკითხის სიღიღის გამო). რაც შეეხება იზოგლოსების პრობლემას, გამოვლინდა ძირეული ლექსიკის ამსახველი საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა, ანუ პალეოკავკასიური ეტიმოლოგია ახასიათებს. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ მეტად საინტერესო ჩანს ნიკო მარის დროიდან მომდინარე ძალზე პერსპექტიული ბასკურ-ბურუშასკულ-კავკასიური ერთობის ჰიპოთეზა, რომელიც სპეციალურ მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს.

ქართველურ-ბასკურ-კავკასიური იზოგლოსები:

ს.-ქართ. **\*ჩონგ-** „ხელის ნაწილი“, შდრ. **ჩონგ-**ა „ხელზე დახვეული მატყლის ფთილა“, **ჩონგ-**ურ-ი (სტრუქტურისთვის შდრ. ფანდურ-ი) ~ ს.-დად. **\*ჩიგინ** (ხინალ. **ჩიგინ** „მხარი“, ოსური **ცონგ** „ხელი“ ნახურ წყაროს გულისხმობს [შდრ. ანდრონიკაშვილი 1966 : 67] ~ ბასკ. **esku** „ხელი“.

ს.-ქართვ. **\*ილამ-** „ირემი; შველი“ (ქართ. **ილემ-**ი (ტოპონ.), ზან. **ირემ-**ი „ირემი“, სვან. **ილჷ** „შველი“) ~ ს.-სინდ. **\*რჷჷ-** „ირემი“ (უბიხ. **ლგ** „ირემი“) ~ ს.-ნახ. **\*ლოჷ** „შველი“ (ჩეჩნ. **ლჷ** // **ლჷჷ**, ინგუშ. **ლიამ-გ** <- **\*ლჷჷ-**იგ „შველი“) ~ ს.-დად. **\*ლგმ-** „მთის ველური თხა; შველი“ (ჭამალ. **ლამ-**ა „მთის ველური თხა“, თაბას. **ჩუამ** <- **\*ჩჷჷ-**გ „შველი; ნიამორი“) ~ ბასკ. **orein** „ირემი“.

ს.-ქართვ. **\*სინ-** „სინდიოფალა; *Mustela nivalis*“ (ქართ. **სინ-**, სიტყვაში **სინ-**დიოფალა „*mustela nivalis*“, შდრ. **სინ-**ჯაფ-ი) ~ ს.-სინდ. **\*სჷჷ** „ტურა“ (ადილ. -ს, სიტყვაში ბაჯ-ა-ს „ტურა“, უბიხ. **-შჷ**, სიტყვაში ბეჯ-ა-შჷ „ტურა“, აფხაზ. (ზზიფ.) **ა-შვა-**ბგა „ტურა“) ~ ს.-დად. **\*სჷჷგლ-** „მელია“ (ავარ. **სერ** // **შერ**, ანდ. **სორ** // **სორ-**ი, ახვახ. **შარ-**ი,

ტინდ. **სარ**-ი, კარატ. **სარ**-ე, ბაგვ. **სარ**, ბოთლ., ღოდ. **სარ**-ი, დიდ. **ზირ**-უ, ჰინუხ. **ზერ**-უ, ხვარშ. **ზარ**-უ, ინხოყვ. **ზორ**, ბეჟიტ. **სორ**-ა, აღულ., თახას. **სულ**, წახ. **სეჭ**-ა <- \***სჯრ**-ა, არჩიბ. **სოლ**, უდ. **შულ**, ხინ. **ფშლ**-ა <- \***შტლ**-ა „მელია“) ~ ბასკ. *axer-i* [=ašer-i] -> Sp. *zorro* „მელია“.

ს.-ქართვ. \***ორბ**- „არწივი“ (ქართ. **ორბ**-ი „არწივი“, ზან. (მეგრ.) **ობრ**-ი „არწივი; ერთგვარი პეპელა“, სვან. **ურბ**, **ურობ** (ლშხ.) „არწივი“) ~ ს.-სინდ. \***არბ**-ა „მამალი“ (აბაზ. **არბა** „მამალი; მამრი ფრინველებში“, აფხაზ. **არბა** „მამალი“, **არბა**-ლ „მამალი ფრინველებში“) ~ ს.-დად. \***ოლბ**- „მტრედი“ (ჰინუხ. **ოლბო**, დიდ. **ელბო**, ხვარშ. **ილბა** „მტრედი“), შდრ. ბასკ. **erbi** „კურდღელი“.

ს.-ქართვ. \***ზარ**- „ბარი, ბარვა“ (ქართ. **ზარ**-ი, **ზარ**-ვა) ~ წ.-სინდ. \***ზარ**- „დაბარვა“ (ხათ. **mar** „დაბარვა, გაჭრა“, შდრ. აფხაზ. **ფა**- [ნიჩაბი], სიტყვაში ა-მჰ.ა-ფ „ხის ნიჩაბი“ (ბზიფ.) ~ ს.-დად. \***ზარ**- „ბარი“ (ბუდუხ. **ზარ**, ლეზგ. **ფერ**, ხინალ. **ბერ** „ბარი“) ~ ბასკ. **pala** „ბარი“.

ს.-ქართვ. \***სანგ**- „რკინის დიდი კვერი; ურო“ (ქართ. **სანგ**-ი „დიდი კვერი (რკინისა)“ (საბა), **молат** (ჩუბინაშვილი), სვან. **სანგ** „სანგი; დიდი ჩაქუჩი“) ~ ს.-სინდ. \***სანგ**-გ „გრდემლი“ (ადიდ. (შაფს.) **სგ**გ, ჭემბ. **სგჯგ**, ყაბ. **სგჯ**, ბასლ. **სგ**გ „გრდემლი“) ~ ბასკ. **შეგ**-ა [sega] „scythe“.

ს.-ქართვ. \***გორ**- „გორვა; ბორბალი“ (ქართ. **გორ**-ვა, ზან. **ონგორ**-უ „გორვა“, სვან. ლი-**გურ**-ან-ე „გორვა“, შდრ. ქართ. **გორ**-**გორ**-ა (რედუპლ.) „ბორბალი“) ~ ს.-ნახ. \***გურ**- „ბორბალი“ (ჩეჩნ. **გურ**-მა „ბორბალი გუთნისა“) ~ ს.-დად. \***გურ**- „ბრუნვა, ტრიალი; ბორბალი“ (ხუნძ. **გირ**- „ბრუნვა, კარატ. (ტოკიტ.) **გურ**-ი „ბორბალი“, **გურ**-ი-ლ „ბრუნვა, ტრიალი“, ინხოყვ. **გერ**-მა „მრგვალი“, ლაკ. **ქურ** „გორვა“) ~ ბასკ. **გურ**- სიტყვაში *gur-pil* „ბორბალი“.

ს.-ქართვ. \***ცედ**- „ცხენი; ძროხა“ (ქართ. **ცედ**-, მო-**ცად**-ი „საფურე ძროხა“ (საბა), ზან. [ჩაჯ-ი] „ცხენი“, შდრ. სვან. (<- ზან.) **ჩაჯ**, **ჩაჯ** (ლშხ.) „ცხენი“) ~ ს.-სინდ. \***ჩან**-პ „ვირი“ (ადიდ. (შაფს.) **ჩ**გდგ, ჭემბ. **შგდგ**, ბჟედ. **შგდ**, ყაბ. **შგდ** „ვირი“, უბიხ. **ჩგდგ** „ვირი“, აფხაზ. ა-**ჩად** „ვირი“, ა-**ჩად**-ჰუტეს „ჩოჩორი“) ~ ბასკ. **ამთო** [asto] „ვირი“.

ს.-ქართვ. \***ხულ**- „ცხვარი (სახეობა)“ (ქართ. (ხეგს.) **ხულ**-ია „ურქო ცხვარი“, სალიტ. **ხულ**-ა „მოკლე ყურიანი ან უყურო ცხვარი“) ~ ს.-სინდ. \***ხუ**- „ცხვარი“ (ადიდ. **ხუგ**-, სიტყვაში **ხუგ**-რეგუტ, ყაბ. **ხუგ**- სიტყვაში **ხუგ**-რეჭა „ცხვრის ტყავი“, შდრ. ყაბ. **ხუგ**-რეტ

„ცხვრის გასადევნი შეძახილი“) ~ ს.-ნახ. **\*ახტარ-** (ჩეჩნ. **აზარ**, ინგუშ. **აზარ**, წ.-თუშ. **ახრ-ობ** „კრავი“) ~ ს.-დალ. **\*გნტა** „ცხვარი“ (ანდ. **ისო**, ახვახ., ჭამალ. **ირა** „ცხვარი; ვერძი“) ~ ბასკ. **აჰარი** [ahari] „ყოჩი“.

ს.-ქართვ. **\*ღერდ-ილ-** „ღერდილი“ (ქართ. **ღერდ-ილ-ი**, ზან. **ღარდ-ილ-ი** „ღერდილი“) ~ ს.-სინდ. **\*ჭარდ-ე** „ღერდილი“ (აფხაზ. (ბზიფ.) **ა-ხერდ**, აბჟ. **ა-ხერდ** „ღერდილი“) ~ ს.-ნახ. **\*ღარდ-** „მსხვილი ნაფქვავი“ (ჩეჩნ. (ჭებერ.) **ღარდ-ი**, ინგუშ. **ღორდ-ნ** „მსხვილი ნაფქვა-ვი“) ~ ს.-დალ. **\*ღერდ-არ** „ფქვილი“ (ხუნდ. **როლ** <- **\*ჭტეჟ** „ხორბა-ლი“, ლეზგ., თაბ. **ღარღარ**, აღ. <- **\*გერგ**, რუთ. **ღარღალ**, წახ. **ღარღარ**, ხინ. **გერგარ** „შვრია“) ~ ბასკ. **garagar** „ქერი“.

ს.-ქართვ. **\*სქტალ-** „სკა; ფუტკარი“ (ქართ. **სკა** „ფუტკრის სა-ხლი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **სქა** // **ფსქა** „ფუტკარი“, ლაზ. **მსქა** // **მცქა** „ფუტკარი“, ო-**სქალ-ე** // ო-**ფსქალ-ე** „საფუტკრე“, მეგრ. **მა-ფსქალ-ია** „კრაზანა; დედა ფუტკარი“, სვან. **შქერ-** „ფუტკრის ყრა“, **შქერ-ობ** // **შგერ-ობ** „ფუტკრის ყრა“, ნა-**შგერ-ჷ**, ნა-**შგერ** (ლშხ.), ნა-**შკარ** (ლნტ.) „ფუტკრის ნაყარი“) ~ ს.-სინდ. **\*შაქტ-ა** „ცვილის ნარჩენი“ (ადიდ. **შაქტ**, ყაბ. **შაქტ** „ცვილის ნარჩენი“) ~ ბასკ. **ესქო** [ezko] „ცვილი“.

ს.-ქართვ. **\*ნუმ-ა** „ხაჭო, ყველი“ (ძვ. ქართ. **ნუმ-ი** / **ნუმ-ა** „ხაჭო, ყველი“) ~ ს.-სინდ. **\*ნა-ტ-ე** „ყველი“ (აბაზ. **ამტე**, აფხაზ. **ამტ** „ყველი“) ~ ს.-დალ. **\*ნისუ** „ხაჭო, ყველი“ (ხუნდ. **ნისუ** // **ნიშუ**, ანდ. **ისო**, ახვახ. ირსა „ხაჭო, ყველი“..., დიდ. **იზუ**, ჰინუხ. იჟუ, ხვარშ. **ირზუ** „ყველი“..., ლაკ. **ნის**, დარგ. **ნისუ**, ლეზგ. **ნასუ**, თაბას., აღულ. **ნის**, რუთულ. **ნისა**, შახურ. **ნისიე**, კრიწ. **ნისი**, ბუდუხ. **ნუსუ** „ყველი“) ~ ს.-ნახ. **\*შონ-** „დვრიტა, კვეთი“ (ჩეჩნ. **შურ**, ინგუშ. **შოა** <- **\*შონ**, შდრ. ჩეჩნ. მრ. რ. **შურნ-ამ** „დვრიტა, კვეთი“) ~ ბასკ. **ემნე** [esne] „რძე“.

ს.-ქართვ. **\*გტალ-** „ბოსელი“ (სვან. **გტალ-** „ბოსელი“) ~ ს.-დალ. **\*გალ-** „სახლი“ (ანდ. **გალლ-არ-ჯი**, დარგ. (დიალ.) **გალ-ი** „სახლი, ოთახი“) ~ ბასკ. **გელ-ა** „საცხოვრებელი; ოთახი“).

ს.-ქართვ. **\*ზაქო-** „ეზო“ (ძვ. ქართ. **ზაქო-ფ** „ეზო“) ~ ს.-სინდ. **\*ზაგტ** „ეზო“ (ადიდ. **შაგტ** „ეზო“, ყაბ. **ზაგტ** „hearth“) ~ ს.-დალ. **\*გაზტ** „ოთახი; სახლი“ (ავარ. (კუსურ.) **გოზ** „ოთახი; სახლი“) ~ ბასკური **ა-სოქა** [azoka] „ღია ცისქვეშა ადგილი (სავაჭრო), ბაზარი“

ს.-ქართვ. **\*არ-** „რკინის სახეობა“ (ძვ. ქართ. **არ-ონა** „ერთგვარი სახნისი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ორ-გნა** „ერთგვარი სახნისი, კავის სახე-ობა“) ~ ს.-დალ. **\*ჰერ-** „რკინა, სპილენძი“ (ანდ. **ჰირ** „სპილენძი, ხი-ნალ. **ურ-ა** // **ორ-ა** „რკინა“) ~ ბასკ. **urre** „ოქრო“.

ს.-ქართვ. **\*კირ-** „ქვა“ (ქართ. **ხირ-ატ-ი** „ქვანარი სახნავი მიწა“

(საბა), სადაც **-ატ** დერივაციული სუფიქსია) ~ ს.-სინდ. \***ვერ-** „კლდე“ (ყაბ. **ვერ** „კლდე“) ~ ს.-ნახ. \***ვერ-** „ქვა“ (ჩეჩნ. **ვერ-**ა, ინგუშ. **ვერ-**ა, წ.-თუშ. **ვერ** „ქვა“) ~ ს.-დად. \***ვერ-** „ქვიშაქვა“ (ლოდობ. **ვერ-უ** „ქვიშაქვა“, песчаник) ~ ბასკ. **harri** „ქვა“.

ს.-ქართვ. \***სთჷ-ელ-** „შემოდგომა“ (ძვ. ქართ. **სთჷელ-**ი „ოქტომბერი“, **სთუელ-**ი „შემოდგომა“ (საბა), ახ. ქართ. **რთველ-**ი, ფშ. **სთველ-**ი „შემოდგომა“, მოხ. **სთველ-**ობ-ა „შემოდგომა, რთვლობა“) ~ ს.-სინდ. \***შჷ-** „რთველი“ (აფხაზ. ა-**შჷ-**რა „რთველი“) ~ ს.-ნახ. \***სთაბ-**ო „შემოდგომა“ (წ.-თუშ. **სტაბ-**ო „შემოდგომა“, შდრ. ჩეჩნ. **ბჷწსთ-**დე, ინგუშ. **ბჷწსთ-**იდ „გაზაფხული“) ~ ს.-დად. \***სეთჷ-** „შემოდგომა“ (ლავ. **სუთ**, არჩიბ. **სოთ-**აჯ „შემოდგომა“) ~ ბასკ. **უსთა** „რთველი harvest“.

ს.-ქართვ. \***ჯჷფ-** „ორმო“ (ქართ. (მოხ.) **ჯოფ-**ი „ორმო“, თუშ. **ჯვაფ-**ი, ფშავ. **ჯვამფ-**ი „ჩაღრმავებული ადგილი“, ზან. **ხოფ-**ი // **ხოფ-**ა (ტოპ., ჰიდრ.), სვან. **ჯწფჷ** „გულამოდებული“) ~ ს.-დად. \***ჯჷბ-** „საფლავი“ (ავარ. **ხოზ**, ჭადაქ. **ჰუზ**, ბოთლიხ. (მიარ.) **ჯუმ-**უ, კარატ. **ხოზ-**ი // **ხოზ-**ო, ბაგვ. **ხჷობ**, ჭამალ. **ჰუზ-**უ // **ჰობ**, დარგ. (ურახ.) **ჰჷფ** „საფლავი“) ~ ბასკ. **hobi** „საფლავი“.

ს.-ქართვ. \***ჰერ-** „ხალხი, ჯარი“ (ქართ. **ერ-**ი „ხალხი, ჯარი“, **ჰერ-**ი (ეთნონ.), **ჰერ-**ეთ-ი, ზან. (მეგრ.) **ერ-**ებ-ი „დიდი ოჯახი“; „ერთობა; ერი“, სვან. **ჰერ**, **ჲერ** (ლშხ.) „ერი“) ~ ს.-სინდ. \***ლჷ** „ჯარი“ (უბიხ. **ლჷ** „ჯარი“, აბაზ. **რე**, აფხაზ. **რ-** „ჯარი“) ~ ს.-ნახ. \***ჷარ-** „კლანი; თემი“ (ჩეჩნ. **ჷარ**, ინგუშ. **ჷარ** „კლანი; თემი“) ~ ს.-დად. \***ჷარ-** „ჯარი“ (ლავ. **ერ-**ალ „pluralia tantum“, არჩიბ. **ერ-**ი „ჯარი“) ~ ბასკ. **erri** „ხალხი“.

ს.-ქართვ. \***მალ-** „დამალვა“ (ქართ. **მალ**, **მალ-**ვ-ა, სა-**მალ-**ავ-ი, **მალ-**ულ-ი, ი-**მალ-**ვ-ი-ს / ი-**მალ-**ებ-ა, ე-**მალ-**ებ-ა) ~ ს.-სინდ. \***ბჷლჷ-**გ- „დამალვა, დაფარვა, დაფლვა“ (ადიდ. **ბეღლჷ-**გ, სიტყვაში **ღ-ბეღლჷ-**გ-ნ „დამალვა, დაფარვა, დაფლვა“) ~ ს.-დად. \***ე-ბალ-** „დაფარვა, დამალვა“ (კარატ. **ებალ-**ე-დუ „დამალვა, დაფარვა“) ~ ბასკ. **barau** „fast“, სემანტიკისთვის შდრ. ქართ. მარხ- „მარხვა; დამარხვა, დასაფლავება“...

გენეტიკურად საერთო ლექსიკის ხვედრითი წილი ბასკურ-კავკასიურისა შთამბეჭდავია; მის განხილვას ცალკე მონოგრაფია დასჭირდება, თუმცა ზემოთ განვითარებული ინტერპრეტაციის სამტკიცებლად, ვფიქრობთ, აქ მოხმობილი მასალაც იკმარებს.



## ლიტერატურა

Bengtson J.D. 2008. "Basque Phonology in the Light of the Dene-Caucasian Hypothesis." In Bengtson (2008c), pp. 93-209.

Bengtson J.D. 2009. "Basque and the Other Mediterranean Languages." *Mother Tongue* 14 : 157-175.

Bengtson J.D. 2017. „Basque and its Closest Relatives: A New Paradigm“ pp. 1-546, Association for the Study of Language in Prehistory].

Bomhard.a. A. 2018. *Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics* (3rd edition).

Braun J. 1998. *Euscaro-Caucasica (Historical and Comparative Studies on Kartvelien and Basque)*, "Dialog" (Philologia Orientalis. 4), Warszawa.

Greenberg J.H. 2000. *Indo-European and Its Closest Relatives: The Eurasiatic Language Family. 1: Grammar*. Stanford: Stanford University Press.

Иллич-Свитыч В. М. 1971. Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); Словарь (b-қ) М., "Наука", XXXVI (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР).

Иллич-Свитыч В. М. 1976. Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); т. II. Словарь (l-ž), М., "Наука", т. I (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР).

Starostin S. A., Nikolaev S. I. 1994. *A North Caucasian Etymological Dictionary*. Moscow.

Starostin S. A. 1999. *The Problem of Genetic Relationship and Classification of Caucasian languages: Basic Vocabulary*. - *Studies in Caucasian Linguistics*, Leiden,

Starostin S. A. 2005. *A Concise Glossary of Sino-Caucasian* [Appendix to "Sino-Caucasian"]: <http://starling.rinet.ru/Texts/glossary.pdf>.

Merab Chukhua

**Toward a genealogical classification of Basque language**

Summary

Western comparativitics ignore the grounded classical theory of the Basque-Kartvelian-Caucasian genetic links (Hugo Schuchardt, Nicholas Marr, René Lafon, Georges Dumézil, Hans Vogt, Karl Bouda, Ian Braun...). In my article I would liked to present a fairly solid number of lexical units reflecting basic vocabulary characterized by common genetic origin, i.e. Paleo-Caucasian etymology. They are followed by phonology (system of sound correspondences), morphology (grammatical inventory), which I was not able to discuss here due to lack of space. Also, the most promising hypothesis on Basque-Burushaskian-Caucasian unity from the time of Nikolas Marr seems to be taken into account, to which special works have been devoted.

## იოსებ ჭუმბურიძე

### **სამშობლოს ზედი და ტენდენციის გამჟღავნება პოეზიასა და პუბლიცისტიკაში**

ლიტმცოდნეობასა და მედიალოგიაში მსგავსი კონსენსუსი იმ-  
ვიათია: ადვილად თანხმდებიან, რომ მხატვრული ლიტერატურა  
სახეებით აზროვნებს, პუბლიცისტიკა კი – ცნებებით; პირველში  
ტენდენცია შენიღბულია, ხოლო მეორეში – დაუფარავად გამჟღავნე-  
ბული.

ამ საკითხზე მსჯელობისას პროფესორი ნოდარ ტაბიძე ასეთ  
თვალსაჩინოებას მიმართავს: „მეცხრამეტე საუკუნის პუბლიცისტე-  
ბი ხმამაღლა აცხადებენ: ბატონყმობა დრომოჭმული ურთიერთობაა.  
იგი ადამიანთა სულიერ-ფიზიკურ გადაგვარებას იწვევს. ამიტომაც  
უნდა მოისპოს... ილ. ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“,  
ძირითადად, იგივე პრობლემაა დასმული და გადაჭრილი, მაგრამ  
მიზანი, არსებითად, მიიღწევა ტიპების შექმნით, ვთქვათ, ლუარსა-  
ბისა და დარეჯანის სახეების გამოკვეთით“. მკვლევარი ყურადღებას  
ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ ხატავს ილია მოახლის, ლამაზისე-  
ულის სახეს.

უფრო გასაგებად ალბათ ვერც ახსნი:

მწერალი მხატვრულ სახეში „მაღავს“ იმას, რასაც პუბლიცის-  
ტი პირდაპირ ამბობს.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ რა ვუყოთ პოეზიას,  
სადაც მთლად ასე „მარტივად“ არ არის საქმე?

ეს განსაკუთრებით ითქმის ე. წ. მედიტაციურ თუ სამოქალაქო  
ლირიკაზე, სადაც სათქმელი (ტენდენცია) ასევე შეუნიღბავად და  
პირდაპირ არის გაცხადებული.

როცა *გალაკტიონი* წერს: „ველარ ვცნობილოზ მშობლიურ ხე-  
ებს, / ზამთარს ბილიკი დაუტანია“-ო, აქ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია,  
„ზამთარში“ დამპყრობელი რუსეთი ვიგულისხმოთ, მაგრამ რა ვუ-  
ყოთ იმავე გენიოსს, რომელიც ამბობს: „მართლობასაც ავიტან მწარეს,  
/ უმეგობრობას ავიტან მძიმეს, / ჩემი სამშობლოს სანახავიდან /  
ოლონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს“...

კი, „მოციმციმე შუქიც“ სახე-სიმბოლოა, ისევე, როგორც აჭარის კალთებს თავმიდებული ზღვა, მაგრამ ლექსში ხომ სათქმელი მაინც პირდაპირ არის გაცხადებული?!

\* \* \*

მუხრან მაჭავარიანს სახე-სიმბოლოებით დახუნძლული ლექსიც უხვად აქვს და იმგვარი ლირიკული ქმნილებაც, სადაც სათქმელი პირდაპირ არის გამოხატული.

ზოგიერთ ლექსში კი ერთიც არის და მეორეც.

ეს, უპირველესად, „საბაზე“ ითქმის.

ნინო დარბაისელმა, პოეტმა და ლიტერატურის მკვლევარმა, წლების წინათ თავის უცხოელ მეგობარს ხსენებული ლექსი რომ გაუგზავნა, მისი შინაარსი მოკლედ ასე უამბო:

„ერთი პატარა ქვეყნის ელჩი საფრანგეთის ხელმწიფეს ეახლება დახმარების სათხოვნელად. საფრანგეთის მეფეს კი თავის ქვეყანაშიც პრობლემები აქვს. მოჩვენებითი სიმშვიდე, კატის ფერება ფასადია, რომლის მიღმაც ფრანგთა ქვეყნის მძიმე შიდასოციალური მდგომარეობის სიმბოლო – „ხმადაკარგული ხალხი“ ივარება. უიმედო ელჩობით გულგატეხილი საბა სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ქართველ ბიჭუნას ყიდულობს და შინ ბრუნდება ბავშვთან ერთად – ეს არის და ეს.“

ეს არის და ესო?!

გაოცებაც კი შეიძლებოდა, ამ „მოკლე შინაარსს“ ლექსის ღრმა ანალიზი რომ არ მოსდევდეს.

\* \* \*

საბედნიეროდ, არსებობს სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ – პუბლიცისტური ნაწარმოები, სამოგზაურო ნარკვევის უძვირფასესი ნიმუში.

საუბედუროდ, მისი მეორე, ანუ „ფრანგული“ ნაწილი დაკარგულია.

„ჯერ კიდევ გ. ერისთავი სულხან-საბას თხზულების პირველი პუბლიკაციისას სთხოვდა მკითხველებს დახმარებას დაკარგული ნაწილის აღმოჩენაში, მაგრამ დღესაც მას არასრული სახით ვიც-

ნობთ...საფრანგეთის დღიურები დაკარგულია“ (ნათელა საღირაშვილი).

მუხრან მაჭავარიანის ლექსი კი ასე იწყება  
„ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან  
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...“

ისტორიის პროფესორმა ილია ტაბაღულაძე თავის დროზე აღნიშნა, რომ ამ სტრიქონებს რეალური საფუძველი არ გააჩნდა. არსებითად, იგივე განაცხადა ასევე ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა: „ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ უარით გამოისტუმრეს“.

მუხრან მაჭავარიანი კი წერდა: „ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ფრანგულ დღიურს ჩვენამდე არ მოუღწევია“.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ სულხან-საბა ნამდვილად დიდხანს ალოდინეს, ოღონდ კონსტანტინოპოლში და არა ლუი მეთოთხმეტის მისაღებში. სწორედ კონსტანტინოპოლში ელოდებოდა ქართველი დიპლომატი შეტყობინებას, თუ როდის ინებებდა მის მიღებას ფრანგთა ხელმწიფე.

და განა მნიშვნელობა აქვს, სად ალოდინეს?!

მით უფრო პოეტისთვის, ვინც ახალი მხატვრული სინამდვილე უნდა შექმნას?!

მთავარი ხომ ესაა: „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.“

ანუ: „ასე უნაყოფოდ დასრულდა დიდის ტანჯვით დაწყებული საბას მოგზაურობა ევროპაში“ (სოლომონ იორდანიშვილი).

პოეტი კი აქ პირდაპირ ამბობს:

„საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, - სასაცილოა!  
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდა!“

უფრო მძაფრად და შეუფარავად, პუბლიცისტიც ვერ იტყოდა. მაგრამ ამავე ლექსში არაერთი მეტაფორა თუ სიმბოლოა, ღრმა ქვეტექსტს რომ იფარავს.

უპირველესად, ესაა მუხა, რომელიც ფინალურ სტრიქონშია ნახსენები და რაც ლექსს სანუკვარი იმედით ასრულებს:

„გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება.“

ნინო დარბაისელმა უცხოელ მეგობარს (დენიელს) ეს სიმბოლოც საინტერესოდ გაუშიფრა:

„რაც შეეხება მუხას, რა შეიძლება გაიგოს უცხოელმა იმის შესახებ, თუ რა ჟღერს ლექსის ფინალში? ინგლისურ მხატვრულ აზროვნებაში, რამდენადაც ვიცი, მუხას თუმცა აქვს ძლიერების სიმბოლური დატვირთვა, ძირითადად, სარაინდო ამბებს უკავშირდება. ჩვენთვის კი, ქართველებისთვის, მუხა საქართველოს სიმბოლოა.. გვჯერა, ფესვმაგარი ბებერი მუხა მრავალ განსაცდელს უძლებს, მუმლივით ეხვევა მტერი, მაგრამ მის ფესვებს აქვს უნარი, ახალი სიცოცხლე, ახალი ყლორტები ამოიტანოს... მოუსმინე ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის ფინალს. მუსიკა უკეთ გაგრძნობინებს, რას განვიცდი, როცა „საბას“ ბოლო ორ ტაქვს გულში ვიმეორებ“.

\* \* \*

„საბა“ იმ დროს დაიწერა (1949 წელი), როცა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის სრულიად უცხო იყო ცნებები: „პოსტ-მოდერნიზმი“, „ნარატივი“, „დისკურსი“ „კოდირება“, „დეკოდირება“ ...

კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ ლევან ბრეგამემ მხოლოდ 2000 წელს გამოაქვეყნა (სამეცნიერო კრებული „სჯანი“) უაღრესად საინტერესო და პრინციპულად მნიშვნელოვანი სტატია „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში“, სადაც მიუთითა, რომ „პოსტმოდერნიზმის სათავესთან ქართულ ლიტერატურაში მუხრან მაჭავარიანი დგას“. მაგალითად კი მკვლევარმა, სრულიად საფუძვლიანად, მისი პოემა „ვახტანგი“ დაასახელა.

ჩვენი აზრით კი, ასევე თამამად შეგვიძლია ვთქვათ: 20 წლის მუხრან მაჭავარიანმა საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაში შექმნა ჭეშმარიტი პოეტური ნარატივი, პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი სათქმელია კოდირებული.

მუხის სიმბოლიკის ნინო დარბაისელისეულ გამოიფერას უკვე გავეცანით. ისტორიკოსმა და მწერალმა გიორგი სოსიაშვილმა კი ლექსში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კოდი დაინახა, რაც, ვფიქრობთ, ლიტერატურულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს. მისი აზრით, ლექსში დაშიფრულია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი – საქართველოს დამოუკიდებლობის გა-

უქმება და სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი იძულებით შეყვანა. ამაზე მიგვანიშნებს ლუი მეთოთხმეტესთან მეთხუთმეტე კაცად შესვლაც, რადგან საბჭოთა კავშირიც სწორედ თხუთმეტი რესპუბლიკისგან შედგებოდა.

ამ თემასვე ეხმიანება მუხრან მაჭავარიანის სხვა ცნობილი ლექსი – ობოლ საქართველოს რუსეთი რომ იშვილებს:

„მაგრამ მამობილი მკაცრი გამოადგა;  
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა  
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო“.

რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის პატარა ბიჭიც, სამშობლოში მომავალ სულხან-საბას რომ მოსდევს, ობოლი საქართველოს სიმბოლოა?!

გიორგი სოსიაშვილის აზრით, „მუხის შემოსვაც“ კოდირებული სახეა და 1918 წლის 26 მაისს „წინასწარმეტყველებს“, რადგან მუხა სწორედ ამ დროს არის ყველაზე მეტად „შემოსილი.“

ეს არ უნდა იყოს გასაკვირი და დაუჯერებელი, რადგან „დიდი პოეტები, გარდა სხვა მრავალი იშვიათი თვისებისა, ალბათ წინათგრძნობის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი“ (გურამ ასათიანი).

აქ შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას სამოგზაურო ნარკვევი „უკრაინის თემიდი“, სადაც მოგზაური მწერლის თვალს არ გამოეპარა ღრმად სიმბოლური ეპიზოდი: „მატარებელი პატარა სადგურთან შესდგა. ყოჩაღად, მარდად წამოცუნცულდა 12 წლის ფაფახიანი ბიჭუნა, ასწვდა სადგურის ზარის ბაწარს და ჩამოჰკრა სამჯერ“.

მხატვრულ ნაწარმოებში, მწერალი აქ გაჩერდებოდა, მაგრამ აქ იგი პუბლიცისტურ ნაწარმოებს წერს და დეტალი/ სიმბოლო/ მეტაფორა უნდა გაშიფროს.

და, აი გაშიფვრაც: „რა იცი, ეგ ბუდრუგანა ლეკის ბიჭი ოდესმე უფრო დიდ სიმამაცეს არ გამოიჩენს, ვიდრე შამილმა აჩვენა თავის დროს ქვეყანას“.

რატომ არ მაქვს უფლება ვიფიქრო, რომ იმ პატარა ბიჭში კონსტანტინე გამსახურდიამ ჯოხარ დუდაევი „დანახა“, ხოლო სულხან-საბას გამოდევნებული ყმაწვილის სახით მუხრან მაჭავარიანმა

ზვიად გამსახურდიას მოვლინება იწინასწარმეტყველა თავისი „26 მაისითა და „მუხის შემოსვით“...

\* \* \*

მაგრამ ჩვენ ტენდენციის გამჟღავნების ხერხები გვაინტერესებს, თანაც, პუბლიცისტიკასა და პოეზიაში.

პირველში ეს საკითხი მკაფიოდ გამორკვეულია: ტენდენცია ყოველთვის აშკარად არის გამოხატული, პოეზიაზე კი გადაჭრით ვერ ვიტყვით, ყოველთვის შეფარულიაო.

ძალიან ხშირად ტენდენცია აქაც მკაფიოდ არის გამჟღავნებული, თანაც ისე, რომ ლექსის მხატვრულ ღირსებას ოდნავადაც არ აკნინებს. რა თქმა უნდა, ეს მიიღწევა იმით, რომ ლირიკულ ნაწარმოებში სათქმელის პირდაპირი გამოხატვა შთამბეჭდავი მხატვრული სახეებითაა გაწონასწორებული. ამის საუკეთესო ნიმუშია *მუხრან მკავარიანის* ლექსი „ხან ლურჯათი! – ხან მერნითა!“

რუსეთიც და ამერიკაც

დროა, –

ჩახვდეს რამერიგად:

საქართველო

კუნძულიცა

კი არაა რომელიღაც!

საქართველო

ქვეყანაა, –

იმერითა, – ამერითა! –

მზისკენ

ისრებრ

მიწყვიც

მფრენი, –

ხან ლურჯათი! –

ხან მერნითა!“

რამდენი რამ არის მომხიბვლელი ამ ლექსში – სიტყვათა თუ რითმათა თამაში, სტრიქონთა უცნაური მიმოხვრანი, კიდევ უფრო უცნაური გრაფიკა, „ფრენის“ მიმანიშნებელი... რომ არა ეს ყოველივე, დარჩებოდა მხოლოდ სათქმელი, თავისთავად მძაფრი და აქტუა-



ლური, მაგრამ ეს პუბლიცისტურ ნაწარმოებად აქცევდა და არა ლირიკულ ქმნილებად.

პუბლიცისტურობა კი კარგია პუბლიცისტიკაში და არა მხატვრულ ლიტერატურაში.

მუხრან მაჭავარიანს მძაფრი და მწარე პუბლიცისტური სიტყვაც მრავალჯერ უთქვამს. უთქვამს პირდაპირ და შეუფარავად. აი, ამის ერთი ნიმუში: „როგორ ვადღეგრძელო დღევანდელი საქართველო; თბილისელი თუ ქართლელი, რომელიც სამეგრელოს დაუპირისპირეს, სამაჩაბლო და აფხაზეთი ქართველებისგან დაცალეს! ვინც ასეთ სიტუაციაში ზეიმობს, ის რა ქართველია?! ქვეყანა ინგრევა, წერე ახლა, მუხრან, ლექსები. რა დროს წერაა, ქვეყანას უშველო, – გეტყვის ქართველი კაცი და მართალიც იქნება. მე ასეთი საქართველოს სადღეგრძელო არ მინდა, მე ვსვამ ისეთი საქართველოს სადღეგრძელოს, რომლისთვისაც ზვიად გამსახურდია მოკვდა.“

თავადაც ასეთი საქართველოსთვის იცოცხლა და მოკვდა – „საქართველოში დამარხვის ღირსი.“  
მთაწმინდაზე დამარხვის ღირსი...

Ioseb Chumburidze

## **The fate of homeland and the revelation of tendency in poetry and publicist writings**

### Summary

The paper deals with the issue: how the trend / say is disclosed in poetry and press.

There is not always a "rule" that literary scholars and media scholars / media writers can easily agree on: the tendency in fiction is concealed in the image/ symbol, while in the press it is directly and unambiguously revealed.

This is especially true of meditative / civic lyrics, where the tendency/say is also directly expressed. This does not belittle the artistic

level of the lyrical creation when the revelation is balanced through impressive characters.

The paper is mainly discussed on the example of Mukhran Machavariani's work, but also draws parallels from the writings of other writer

## ნინო ხახიაშვილი

### **„მოქალაქე“ და „მოქალაქეობა“ ტერმინებისათვის** (წმ. გრიგოლ ფერაძის „შინაარსი ჭემმარიტ მოქალაქეობის...“ მიხედვით)

**მოქალაქის** ცნება ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფო ათენში გაჩნდა, ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას აღნიშნავდა. დღეს **მოქალაქეობა** გულისხმობს სამართლებრივ კავშირს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მოქალაქე** არის: „1. ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელიც სარგებლობს ამ სახელმწიფოს ყველა კონსტიტუციური უფლებით... // საზოგადოების შეგნებული წევრი; ადამიანი, რომელიც პირად ინტერესებზე მაღლა საზოგადოებრივს აყენებს... // სამოქალაქო პირი (საპირისპ. სამხედრო პირი). 2. ძვ. ქალაქის მცხოვრები (საპირისპ. სოფლელი)...“; **მოქალაქეობა** „1. მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა, მოქალაქედ ყოფნა; ამა თუ იმ ქვეყნის ქვეშევრდომობა... 2. კრებ. მოქალაქეები...“; **მოქალაქეობა** „1. იხ. მოქალაქეობა (მნიშვ. 1,2)... 2. ძვ. მოღვაწეობა, შრომა...“ [ქეგლი V, 1958].

**მოქალაქე, მოქალაქობა** უკვე ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება: „**მოქალაქე** ქალაქელი; ამხანაგი... **მოქალაქობა** ცხოვრება, ყოფაქცევა; ღვაწლი, მოღვაწეობა... „ჩუენი მოქალაქობად ცათა შინა გამოჩნდეს“ იპ. რომ.-კურთხ. მოს. 162,12... „სადმრთოთა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს“ ი.-ე. 25,29... [აბულაძე 1973].

ტერმინები **მოქალაქე, მოქალაქეობა** მრავალ ასპექტს მოიცავს: სამართლებრივს, პოლიტიკურს, სოციალურს, ზნეობრივ-ეთიკურს, სარწმუნოებრივს, სულიერს... ისტორიული [სოციალურ-პოლიტიკური] და ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით, ტერმინი **მოქალაქეობა** მოიცავს, ერთი მხრივ, კანონით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს და – მეორე მხრივ, „ჭემმარიტი მოქალაქეობის“, – სულიერი სრულყოფის გზას.

მოქალაქეობის თეოლოგიური საფუძვლები ნათლადაა წარმოჩენილი იოანე ოქროპირის „მათეს სახარების განმარტებაში“: „გულისკმა-ყავთ უკუე, ვითარმედ არარაა ძნელი და შეუძლებელი

გვზრძანა; არა გუამცნო განკვეთად მათათა, ანუ ფრინვაჲ ჰაერთა, ანუ განვლად ზღუათაჲ, არცა სხუად რაიმე შეუძლებელთაგანი, არამედ ესრეთ ადვილი მოქალაქობად განგვწესა, რომელ ნებაჲ ხოლო გვკმს სულისაჲ და მეყსეულად წარემართების; არცა მახვლნი უხმან, არცა საკურველნი...“ [იოანე ოქროპირი 1998: 489].

მოქალაქობისთვის საჭიროა საკუთარი ნების, ხორციელ გულისთქმათა დათრგუნვა:

„დასთრგუნევი გულისთქმათა მათ ჯორციელთა, რადთა ამით სახითა ჯერ-იჩინოს შენ ზედაცა ქრისტემან განსუენებად, და იქმენ შენ საყდარ მისა, რომელი ზის ზედა ქერობინთა და იდიდების სერაბინთა მიერ და ყოველთავე ზეცის მკედრობათა. მიემსგავსე ყრმათა მათ ჩჩვლთა. ჩჩვლ იქმენ ყოვლისავე ბოროტისა მიმართ, სრულიად უბიწო, შეიმოსე ჩჩვლთაებრ უმანკოებაჲ, სიწრფოებაჲ და სიმდაბლე... იქმენ მოქალაქე ზეცისა იერუსალემისა და უფროსდა ქალაქ მეუფისა დიდისა, რადთა შეიწყნარო ქრისტე შენ შორის...“ [იოანე ოქროპირი 1998: 221].

მხოლოდ ბავშვივით უბოროტო, უმანკო და წრფელი, მდაბალი, სიყვარულით მოღვაწე გახდება ღირსი ზეცის მოქალაქობისა:

„ხოლო შენ, საყუარელო, რომელსაცა გესმიან სიტყუანი ესე და მეცნიერ ხარ საიდუმლოთა ამათ, გულისკმა-ყავ ყოველივე ესე და მოიგე მოქალაქობად ღირსი სიყვარულისა მის, რომლითა შეგიყუარა უფალმან და პატივისა შინა, რომლითა პატივ-გცა, და წოდებისა მის, რომლითა გიწოდა, და ბრძანებისა მის, რომელი გამცნო: ჯუარს-აცუ თავი შენი სოფლისა და სოფელი თავისა შენისა და ცხორებდ მოქალაქობითა მით ზეცისათაჲ...“ [იოანე ოქროპირი 1990: 203].

„ღმერთმა ქრისტიანებს უმაღლესი პატივი – იმის სასუფევლის მოქალაქობა მოგცა, ამიტომ დიდი სიფრთხილევ გვმართებს, რომ იგი ჩვენი უღირსებით არ დაგვარგოთ...“ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი).

ქრისტიანულ თეოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებულ საგულისხმო სწავლებას მოქალაქეობის არსისა და რაობის შესახებ ვხვდებით მეოცე საუკუნის მღვდელმორწამის, თეოლოგიის დოქტორის, წმიდა გრიგოლ ფერაძის წერილთა სერიაში: *შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის* („მამაო ჩუენოს“ განმარტება) – ეს არის პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებები, რომელიც ემიგრაციაში მყოფი ქართველებისადმი – მრევლისადმი იყო განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საუკუნეა გასული, ის დღესაც აქტუალურია.

„მოქალაქე არ ნიშნავს პირველ რიგში ქალაქის მცხოვრებს, არამედ ყოველ შეგნებულ წევრს სამშობლოსი, გინდ იყოს ის ქალაქელი, გინდ სოფელი, გინდ მუშა. მოქალაქე არ ნიშნავს მას, ვისაც რაიმე კერძო საკუთრება აქვს თვის გარეშე. არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას, ამისთანა კაცს ჰქვიან ქართულად **მოქალაქე** და მის ცხოვრებას ჰქვიან **მოქალაქეობა**...“, – აღნიშნავს წმიდა მღვდელ-მოწამე გრიგოლ ფერაძე თავის ქადაგებაში [ფერაძე 2001: 58].

„ყოველ ადამიანს, მომავალს ამ სოფლად, მოაქვს როგორც საუნჯე სამი რამ. პირველი – ესაა მის წინაპრების მიერ მოპოებული, დაცული და მათი გმირული შარავანდედით შემოსილი სამშობლო. ეს არის მეორე – მასში ჩანერგილი პოტენცია, ამალღება დღიურ ჭირ-ვარამიდან თვისი ცხოვრების უმაღლეს აზრისადმი დასამორჩილებლად და მესამე – სინთეზი განცდათა, სამშობლოს გარშემო და სამშობლოსადმი სამსახურის გარშემო და ჩვენ ამას დავარქვით სახელად ენა – ამ უმთავრესად სამი დიდი საუნჯით დაჯილდოვებული მოდის ყოველი კაცი ამ ქვეყნად და **მისი მოვალეობაა ამ ქვეყნად მოქალაქეობა**“ [ფერაძე 2001: 52].

„მიზანი მოქალაქის ცხოვრების და მოქალაქეობის უნდა იყოს ღმერთი...“, „ღმერთი სამშობლოში, უკეთ – სამშობლო ღმერთში...“, – გვასწავლის წმიდა მამა.

„ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ისე აღასრულეთ სჯული ქრისტესი“, – გვმოდვრავს პავლე მოციქული (გალატ. 6,2). ადამიანის ცხოვრება გადაჯაჭვულია საზოგადოების წევრების ცხოვრებასთან, ეს განსაკუთრებით განსაცდელის ჟამს იგრძნობა: ერთის არასწორი ცხოვრების წესი და დაღუპვა მეორის დაღუპვასაც იწვევს:

„მოქალაქეობა ადამიანის სწარმოებს არა ტყეებში და ღრეებში, არამედ ადამიანთა შორის. თვით სიტყვა „მოქალაქე“, რომელზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი, ჰგულისხმობს ქალაქს, ე. ი. შემოღობილ, შემოზღუდულ ადგილს. „ქალაქი“ პირველ ხმარებით ნიშნავს ციხეს (საპყრობილეს კი არა, არამედ ციხეს)<sup>1</sup> და ამ ციხეში, რომ მტრები არ დაესიონ, სცხოვრობს ეს მოქალაქე; როგორც ყოველ ციხეში ცხოვრება და მოქმედება ჯარისკაცის მტკიცედ არის შეკავშირებული მეორე ჯარისკაცის ცხოვრებასთან და მოქმედებასთან და თუ

<sup>1</sup> ცნობილია, რომ **ქალაქი** არ არის ქართული სიტყვა, ის ხეთური წარმოშობისაა. ეს სიტყვა დასტურდება არაბულ, სპარსულ, სომხურ... ენებში.

ერთი ჯარისკაცი ისე არ იქცევა, როგორც მას დისციპლინა მოსთხოვს და თვის ცხოვრებით სხვებს რყვნის და ჰბილწავს – თუ იგი გარეგნულად და სულიერად საქმისადმი ისეთ განწყობილებას არ აჩვენებს, როგორც მას მისი უფროსი ან საქმე მოითხოვს, ასეთი ჯარი ვერ გაუძლებს მტრის შეტევას – ასევე ამ შემოზღუდულ ციხეში ცხოვრება მოქალაქის გადაკვანძული ცხოვრებასთან მეორე მოქალაქის; ეს კავშირი შეიძლება პირველ შესახედავთ უხილავი და უგრძნობია, და მისი წევრნი არ გრძნობენ ამას, იგრძნობენ უთუოდ განსაცდელის დღეს – თუ ერთი და იგივე სულიერი განწყობილება არ არსებობს ამ წევრთა შორის, თუ ერთი დიდი აზრი და იდეა არ აღაფრთოვანებს ამ საზოგადოებას, და ერთ დიდ იდეალს ყოველივე თვის წვრილმანს არ უმორჩილებს... ამისთანა საზოგადოების დასასრული დაღუპვა...“ [ფერაძე 2001: 63]. რადგან „თვითეული ადამიანი არის მტკიცედ გადახლართული და გადაბმული მეორე ადამიანთან...“ [ფერაძე 2001: 66].

ერთსულოვნება საზოგადოებაში მიიღწევა ამპარტავნების დათმობით და ურთიერთსიყვარულით, მორჩილებით. „ჩვენ საუკუნეს ისე არ სძულს არაფერი, როგორც მორჩილება და სიმდაბლე და არც ერთი საუკუნე არ იყო შეიძლება იმდენი მონებით სავსე, როგორც ჩვენი. უმაღლეს ნებისყოფისადმი თვის ნების დამორჩილება – თვის ჟინის „გაიტანე რაც დაიჟინო“-სი განწირვა არის და იყო საუკეთესო თვისებათაგანი ქრისტიანე მოქალაქის, რომელიც თვის მოქალაქეობისათვის იღებდა მაგალითს იესო ქრისტეს ცხოვრებიდან და ეს ცხოვრება იყო დასაწყისიდან დასასრულამდენ სიმდაბლით და მორჩილებით თავისი მამისადმი „მორჩილ იქმნა სიკვდილამდისინ და სიკვდილამდისინ ჯვარზედ...“ [ფერაძე 2001: 59].

„ხოლო აწ ტირილით გითხრობ თქვენ მტერთა მათთვის ქრისტეს ჯუარისათა, რომელთა აღსასრული წარწყმედად არს, რომელთა ღმერთი მუცელი არს და დიდებად – სირცხვილსა შინა მათსა, რომელნი ქუეყანისასა ზრახვენ. ხოლო ჩუენი მოქალაქობად ცათა შინა არს, ვინამცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა“ (ფილიპ. 3:20).

„სოფლისა ზღუად აღძრულ არს დეღვითა ცოდვისადთა, საშინელად დამნთქამს მე და მოვილტვი შენდა ნავთსაყუდელსა, და ესრეთ ვდაღადებ: „დანთქმისაგან მიხსენ მე მრავალ-მოწყალე!“ – მიქაელ მოდრეკილის ძლისპირის ეს სიტყვები ერთგვარი სურათის სახითაა წარმოდგენილი წმ. გრიგოლის წერილში: „ცხოვრების ზღვა-

ზედ ნავით ადამიანი და ტალღები, და ეს ტალღები სცემენ ამ ნავს და სურთ მისი დაღუპვა. ესაა განსაცდელი და ეს ადამიანი სთხოვს ღმერთს აარიდოს მას და სხვასაც ცხოვრების ზღვაზედ ის მორვეი, სადაც ესე თავისუფლად შეუძლიან მის ნავს დაღუპვა...“ [ფერაძე 2001: 67].

სიძულვილი, განყოფა, ვნებათა მონობა, „გაიტანე რაც დაიჟი-ნო“ – ბოროტის კარნახითაა. „ცხოვრების ზღვის ტალღები, რომელიც ნავს დანთქმას უპირებს“, უკეთური ძალისაგან, ადამიანთა მოდგმის დაუძინებელი მტრის – დაცემული ანგელოზისაგანაა.

„სიტყვა ბოროტი ჩვენთვის ცნობილია, – წერს წმ. მამა, – ვამბობთ მაგ., ბოროტი ადამიანი, ბოროტი სული. ესეცაა ნაყოფი ჩვენი ენის გენიის. ლათინურად და ბერძნულად მაგ., დღესაც ღვთის-მეტყველთა შორის დავაა, რაა ნაგულისხმევი: აბსტრუქცია „ბოროტება“ თუ კონკრეტი რამ, „ბოროტი“... [ფერაძე 2001: 70].

მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვა „ბოროტი“; ეს პირველი და ერთადერთი უცხო სიტყვაა ამ [„მამაო ჩუენო“] ლოცვაში, და იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი იხმარება დღეს ჩვენში... – აღნიშნავს წმ. გრიგოლი, – შესაძლებელია, რომ იმ მნიშვნელობით იგი არ იხმარებოდა იმ ერთა შორის, სადაც ეს სიტყვა იშვა... დღესაც ამ სიტყვას მაგალითებრ, სომხებთან თავის ძველი მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ესაა ის სენი კეთრი, რომელსაც უცხო ენაზედ ლეპრა ჰქვია. ესაა საშინელი ავადმყოფობა, გამოურკვეველი დღესაც... ამ საბრალოებს სიცოცხლეშივე ალპებთ სხეულის ნაწილები და სიკვდილის გახრწნა, რომელიც ყოველ ადამიანს სიკვდილის შემდეგ ესტუმრება, ესენი სიცოცხლეშივე თავიანთ საკუთარ სხეულზედ ხედავენ, გრძნობენ და განიცდიან...“ [ფერაძე 2001: 71].

თითქოს დღეს ეს სენი აღარ არსებობს, მით უფრო – ჩვენში, და გვიხარია, რომ ღმერთმა დაგვიფარა... მაგრამ ეს სენი არსებობს ჩვენს ქვეყანაში და ეს ის სენია, რომელიც უსპობს ჩვენს ქვეყანას გზას წარმატებისაკენ – აგლეჯს მის სხეულს ჯანსაღ ნაწილებს, წამლავს და ალპობს მის ერთეულს და ამსგავსებს მას, როგორც რაიმე ჩონჩხს, ლანდს, უღონო რაიმე არსებას, – აღნიშნავს წმ. მამა, – „ესაა ჩვენი ერის ქიშპობა, პარტიებად დაყოფა, რაღაცა „პრინციპების“ წინაშე კულტი, „ჩემი შენსას სჯობს“ – ეშმაკს, ბოროტ სულს, ამ სენით ჰეგემონია უჭირავს ერზედ და აფერხებს ყოველ მის წინსვლას და ცხოვრებას. ჩვენი ერი, ე. ი. ჩვენი წინაპრები გრძნობდნენ და განიცდიდნენ ამ საშინელ სენს – მათ კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ

ჯანსაღ ადამიანს, ერთეულს და განუყოფელს შეუძლიან მხოლოდ გამარჯვება და თვის გენიაში, რომელიც ჩვენი ენაა, დაგვიტოვებს ეს ჩვენ მათ ანდერძით. მაგალითებზე, სისრულე, რომელიცაა უმაღლესი წერტილი ქრისტიანულ ეთიკის „იყავით ისე სრულნი, ვითარცა მამა თქუენი ზეციური სრულ არს“<sup>1</sup> ჰგულისხმობს ამ გვარს ადამიანს, რომლის სული, გულისყური, აზროვნება ერთ რომელიმე საგნისადმია მიმართული. ეკლესიის მტერს ე. ი. სექტებს ჩვენი ეკლესია ეძახის მწვალებლებს ე. ი. წვალება ნიშნავს განყოფას, მათ ვინც ამ ეკლესიის ერთეულს რაღაც თვის მიერ მოწონილ მოძღვრებით ან დოქტრინებით არღვევენ...“ [ფერაძე 2001: 72].

მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს „ნათლიან თვალთ საგნების დანახვას“, წინდახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, „რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის“, სხვის აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. ესაა შინაარსი ჩვენი სიტყვის „მოქალაქეობა“. მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად..... არა მხოლოდ მოქალაქეობა ყოველი წმიდანის არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან და თავის-თავთან, არამედ მოქალაქეობა ყოველი მოქალაქის არის ბრძოლა თავის წრესთან, თავის დროსთან და თავის-თავთან...“ [ფერაძე 2001: 54].

„ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრება და მოქმედება ჭეშმარიტ ქრისტიან მოქალაქის. ამ სიტყვა „მოქალაქე“-მ გამოიწვია ზოგიერთ მსმენელთა შორის უსიამოვნება და დაბრკოლება. მათი შეხედულებით ეს ტერმინი შექმნილია რევოლუციის დროს ან მის ზეგავლენით; სინამდვილეში კი ეს ტერმინი გაცილებით ძველია და იმ შინაარსის, რომელსაც ეს ცნება თვისში ატარებს, იმ სიდიადის, იმ სიწმიდის და იმ სისპეტაკის და კეთილშობილე-

---

<sup>1</sup> იხ. იოანე ოქროპირი: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზევითა სრულ არს“... რამეთუ ამისთვის „ზევათაჲ“ თქუა, რათა მოქალაქეობაჲ ჩუენი ზევითა მოხამავ იყოს; რათა შორს ვიყვენთ ყოველთავე მიწისაგანთა და წარმავალთა საქმეთაგან და სრულ ყოვლითა სათნოებითა...“ [იოანე ოქროპირი 1990 : 323]. შდრ.: პავლეს ეპისტოლე: „ხოლო აწ ქრისტე იესუმს მიერ თქუენ, რომელნი-ეგე ოდესმე იყვენით შორს, იქმენით მახლობელ სისხლთა მით ქრისტესითა... ამიერთგან უკვე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლულ ღმრთისა“ (ეფეს. 2:13, 19).



ბის, რომელიც ამ ცნებაშია ჩაქსოვილი...“ [ფერაძე 2001: 73].

„ეს სიტყვაც არის მძიმე და შინაარსიანი... ყოველი ქართველი მოვალეა ზედმიწევნით ჩაუკვირდეს ამ სიტყვის მნიშვნელობას და აგრეთვე გაითვალისწინოს ის სიტყვები სხვა ერის, რომელნიც ჩვენ „მოქალაქეს“ ან „მოქალაქეობას“ ენათესავებიან, მაგრამ მაინც მთლად არ ამოსწურავენ. თუ ვისმეს თქვენგანს სადმე წმიდანის ცხოვრება უნახავს და სათაურისათვის ყურადღება მიუქცევია, დაინახავდა „ცხოვრება და მოქალაქეობა“ ამა თუ იმ წმიდანის; ესაა სათაური ყოველ წმიდანის ცხოვრების. სიტყვა „ცხოვრება“ უთითებს მხოლოდ გარეგან მხარეებს ამ წმიდანის ცხოვრების: დაბადება, დრო, ქვეყანა, მშობლები, პირობები და სხვა ამგვარი; სიტყვა „მოქალაქეობა“ კი ჰგულისხმობს ამავე წმიდანის სულიერ ცხოვრებას, მის ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან იმ აზრების და პრინციპების განხორციელებისათვის, რომელნიც მას აღელვებენ და რომელთა განხორციელება მას თვისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს. სხვა ვარიანტი ამ „მოქალაქეობის“ არის „მოღვაწეობა“ ან „ცხოვრება და ღვაწლი“ ამა თუ იმ წმიდანის... „მოღვაწეობა“ უფრო რიხიანია და რთული, ვიდრე „მოქალაქეობა“ და ისეთივე განსხვავებაა, როგორც ამ უბრალო მოქალაქის და „საზოგადო მოღვაწის“ შორის; ჩვენს ერს კი სწორედ ამისთანა უბრალო და მარტივი მოქალაქენი სჭირდებიან. – თვით მნიშვნელობა „ღვაწლის“ სრულიად გათვალისწინებისათვის საჭიროა ეს მოქალაქეობა, რადგან ეს ღვაწლი სწორედ შედგება იმ მოქალაქეობის; ჩვენ კი, რასაკვირველია, ყოველთვის რთული და ძნელი რამე გვიტაცებს და სახლის შენება გვიყვარს არა სამირკველზედ, არამედ ღრუბლებში“, – აღნიშნავს წმიდა მღვდელმოწამე თავის ქადაგებაში [ფერაძე 2001: 53].

წმ. გრიგოლ ფერადისათვის სიტყვა და, განსაკუთრებით ქართული სიტყვა, – „ქართული ენა დედა-ენა“ – უმნიშვნელოვანესი დატვირთვის მატარებელია:

**სიტყვა** „...არის გასაღები დაკეტილის; მისი შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გავაღოთ დაკეტილი. როგორც ილია იმახდა, შევიჭრათ მის გულში, ავხსნათ ფსიქოლოგიური პროცესი განცდის – ეს სიტყვა ეკლესიას დიდად უწყობს ხელს და ეხმარება ადამიანის შესაგნებლად, მის სულიერი ცხოვრების ანალიზისათვის. მთელი ერის სულიერი ცხოვრების, აზროვნების მხარის გასაგებად, მისი წარსული სულიერი ნამუშევარი და მემკვიდრეობა ჩვენთვის დღეს ამ სიტყვაშია. ჩვენ გვაქვს სიტყვა განცდილი, გამომუშავებული. ჩვენი წინაპ-

რების მიერ ნაფიქრი და ნააზრვეი, ერის მიერ შექმნილი და ამიტომაც არის, რომ ქართული სიტყვა, 2000 წლის, დღეს ჩვენთვის ისევე გასაგებია, როგორც იყო გასაგები ორი ათასი წლის წინეთ...“ „...ტკბილი, მშვენნიერი, საამური, ლამაზი, ფაქიზი, სადა, მარტივი, მდიდარი, მოხდენილი და კიდევ, ღმერთმა იცის, კიდევ სხვა რა სახელწოდებით იხსენიებენ ამ ჩვენ ქართულ ენას. ჩვენი ეკლესია და ჩვენი ერი კი ამ ენას უფრო მაღალი სახელწოდებით იხსენიებს. ეკლესიისათვის ეს ენა, ეს სიტყვა არის ღვთიური დასაწყისის „პირველიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა...“

„ჩვენი ერისთვის **სიტყვა** ნიშნავს იმავე დროს აზროვნებას, რომელიც მას არჩევს პირუტყვისაგან. სიტყვა არის ერთი სასწაულთაგანი და მაღლი ღვთისა კაცისადმი და მხოლოდ ორ მეცნიერებას კულტურულ ერთა შორის აქვთ საღმრთო, საკრალური ხასიათი, ესაა: თეოლოგია და ფილოლოგია, და როგორც ასეთი, ჩემთვისაც ვალდებულებაა ეს სიტყვა ისე ვიხმარო, როგორც ღვთიური რამ, როგორც სიწმიდე, როგორც სახელი ღვთისა. წმიდა იყავნ სახელი შენი!“ [ფერაძე 2001: 47].

„წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი“ არის იდეალი და მისწრაფება ადამიანის – ანდერძი ქრისტესი, რომლის აღსრულებისათვის უნდა შეეწიროს მსხვერპლად ყოველი ადამიანის ცხოვრება და რომლის აღსრულებისათვის ვერც ერთი თაობა და ვერც ათასი წელია საკმარი – ეს სამი იდეალი ყოველ ადამიანურ საზოგადოების განუსაზღვრელი დროით, სივრცით და ამ საზოგადოების კულტურული განვითარებით...“ [ფერაძე 2001: 60].

„ემიგრაციაში ყოველთვის ჯამი კეთდება ერის სულიერ ცხოვრების. აიღეთ ქართული ემიგრაცია მოსკოვში, რომელთაც ჩვენ ერს აჩუქეს ბიბლია – კულტურული მიღწევა XVIII საუკუნის... ებრაელებმა ბაბილონის ტყვეობაში აჩუქეს თავის ერს კანონი ძველი აღთქმის..., ბერძნებმა თვის ფილოსოფია შექმნეს უცხოეთში და ესეც ემიგრაციამ, განთავისუფლებული მითოლოგიურ წარმოდგენებიდან თავიანთი ქვეყნის, რომელიც ადამიანის თავისუფალ აზროვნებას გასაქანს არ აძლევდა, შექმნეს უცხოეთში ის, რამაც ბერძნები უკვდავ ჰყო შემდეგში“. მაგრამ ემიგრაციას არა აქვს შემოქმედების უნარი, – წმიდა მამა აკეთებს საყურადღებო დასკვნას ემიგრაციის შემოქმედებით ძალაზე – ემიგრაცია, „ბაბილონის მდინარეზედ მსხდომი“, როგორც სამოთხიდან გამოძევებული ადამიანი, მხოლოდ წარსულის შეჯამების შემძლეა, წარსულის გაანალიზება, შეცნობა უნდა

დაეხმაროს მომავლის სწორი გზით გავლაში: „ემიგრაციას არა აქვს პოტენცია შემოქმედებითი, იგი არის ჯამის შედეგები, სინთეზის გაწევა ყველა იმ მუშაობის, რაც კეთდებოდა მის ქვეყანაში, მის წინ... შეიძლება ჩვენთვისაც ცოტათი მაინც ცხადი შეიქმნას დანიშნულება და მოწოდება ჩვენი ერის...“ [ფერაძე 2001: 42].

„მართლმადიდებლობა არის და იქნება უდიდესი განძი, რომელიც ჩვენ ერს ოდესმე ჰქონია; ამ განძისათვის მსხვერპლად იწირებოდნენ ჩვენი წინაპრები, არჩევდნენ ყოველგვარ შეურაცხყოფას და სიკვდილს... მართლმადიდებლობა არის თვით-ღირებულება – მხოლოდ და მხოლოდ მისთვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც “... [ფერაძე 2001: 10].

წმიდა მამამ ეს სწავლება **მოქალაქეობის** შესახებ თავისი ცხოვრების აღსასრულით დაამოწმა.

დაბოლოს, ისევ წმიდა მამის სიტყვებს მოვიხმობ:

„ყოველ ერის ცხოვრებას ჰქმნიან არა მასსები, არამედ რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც საერთო სახელით პიროვნებას ეძახიან და ქართველი ერი ამისთანა პიროვნებებს მადლიან ადამიანებს უძახის. და ეს ცნება „მადლიანი“ არის ცნება რელიგიური და იმაზედ მიგვითითებს, რომ ამისთანა ადამიანის ცხოვრების ორიენტაცია არის მადლის მოპოება ღვთისაგან ანდა ღვთისგან მადლ მოპოებულს. ამისთანა საკრალურ მნიშვნელობით იხმარებოდა ეს სიტყვა ყოველთვის და იხმარება დღესაც... იესო ქრისტეს სიტყვაც ჩავარდნილი მასსებში, არ ეძებს მასსებს, არამედ მხოლოდ ამისთანა მადლიან პიროვნებებს და ეს პიროვნებანი, რომელნიც გაცილებით მეტს გრძნობენ, ვიდრე სხვები, რომელთა სული და გული გამთბარია ამ ჭეშმარიტებით. ესეთი პიროვნებანი ჰქმნიან ეკლესიას; ამათზედ დამყარებული ეკლესია არის მტკიცე საფუძველზედ აშენებული და მას ვერც ჯოჯოხეთი დაანგრევს და ვერც სხვა რამე ძალა. იესო ქრისტეს სიტყვა იყო მიმართული მხოლოდ რამოდენიმე პიროვნებისადმი. ის ყოველთვის არჩევდა ხალხს – მასსებში დაეძებდა თავისთვის შესაფერ და თვის სიტყვებისათვის შესაფერ ადამიანს, და მისი სიტყვების მქადაგებელს უნდა ეს მაგალითი ქრისტესი ყოველთვის ჰქონდეს სახეში...“ [ფერაძე 2001: 44].

ასეთი „ღვთისგან მადლ მოპოებული პიროვნება“, „ჭეშმარიტ მოქალაქეობის“ მქადაგებელი და აღმსარებელი იყო თვით წმიდა მღვდელმთავრე გრიგოლ ფერაძე.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ფერაძე 2001** – წმიდა მღვდელმონაწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩუენოს“ განმარტება; ქადაგებები; ნარკვევები. რედაქტორი სალომე გოგინაშვილი, თბილისი.

**ქეგელი V, 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**წმ. იოანე ოქროპირი 1990** – წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაი მათეს სახარებისაი, თარგმაი წმ. ეფთვიმე ათონელისა, წიგნი I. რედაქტორი: მზ. შანიძე, თბილისი.

**წმ. იოანე ოქროპირი 1998** – წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაი მათეს სახარებისაი, თარგმაი წმ. ეფთვიმე ათონელისა, წიგნი III. რედაქტორი: მზ. შანიძე, თბილისი.

Nino Khakhiashvili

### **Towards the terms *citizen, citizenship***

(According to St. Grigol Peradze's "*Essence of true citizenship*")

#### Summary

The notion of a ***citizen*** emerged in the ancient Greek city-state of Athens, denoting the right to participate in public life. Today *citizenship* implies a legal union between an individual and the state. The terms ***citizen, citizenship*** cover many aspects: legal, political, social, moral-ethical, religious, spiritual ...

According to Saint Priest Grigol Peradze "*that who understands the greatest possessions: life, its essence and responsibility in Georgian such an individual is called a citizen and his/her life – citizenship ... The essence of citizenship is life and living in the present ... The goal of citizen's life and citizenship must be God ... God in homeland, more exactly - homeland in God ...*" Saint Father says.

*“The essence of citizenship, true citizen in this world is the way of spiritual perfection of human being via the cross-taking, repeating the Lord-like merit ...”*

Citizenship requires understanding, honesty, thinking, courage, cleverness; *“Citizenship requires seeing things with a clear eye, foresighting, humility that is not a slave's feature, but an educated person's, listening the opinion of others, searching and appreciating humanity in human being. This is the essence of our word citizenship. “... Citizenship is a sacrificing oneself to enlightening others ... It was one of the goals of humanized God. "Orthodoxy is self-evaluation and only life and death are worth for it.”- such is the teaching of the Saint Priest Grigol Peradze, which he proved by his life.*

## **სასწაულებრივი განკურნების პარალელები ახალ აღთქმასა და ქართულ ჰაგიოგრაფიაში**

ახალი აღთქმის მიხედვით, ოთხივე მახარებელი ქრისტეს ცხოვრების აღწერისას მიანიშნებს მის ღვთებრივ ბუნებასა და ძლიერებაზე, ქრისტესეულ მადლსა და სიყვარულზე, კაცობრიობის გადა-რჩენის სურვილზე, ადამიანთა მოდგმის განკურნების იდეაზე.

იესო ქრისტეს მაკურნებელი მსახურება გადაეცა მის მოციქულებს, წმინდა მამებს, ქრისტიანული რელიგიის გამავრცელებლებს – მისიონერებს, სასულიერო პირებს – მღვდელთმსახურებს, რომლებიც ცდილობდნენ, მათ ირგვლივ მყოფთათვის შეემსუბუქებინათ როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი მდგომარეობა.

პრობლემა ხორციელი მკურნალობის გარჩევისა სულიერი მკურნალობისაგან მუდმივად იდგა. ხშირად „მკელობელთა“— ხეიბართა, ანუ არასწორად მოსიარულეთა, განკურნება და „ბრმის განკურნება“ – უსინათლოთა თვალის ახელა, შესაძლოა რწმენაზე მოქცევასაც გულისხმობდეს და არა რეალურ საექიმო საქმიანობას. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში მოყვანილი კურნების ფაქტების სოლიდური ნაწილი სამედიცინო ხელოვნების პრაქტიკულ გამოყენებასაც უნდა გულისხმობდეს [შენგელია 2012: 109].

ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, მკვიდრდებოდა კულტურულად და მენტალურად მომზადებულ ქვეყნებში [შენგელია 2012: 106], რომელთა რიგში მოიაზრებოდა ჩვენი ქვეყანაც.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და გავრცელების საკითხებს, ამ პერიოდის ქართულად შექმნილ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურაში წარმოდგენილ სამედიცინო ხასიათის სიუჟეტებს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ქართველი მეცნიერები და მიუთითებდნენ მათ დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის [ალადაშვილი 1985, ბურდული 2009, სააკაშვილი, გელაშვილი 1956-1958, შენგელია 1980, შენგელია 2012, ხელაია 2015].

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ აისახა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ქრისტესეული ცხოვრების ეპიზოდები ადამიანთა განკურნებასთან მიმართებით. სწორედ ამ საკითხის განხილვის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი.

მიზნის განსახორციელებლად ჩვენ ერთმანეთს შევეუდარეთ ქართულად თარგმნილ ოთხთავსა და ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში მოყვანილი სამედიცინო შინაარსის ამსახველი ფრაგმენტები, ოღონდ არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ ზოგადი და კერძო პათოლოგიური პროცესების გათვალისწინებით.

ზოგად პათოლოგიებში გავაერთიანეთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც არ არის დაკონკრეტებული დაავადების აღმნიშვნელი დასახელება, მოყვანილია მხოლოდ ზოგადი – შეუძლოდ ყოფნის აღმნიშვნელი სინონიმები („სნეულება“ – სენის მქონებელი, „უძლოური“ – შეუძლებელი, გინა სნეული, „ურვეული“ – შეწუხებული, „ხეიბარი“ – კაცი დაშავებული, „ღრეკილი“ – კაცი მოღრეკილი, „საჰყარი“ – ფერჭებდაშავებული) და მათი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული თავ-თავიანი სინონიმებით: „განკურნება“, „კურნება“ [ორბელიანი 1949].

სახარებაში ვკითხულობთ: „და მისდევდა მას ერი მრავალი და **განკურნა** იგი ყოველნი“ [მათე 12,14, ქოობრ 1979: 296]; „და გამოვიდა იესუ და იხილა მრავალი ერი და შეეწყალნეს იგინი და **განკურნა** სნეულნი მათნი“ [მათე 14,14, ქოობრ 1979: 306]; „რამეთუ მრავალთა **განკურნებდა**, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რადთა შე-ოდენ-ეხენ და რავდენთა აქუნდა **უძლურება** და შეეხნეს, **განიკურნებოდეს**“ [მარკოზი 3,10, ქოობრ 1979: 373]; „და დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რავდენთა აქუნდა **უძლურები** თითო-სახეთაგან **სენტა**, მოიყვანნეს მისა. ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჳელი და **განკურნა** იგი“ [ლუკა 4,40, ქოობრ 1979: 450]; „და შეკრებოდა მისთვის ერი მრავალი სმენად და **განკურნებდა** **უძლურებათა** მათთაგან“ [ლუკა 5,15, ქოობრ 1979:452]; „და ასისთავისა ვისიმე, მონაჲ **სნეული** იყო და მიახნდა აღსრულებად რომელი იყო მისა პატიოსან“ [ლუკა 7,2, ქოობრ 1979: 460]; „და იყო ვინმე სამეუფოთ მოსრული კაცი, რომლისა ძმ **სნეულ** იყო კაფარნაუმს... რადთა მივიდეს მის თანა და **განკურნოს** ძმ იგი მისი, რომელი მიახნდა სიკუდილად“ [იოვანე 4,46-47, ქოობრ 1979: 558] და სხვ.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, კერძოდ, „შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მისცემდა მას კაცთმოყვარე ღმერთი... **სნეულთა-კურნება**“ [ცურტაველი 1982: 18]; „ევსტათი მცხეთელის წამების“ უცნობი ავტორი კი წერს, რომ მას ჰქონდა „მაღლი კურნებისათა“ [უცნობი ავტორი 1982: 45]; მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღნიშნავს: „დიდი ეპიფანე... ცრემლითა დანთხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და **სნეულთა მსწრაფლ განჰკურნებდა** და მრავალთა სხვათა სასწაულთა იქმოდა“ [მერჩულე 1982: 280]; „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ „... **კურნებანი სნეულთანი** იქმნებოდეს საღმრთოდასაგან მაღლისა წმიდათა მათ მთავარ-ანგელოზთადას“, ან კიდევ: „და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისა მრავალფერთა **სენთაგან განიკურნეს**...“ [ზარზმელი 1982: 340].

**კერძო პათოლოგიების** მრავალფეროვან მოვლენათა ამსახველი სიუჟეტური ფრაგმენტები გავაერთიანეთ ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების დაავადებების მიხედვით.

**ფსიქიკურ სნეულებებში** მოვიაზრეთ ე. წ. „**ემმაკეულის განკურნება**“, ანუ ადამიანის სულიერი მდგომარეობის ავადმყოფურად შეცვლის გამოვლინების შემთხვევები, რომლებიც უხსოვარი დროიდან აიხსნებოდა **ავი, ბორტი ძალებს, არაწმიდა სულების** ზემოქმედებით ადამიანთა ფსიქიკაზე. ოთხთავის ქართულ თარგმანებსა და ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ეს დაავადება ემმაკთანაც ასოცირდებოდა, რაც აისახება როგორც მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში, ასევე „პეტრე იბერიელისა“ და „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრებაში.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათთაგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, ასული ჩემი **ბოროტად ემმაკეულ** არს“. „მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: **ჰ დედაკაცო!** დიდ არს სარწმუნოებამ ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და **განკურნა** ასული იგი მის მიერ ჟამითგან“ [მათე 15,22,28; ქობორ 1979: 310-311].

ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ერთი ეპიზოდი მარკოზის სახარებიდან: „და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო **სული არა წმიდა**, ღაღად-ყო და თქუა: ეჰა, რამ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით შენ ვინ ხარ, წმიდად ეგე ღმერთისა... შეჰრისხნა მას იესუ და



ჰრქუა: დაიყავ პირი და განვედ მაგისგან! და დასცა იგი **სულმან მან არაწმიდამან**, და ჳმა-ყო ჳმითა დიდითა და განვიდა მისგან [მარკოზი 1,20-26, ქოობრ 1979: 367]; „და **ემმაკნი მრავალნი განასხნეს** და სცხებდეს ზეთსა მრავალთა **სნეულთა და განიკურნებოდეს**“ [მარკოზი 6,13, ქოობრ 1979: 384]; „რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუა ასული **სულითა არაწმიდითა ურვილი**, და მოვიდა და შეუვრდა ფერჳთა მისთა... და ევედრებოდა მას, რადთა განჳადოს **ემმაკი იგი** ასულისაგან მისისა“ ... „ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის სიტყჳსათჳს ვიდოდე! განსრულ არს **ემმაკი ასულისაგან შენისა**“ [მარკოზი 7,25-26,29, ქოობრ 1979: 391]; ან კიდევ ლუკას სახარებიდან: „რომელნი მოსრულ იყვენს სმენად მისგან და **განკურნებად ყოველთა უძღურებათაგან** მათთა; და **ურვილნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს**“ [ლუკა 6,18, ქოობრ 1978: 457].

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ამ დაავადების განკურნების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“: „მრავალი სასწაული ქმნა ღმერთმან ხელითა პეტრე ნეტარისათა, ეკლესიასცა მას შინა და ქუეყანასცა აღექსანდრიისაცა და მრავალნი **ემმაკეულნი განკურნეს**“ [შენგელია 1980: 75].

მერჩულე კი ნეტარ გრიგოლზე წერს: „რამეთუ **უძღურნი**, თითოსახეთაგან სენტა შეპყრობილნი, და ვნებულნი **სულთაგან არაწმიდათა** ლოცვითა მისითა და ცრემლითა **განიკურნებოდეს** თხოვისსაებრ სარწმუნოებით მვედრებელთადას“ [მერჩულე 1982: 298].

**ნერვეულ სნეულებებში** გავაერთიანეთ რამდენიმე ნოზოლოგია. პირველი არის ე. წ. „**განრღვეულის განკურნების**“ შემთხვევა, რომელსაც ვხვდებით მათეს, მარკოზის, ლუკას სახარებებსა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ტერმინი „**განრღვეული**“ საბას განმარტებული აქვს როგორც „ჯორც გონჯიანი“ [ორბელიანი 1949]. ამგვარი მდგომარეობა ახასიათებს დაავადება ინსულტს (სისხლის მიმოქცევის მოშლა თავის ტვინში, რის გამოც ადამიანს დარღვეული აქვს მთელი რიგი მოტორული ფუნქციები და მოსდის სხვადასხვა ხარისხის დამბლა – პლეგია). აი, რას ვკითხულობთ მათეს სახარებაში: „მაშინ მოართუეს მას **განრღვეული ცხედარსა ზედა მდებარე**: და იხილა იესუ სარწმუნოებად იგი მათი და ჰრქუა **განრღვეულსა მას**: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტყვენ შენ ცოდვანი შენნი... აღდეგ და აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა!“ [მათე 2,6,7, ქოობრ 1979: 284]. მარკოზის სახარების მიხედვით: „და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღსმარცჳეს სართული სახლისად მის, სა-

და იყო იგი, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა **განრღუეული იგი**. და იხილა იესუ სარწმუნოებამ იგი მათი და ჰრქუა **განრღუელსა მას**: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვან-ნი შენნი“ [მარკოზი 2,4,5, ქოობრ 1979: 369].

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილია შემთხვევა, როდესაც მან შატბერდში ყოფნისას განკურნა 2 წლის ბავშვი „რო-მელსა **კელნი და ფერკნი მტერისაგან მიკუმულ იყუნეს და პირი გარე მოქცეული იყო**“. წარმოდგენილი ნიშნები: ზედა და ქვედა კიდურების დამბლა, პირისახის მოქცევა და ასაკი გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ტვინის ისეთი სახის დაზიანე-ბასთან, რომელსაც მოჰყვება სახის ნერვისა და ზედა და ქვედა კი-დურების დამბლა [სააკაშვილი, გელაშვილი 1956: 389]. გრიგოლმა ასევე განკურნა დედაკაცი „**კელითა სნეული**“. ეს შემთხვევაც, სავა-რაუდოდ, ინსულტის შედეგად განვითარებული, შედარებით უფრო სუსტი დამბლა უნდა ყოფილიყო [შენგელია 1980: 98,99].

მეორე შემთხვევა, რომელსაც ვხვდებით სახარებაში, ეს არის „**კელგანმკმარის განკურნება**“, ამ მოვლენას შეესაბამება ინსულტის შედეგად დადამბლავებული და შემდგომში უკვე ატროფირებული კიდურები. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და იყო მუნ კაცი, რო-მელსა **კელი განკმელ ედგა**. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკეთ ჯერ-არს შაბათსა კურნება. რაფთამცა შეასმინეს იგი“. „მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განირთჳ კელი შენი! და მან განირთჳა კელი, და კუა-ლად მოეგო ცოცხალ, ვითარცა ერთი იგი“ [მათე 12,10,13, ქოობრ 1979: 295,296].

„ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ მას მოურ-ჩენია 13 წლის წინ დაავადებული ვენახის მცველი, რომელსაც „**სა-ლმობა სასტიკი**“ ჰქონდა, რომელმაც „**განარკმა ფერკნი** მისი.“ ეს შე-მთხვევა მეტყველებს ქვედა კიდურების ატროფიაზე [შენგელია 1980: 92]. ამავე ძეგლში აღწერილია დაავადება, რომელიც წარმო-დგენილი ნიშნებით კუნთების პროგრესულ დისტროფიას მოგვაგო-ნებს: „დისწული მამსახლისისა, რომელ ყრმა დია იყო ჰასაკითა, ხოლო იყო **მარჯუწნე კერძო მისი განხმული შობითგან, ხელნი და მხარნი მისი ეზიარებოდეს ვნებასა მას თუალნიცა და ეგრევე ყურ-ნიცა...**“ ამ დაავადების მოიპოვებამ გაგების სასარგებლოდ მეტყვე-ლებს ავადმყოფის ასაკი, მხრისა და მხრის სარტყელის კუნთების ატროფია, სისუსტე, პათოლოგიური ცვლილებები მხედველობისა და სმენის მხრივ [სააკაშვილი, გელაშვილი 1956: 389-390].

მესამე დაავადება, რომელიც ნერვულ სნეულებებში გავაერთიანეთ, ეს არის **ეპილეფსია**. ქართულ მედიცინაში მას მოიხსენიებენ ტერმინებით **ზნედა**, **ავი ზნე**. ოთხთავსა და ქართულ ჰაგიოგრაფიაში წარმოდგენილი შემთხვევების („**სული არაწმიდითა შეპყრობილის**“, „**იგუემების მტერისაგან**“, „**მტერისაგან ვნებულის**“) **ეპილეფსიასთან** გაიგივების საშუალება მოგვცა ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომების დეტალურად აღწერამ.

მარკოზის სახარებაში ვკითხულობთ: „და მი-ვინმე-უგო ერთმან ერისაგანმან და ჰრქუა: მოძლუარ, მოვიყვანე ძჭ ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული **უტყუებისა**. და სადაცა დააპყრის იგი, **დაჰკუეთის**, და **პეროვინ** და **იღრკენენ კბილთა** და **განჯმებინ**. და მოჰკუარეს იგი მას. და იხილა იგი, და მეყსეულად **სულმან მან არაწმიდამან** დაჰკუეთა იგი; და **და-რაი-ეცა ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა**“ ... „ვითარცა იხილა იესუ რამეთუ შეკრბების ერი მის ზედა, შეკრისხნა სულსა მას და ჰრქუა **უტყუსა და ყრუსა სულსა**: მე გიბრძანებ შენ: განვედ მაგისგან და ნულარა შეხუალ მაგის! და ლაღად-ყო, ფრიად **გორვიდა** და განვიდა მისგან; და იქმნა იგი, **ვითარცა მკუდარი**, ვითარმედ იტყოდესცა, ვითარმედ: **მოკუდა** ხოლო იესუ უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი, და აღდგა“ [მარკოზი 9,17,18-20,25-27; ქობორ 1979: 397,398]. სახარებაში აღწერილი შემთხვევა ეპილეფსიის გენერალიზებული ფორმის სურათს შეესაბამება, რომელიც ხასიათდება გონების უეცარი დაკარგვით; რაიმე წინასწარი ნიშნების გარეშე ადამიანი ვეღარ მეტყველებს („**უტყუების**“), ეცემა („**დაჰკუეთის**“), არაფერი ესმის („**უტყუსა და ყრუსა**“), პირიდან ქაფიანი ნერწყვი გადმოსდის („**პეროვინ**“), აქვს კბილების ღრჯუნის („**იღრკენენ კბილთა**“), შემდეგ უკვე კლონურ ფაზაში, კუნთების ძლიერი შეკუმშვის გამო, თრთის და უწესრიგო მოძრაობებს ასრულებს („**გორვიდა**“), ბოლოს გამოდის გულყრის მდგომარეობიდან და ეძლევა ღრმა ძილს („**ვითარცა მკუდარი**“) [სააკაშვილი, გელაშვილი 1956: 390, 391].

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, „პეტრე იბერიელის ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ მან „... განკურნა ყრმა ესე, რამეთუ **იგუემების მტერისგან (ავი ზნისგან)**“ [შენგელია 1980, 76], ხოლო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მერჩულე აღნიშნავს, რომ ეპიფანე „სნეულთა მსწრაფლ განჰკურნებდა და მრავალთა სხვათა სასწაულსა იქმოდა“; განკურნა ბავშვი – „**მტერისაგან ვნებული შობითგანვე**“ [შენგელია 1980: 99]. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვ-

რებაში“ არ არის დასახელებული ამ დაავადების აღმნიშვნელი ტერმინი, თუმცა აღწერილია დამახასიათებელი სიმპტომები: „ვითარცა მდგომარე იყვნენ ეკლესიასა, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი **უხმოდ მდებარეი და გარდმოაგდო ენაი განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა**. ხოლო კაცი იგი მოეგო გონებას და გულისხმა ყო ცთომილებად თჳსი დაღაცთუ **ენითა ვერ მეტყველებდა**“ [ზარზმელი 1982: 354, 355].

მეოთხე დაავადება, რომელიც ასევე გავაერთიანეთ ნერვულ სნეულებებში, არის **სომნამბულიზმი**. მას სავსებით შეესაბამება ოთხთავში აღწერილი დაავადების სიმპტომები. სახარებაში ვკითხულობთ: „უფალო შემიწყალე ძე ჩემი რამეთუ ცისად-ცისად **ბოროტად იგუემების**, რამეთუ **მრავალ-გზის შთავარდეს იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა**“... „და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ და განვიდა მისგან ეშმაკი იგი და **განიკურნა** ყრმად იგი მიერ ჟამთაგან“ [მათე 17,15-18; ქობორ 1979: 316,317]. „და ჰკითხა იესუ მამასა მისსა: რავდენი ჟამი არს, ვინადთგან შეემთხვა ესე მას? ხოლო მან ჰრქვა: სიყრმითგან. და **მრავალ-გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რადთამცა წარწყმიდა ეგე**“ [მარკოზი 9,21-22; ქობორ 1979: 397-398].

არსებობდა თვალსაზრისი, რომ ამ დაავადებას კავშირი აქვს მთვარესთან. ტერმინი „მთვარეული“ ამიტომაც გამოიყენებოდა. სავარაუდოდ, ეს აზრი გაჩნდა იმის გამო, რომ ამ დაავადებას ახასიათებს ძილში გადაადგილება, სიარული და მოქმედება ღამით, რაც ფიზიოლოგიურად განპირობებულია ელემენტარული ავტომატური მოქმედებით. სომნამბულის საქციელი გარეგნულად თითქოს მოწესრიგებულია, რადგან მას გახელილი აქვს თვალები, შეუძლია ღამე სახლიდან გამოვიდეს, მივიდეს წყალსატევთან და შევიდეს მასში („**შთავარდეს წყალსა**“), დაანთოს ცეცხლი და შესაძლოა ჩავარდეს მასში („**შთავარდეს ცეცხლსა**“). მომხდარ მოვლენებს ავადმყოფი ვერ აღიქვამს; გამოფიზიოლების შემდეგ არაფერი ახსოვს. თანამედროვე ნევროლოგთა ნაწილი ამ დაავადებას ეპილეფსიის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევს, თუმცა უმეტესობა (სახარების ავტორთა მსგავსად) ცალკე ნოზოლოგიად თვლის [ხელაია 2015: 610].

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში **სომნამბულიზმი** და მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები არ არის აღწერილი (ჩვენი მასალის მიხედვით).

**ინფექციური სნეულებებიდან** მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში წარმოდგენილია მხოლოდ „**კეთროვანის განკურნება**“, ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში კი ამ დაავადების განკურნების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით „შუშანიკის წამებისა“ და „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ამსახველ სიუჟეტებში.

სახარებაში ვკითხულობთ: „უძლურთაგან ჰკურნებით, **კეთროვანთა განსწმედდით**, ეშმაკთა განასხემდით, უსასყიდლოდ მიიღეთ, უსასყიდლოდცა მისცემდით“ [მათე 10,8, ქოობრ 1979: 288]; „მაშინ მოვიდა მისა ერთი **განკეთრებული**, ევედრებოდა მას და მუჯლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, უკეთუ გინდეს, ძალ-გიც განსწმედად ჩემდა“ [მარკოზი 1,40, ქოობრ 1979: 308].

„შუშანიკის წამებაში“ ცურტაველი წერს: „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვი, რომელსა **განზორებისა სალმოზაი** აქვდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკსა, ხოლო იგი ასწავებდა მას, რადთამცა დაუტევა მოგვობაი იგი და იქმნა იგი ქრისტიანე... და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: – მივედ იერუსალიმდ და განსწმინდე **განზორებისა** მისგან შენისა. და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარემართა გზასა მას სახელითა ღმრთისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა. და განკურნა იგი **სალმოზისა** მისგან“ [ცურტაველი 1982: 18,19]. ამ ამონარიდში ნახსენები ტერმინი „**განზორება**“ საბაას განმარტებული აქვს როგორც **კეთრის სნეულება**, ხოლო ტერმინი „**სალმოზაი**“ – როგორც **სატივარი** [ორბელიანი 1949], „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ კი ეს დაავადება ნახსენებია შემდეგნაირად: „მრავალნი სასწაულნი ქმნა ღმერთმან ხელითა პეტრე ნეტარისათა... და **კეთროვანნი განკურნეს**“ [შენგელია 1980: 75].

**შინაგან სნეულებებში** გავაერთიანეთ დაავადება **ასციტი** – „წყლით მანკიერი“, რომელსაც ვხვდებით მხოლოდ ლუკას სახარებაში, ხოლო ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან – „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“: „და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი **წყლით მანკიერი** წინაშე მისსა. ... მიუგო იესუ და ჰრქუა შჯულის მოძღვართა მათ და ფარისეველთა: უკეთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნებაი? ხოლო იგინი დუმნეს... და მოიყვანა კაცი იგი, **განკურნა** და განუტევა იგი“ [ლუკა 14,2-4; ქოობრ 1979; 497].

„პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ დასახელებულია დაავადება **წყალმანკიერება**: „ჟამსა ერთს მოვიდა ჰურია... იყო იგი **წყლით მანკიერი**, მუცელი მისი განსივებული იყო სასტიკად“. ამ შემთხვევაში **წყალმანკის** ერთი ნიშანია მხოლოდ აღნიშნული, კერძოდ, მუცლის

მომატება მოცულობაში [საკაკაშვილი, გელაშვილი 1956: 357]. საბას მიხედვით კი „**წყალმანვი**“ არის **წყლით მანკიერი**, „ესე არს სრულად განსივებული და კურნება შეუძლებელი“ [ორბელიანი, 1949].

მეორე შემთხვევა, რომელსაც შინაგან სნეულებებში მოვიხსენიებთ, არის **ჰომეოსტაზის** დარღვევა, კერძოდ, პეტრეს (სიმონის) სიდედრის განკურნების შემთხვევა **სიმხურვალისგან**, რომელსაც ვხვდებით მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში: „და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესა და იხილა სიდედრი იგი მისი, დავრდომილი **მხურვალეებითა**“ [მათე 8,14, ქობორ 1979: 281]; „ხოლო სიდედრი სიმონისი დავრდომილი იყო **მხურვალეებითა**“ [მარკოზი 1,30, ქობორ 1979: 367]; „და აღდგა მის კრებულისაგან და შევიდა სახლსა სიმონისასა; ხოლო სიდედრი სიმონისი შეპყრობილ იქნა **სიცხითა დიდითა...** და დაადგა მას ზედა და შეჰრისხნა **სიცხესა** მას“ [ლუკა 4,38-39; ქობორ 1979: 450].

ეს შემთხვევა შუა საუკუნეებში გავრცელებული ანტიკური ეპოქის ცნობილი ჰუმორული პათოლოგიის თეორიით შეიძლება აიხსნას: ჯანმრთელ ორგანიზმში არსებულ თხევად კომპონენტებსა (სისხლი, ზაფრა – ყვითელი ნაღველი, სევდა – შავი ნაღველი, ლორწო – ბალდამი) და მათ შესაბამის თვისებებს (სიმხურვალე, სიმშრალე, სიგრილე, სინოტივე) შორის წონასწორობა უნდა იყოს დაცული. თუ რომელიმე სითხის რაოდენობა იმატებს სხვა სითხის რაოდენობის შემცირების ხარჯზე, მაშინ ვლინდება მთელი რიგი პათოლოგიები. აღწერილ სიუჟეტში **სიმხურვალის** მოჭარბება შესაძლოა გამოწვეული იყოს მხურვალე თვისების მქონე რომელიმე შინაგანი ორგანოს (გული, ღვიძლი, თირკმელები) პათოლოგიით [ხელაია 2015: 612].

აღნიშნული დაავადებები არ დასტურდება ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (ჩვენი მასალის მიხედვით).

**გინეკოლოგიური დაავადებებიდან** ახალი აღთქმის სიუჟეტებში (მათე, მარკოზი, ლუკა) ვხვდებით „**სისხლმდინარი ქალის განკურნების**“ შემთხვევას. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო **სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ**, მოვიდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისა“ [მათე 9,20; ქობორ 1979: 885]. მარკოზი წერს: „და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო **წყაროთა სისხლისათა გუმულ ათრმეტ წელ**“ [მარკოზი 5,25; ქობორ 1979: 381]. ლუკასთან ვკითხულობთ: „და იყო ვინ-

მე დედაკაცი წყაროთა სისხლისათა ათორმეტით წლითგან, რომელი ვერვისგან განიკურნა“ [ლუკა 8, 43; ქობრ 1979: 470].

ამ მოვლენის შესახებ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან იუწყება მხოლოდ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მერჩულე წერს: „და კულად სხუად ვინმე იყო დედაკაცი **სისხლის დინებითა გუემული მრავალთა ჟამთა**. მას ესმა სასწაული ესე და მივიდა გულსმოდგინედ წმიდისა მის. და ვერ შემძლებელ იყო თვისსა მას სენსა საანჯმნო ყოფად, არამედ მდუმრიად სულთქმით დაალტობდა ფერკთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებასა. ხოლო ძმანი იგი მცირედ განშორნეს წამის ყოფითა ამის წმიდისადათა, რამეთუ ცნა სულითა ვნებად იგი დაფარული და მისცა მარჯუენე თვისი, რადთა შეიმთხვიოს. და მან ყო ეგრეთ და მასვე ჟამსა **განიკურნა უძღურებისა** მისგან. და წარვიდა სიხარულით სახედ თვისა და ადიდებდა ღმერთსა“ [მერჩულე 1982: 287].

თუ გავავლებთ პარალელს ახალ აღთქმასთან, ნეტარი გრიგოლის შემთხვევაშიც ხელზე შეხებაც კი საკმარისი იყო, რომ მოურჩენელი ან გახანგრძლივებული ავადმყოფობისგან განკურნებულ იყვნენ ადამიანები [ბურდული 2009: 31].

**თვალის სნეულებებიდან** ოთხივე მახარებელს აღწერილი აქვს **ბრმის განკურნება**. ისინი ასხვავებენ თანდაყოლილ და შეძენილ სიბრმავეს. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და აჰა ესერა **ორნი ბრმანი** სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, ჳმობდეს ჳმითა დიდითა: შემიწყალენ ჩუენ იესუ ძეო დავითისო!“ „და დადგა იესუ და მოუწოდა მათ და ჰრქუა: რად გნებავს, და გიყო თქუენ?“ „ჰრქუეს მას უფალო, რადთა **აღვიხილნე თუალნი ჩუენნი**.“ „შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მესყეულად **აღვიხილნეს თუალნი** მათნი და შეუდგეს მას“ [მათე 20,30-34; ქობრ1979: 327-328]. მარკოზის სახარებიდან ვიგებთ: „...და მოჰგუარეს მას **ბრმაი** და ევედრებოდა მას, რადთა შეახო მას.“ „და უპყრა ჳელი მისი და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰწერწყუა **თუალთა მისთა და დასდგა მას ჳელი მისი** და ჰკითხა მას რასა-ძი ხედავს?“ „და **აღვიხილნა** და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა, მიმომავალთა.“ „და მერმე კულად დაასხა ჳელნი **თუალთა მისთა და აღვიხილნა**“ [მარკოზი 8,22-25; ქობრ 1979: 394]. იოვანეს სახარებაში ვხვდებით **თანდაყოლილი სიბრმავეს შემთხვევას**: „და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი, **ბრმაი შობითგანი**.“ „ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ცოდა: ამან ანუ მშობელთა

ამისთა, **რამეთუ ბრმაი იშვა?**“ „ჰრქუეს მას: ვითარ **ადგებილნეს თუ-აღნი შენნი?**“ „მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქვან იესუ თიჯად შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ სილო-ამდ და მოიბანე. მივედ და დავიბანე და **ადგებილენ**“ [იოვანე 9,1-11; ქოობრ 1979: 581, 582].

აღნიშნული მოვლენებს ვხვდებით მხოლოდ „შუშანიკის წამე-ბასა“ და „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“. ცურტაველი წერს შუ-შანიკზე: „... მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანი-კისითა, რომელსა მისცემდა მას კაცთმოყვარე ღმერთი... **ბრმათა-თვალთა ახილვად**“ [ცურტაველი 1982: 18]. უცნობი ავტორი აღნიშ-ნავს, რომ სრულიად ყრმა ილარიონს უკვე სახელი ჰქონდა გავარ-დნილი ადგილობრივ მოსახლეობაში. უბრალო ხალხი მასში მშვე-ლელსა და იმედად მოსულს ხედავდა „**თუალთა ბრმათა**“ ახელაში [უცნობი ავტორი 1982: 523; შენგელია 2012, 124].

**სმენის დაქვეითებისა** და მასთან დაკავშირებული **მეტყველე-ბის დარღვევის** – „**ყრუმს და ძნიად მეტყველის**“ განკურნების შესა-ხებ ვკითხულობთ მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში: „და ვითარცა-იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი **ყრუმ და ეშმა-კეული**“. „და ვითარცა განჯადა ეშმაკი იგი, იტყოდა **ყრუმ** იგი“ [მათე 9,32-33; ქოობრ 1979: 286]; „და მოართუეს მას **ყრუმ და ძნიად მეტყუ-ელი** და ევედრებოდეს მას, რადთა ჯელი დასდვა მას ზედა“. „და განიყვანა იგი თჯსაგან ერისა მისგან და დაასხნა თითნი მისნი და ჰნერწყუა **ყურთა მისთა და შეახო ენასა მისსა**“ [მარკოზი 7,32-35; ქო-ობრ 1979: 391, 392]; „და მეყსეულად განეხუნეს მას **სასმენელნი, და განჯსნდა კრულებად ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ**“ [ლუკა 11,14; ქოობრ 1979: 483].

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან ზემოთ აღნიშ-ნულ შემთხვევებს ვხვდებით „გრიგოლ ხანძთლის ცხოვრებაში“, მი-სი მოწაფის, ეპიფანეს მიერ ხელის ნაბანი წყლით **შობითგან ყრუ-უტყვი ქალიშვილის**“ განკურნებას, ხოლო „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ „**ყრუი და უტყვი... ყრმის**“ განკურნებას. „გრიგოლ ხან-ძთელის ცხოვრებიდან“ ცნობილია ეპიფანესთან დაკავშირებული ორი შემთხვევა: „და კვალად სხვათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესვა შვილი, ყრმაი წული, **მტერისგან ვნებული შობითგანვე, რამეთუ იყო იგი ყრუი და უტყვი და გონებანაკლული**. ხოლო ჰასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და იზარდებოდა, ვითარცა სხუად ყრმაჲ. და ვითარ იქმნა იგი ათი წლის, მას ჟამსა მამად ეპიფანე ითქმოდა სასწაულთა



მოქმედად“ [მერჩულე 1982: 281]. ასევე „ეპიფანეს მოჰგვარეს ასული **შობიდან ყრუი და უტყვი**, ხოლო ჰასაკითა მრთელი. და ვითარ ათ-ცამეტისა წლისაჲ იყო ქალი იგი, დედასა მისსა ჩვენებით მილსა შინა გამოეცხადა ღირსი ეპიფანე და ჰრქვა: – ხანძთის ჟამის წირვასა ჩემსა ხვალე მოავლე კაცი და ხელთა ჩემ, ეპიფანესთა, ნაბანი მოვსცე შენ-და და ასვი იგი ასულსა შენსა და სცხე თავსა მისსა და განკურნოს იგი ქრისტემან ვნებათა მისთაგან მადლითა ყოველთა წმიდათათა“ [მერჩულე 1982: 325]. ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს: „უფალო იესუ, ძეო ღმრთისა მამისაო, რომელი მოხუედ სოფლად მოძიებად შეცდომილთა! ვითარცა-იგი სიტყვითა აღატყვე **ყრუი იგი და უტყვი**, ეგრეთვე, მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ყრმადცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისაჲთა!“ [ზარზმელი 1982: 355].

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ოთხთავის ავტორებმა და ქართველმა ჰაგიოგრაფებმა იცოდნენ, რომ **თანდაყოლილი სიყრუისთვის** ყოველთვის თანმდევი იყო **სიმუნჯე**.

ახალი აღთქმიდან მათეს და ლუკას სახარებებში ვხვდებით ქრისტეს მიერ სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილ ადამიანთა ერთობლივი განკურნების ეპიზოდებს: „და მოუტდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვანდა მათ თანა **მკელობლები, ბრმები, ყრუნი...** და სხუანი მრავალნი თითო სახეთაგან სენთა შეპყრობილნი და დაესხნეს იგინი ფერჯთა თანა მისთა და განკურნა იგინი“; „არამედ უკვირდაცა ერსა მას, **ხედვიდეს რაი**, ვითარ-იგი **ყრუნი იტყოდეს**, და **მკელობელნი ვიდოდეს**, და **ღრევილნი განიკურნებოდეს**, და **ბრმანი ხედვიდეს...**“ [მათე 15,30-31; ქოლობრ 1979: 311], ან კიდევ: „მას ჟამსა შინა განკურნნა **მრავალნი სნეულებათაგან** და **სალმობათა** და **სულთაგან უკეთურთა** და **მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედვამ**“; „და ჰრქუა მათ იესუ: მივედით და უთხარით იოვანეს, რაჲ-ესე იხილეთ და გესმა: **ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, გლახაკთა ეხარების**“ [ლუკა 7,21-22; ქოლობრ 1979: 462].

ზემოთ ჩამოთვლილ დაავადებათაგან ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ „პეტრე იბერისა“ და „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ საუბარია **მკელობელთა განკურნების** შესახებ. ილარიონ ქართველთან ვკითხულობთ: „და ვითარ ვლო ათორმეტი დღე, პოვა სამოთხე გარეშე ქალაქისა და კარსა მისსა **მკელობელი** ერთი მჯდომარე და დაჯდა იგიცა მის თანა. ჰრქვა მას წმიდამან ილარიონ: – კაცო აღდეგ და მომართვ ტევანი ერთ ყურძენი! ჰრქვა მას **მკელობელმან**

მან: – აჰა, მამაო, სამოთხე, რადგა გინდეს მიიღე, რამეთუ მე ვერ შემძლებელ ვარ ცოდვათა ჩემთაგან აღდგომად. და მაქვს აქა ცამეტი წელი, ვინადთგან **დავკოკლდი**. და მზრდის მე უფალი ამის აღგლისაჲ. მაშინ სულთ ითქუნა წმიდამან ილარიონ და ჰრქვა მას: – აღდექ, ძმაო, უფალსა უბრძანებებს! და მეყსეულად **განემართნეს ფერხნი მისნი**. და აღდგა და შევიდა ვენახსა მას, რადთამცა მოართვა ნაყოფი. მაშინ აღდგა წმიდა ილარიონ და წარვიდა სხვისი გზით. და ვითარ გამოვიდა კაცი იგი და არა პოვა, ეძიებდა და შევიდა ქალაქად და აქვნდა ტევანი იგი ხელთა“ [უცნობი 1982: 518].

საყურადღებოა, რომ სახარების ავტორები არაერთხელ მიუთითებენ ქრისტეს სურვილზე, არ გამხელილიყო საკრალური მნიშვნელობის მქონე სასწაულებრივი განკურნების შემთხვევები მოსახლეობაში. ამასვე აღნიშნავენ თამამად ქართველი ჰაგიოგრაფები თავიანთ თხზულებებში.

როგორც ვხედავთ ოთხთავისა და ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ანალიზისას სასწაულებრივი განკურნების მაგალითები მეორდება ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში. ისინი აგრძელებენ იმ გზას და საქმიანობას, რაც ქრისტემ გაიარა მიწიერი ცხოვრების პირობებში. ზემოთ აღნიშნულ დაავადებებს კურნავენ როგორც ქრისტეს სახელის მოხმობით, ასევე სასწაულებრივი ჩარევით.

თუმცა აღინიშნისნავია, რომ ქართულ ჰაგიოგრაფულ თხზულებებში წარმოდგენილია დაავადებათა ისეთი შემთხვევები, რომელთა შესახებ ახალ აღთქმაში არცერთი მახარებელი არ მოგვითხრობს. მაგალითად, „შუშანიკის წამების“, „პეტრე იბერიელისა“ და „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრების მიხედვით კაცთმოყვარე ღმერთს შუშანიკისა და პეტრესთვის **უშვილობის მკურნალობის**, ხოლო გრიგოლისათვის **ნიკრისის ქარისა და მჯდომის (სიმსივნე)** განკურნების შესაძლებლობა უბოძებია.

ცურტაველი წერს: „და მიერთგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმედ მისი და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რად ვის უხმდა მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყვარე ღმერთი: **უშვილობა – შვილი**...“ [ცურტაველი 1982: 18]. პეტრე იბერიელის საექიმო მოღვაწეობაზე „ქართლის ცხოვრებაც“ მოგვითხრობს, სადაც აღნიშნულია, რომ პეტრე „...**უშვილობა შვილიერ, სნეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფდა**“ [„ქართლის ცხოვრება“ 1955: 134].

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხვია ადარნერსეს **სენი ტებისაა წრდიალი, რომელსა ჰრქვიან ნიკრისი** და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ, რამეთუ მუნ ჟამადმდე ყოვლად უვნებელ იყო იგი“. „არამედ შემდგომად წელიწადთა არამრავალთა ადარნერსე ხელმწიფესა რაჲ ესხნეს ძენი, გურგენ კურაპალატი და სუმბატ, მტერისგან ფრიად იტანჯებოდეს... და რაჟამს ილოცეს, სრულიად **განიკურნნეს** სიტყვისაებრ ნეტარისა გრიგოლისა და სიხარულით წარვიდეს სახით თვისა და ადიდებდეს ქრისტესა, ღმერთსა ყოველთასა“ [მერჩულე 1982: 293-294]. **ნიკრისი** გულისხმობს სახსრებისა და კიდურების დაავადებას. საბას განმარტებით „**წრდიალი**“ ნიშნავს – „ტკივილი ნამეტნაობა“ [ორბელიანი 1949]. **ნიკრისი** მემკვიდრეობით დაავადებად არის მიჩნეული და ამაზე მეტყველებს მერჩულის მიერ აღნიშნული როგორც ადარნერსეს, ასევე მისი ვაჟების, გურგენის და სუმბატის, ტანჯვა ამავე სენით გამოწვეული ძლიერი ტკივილებისაგან. ნაწარმოებში ვხვდებით აგრეთვე სასწაულებრივი განკურნების ერთ-ერთ შემთხვევას: გრიგოლს მიჰგვარეს ბასილი, რომელსაც „**ბოროტი მჯდომი**“ ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა **კურთხეულ უწოდიან**, ხოლო ძველად ჰრქვიან **სატალი**. „და ბასილი მწართა მით სენითა ქვემდებარე იგვემებოდა ვითარ ოთხდღე ოდენ“. „და მან ხელითა თვისითა უჩვენა მჯდომი იგი რამეთუ დაეპყრა ადგილი დიდი. მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა ხელითა თვისითა ადგილსა მას, სადაც იყო **მჯდომი** იგი და ჰრქვა ბასილის:— ცუდად მოგიმედგრებიეს თავი, რამეთუ არა არს ვნებად შენ შორის ყოვლადვე. და მან მოისვა ადგილსა მას და კვალიცა უჩინო იქმნა **მჯდომისა ბოროტისაა**“ [მერჩულე 1982: 299]. საბას განმარტებით **სატალი** არის „**სენი, მუცელთა მომსვრელი**“, ხოლო **მჯდომი** არის „**შიგანში დიდი მუწუკი**“. ამ შემთხვევაში ბასილს **მჯდომი** აქვს კისერზე. „უსწორო კარაბადინში“ **მჯდომი** განმარტებულია, როგორც **ბორცმეტი, სიმსივნე**. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრიგოლი ფიზიკურად შეეხო ბასილს („ძლიერად სცა ხელითა“), ანუ ჩაუტარა გარკვეული ქირურგიული მანიპულაცია. საყურადღებოა ფრაზა – „**კურთხეულს**“ ძველად ერქვა „**სატალი**“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დაავადებას ხანძთელის ეპოქამდეც იცნობდნენ საქართველოში.

ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტეს რჯულის მიმდევრებმა ღმერთისაგან მონიჭებუ-

ლი, ზეგარდმო გადმოსული, სნეულთა განკურნების უნარი გამოიყენეს კიდევ სამი დაავადების საწინააღმდეგოდ.

როგორც ჩანს, ქართველი ჰაგიოგრაფები გაცილებით უფრო ვრცლად და მრავალგზის აღწერენ ამა თუ იმ დაავადებას – ახალი აღთქმის ავტორებთან შედარებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ავტორები ადამიანთა განკურნების უნარს, ბუნებრივია, ღმერთის წყალობად მიიჩნევენ; თამამად გადმოსცემენ, ერთი მხრივ, ცხოვრებას ქართველი წმინდანებისა, რომლებიც ცდილობენ უფლის სახელით, რწმენითა და ლოცვით, უანგაროდ („უვერცხლოდ“) იზრუნონ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ხოლო – მეორე მხრივ, რწმენის საფუძველზე მოსახლეობის შინაგან მოტივაციასა და ფსიქოლოგიურ განწყობას საკრალური მნიშვნელობის მქონე, სასწაულებრივი განკურნების მიმართ.

## ლიტერატურა

**ალადაშვილი 1985** – ვ. ალადაშვილი, რას მოგვითხრობს „წამებაი წმიდისაი შუშანიკისი დედოფლისაი“ ძველი საქართველოს მედიცინის შესახებ, მსე, ტ. XXII, თბილისი.

**ბურდული 2009** – მ. ბურდული, სამედიცინო ცნობები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში (V-X სს.), ახალციხის ინსტიტუტი, გულანი 1, ახალციხე.

**ზარზმელი 1987** – სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტ. I., თბილისი.

**მერჩულე 1987** – გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტ. I., თბილისი.

**ორბელიანი 1949** – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. თბილისი.

**სააკაშვილი, გელაშვილი 1956-1958** – მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III., წიგნი I-II, თბილისი.

**უცნობი ავტორი 1987** – უცნობი ავტორი, ევსტათი მცხეთელის წამება, ქართული მწერლობა, ტ. I., თბილისი.

**ქართლის ცხოვრება 1955** – ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი.

**ქოზრ 1979** – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი.

**შენგელია 1980** – მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი.

**შენგელია 2012** – რ. შენგელია, მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, წ. I-II, თბილისი.

**ცურტაველი 1987** – იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ქართული მწერლობა, ტ. I., თბილისი.

**ხელაია 2015** – ნ. ხელაია, ქართულ დასურათებულ ოთხთავთა და სამედიცინო ხელნაწერთა სიუჟეტური პარალელები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ტიპოლოგიური მიეზანი, ტ. VII., თბილისი.

Nani Khelaia

## **Similar Stories of Miraculous Healing in the New Testament and Georgian Hagiography**

### Summary

According to the New Testament, all four evangelists, describing life of Christ, emphasize his divine nature and power, Christian love and grace, desire of salvation of mankind, idea of healing of the human race that was raised to the rank of miracle.

It is well known that Christianity was adopted by developed, culturally and mentally prepared countries and Georgia was among them.

Healing ability of Jesus was transferred to the apostles, holy fathers, missionaries of Christian religion, and the clergymen - servers.

How the episodes of Christian life in relation to healing of people were described in hagiography? This work is the attempt of considering this issue. For this purpose we have applied method of comparative

analysis of the contents of New Testament and Georgian hagiographic texts.

Based on Georgian translation of New Testament we classified as general pathologies the cases where no further specification is provided for the synonyms meaning illness “disease”, “feebleness”, “sick”, “disabled” and synonyms meaning actions against the diseases “healing”, “curing”. Such examples can be found in almost all Georgian hagiographic works.

Fragments describing wide range of phenomena of special pathologies were classified based on the diseases of the organs and systems of organs.

In psychical diseases we included “The Healing of a Devil” (mentally ill) that can be found in gospels of Matthew, Mark, Luke while in Georgian hagiography in the biographies of Peter the Iberian and Ilarion of Georgia.

In nervous diseases we included the cases of healing of paralysis resulting from stroke “The Healing of Paralytic” found in gospels of Matthew, Mark, Luke while in Georgian hagiography in the biographies of Gregory of Khandzta and Ilarion of Georgia.

The gospels describe the healing of the upper limb paralyzed as a result of stroke “The Healing a Man with a Withered Hand”, while the fragment about atrophy of lower extremity Healing of a Man with a Withered Leg is provided in the biography of Ilarion of Georgia only.

Case of epilepsy was included into the nervous diseases as well. It was mentioned in the gospels of Mark and Luke and in Georgian hagiography – in the biographies of Peter the Iberian Serapion of Zarzma and Gregory of Khandzta.

We have included into the nervous diseases The Healing of Somnambulistic Possessed by Devil, mentioned in Matthew only, in Georgian hagiography such disease is not mentioned at all.

Among the infectious diseases, New Testament mentions Healing of the Lepers in gospels of Matthew, Mark and Luke. In Georgia hagiography information about healing of this disease was provided in Martyrdom of St. Shushanik and biography of Peter the Iberian.

Among the gynecological diseases, the stories of the New Testament mention Healing the Bleeding Woman, among Georgian hagiographic monuments only Life of Gregory of Khandzta mentions this.

As for the eye diseases, all four evangelists have described The Healing of Blind. They distinguish the congenital and acquired blindness. Only Martyrdom of St. Shushanik and biography of Ilarion of Georgia mention these events.

Gospels of Matthew, Mark and Luke contain story about healing of the man with loss of hearing and related speech problem: The Healing of a Devil Possessed Deaf and Dumb Man and The Healing of a Devil Possessed Dumb Man. In Georgian hagiography such cases are described in Life of Gregory of Khandzta – “Healing of a Girl Dumb from Birth” with Epiphanius’s hand-wash water and in Life of Serapion of Zarzma – the healing of the Deaf and Dumb Boy.

In internal diseases we included ascites – The Healing of the Man with Dropsy, mentioned in Gospel of Luke only; case of homeostasis disorder, in particular, The Healing of Peter’s (Simon) Mother in Law from Fever was mentioned in gospels of Matthew, Mark and Luke while such cases were not mentioned in Georgian hagiography.

Though, it should be mentioned that in Georgian hagiographic literature there are described the cases not mentioned by any of the evangelists in the New Testament. For example, according to Martyrdom of St. Shushanik, biographies of Peter the Iberian and Gregory of Khandzta, Lord has granted to Shushanik and Peter the ability to heal infertility and to Gregory – healing of gout and lesions. This example clearly shows that followers of Christian religion have applied their abilities granted by Lord against three more diseases. Consequently, we can state that Georgian hagiographers have went beyond the authors of the New Testament in describing various diseases.

Finally we should mention that the authors of hagiographic monuments experience influence of Christian religion, regard the ability of healing as the Lord’s gift, freely describe, on one hand, the lives of Georgian saints, attempting to take care about human health in Lord’s name, with faith and prayers, gratuitously, “for no silver” and on the other – readiness and psychological attitude of the population towards the miraculous healing.

## მაია ჯალიაშვილი

### მეტაქანრული რომანის პოეტიკა – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“

„ბევრ ჟანრს გამოვიგლოვებთ ცხოვრებაში,  
დარჩება მხოლდ მეტა-პოეზია და მეტა-ადამიანი“  
ბესიკ ხარანაული.

„ერთადერთი რეალობა არის ის, რასაც ვფიქრობთ“  
მარსელ პრუსტი.

„რანაირია წიგნი, რომელიც სულ იკითხება და იკითხება? არ გასდის ადამიანს სულიდან იმის გემო და უნდება კვლავ და კვლავ გადაშლა და კითხვა და კითხვა... რადგან არ აშინებს, არ მოძღვრავს, არ ირწმუნება, არამედ, თითქოს სარკის შუქს დაატარებს იმის სულის ჩრდილში, რომ საიდუმლო კუნჭულები გაუნათოს და შეახსენოს თავი, სრულ და შეუბღალავ სიმარტოვეში“, – წერს ბესიკ ხარანაული და თვითონვე ქმნის ამგვარ, მეტაქანრულ წიგნს, „მთავარ გამთამაშებელს“, რომელშიც „ადამიანი სულ მიედინება“.

წიგნი დაქსელილია სივრცული და დროული ბადეებით, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ განზომილებებს ქმნიან. ცხადი, სიზმარი, მითი, ლეგენდა, ზღაპარი, წარსული, მომავალი – თანაბარი ინტენსივობით შემოიჭრებიან და ერთმანეთს გამსჭვალავენ. რეალობისა და ირეალობის გადაკვეთის გზებზე, ერთგვარ გზაჯვარედინებზე წამიერად შეყოვნებული ავტორი ერთ რომელიმე გზას კი არ ირჩევს, ერთ რომელიმე დრო-სივრცულ არეალს, არამედ – ერთდროულად რამდენიმეს. როგორ ახერხებს ამას? პოეტი თვითონვე ცდილობს აუხსნას მკითხველს, თუ ის ისეთი ერთგული აღმოჩნდება, რომ გაუძღვება განზომილებებში ხეტილის თავბრუსხვევას და ბოლომდე მიჰყვება. იგი ერთგან წერს: „სიზმარში მთხრობელის შემოსვლა მთელი ამ ვიზუალური სცენებით, განზომილებების თამაშსა ჰგავს“. მისთვის, მეტაფორულად, „სივრცე სუფრაა, დრო მარილია“. მას აწუხებს ის, თუ „როგორი მნიშვნელოვანია ყველაფერი სიზმარში და როგორი უმნიშვნელოა ქალაქზე“ და სწორედ ამ წინააღმდეგობას გადალახავს ამ წიგნში, დაწერილშიც ინარჩუნებს



სიზმრისეულ ნაგრძნობს. „ძილი ნიშნავს ცოტა ხნით სამყაროს გატანას შენი ცნობიერებიდან გარეთ“ (ბორხესი). გვახსენდება ლუის ბუნუელის სიზმრისეული ფილმებიც: „ჩემთვის რომ ეთქვათ: „სულ ოცი წლის სიცოცხლე გრჩება, რით შეავსებდი ყოველი დარჩენილი დღის ოცდაოთხ საათსო“, – ვუპასუხებდი: „მომეცით ორი საათი აქტიური ცხოვრებისთვის და ოცდაორი – სიზმრებისთვის, ოღონდ იმ პირობით, რომ ვერ დავიმახსოვრო“

([http://24saati.ge/index.php/category/culture/2010-04 02/5100.html](http://24saati.ge/index.php/category/culture/2010-04%2002/5100.html)).

პოეტი ხილულისა და უხილავის სივრცეებში ერთდროულად განაცდევინებს თავს მკითხველს და ნაცნობ სამყაროს ახლიდან აღმოაჩენინებს. ეს ჰგავს დროში ხეტიალის მარსელ პრუსტისეულ გამოცდილებას. ისიც დაკარგულ დროს დაემებდა და ამას არატრადიციული და ორიგინალური თხრობის სტილით ახერხებდა.

ბესიკ ხარანაულს სურს, თავი დააღწიოს მკითხველისთვის ჩვეულ, ნაცნობ ათასგვარ წერის მანერას და ერთგვარ მეტათხრობას მიაგნოს, რომელიც ამბის, შეგრძნების, ნაფიქრის უბრალო გადმოცემის მიღმაა. ამიტომაცაა, რომ იგი მკითხველთან სიტყვით ურთიერთობის საოცარ ხვეულებს ქმნის. ამ წიგნში ხშირად შეხვდებით კომპოზიტებს, რომელთა შემადგენლობაშია სიტყვა მეტა, მეტაჟანრი, მეტაწიგნი, მეტაპოეზია, მეტაადამიანი, მეტამორალის... მეტაფიზიკის ანალოგიით.

რა ჟანრი გაუძლებს მეტათხრობას? „რა სასაცილო იქნებოდა, რომანს რომ ვწერდე, მოთხრობას რომ ვწერდე, ლექსს... რადგან ეს ხომ არ იქნებოდა ისეთივე რეალობა, როგორც ჩვენს დროში ტექნოლოგიაა?“ „მივხვდი, ჩემი ტექნოლოგია ჩემი საკუთარი ენის ტექნოლოგიაა, გარემოებით ჩემს გვამში ძარღვებისა და ნერვების სიმებად გაბმული“. „ძალიან მინდა ვსაუბრობდე ვინმე უცნობზე, მაგრამ ასეთი მხოლოდ მე თვითონ ვარ“, „სუნთქვითა ვწერ და არა სიტყვათწყობით“. „ჟანრის ძიებაში მე თვითონ დავდგინდი“. „ვეწერ. რას, რომ არ ვიცი. ხალხი თვითონ დარქმევს სახელს“. ამიტომაცაა, რომ ამ წიგნში მკითხველი შეხვდება ყველა ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, ერთგვარ ჟანრულ მოზაიკას.

მთელი წიგნი „მეს“ უსასრულო და უცნობ სამყაროში ხეტიალია. ეს მე ყოველწამიერად გარდაისახება სიტყვის ძალით და ცდილობს, უცხო ნიღაბში, უცხო ტყავში ჩასახლებულმა შეგვაგრძნობინოს, როგორია სინამდვილეში ცა, დედამიწა, სამოთხე თუ ჯოჯოხეთი. მთელი წიგნი არის თამაში სიტყვებით, ფრაზებით, შინაარსით,

მხატვრული სახეებით, მოტივებით, თემებით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც წარმოსახულ, წიგნის სამყაროში ხდება. დაწერილი (ან წერის დრო, როცა წარმოსახულს სიტყვით ახორციელებს) არის პოეტის მატერიალურ-სულიერი არსებობის მთავარი სივრცე. მისთვის წიგნის წერა არის თვითონ სიცოცხლე. სიცოცხლე, რომელიც ჯერ პოეტს ათავისუფლებს ყველგანმყოფი და ყოვლისგამსჭვალავი მოკვდავობისა და მისი თანმხლები ათასგვარი შიშისგან, ხოლო შემდეგ მკითხველს, „თანაც, ახლა ეს ჩემი წიგნი სხვა ენის ხალხებსაც რომ წააკითხა... იგრძნობენ, შიშის მაგივრად სიხარული ჩაუდგათ გულში“. ასე რომ, იგი ადამიანის ხსნის მისიას აკისრებს წიგნს, რომელსაც შეუძლია მკითხველს დაეხმაროს, გულის კარი გაუღოს სიყვარულს (ღმერთს).

მისთვის წერა არის გამოცნობა, შეცნობა სამყაროსი და საკუთარი თავისა. ორივე ერთმანეთს გამსჭვალავს. სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შემცნობი, მისი გადამწერი, ამ შემთხვევაში, მწერალი არსებობს. დეკარტისეული, ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ, ავტორისთვის ასე იცვლება: ვწერ, ე. ი. ვარსებობ.

ის ოცნებობს ისეთ წიგნზე, რომელსაც არც დასაწყისი ექნება და არც დასასრული ღმერთით. ბორხესის „ქვიშის წიგნიც“ ამ ოცნების დევნას გამოხატავს.

წიგნის სათაური – „მთავარი გამთამაშებელი“, მრავალმნიშვნელოვანია. მწერალი მის „დაბადებასაც“ მისტიკურ საბურველში ახვევს: „ამ წიგნის სათაურიც ხომ სიზმრიდან ამყვამ, თორემ, ისე, გიჟი უნდა ვიყო, რომ ვიკითხო მთავარი გამთამაშებელი – ვინ არის? რა არის?“ იგი ხან მხატვრულ ტექსტშია, ხან მის მიღმა, ხან მიწიერია, ხან ზეციური, ხან კაცია და ხან ქალი, ხან ბედისწერაა და ხან შემთხვევითობა და ა. შ. ამ სიმბოლოს შესახებ თვითონ მწერალი გააზნევს მსჯელობებს მთელ წიგნში, როგორც ასაკენკს, რომ მკითხველმა ბოლომდე მისდიოს და გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, ვინ თუ რა არის ეს მთავარი გამთამაშებელი.

ბოლოს შეიძლება დაასკვნას: მთავარი გამთამაშებელი შეიძლება იყოს ყველაფერი: სულიერიცა და უსულოც. ის იცვლება დროისა და ვითარების შესაბამისად. შეიძლება ერთ წამში სხვა იყოს, მეორეში სხვა და რადგან ერთ წამშიც კი შეიძლება ყოფნა სხვადასხვა განზომილებაში, მთავარი გამთამაშებელიც ამ ერთ წამში შეიძლება იყოს სხვადასხვა.

მწერლის საფიქრალია, რა წარმართავს მის ყოველწამიერ სულიერ მოგზაურობას ნაცნობსა და უცნობ სივრცეებში: თვითონ, მისი ცნობიერება (სული, გული, გონება, გრძნობა...) თუ სხვა რამ გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი. წიგნის წაკითხვის შემდეგ კი მკითხველს მთავარი გამთამაშებლის ერთი მნიშვნელობა, ნიღაბი ამახსოვრდება: მთავარი გამთამაშებელია თვითონ მწერალი, შემოქმედი, რომლის გარეშე არანაირი „თამაში“, ე. ი. მხატვრული ტექსტი, არ შედგება, თუნდაც მოკარნახე ღმერთი იყოს: „ჩემი თავის თემა მექცა ჯოჯოხეთად – ჩემს საკუთარ თავს მე მათამაშებენ“, „მე მოვიფიქრე სიზმრიდან ცხადში და სააქოდან საიქიოში გამავალი ფანჯრები. დაბოლოს, მე მოვიფიქრე საიქიოს ეპოსის ფანჯარა“. ეს უკანასკნელი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ალუზიაა.

წიგნში ერთი თავიც არის ამგვარი სათაურით: „მკითხაობა მთავარ გამთამაშებელზე“. აქ ავტორი მკითხველის ნიღბითაა და გამოთქვამს ვარაუდებს, ვინ და რატომ შეძლება იყოს მთავარი გამთამაშებელი. ამ ვრცელ მსჯელობებში მყდავანდება ავტორის შეხედულებები ყველა იმ საკითხზე, რომლებიც წიგნშია. აქ ერთგვარად დაწნეხილ-დაწურულია ყველაფერი და სარკესავით ირეკლავს სამყაროს ყველა ტკივილს. ასე რომ, მკითხველს შეუძლია, თავიდანვე წიგნი ბოლოსკენ გადაშალოს და გაიგოს, ვის გულისხმობს მწერალი მთავარ გამთამაშებელში (ან უფრო დაიბნეს). ის ღმერთი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად მას ჰგავს. ყველგანმყოფია, მრავალსახოვანი, უკვდავი. ამ მსჯელობებში სავარაუდო მთავარ გამთამაშებლებად „ეჭვიმტანილინი“ არიან შესაბამისი „მტკიცებულებებით“ ამგვარი თანამიმდევრობით – ღმერთი, მეფე, სიქაჩლე, ქალი, ცათამბჯენები, ნაწარმოები, სიცოცხლე, ხსოვნა, სიგლახაკე, სიტყვა, სიმდიდრე, ხელოვნება, გონება, ინსტინქტი, ეშმაკი, ფული... და ერთგვარი დასკვნა:

„ჰომო საპიენს პალიმფსესტია, რომელზეც წერს

ჰომომიმაგინასი.

წარმოსახვას ვერაფერი ეწევა. წარმოსახვა დროის დილემში  
წინმსწრაფი სხივია, წარმოსახვა ეპოქას განელტვის, რომ

შობოს

ეპოქა. მთელი სამყარო ერთ ნაჭუჭშია, ერთადერთი ცენტრი  
თავმდაბლობისა, ავი, ბოროტი, – პერიფერიებშია.

დედამიწა სამყაროს პერიფერიაა.

რა უფრო მეტია, თამაში თუ ტექნოლოგია? დასაწყისი ყოველთვის ერთნაირი იყო: გმირი თუ ურჩხული, ოდისევსი თუ პოლიფემე?“.

პოეტი ისაა, ვინც დროისა და სივრცის მიღმა დახეტიალობს, სულ ერთია, წარღვნამდელია თუ თანამედროვე, ამიტომაცაა, რომ წიგნში წარღვნამდელი პოეტის ლექსები ისევე იკითხება, როგორც ჩვენი დროისა: „რაც არის, ის უკვე იყო, და, რაც იყო, ის უკვე არის, ამიტომაც, მსგავსებას რომ ნახავთ რამეს, არ გაიკვირვოთ: „მეც წარღვნამდელი ვიყავ, როგორც დღეს ხართ თქვენ წარღვნამდელი“. წარღვნა, ისევე როგორც მეორედ მოსვლა, აპოკალიფსი ახლა ხდება, უბრალოდ, ზოგი შეიგრძნობს, ზოგი ვერა. როგორც იოანე მოციქული წერს: „რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს“ (იოანე, 5, 25).

ბესიკ ხარანაულის ამ წიგნში კი ისმის წარღვნამდელი პოეტის ხმა, რომელიც ამბობს, რომ ის იყო, არის და იქნება, რადგან ღვთის შემოქმედებას სჭირდება ხელოვანი-ინტერპრეტატორი, რომელიც თაობებს გადასცემს მხატვრულ სახეებში დაშიფრულ სიცოცხლის აზრსა და მიზანს. „პოეტები გაჰყვნიან ბუნებას, რათა, როცა წარღვნა კვლავ გადაივლის, გამოიშალონ ჰომეროსები“.

დღეს რა ხდება?

„მანამდე კი დისკურსნარატივები და სიტყვათწყობის ტექნოლოგიები, დაბრეცილები, მოფარფატეები, ზეთჩამომდინარნი, სივებით, პროექტებით, ზურგჩანთებითა და კურიკულუმებით,

მოჭრიან თიხას და ადამებს გაატირაჟებენ და ევასაც, რაღა თქმა უნდა, შრომით დაქანცულნი. არ მიიღებს მათ პროდუქტს ჰომეროსი, არც არავინ მწკრივიდან გამობურცული, ეტყვიან, გასწავლით: - თიხა თქვენი ნერწყვით მოზილეთ, გამოძერწეთ თქვენივ თითებით და რომ დარწმუნდებით, რომ სრული ხატია, სული ჩაბერეთ“ [ხარანაული 2012: 165].

მწერალი ამგვარი ირონიით წარმოაჩენს იმ თანამედროვე ავტორებს, რომელთაც არ ძალუძთ „სრულქმნა სიტყვათა, გულისა გა-

საგმირეთა“ (რუსთაველი) და მაინც ჯიუტად ცდილობენ, თავიანთი ნაწერები პოეზიად გაასაღონ.

ამ წიგნშიც, ტრადიციის კვალდაკვალ, პოეტი მარადის მარტოსულია: „პოეტს, მიცვალებულივით ეჩვენება, რომ ერთი ვინმესთვის მაინცაა ახლობელი. მაგრამ ისეც ხდება, რომ თვითონაა ახლობელიც და მიცვალებულიც“ (265).

მწერალი თავისი ჩანაწერების ამ კრებულს ჟანრობრივად ამთლიანებს მინაწერით: მეტაპოეტური წიგნი-კონცერტი. მეტაპოეტური მინაწიშნებს იმაზე, რაც პოეტურობის მიღმაა, რაც სიღრმეშია და რის შეცნობასაც სულიერი ძიება სჭირდება:

„სხვაა მეტაფორაში, სხვაა სინამდვილეში,  
ამიტომაცაა, რომ სინამდვილე და მეტაფორა განუწყვეტელიც  
ივლიან ფალანგებს, რომ ცხოვრებას თამაში მოუგონ“.

კონცერტი სანახაობაა, სადაც ადამიანი მიდის გასართობად.

ეს წიგნიც სანახაობაა ადამიანური ყოფისა.

ერთ მშვენიერ დღეს მწერალმა „მეხსიერების ერთი დაკეტილი უჯრა გააღო“ და იქიდან „ნახევარი საუკუნის წინანდელმა შთაბეჭდილებამ შემოანათა“ და გაჩნდა ახალი მიზეზი ახალი წიგნის შექმნისა: „როგორ გადმოვხატო და გადმოვიწერო ეს სმენითი და ვიზუალური წარსული? ეს წამი საკმარისია მხოლოდ წიგნის ზოგადი სახის დასანახავად და არა წიგნისთვის, რომელსაც მინდა, რომ მივცე სახე იმ კონცერტებისა, რომლებსაც ბავშვობაში უამრავჯერ დავსწრებივარ და ახლა მე ჩემი თავისგან იმავეს ვითხოვ – ამბავს, სიმღერას, ცირკს, ცრემლს და სიცილს... ყველაფერს ერთად, ერთ წიგნ-კონცერტად, როგორც მაშინდელ წარმოდგენებში ხდებოდა, და, თავისი ჟანრული მრავალფეროვნებით ნამდვილი დღესასწაული იყო...“ „ვის შესწევს ძალა, რომ მთელი ეს მრავალფეროვანი თეატრალური და საცირკო შთაბეჭდილება თავისი წარმოსახვის ფრთებქვეშ მოაქციოს და იმის ქარგზე გამოჭრას წიგნი?

აღბათ იმას, ვისაც შეუძლია, ყველაფერი ერთად დაინახოს, შეუძლია დაიმახსოვროს და დაიტიოს საფეთქლებით შეკრულ უჯრაში... მით უმეტეს, როცა სოფლის გარიჟრაჟებზე და სადამოებზე გაზრდილი და ადვილად შეუძლია

ოყოს – კონცერტი!“

ამ წიგნის კითხვისასაც მკითხველი უცნაურად ამოვარდება ჩვეულებრივი რეალობიდან და აღმოჩნდება ახალ რეალობაში, რომელიც სინამდვილეს ჰგავს და განსხვავდება კიდევაც მისგან – ჰგავს იმით, რომ აქაც ადამიანური შეგრძნებები, სურვილები იხატება, განსხვავდება იმით, რომ მკითხველი ერთდროულად განიცდის სხვადასხვა სივრცულსა და დროულ განზომილებებს. აწმყო, წარსული და მომავალი ერთად წარმოუდგება.

მაინც საით მიგვიძღვება მწერალი? „გადავწვიტე, გამოვძვრე ლიტერატურის ტყავიდან, ავიწიო, ავიწიო და მივაღწიო იმ ზღვარს, სადაც სუფევს მეტა-პოეზია...“

მეტაპოეზია, – ლექსის იქით, ფურცლის იქით, აზროვნების იქით, სახელშერქმეული გრძნობების და საგნების იქით...“ ეს ჰგავს ფრანგ სიმბოლისტთა წმინდა პოეზიის ძიებას, რომელიც უნდა ყოფილიყო „მთვრალი სურნელთა იდუმალებით“, „სხვა ყველა არის – ლიტერატურა“ (პოლ ვერლენი, "L'art poétique"). ბესიკ ხარანაული ფიქრობს, რომ „ადამიანიც მისახედა, ისიც კარგა ნაღეჭია მწერლობისაგან, მაგრამ, რაც უნდა დედა უტირონ, მაინც რჩება მეტა-ადამიანი, თავის წარღვნამდელი ხსოვნით... მეტაადამიანობით – თავისუფლების იქით, კანონებს იქით, წესრიგს იქით, სოციალურობას იქით – ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი პირველყოფილი ველური, რწმენის უსაზღვრო გზაზე დამდგარი, რომლისთვისაც ყველა აზრი დრომოჭმულია...“ [ხარანაული 2012: 135].

წიგნის „ცხრაკლიტულების“ გასაღებები თვითონ წიგნშივეა.

ერთი ასეთი ცხრაკლიტულია ყდაზე ავტორთან გამოსახული უცხო კაცი.

ეს კაცი პოეტის თანასოფლელი ამირანია. ავტორი მის გვერდით სხვანაირია, რადგან ამ წიგნში ამირანიც ერთ-ერთი მთავარი გამთამაშებელია, რომელიც ლეგენდად და მითად გადაიქცა, რადგან ბედისწერისა თუ შემთხვევის წყალობით, რომელიდაც წლის, თვისა და რიცხვის, საათისა და წამის მონაკვეთში პოეტთან ერთად ფოტოზე აღიბეჭდა. ესეც მოჭიდავეა, ცხოვრებასთან დამარცხებული, როგორც ის, კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული ახლაც, ოღონდ სხვა განზომილებაში. „ვისაც თვალები აქვს, დაინახავს“, როგორც სახარებაშია. და დაინახა ის მწერალმა აქ და ჩვენს დროში. ისევე როგორც აქ და ახლა ხედავს პავლე მოციქულსა თუ სტეფანეს, რომლის დასჯასაც დაესწრო ჯერ კიდევ „ბრმა“ სავლე და შემდეგ, თვალახი-

ლული დღემდე ქადაგებს. ვისაც ყურები აქვს, გაიგონებს, როგორც სახარებაშია.

„მოცილილო მკითხველო“, – ასე მიმართავს მკითხველს „დონ კიხოტის“ დასაწყისში სერვანტესი, „თუ დრო არა გაქვს, ნუ დაიწყებ კითხვას“, – გოდერძი ჩოხელი „ადამიანთა სევდის“ დასაწყისში. ბესიკ ხარანაული ამ წიგნის სადღაც, შუაგულში: „რაც მიყრია, იმას ვფქვავ, სულ არ ვცდილობ, რული არ მოგვგართ“. მართლაც, მკითხველი აქტიურად უნდა ჩაერთოს კითხვის პროცესში და ხანდახან მწერალსაც დაეხმაროს თხრობის ლაბირინთებიდან გამოღწევაში: „მკითხველო! დამეხმარე, ლაბირინთში ვარ! ძაფი ამებურდა, რაკი ქსოვისა არაფერი გამეგება. არ ვიცი, სადა ვარ, არ ვიცი, რა ვქნა... ცხადი, სიზმარი, საიქიო, სააქაო... ახლა კიდევ წარღვნა, რომელიც უკვე ცხადში მერევა... შენი საქმეც არის, შენც ჩემსავით დამრწიხარ სიზმარ-ცხადში და ელი წარღვნას“. „ეს წიგნია დაეჭვებულთათვის, ვინც მიწას ფეხისგულებით გრძნობს და ჰაერს ყურის ქალამნებით! სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველო!“

წიგნი იწყება ერთგვარი მეტაპოეტური „გამოცხადებით“ – უჩინარი წამყვანი, როგორც წინასწარმეტყველი, ადამიანებს მიანიშნებს აპოკალიფსის მოახლოებაზე. მკითხველი თითქოს ბიბლიის რომელიმე ტექსტს კითხულობს, უფრო ზუსტად, იოანე მახარებლის მიერ კუნძულ პატმოსზე ხილვით ჩაწერილ „გამოცხადებას“.

„თქვა: როგორც კი აღარ მოვა მამაჩემი თქვენთან და ჩემთან,  
როგორც კი აღარ მოხვალთ თქვენ ჩემთან,  
ეს იქნება ნიშანი.

ყოველ ხეს გამოარჩევს ნაყოფი.

რადგანაც, აჰა, იციან, უბრალოებმა ჩემი სიტყვა,

ბრალიანებმა კი არ იციან.

აღარ დავეკითხები ჩემს თავს: ამ კაცში თუ დგას ის ჭამი,

როცა მას შეუძლია სიკეთე ჩაიდინოს“ [ხარანაული 2012: 201].

თუ კაცს აღარ ექნება მაღლი სიკეთის ქმნისა, მაშინ აღიგავება პირისაგან მიწისა სამყარო. წიგნის პირველი სიტყვა: „თქვა“, მიანიშნებს უფალზე, რომელიც ადამიანებს მათივე საშუალებით ელაპარაკება. ამ შემთხვევაში თვითონ მწერალია ერთგვარი მედიუმი, რომელსაც მოაქვს ღვთის სიტყვა ადამიანებამდე.

ამის შემდეგ ცხადდება ღვთის რისხვის მიზეზი: „ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე“. ამ „ატეხილობის“ დამადასტურებელი არაერთი ეპიზოდია წიგნში მოყვანილი, ხან ამბისა და ხან მსჯელობის სახით. უპირველესი უგუნურება, უზნეობა, მწერლისთვის ადამიანის ბუნებისგან მოწყვეტა, მასთან დაპირისპირება და ამით გამოწვეული საფრთხეა: „მიყურებს მე ბუნება... დაჩეხილ სახით და წამწამებგაცლილი თვალებით, გატეხილი ლავიწითა და მორყეულ ძვლებზე ყანყალით, მიყურებს წამით ჩემკენ შემოქცეულ ნადირის სახით და მეუბნება – შენც გადაშენდები!“ პოეტისთვის ამგვარივე საფრთხეა ისიც, რომ „ამ დროში, საიდანაც ვმეტყველებ, ტექნოლოგია ერთმმართველი დიქტატორია, მისთვის ყველაფერი ან ახალია, ან ძველი, რომელიც უნდა განადგურდეს. ყოვლისმომცველია ტექნოლოგიური აღმსარებლობაც“.

ბესიკ ხარანაულის სტილი ამ წიგნში ერთგვარი მეტა-სტილია. იგი გვაგონებს ხან მახარებლების, ხან ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ და ხან ლაო ძის „დაო დე ძინის“ წერის მანერას. ამ სამივესთან აკავშირებს: ერთგვარი ზემთაგონებულობა, სისადავე, უბრალოება, პოეტურობა, სიბრძნე, გულწრფელობა, ამასთანავე – საოცარი მიზიდულობისა და დატყვევების ძალა, მუდმივი შეგრძნება იმისა, რომ მკითხველი „განძის მაძიებელია“ და რაც უფრო თავდაუზოგავი იქნება კითხვისას, მით უფრო მიუახლოვდება საწადელს. ეს საწადელი კი ის საოცარი სიმშვიდეა, რომელსაც სულისა და ხორცის ჰარმონიული თანაარსებობით მიაღწევს კაცი. ამგვარი სიმშვიდის ძიება მხოლოდ დიდ ბრძოლას, ჭიდილს გულისხმობს საკუთარ თავთან და მთელ სამყაროსთან. ეს ბრძოლა არასოდეს მთავრდება.

ამავე დროს, პოეტის სტილისთვის დამახასიათებელია ირონია საკუთარი თავის, მკითხველის, სამყაროს და ყოველივე იმის მიმართ, რის შესახებაც წერს. „თუმცა ეს წიგნი არ არის ლიტერატურის ეპიტაფია, ყველა ჟანრიდან გადარჩება მხოლოდ პოეზია – სიმწვანე, სილურჯე, ადამიანი – იმისი იქნება... და მეც, ლიტერატორი ხომ არა ვარ, მე ხომ გატყავებული, ნიშნისმოგებით მდინარეში გადაგდებული მელა ვარ, რომელიც, მიუხედავად განწირულებისა, ქვეყნიერებას მაინც დასცინის“.

წიგნის დასაწყისში „მოთელვა თამაშის დაწყების წინ“ – მოგვაგონებს კონცერტის დაწყებამდე სხვადასხვა ინსტრუმენტის აწყობა-გასწორებას. ზოგიერთი ფრაზა მუქი შრიფტითაა გამოყოფილი – მკითხველს შეუძლია ჯერ მხოლოდ ისინი წაიკითხოს, მოემ-



ზადოს თამაშისათვის, წაკითხვისათვის. გაისმის ქაოსური ხმები – ამ შემთხვევაში, მკითხველი კითხულობს ერთმანეთზე მიჯრილ სტერიონებს, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდებიან. ეს ფრაზები, „ხმები“ კონცერტის დროს დაიწმინდებიან და ჰარმონიულად შეერწყმიან ერთმანეთს. მაგრამ ამ ფრაზებს ამ ერთგვარ „ქაოსში“ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობები. ხშირად სენტეცია თუ მაქსიმია. მაგალითად: „თუ არ იბრძვი, ბუნებას არ შეესაბამები“, „სიკვდილის უნახავმა სიცოცხლისა რა უნდა ვიცოდე“, „პოეზიასაც ჰყავს ფარისევლები და სადუქვევლები“, „მოვა დრო და ჩემი გახსენება ნაბიჯს აგირევთ“, „მკვდარს შემიპყრობენ, დამთავრდება ჩემი გაქცევა“, „პოეტი ისევე ჭირდება ცხოვრებას, როგორც ფეხსაცმელს ლანჩები“, „ამ ქვეყნად ყველაზე ახალგაზრდა არსება ჩემი წიგნია“ და სხვ. ერთი კიდევ: „მოთელვა პირველ ოფლამდე“.

ამ ერთგვერდიან ჩანაწერში იმდენი საფიქრალია ჩაწეხილი, რომ მის მისაყოლად, გასააზრებლად, შესამეცნებლად ნამდვილად გამოუვა მკითხველს ოფლი და თუ ეს ასე მოხდება, მაშინ საქმეც დაიწყება – ამ წიგნის წაკითხვის საქმე, რადგან ეს უზრალოდ მხატვრული სამყარო არ არის, არამედ ისაა, რომლის საშუალებითაც უნდა შევიმეცნოთ დროსა და სივრცეში ჩვენი არსებობის აზრი და მიზანი. ეს „საქმეა“ თვითონ მწერლისთვისაც, ამიტომ ის არასოდეს დამთავრდება მის სიცოცხლეში.

„ვიდრე თამაში დაიწყებოდეს, მკითხველი და ავტორ-გამთამაშებელი ფურცლის მინდორზე მოთელვას გადიან“. ხოლო მოთელვას თუ „გადაურჩები“, ესე იგი, წიგნს არ მიატოვებ, მაშინ დაიწყებ „შენი თავის ძებნას“. მთელი წიგნიც – ეს არის საკუთარი თავის ძიება, სულის მოგზაურობა, სულის თავგადასავალი. ამგვარი განზრახვით არაერთი წიგნი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება. ესეც მათ შორის. მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაზე“ საუბრისას მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა: „პრუსტის ტექსტი სულის ისეთივე მოგზაურობაა, როგორც „ღვთაებრივი კომედია“ – სულის შინაგანი მოგზაურობის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე დიდებული ჩანაწერი“ [მამარდაშვილი 2011: 37].

მკითხველი თითქოს შეეჭიდება მწერალს, რომელიც ტექსტში უჩინრადაა. ეს შეჭიდება მქლავნდება კითხვისას აღძრულ ფიქრებსა და წარმოსახვებში. მწერლისთვის მთავარია, მკითხველი არ გაიქცეს „სათამაშო მოედნიდან“, ამისთვის ის ყოველ ღონეს ხმარობს, ათასნაირ უკვე ცნობილსა თუ უცნობ, დავიწყებულ ილეთს იყენებს, პირ-

ველ რიგში, გულწრფელობას, მკითხველსაც აქეთვე უბიძგებს – ერთგვარი სულიერი გაშიშვლებისკენ, რათა შემეცნების გზას წინ არანაირი „სამოსი“ და „სამკაული“ არ გადაელობოს. „აბა, დაიწყე ჩაძირვა შენს საკუთარ სულში (ადვილად ითქმის), ცხრაჯერ ცხრა ფეხი სანთელი დაგეწევა, ვიდრე იქ ჩახვალ და იხილავ საკვირველებას. ადამიანის სული ხომ ნაწილია უსასრულობისა და არა თვითონ ადამიანისა“.

მთელი წიგნი ერთგვარი დროსივრცული ლაბირინთებით არის დაქსელილი. ეს არ არის ბნელი ტალანები, არამედ – განათებული საოცარი პოეტური ფრაზებითა და მრავალმნიშვნელოვანი სიბრძნით. მწერლის მხატვრულ სამყაროზე დაკვირვება მკითხველს აქამდე შეუმჩნეველს დაანახვებს. ამ ჩანაწერების ყოველ ნაბიჯზე ნაღმებივით ფეთქდებიან აზრები, რომელთაც სიცოცხლის გულის-გულში შეყავხარ. „ობობას შიგნით ისეთივე გუგუნია, როგორც სამყაროში“. „დაფრინავს პეპელა! ბუნების ენერჯიაა მის აფრებში... ის არ შეიძლება თავისი თავის წინააღმდეგი იყოს...პეპელა ბუნებას აკვდება ხელში, შენ კი შენს თავს“.

კითხვისას მკითხველს თან დაჰყვება უჩინარი აჩრდილივით პოეტი, რომლის ხმა ხან მიწიდან გაისმის, ხან ზეციდან, ხან მკითხველისავე არსებიდან. ამიტომაც არის რომ ტექსტის ფრაგმენტები ხან პირველ პირშია დაწერილი, ხან მეორეში და ხან მესამეში. მწერალი მკითხველის მზერას ხან გარეთ მიმართავს, სამყაროს ცალკეულ დეტალს, ცხოვრების მოვლენებს დაანახვებს, ხან უქადაგებს, მიმართავს, მოძღვრავს, საყვედურობს, ამუნათებს, ხან მოუწოდებს, ხან სულისკენ ჩაუბრუნებს მზერას, უცნაური ჭკრეტით წარსულსა და მომავალს მოახილვინებს, ერთი სიტყვით, მკითხველს სრულფასოვნად „აცხოვრებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველანაირ ადამიანურ ვნებას და სურვილს განაცდევინებს, ათასნაირ თემასა და მოტივზე დააფიქრებს, დაყრუებულ მკითხველს ბუნების მრავალხმიანობისთვის მიაგდებინებს ყურს, რაღაცის გაგებაში მიეხმარება, რაღაცის გასაღებს კი დაუმაღლავს, რათა თვითონ დამოუკიდებლად აღიძრას გამოცნობისათვის: „გარეგნობას თუ მოიშორებ, ნახე, როგორ დამსუბუქდები“, „კაცი შენშიც სულ იმალება“.

წიგნში ხან სათაურებით, ხან ვარსკვლავებით გამოყოფილ ფრაგმენტებს ხანდახან ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ შემეცნების გზაზე საფეხურები არიან. რაღაც ახალსა და განსხვავებულს, ხან ნაცნობს, მაგრამ თან ახლებურად გადააზრებულს ხვდება

მკითხველი და მიიწევს წინ. წინ იმ თვალსაზრისით, რომ ფურცლავს წიგნს, თორემ ისე, წრეზე ტრიალებს, მიდის იმიტომ, რომ დაბრუნდეს. მაგრამ ყოველი დაბრუნება შემეცნების ახალი საფეხურია. დაწყებისა და დაბრუნების წერტილი იგივეა – საკუთარი თავი, მაგრამ უცხო და ახალ განზომილებაში და ეს განზომილებანი ისევე დაუსრულებელია, როგორც სიტყვით შექმნილი ან შესაქმნელი სამყაროები: „სადღაცა მყავს ჩემი ჭკვიანი თავი... ვწვდები, ვწვდები, გაწყვეტაზე ვარ. ის კი კლდოვანი უფსკრულის თავზეა და ვწვდები და ვგრძელები, რომ მივეტანო და ვცურდები და უფსკრულის ჰაერში ვფხიზლდები“.

წიგნის მთავარი მიზანი (თუ შეიძლება ერთი რომელიმე მიზნის გამოყოფა) არის საკუთარი „თავის ძლევა“. ამიტომაც ხშირად არის ერთგვარი მედიტაციები. პოეზიის გზით მკითხველი ვარდება ექსტაზში და საკუთარ სულში მოგზაურობს. ავტორის პოეტურ-ფილოსოფიური მსჯელობანი ეგზისტენციალურ საკითხებზე მკითხველს სამყაროს უხილავი განზომილებების შესამეცნებლად უბიძგებენ.

წერილი წიგნში დასმული მწერლისვე კითხვა-ოცნებით (სულ რომ იკითხება, ისეთ წიგნზე) დავიწყეთ და დავამთავრებთ მისივე პასუხით: „მკითხველო! ორივენი მოტყუებული დავრჩით. ასეც უნდა მომხდარიყო, შეგვეფერება.“

შეუძლებელია ჩვენთვის ისეთი წიგნი, რომელიც სულ იკითხება და იკითხება. არც თავი აქვს, არც ბოლო“.

წიგნის ბოლო თავი „მოთქმით გალობა დედამიწის გამო“ (პათოსით ჟიულ ლაფორგის ლექსს – „სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე“ რომ ეხმიანება) ასე მთავრდება:

„ჩვენო მინგრეულ-მონგრეულო ღვთაებავ,  
გადმოგვხედე, გადმოდგი ნაბიჯი,  
ჩვენ კიდევ დავიძვრებით,  
ტანჯულებს უღელი აერთოს, განთავისუფლდეს,  
შემოგვიშვი  
შენს კარ-მიდამოში,  
მადლის სათხოვად, წიგნის დასაწერად...“

[ხარანაული 2012: 156].

დოსტოევსკი წერდა: „დედამიწის აღსასრული რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადამიანებისთვის ეკითხათ: „აბა, რას იტყ-

ვით, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედანო“, – ადამიანს შეეძლო უსიტყვოდ გაეწოდებინა „დონ კიხოტი“: „აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, – შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“

ბესიკ ხარანაულისთვისაც წიგნია კაცობრიობის გადამრჩენი, ამიტომ ყველაზე მთავარია, ადამიანმა არ დაკარგოს ის მაღლი, რომელიც ახალ წიგნს შეაქმნევინებს. წიგნი ხომ ღვთის სახლივითაა, მასში ლოგოსი (სიტყვა) ცოცხლობს.

## ლიტერატურა

**ხარანაული 2012** – ბ. ხარანაული „მთავარი გამთამამებელი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

**მამარდაშვილი 2011** – მ. მამარდაშვილი, გზის ფსიქოლოგიურ-რი ტოპოლოგია (ლექციები პრუსტზე), წიგნში „ცნობიერების ტოპოლოგია“, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი.

Maia Jaliashvili

### **The poetics of the Meta-genre novel - Besik Kharanauli's „The Main Player“**

#### Summary

Besik Kharanauli creates a meta-genre, novel-concerto ("Main Player") by narrative freedom, mixing genres, using various narrative strategies. It creates artistic text in which the „human flows“. The text is interspersed with spatial and temporal grids that give rise to certain artistic dimensions. Obviously, dreams, myth, legend, fairy tale, past, future - invaded with equal intensity and intertwined. On the paths of intersection of reality and surrealism, the author, detained for a moment

by one of the intersections, chooses not one path, one spatio-temporal dimensions, but several at once. How does he do it? It is like the experience of a time traveler Marcel Proust. He would also lose time doing it in an unconventional and original narrative style. Besik Kharanauli wants to break away from the usual manners of familiar writing to the reader and find a kind of metaphor that goes beyond a simple storytelling of a story, feeling, thinking. That's why it creates great links for readers. In this book, you will often come across words that include the word meta, meta-genre, meta-book, meta-poetry, meta-man, meta-moral ... similar to metaphysics. In this book, readers will get acquainted with the elements of all genres, a kind of genre mosaic. The whole book is about an endless and unfamiliar dream world. Real world constantly being transformed by the power of the word, trying to make us realize the reality of heaven, earth, heaven or hell, located in a strange mask, in someone else's skin. The whole book is a play on words, phrases, content, artistic motives, themes, in one word, everything that happens in an imaginary, book world. The whole book about the endless and unfamiliar world of "I". I am constantly being transformed by the power of the word, trying to make us realize the reality of heaven, earth, heaven or hell, located in a strange mask, in someone else's skin.

For him, writing is guessing, knowing the world and himself. Both are mutually exclusive. The world exists as much as its creator, its scribe, in this case the writer. Descartes quote, I think, so I exist, for the author, will become because I write: I exist. He dreams of a book, that will have neither beginning nor end, like God. The Borges's „Sand Book“ also expresses the desire for this dream. The name of the book „The Main Player“ has many meanings. The main player can be everything: spiritual and even nonspiritual. This varies with time and situation. The main character can be turned into something else in another episode, so the novel is read in many contexts.

Key words: Narrative, Besik Kharanauli, Georgian Literature, Meta-genre, Freedom

## რეკვიემიდან საგალობლებამდე

(გენო კალანდიას პოეზია)

ომი ყველგან ომია, სულერთია, სად გავარდება პირველი ტყვია, სად აფეთქდება პირველი ნაღმი – ესპანეთში, მადრიდის წითელი დროშების ფრიალში, ვიეტნამის ბრინჯის ჭალებში თუ ბიჭვინთაში, ზურმუხტისფერი ზღვის ტალღებზე დამფრთხალი თოლიები, კვილით რომ წამოიშლებიან და ცას გასერავენ.

ჯორჯ ორუელის ომზე დაწერილმა წიგნმა „პატივი კატალონიას“ ერთ საიდუმლოს მაზიარა: ომის ტრაგიკულობისა და აბსურდის გაგება იმდენად ომის ხმაურის – ჭურვების, ქვემეხების, ავტომატების, ხელყუმბარების აფეთქებებით, გამაყრუებელი ზათქით, ერთი სიტყვით, სამხედრო არსენალის დაცლის თანმხლები ჭექა-ქუხილის, ელვა-ნათებების, დაჭრილთა კვნესა-გოდებებითა და მომაკვდავთა უკანასკნელი ამოსუნთქვით კი არაა შესაძლებელი, რამდენადაც სიჩუმით. დიახ, ომის დამთავრების შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმით. მცირეოდენი პერიფრაზირებით ბრეტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ – ომი დამთავრდა, სიჩუმის გეშინოდეთ!

სიჩუმეში – დუმილის ამ სამარეში – დიდხანს რჩებიან ადამიანები და ომში კი არა, სწორედ საკუთარ თავთან დარჩენილ სიჩუმეში ან იმარჯვებენ, ან მარცხდებიან საბოლოოდ.

რადაც თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის ომი იგივე ციხეა. უბრალოდ, პროცესები ომში ღია ცისქვეშ მიმდინარეობს, ციხეში კი – დახურულ სივრცეში. ერთს რკინის გისოსები იცავს, მეორეს – ტყვიების განუწყვეტელი ჯერი; ერთში საკნების სულისშემხუთველ სივრცეში წვანან, მეორეში, წვიმასა თუ თოვლში, დარსა თუ ავდარში საკუთარი ხელით გათხრილ სანგრებში იმალებიან. ომშიც და ციხეშიც შიშის აჩრდილი სიკვდილივით დაძრწის, მისი ძრწოლა ჯარისკაცისა თუ პატიმრის ქვეცნობიერ სამყაროში დამწყვდეულ მხეცს ათავისუფლებს. ეს მხეცი მზრდღვინავი ლომივით თვითგადარჩენის ინსტინქტს აღვიძებს და ადამიანს აიძულებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს.

ომიც და ციხეც ის ურჩხულია, რომლის ბნელსტომაქგამოვლილი უპიროვნო ადამიანები სიჩუმის თავშესაფრებში იმალებიან და იმავე ინსტინქტებით გრძნობენ, რომ რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი გაეზნათ თუ დაეკარგათ.

მანინც რა ჰქვია ამ დანაკარგს, რის გამოც სწორედ ჩამომდგარ სიჩუმეში ეწამებიან ადამიანები. ათასი სახელი შეიძლება დაეძებნოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად შეურაცხყოფის განცდა შეეფერება მას, გრძნობას, რომელსაც მხოლოდ პიროვნებები განიცდიან და სიჩუმის სამარეში სირცხვილის აღმურებად ეკიდება სისხლსა და ლაწევებს.

რა უცნაურია და რა ბუნებრივად მანუგეშებელი ერთსა და იმავე დროს, როცა სირცხვილით, ამ ღვთივმომადლებული გრძნობით, რომლის საბოლოო სახელი სინანულია, ისევ პოეტები და ჯარისკაცები ისჯებიან, ისევ უბრალო ხალხი და არა ჯალათები, ისევ შემსრულებლები და არა შემკვეთები... ნუგეშად ისლა რჩება, რომ პირველნი სულიერად ჯერ ისევ ცოცხლობენ და გადარჩენის შანსი გააჩნიათ. ხოლო მეორენი, სულიერად მკვდარნი, დაუმარხავი გვაძებნით დაიარებიან დედამიწაზე.

გენო კალანდია აფხაზეთის ომის მერე ხუთი წელი დუმდა. მტანჯველი სიჩუმის შედეგად დაიბადა მისი ბრწყინვალე პოეტური კრებული „რეკვიემი“ და თავის „ბრძოლის ველზე“ – თავის პოეტურ სამყაროში, არა მხოლოდ აფხაზეთის სამარცხვინო „ჯუჯა“ ომი, არამედ სამყაროს ყველა ომი გააშუქა და დაამარცხა.

რამდენჯერაც უნდა წავიკითხო ეს წიგნი, რომლის ყოველი სტროფი, სახე, ტროპი, მეტაფორა გულის ასაფეთქებელი ნაღმია, ღვარად მდის ცრემლები. მახსენდება ჩვენში ჩადირული, ჩვენგან მივიწყებული ზებერი სიტყვა – კათარზისი. რა მაღალი რანგისა უნდა იყოს პოეზია, რომ დღეს, უძველესი სამარხებიდან დღის სინათლეზე ამოიყვანოს მოხუცი კათარზისი. გენოს „რეკვიემი“ საშინო ნიჟარაა, ახლაც მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ნიჟარაში დატეულ მეხთატეხას, დამეული ზღვის საშინელ დმუილს, გრიგალების ხმაურს, ზვირთების შემოტევას. ახლაც თვალწინ მიდგას სისხლის შხეფებით აფორაჯებული სავსე მთვარეები, შავი მზეები, შუბლგახვრეტილი ბიჭები, სამოსშემოხეული ქალები, ფეხშიშველა ბავშვები და ნიჟარებში მოგუდული, გულისგამგმირავი შორისდებულები – ავაი, უია, ავაი, ვაჰმე – გულის დამფლეთი ოხვრა და ურვა.

„რეკვიემმა“ ისეთივე დადი დამასვა, როგორ დაღსაც ასვამს ომი ადამიანს. იგი იმდენად ღრმა და მართალი მწუხარებიდან გამოღწეული წიგნია, რომ მის „შემოტევას“ გაძლება უნდა. არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდით“ ირწევა მისი სტრუქტურა, მისი აღნაგობა, ყველა მისი სახსარი გულისხმეთქვად ქცეულა ჩემს შეგრძნებებში, ტაქიკარდიის რიტმსა და მწუხარე ალიონებში, როცა გულით დაფლეთილი სიყვარული თუ სიყვარულით დაფლეთილი გული (ეს უკვე სულერთია) დამშეულ გაზაფხულზე ერთბაშად შემოგისევს ზარების რეკვას. ოღონდ არა სიონისას, სიონის ზარი ჩემი სახლიდან შორსაა. უბრალოდ კარს მომდგარ დეენილ უპოვართა ზარების რეკვას და ზღურბლთან ატუზული „ანტიგონე“ ოდნავ ელამი, შეშლილი მზერით უსიტყვოდ გაგრძნობინებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ სწყურია სიცოცხლე...

გენო კალანდიამ უკვე იხილა თავისი ეპოქის ხორცმესხმული დემონები, შავი ზღვა რომ შეღებეს წითლად. გენოს კოლხი, ფორთოხლისფერ-მზისფერი ქალები გადაფითრებულ შვილმკვდარ დედებად, სხეულდამდნარ, სამოსშემოფლეთილ სიდონიებად, ოფელიებად და ანტიგონეებად აქციეს...

და მიუხედავად ამ მძიმე, კომმარული ხილვებისა, იგი არ გამოშრა, არ გამოიფიტა. გასაოცარია გენო კალანდიას პოეტური სიტყვის წვნიანობა, ტენიანობა, სინოტივე, ფერადოვნება, უფრო ზუსტად, სიცინცხლე სამყაროს შეგრძნებისა. და ეს შეგრძნებები თითქოს მით უფრო ძლიერდება და ფაქიზდება, რაც უფრო გამეტებით არბევენ მას ბარბაროსები. ყოველივე ამის გადატანას ადამიანები ვერ უძლებენ. მათთვის თანდათან უკვე ქრება ფერი, ქრება მუსიკა, ჩლუნგდება მგრძნობელობა, – გენო კალანდიამ ხომ მათთან ერთად გამოიარა საკენ-ჭუბერის გოლგოთა (და... მადლობა ღმერთს! გაუძლო!!!).

გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რწევადობა, რაზედაც არ უნდა წერდეს, – ქვაზე, სალამურზე, ქალზე... ეს რწევა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე, ალბათ, ზღვიდანაც მოდის. ამ თვალსაზრისით ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამორჩეულად ჟანგბადიანია, იოდიზებული და ამდენად, ნაკლებად ბოღმიანი... და მაინც, ვფიქრობ, მისი პოეტური სიტყვის სინედლე, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრალია, ცრემლისა, რომელიც, მართალია, მის თვალზე არავის უნახავს, სამაგიეროდ ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა.



ტანჯვა, სინანული, განწმენდა და განუწყვეტელი ლტოლვა ღვთის სიტყვისაკენ, – აი, ძირითადი შეგრძნებები, რომელთაც გენო კალანდიას ამ პერიოდის ლექსები ბადებს.

სწორედ ეს შეგრძნებებივე იძლეოდა იმის საფუძველს და იმედს, რომ მის შემოქმედებაში ახალი ძიებები უნდა დაწყებულიყო როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივიც.

პირადად მე სულ ვფიქრობდი, ფსიქოლოგიურად როგორ უნდა გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან, ერთი პოეტური განზომილებიდან როგორ უნდა შესულიყო ახალ განზომილებაში. იდგა იმის საშიშროებაც, რომ ინერციის ძალას ზღვის ტალღებივით ისევ და ისევ არ დაებრუნებინა იოდისფერი გვამების ხილვა, ვესვებამოყრილი ხეების კვნესა, შეშლილი ბავშვების შეშლილი მზერა, შვილის-თვალეზგადაყლაპული გაქვავებული დედის მონუმენტური ფიგურა, ლოტოფაგების წაშლილი სახეები, ღირსებაშელახული თვით-მკვლელი კაცების ბოლო მოძრაობა... ურთულესი იყო აქედან გამოსვლა, ამის გადაფარვა, საკუთარ თავში შურისძიების გრიგალების ჩაცხრობა. რომ არა ღვთის მადლი და შემწეობა, ამას მარტო კაცი ვერ შეძლებდა, ვერ მოერეოდა.

ღვთის წყალობით მოერია და მისი „რეკვიემის“ ერთ დროს მგლოვიარე ხეები, თმაგაწეწილი ქალებივით უფსკრულს დაკიდებულები, ზღვის ცოფიან ტალღებში აბურთავებული თუ ცეცხლწაკიდებული ხეები გადარჩნენ, თანდათან შეიცვალნენ; როგორც ტან-თხელი კვიპაროსები, ხეები მონაზვნებს დაემსგავსნენ. თანდათან ჩაცხრნენ, დაილანნენ, მიჩუმდნენ ბოროტების სტიქიონები. პოეტის მშფოთვარე სულიც უფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა და ნათელი ფერებიც გამოჩნდა:

„უფალო, ქართლის ზემორე სოფელს  
ორი ლამაზი დედაო სტუმრობს,  
თითქო იები ამოდის თოვლში,  
თითქო საყდარში შემოდის სურო.

გალობს, ლოცულობს ვით ორი გვრიტი,  
ორი დედაო ზემორე სოფელს,  
რა დიადია იმათი გვრინი,  
რა ლამაზია პატარა ფრონე?!“

თავისი გენეტიკით, თავისი უშუალო წინაპრების, ბებია-ბაბუებისა და მშობლების ბეგრანდით, ცხოვრების წესითა და გამოცდილებით სიკეთის გამხარებელი იყო ისედაც, მაგრამ როგორც დიდი ქარიშხლის მერე სანაპიროს სველ სილაში მოშეიებული ბავშვები გატაცებით ეძებენ ბერძნულ კაკლებსა და კიბორჩხალებს, გენო კალანდიაშვილს რაღაც სხვა სიღრმითა და სხვა წყურვილით დაიწყო ლტოლვა ღვთის სიტყვისაკენ. მისი დაჭრილი, ჭკვიანი გული თავისთავად, ძალდაუტანებლად ეძებდა და ეზიდებოდა ღვთის სიტყვას სალბუნად – მალამოდ რომ დაეფინა მოყვასის სულზე.

ნელ-ნელა შედიოდა რწმენაში, თანდათან, დღითიდღე ძლიერდებოდა და – ყოველგვარი ამპარტავნების გარეშე, იკვეთებოდა განცდა:

„ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ მორჩილს,  
ველარ შეხვდები ოდიშის ცის ქვეშ“.

კეთილგონიერი ადამიანი ღვთის წინაშე არ ამპარტავნობს. ამპარტავნებას სხვა მსმენელი ჰყავს. პოეტი კი ამ სიტყვებით უფალს მიმართავდა. ეს უფრო სევდითა და გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები იყო. თავისუფლებით რეტდასხმული მონები, ცოდვის მძევლები ამ მორჩილების ფასს ვერ გაიგებენ.

იერემიას გოდების მსგავსი ინტონაციები თანდათან მყუდრო, თბილი, იდუმალი აღმოჩენებით შეიცვალა:

„უფალო, ისე ლამაზად ბარდნის,  
ისე ქათქათებს ალუბლის ბაღი,  
თითქოს ვიღაცა კარიკარ დადის  
თოვლის კალათით და თოვლის ჭაღით“.

ამ ლექსში თოვს ისევე თბილად, მშვიდად და მყუდროდ, როგორც თავად სიტყვა „თოვლის“ ფონეტიკური მუსიკა, აკუსტიკური ჟღერადობა. თოვს: თ – აფაფუკებს, ამსუბუქებს... ო – დინამიკას, მიმართულებას უსვამს ხაზს, თოვს – ზევიდან ქვევით, ზევიდან ჩვენთვის გამოგზავნილი წყალობა...

„ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს,  
ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს,

თითქოს დილიდან ვარდებში წვანან  
დანის პრინცი და ოფელია“.

აი ეს კონტექსტი – მშობლიური გზებისა და ლელიანის – უადრესად გვიახლოებს და გვინათესავენს შექსპირის პერსონაჟებს. კონტექსტი ზუსტია ინტონაციურადაც, ზუსტი და საშიშად რაფინირებული, დასრულებული. დილიდანვე თეთრ ვარდებში წოლას სუდარის სიცივე და სიწმინდე ახლავს, როგორც გალაკტიონის სარკოფაგიდან წამომდგარი მუმის ჩვენებას, როცა პოეტის გენიით მონუსხული გარემოც დაჰპნოზებული ემორჩილება შემოქმედის მზერას და სმენას:

„სარკოფაგიდან დგება მუმია, რა სიჩუმეა...  
ჰაერი ლურჯი აბრეშუმია...“

ეს არ არის ის, რასაც ჩვეულებრივ ლიტერატურულ ალუზიას ეძახიან, ეს უფრო ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადამიანური მოვლენაა, როცა მიუხედავად კულტურათა, ცივილიზაციათა სხვაობისა, დროითი თუ სივრცითი სიშორისა, მრწამსისა, ეთნიკური, ეროვნულ-რელიგიური კუთვნილებისა, სხვადასხვა კონტინენტზე მყოფ ადამიანებს ერთმანეთისა ესმით და ერთმანეთისას განიცდიან.

ასე ნელ-ნელა, თანდათან ვუახლოვდებით საგალობლების კარიბჭეს.

„რეკვიემის“ სულისშემძვრელი თავგადასავლების მერე თითქოს რაღა უნდა ყოფილიყო მკითხველის „ინტერესის“ ღირსი, მაგრამ განა ჩვენი სულიერი ზრდისა და წინსვლის პროცესი ნაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ქარიშხლიანი ბიოგრაფიები?!. ბოლოს და ბოლოს ეს ქარიშხლებიც და დაცემებიც ჩვენი სულის წვრთნასა და ნებელობის გამოცდას ემსახურება და ყველაზე დიდი ომის მოგებას – საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს.

დიდი ღვაწლისა და ძალისხმევის შედეგად მოპოვებული გამარჯვების მერე იწყებს გენო კალანდია უფალთან უშუალო საუბარს და საგალობლების წერას.

თუ ამ ნაბიჯს – როგორც არჩევანს, ისე შევხედავთ მკითხველის პოზიციიდან, მაშინ იქნება საკმაოდ ამბიციური ნაბიჯიც იყოს, რადგან ამ „ჟანრში“, ამ სფეროში ისეთი სიმალლეებია დამლეული, თითქოს რაღა უნდა ითქვას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი.

ხოტბა, მადლიერება, აღფრთოვანება. ეს ყველაფერი უკვე ვიცით, გავიგონეთ, გავიარეთ. და ჩვენი საუკუნის პოეტიც, განუსაზღვრელი მადლიერებისა და დიდების ჰიმნში, ოდითგან რომ აღავლენდა ადამიანი, თითქოს უნდა ჩამირულიყო, გამქრალიყო, გაუჩინარებულიყო, – როგორც მზეში დნება ყინული, როგორც წყალში ქრება კოცონი.

მაგრამ არც გაქრა და არც გაუჩინარდა, არამედ დათვრა, თანაც სად, თანაც როდის?! საყდარში, წირვის დროს:

„და მე საყდარში ვდგავარ და ვწირავ  
შენი დიადი სახელით მთვრალი“...

სწორედ ეს მთვრალად ყოფნის აღიარება განაწყობს მკითხველს ავტორისადმი სრული ნდობით და სწორედ ამის გულწრფელი აღიარებიდან ინტერესდები.

„საგალობლების“ ყველა ლექსი იწყება მიმართვით: „უფალო“, ეს სიტყვა მახილის ნიშნით კი არაა გამოყოფილი, არამედ ჩვეულებრივი მიმით, რომლის მერეც იწყება იმ ცხოვრებისეული რუკის გადაშლა, რომელზეც ხსოვნის წუთები თუ წამები წითელი ხაზებითაა დაქსელილი. თუმცა არსებითად პოეტმა იცის, რომ უფლის ხსოვნაში ყველაფერი ზედმიწევნითი სიზუსტითაა ჩაწერილი. წითლად მონიშნული გზები და ხაზები კი – ეს უშუალოდ მისი პიროვნული და ადამიანური აქცენტებია, ღირსი ღვთის წინაშე წარდგომისა.

იმდენად მისიანი ხარ და იმდენად შენიანია, რომ აქ უკვე აღარ გეჩოთირება უფლის შემოქმედებით მთვრალსა და აღფრთოვანებულს, შენი პოეტური შთაგონების მეტაფორული ნაყოფები შესთავაზო. აქ აღარ არის არც ექსტაზი, არც ეგზალტაცია, არც სასოწარკვეთა, არც განდიდება, არც მისტიკა. ეს ყოველივე დამცხრალია, გადატანილია. აქ არის სულის ყველაზე დიდი მონაპოვარი – სიმშვიდე და ამ სიმშვიდეში გულის სრული გადაშლა, როგორც ყვავილი იშლება მზეზე – ბუნებრივად და უანგაროდ. გეხმარება რწმენა იმისა, რომ არა მხოლოდ პირადად შენი, ერთი კაცის ცხოვრება, ამბავი, სიუჟეტი, შემთხვევა, საქციელი, გულისთქმაა ცნობილი მაღალი ღმერთისათვის... ამიტომ სრული გახსნილობის ჟამს, აღსარებაზე გასულს, თვით ისეთი, ერთი შეხედვით, „წვრილმანი“ შემთხვევაც გახსენდება, როგორიცაა – წირვაზე, ტამარში მყოფს ფარშევანგით ქალი რომ დაგიდგა გვერდით და ერთი ქილა თაფლი მოგარ-

თვა. თაფლივით მდორედ და გამჭვირვალედ მოედინება მეორე მო-  
გონებაც:

„უფალო, იის დილკილოებით  
აქ ერთი რუსის დიაცი მოდის,  
როგორც მოლადურს ნახატი ფრთები,  
როგორც მდინარეს ტირიფის ზონდი,

უხდება უცხო ყვავილის კაბა,  
მზეჩაფენილი ფირუზის ქვებით...  
უფალო, რა ვქნა, რა გითხრა, აბა,  
როცა ისედაც ყველაფერს ხვდები?!“

ჰოროსკოპული ნიშები, რომლებითაც აღინიშნება თვეების, დღეებისა თუ წლების მონაცვლეობა ასტროლოგიურად, ისე ღრმად შემოიჭრა ჩვენს ყოველდღიურობაში, რომ მის გარეშე გადაცემა, სა-  
გაზეთო თუ საჟურნალო გვერდი აღარ არსებობს. ეს „თამაში“ გუ-  
ლუბრყვილობის, ზედაპირულობის, ინფანტილობისა თუ მცონარო-  
ბის იერს ატარებს და ერთგვარი ფუქსავატობის მანიშნებელიცაა.  
როცა ჩვენს მაგივრად ვარსკვლავები ფიქრობენ და განაგებენ ჩვენს  
ბედსა და იღბალს. როცა, ვთქვათ, გველის, ცხვრის, კურდღლის, ან-  
და ცხენის წელია და ჩვენც ამ არსებათა გამოსახულებებით პაწია მე-  
დალიონებს ჯადო-თილისმებად ვიკიდებთ გულმკერდით დაწყე-  
ბული, მანქანის „ბრელოკებით“ დამთავრებული.

„უფალო, ცხენის წელია ჩემთვის...“

პირველივე სტრიქონი, რომელიც გენო კალანდიას საგალობ-  
ლების ციკლში გამოჩნდა, თავისი მოულოდნელობით, რომ არა  
ვთქვათ, პარადოქსულობით-თქო (რაც არ უნდა იყოს, მაინც საგა-  
ლობლების ციკლია და არა ჩვეულებრივი ლექსების) მართალი გი-  
თხრათ, ინტერესს უფრო აჩენდა, ვიდრე უხერხულობის განცდას,  
რადგან მისი პოეტური მემკვიდრეობა და მისივე გემოვნება იმის გა-  
რანტად რჩებოდა, რომ ყველაფერი გაცილებით სიღრმისეულად  
განვითარდებოდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ასეც მოხდა:

„უფალო, ცხენის წელია ჩემთვის,  
მეფე დავითის წელია ჩემთვის,  
მეფე ერეკლეს წელია ჩემთვის,  
მათი ცხენების ჭიხვინი მესმის“.

„ცხენის“ სემანტიკას ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ კი, პოეზიაში, ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს და გასაშიფრად სიმბოლოთა მთელ წყებას მოიყოლიებს, ყოველ ჯერზე აბსოლუტურად განსხვავებულსა და უნიკალურს (საკმარისია გავიხსენოთ გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“, ბარათაშვილის „მერანი“, გურამ რჩულიშვილის „ალავერდობა“ და ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი, გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ადიდებულ ენგურს ცხენთან ერთად შეჭიდებული თარაშ ემხვარი და ა.შ.).

ჰოროსკოპული ნიშნის გათამაშებით გენო კალანდიამ არაჩვეულებრივი სიიოლით დაუბრუნა ცხენს თავისი ადრინდელი დანიშნულება, გამჭვირვალე ქვეტექსტი და როგორც ისტორიული, ისე დღევანდელი პოლიტიკის მწვავე პერიპეტიები წარმოაჩინა.

„ბაღში კალია გადადის ყირას,  
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,  
სოფელში მამლის ფრთხიალს და ყივილს  
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია“.

იმვითად, მაგრამ ამგვარი სიხარულისმომგვრელი წამების შემგროვებლად იქცა თითქოს პოეტი და ამ ყოფით, მიწიერი სიხარულის მომგვრელ წამებსაც უფრო და უფრო დაედო ფასი. ასე რომ, მე არ ვიზიარებ წლებთან ერთად ემოციური თუ წარმოსახვითი უნარების ცვეთის თეორიას. პირიქით (თუმცა, შესაძლოა, ეს სულიერი მხნეობისა და ფიზიკური ენერჯის ხარისხზეცაა დამოკიდებული). ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში თითქოს ერთგვარ აქსიომადაა მიჩნეული, რომ პოეტური შემოქმედებისათვის გენიალურობის ხანა ახალგაზრდობაშივე მთავრდება. არც ეს მიმაჩნია ჭეშმარიტებად. უბრალოდ, არიან ადამიანები, რომელთა მიერაც ცხოვრების ათვისებისა თუ გათავისების ტემპი, სამყაროს პოეტურად აღქმის უნარი ენერჯის ისეთი წვით, სიჭარბითა და სისწრაფით მიმდინარეობს, თითქოს ისინი მოსწრებაზე არიან, ათი წლის მარაგს ერთ წელიწადში ხარჯავენ და ფლანგავენ.

ამ თვალსაზრისით გენო კალანდია ქართულ სინამდვილეში უფრო აკაკის, გრიგოლ ორბელიანის, გრიგოლ აბაშიძის, ოთარ ჩხეიძის ბედის გამზიარებელია. ამის დასტურად თუნდაც „რეკვიემის“ შემდგომ პერიოდში შექმნილი მისი ბრწყინვალე, ულამაზესი სონეტების მოხმობაა საკმარისი, რომ აღარაფერი ვთქვათ საგალობლებზე.

„ცა იყო, როგორც ზაფხულის საგა,  
ირგვლივ ვარდი და შროშანი ენთო,  
ასე ბედქმნილი და ასე კარგი  
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს, ღმერთო!“

ამის შეგრძნებას უფრო ასაკში ედება ფასი, როცა წლებთან ერთად მოლეულია სიყმაწვილისა თუ ადრეული სიჭაბუკის გატაცებები, ვნებები. ეს სიტყვები მხოლოდ უნიჭო და არაკეთილგანწყობილ მკითხველს შეიძლება აერიოს ნარცისიზმში, თვითტკობაში. ეს უფრო იმ ბედნიერი წამისა თუ წუთის მოხელთებაა, როცა მადლიერი ხარ სიცოცხლის – ამ უანგარო საჩუქრის, რომელსაც რთული, მაგრამ ღირსებადაუკარგავი ცხოვრებით უპასუხე. არსებითად კი წლები არ განსაზღვრავენ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას. ჩვენ ვცოცხლობთ იმდენ წამს, რამდენი წამიც გვამახსოვრდება. ჩვენ ვცხოვრობთ წამებით.

რამდენი წელიც უნდა გავიდე, რამდენი პოეტური კრებულები უნდა გამოსცეს ამიერიდან გენო კალანდიამ, დარწმუნებული ვარ, გადატანილი ომის ჩვენება თუ ხატება არასოდეს მიატოვებს მის პოეტურ ხილვებს, რადგან პოეტი ღია ჭრილობაა. ამიტომ ხშირად საგალობლის მღვიმეებიც ისეთივე ნოტი, რიწის ტბისფერი ცრემლებითაა დაცვარული, როგორითაც ათონის გამოქვაბულის სტალაქტიდები, დრო-ჟამის გამოტირებული და დრო-ჟამითვე გაქვავებული მწუხარების ლოლულები. თითქოს ვარძიის კლდეში ნაკვეთი ნიშის სიმაღლიდან ვინმე მწირი თუ ბერი დასცქერის მიწის მწუხარე დინებას:

„მიდიან... ტყვია-წამალი მიაქვთ  
მინაქრებივით ლამაზი მხრებით,  
დავყურებ ჩუმიად სამარეს ღიას  
და ყველა ომში თავიდან ვხვდები“.

ესაა უიშვიათესი, სევდიანი საგალობელი ომზე. ერთი მხრივ, ტყვია-წამლის სიმძიმე და – მეორეს მხრივ, მინანქრის მხრების სიმსუბუქე, როგორც კაცისა და ღვთის ხელის შემოქმედება, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე, ისე აწყვია თვალუბაკრული თემიდას სასწორზე. არჩევანი კი ჩვენზეა – თავისუფლებით დასჯილებსა და თავისუფლებით დაჯილდოებულებზე ერთდროულად.

უცნაური ჯადო აქვს პოეზიას – ყოვლის დამტევე ელვარე სახეებს, შედარებებს, ტროპებსა თუ მეტაფორებს ძვირფასი თვალმარგალიტით ინახავს თავისი ხსოვნის ზარდახმებში. როგორც მუსიკალური მოტივი, მელოდია, ისე რჩება მეხსიერების სარკოვფაგებში. ხასიათისა და განწყობის მიხედვით ხდება ამ საუნჯის სამზეოზე ამოსვენება, ხუფის ახდა და წართმეული, გაყიდული, ნაღალატევი სიწმინდეების კვლავ თავიდან აელვარება.

საგალობლებში ხშირია განცდა, რომ გენო კალანდიას სტროფები პირდაპირ ხილვებით გაჩენილი სურათებია და ამ იდუმალეობით მოცულ პროცესს ჩვენც ვესწრებით:

„უფალო, მარტის, აპრილის თვეში  
ჰგავს ერთ მდინარეს მცხეთასთან მტკვარი,  
დგას შუაწელში გაშლილი პეშვით  
ნათლისმცემელი და სველი კვართი.  
ხასხასებს როგორც წვიმაში ვარდი,  
მაღე ძე ღვთისა, – ლადი და მშვიდი, –  
მიეახლება წიგნით და სანთლით  
და განათდება ცა ოთხივ კიდით“.

ეს „ერთ მდინარეს“, რა თქმა უნდა, იორდანეა და მცხეთაც ხომ „მეორე იერუსალიმად“ წოდებული ქალაქია.

რამდენადაც მარადიული, ფუნდამენტური ღირებულებების ერთგული და ცხოვრების წესითაც ტრადიციული ქართველი კაცია გენო კალანდია, იმდენად, როგორც შემოქმედი, აბსოლუტურად თავისუფალია. იგი არც ზოგადად და არც კონკრეტულად ჟანრულ კანონებს არ ემორჩილება. კერძოდ, საგალობელთა ჰიმნოგრაფიულ თუ ჰაგიოგრაფიულ კანონებსა და სახისმეტყველებას. იგი არღვევს ხატწერის კანონებს ისე, რომ არსი ხატისა და მისი ძალის გამოსხივება უცვლელია. ღვთისადმი პოეტის მიმართვის ფორმა და შინაარსი სრული თავისუფლებით ხასიათდება.



გენო კალანდია არაა შეშინებული და ინდულგენციის მომლოდინე, მისი აღსარების თავისუფლება და უანგარობა იქიდანაცაა, რომ ეს არ კეთდება არც სამოთხისა და არც ჯოჯოხეთში მოხვედრის მოლოდინით, არც ჯილდოსა და არც სასჯელის გათვალისწინებით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ წერის პროცესში მას არც საკუთარი თავი ახსოვს, უფრო ზუსტად, ახსოვს იმდენად, რამდენადაც შეცდომასთან, არასწორ ნაბიჯთან, საქციელთან, ცოდვასთან ასოცირდება. მის წინაშე უფალი როგორც დროისა და სივრცის უსაზღვროებაში აგებული მამის სახლი, ისე მოჩანს და მას უძღვები შვილივით ენატრება ეს სახლი. იგი კაცია, ადამიანია, სამყაროს რელიეფზე მოხეტიალე ყოვლისმნახველი და გადამტანი მოგზაურია. თითქოს წინასწარ გრძნობს და იცის, რომ ვერავინ ისე ვერ გაუგებს და არავის მისი გამოჩენა ისე არ გაუხარდება, როგორც მამას. ამიტომ მხოლოდ მაშინ მოისვენებს და ჩამშვიდდება, როცა დაჩოქილი და მამის კალთაში თავგარგული მთლიანად გადაშლის გულს, მთლიანად ამოყრის და გააცოცხლებს დარღში ჩამხრჩვალ სიტყვებს...

„სველი მაქვს, სველი, პერანგი ძველი  
ჩემებრ მარტვილი კაცების სისხლით“.

„უფალო, სადღაც გავჩერდით მთაში  
ორი ახალი საფლავის გვერდით,  
ტიროდა, წუხდა, მოთქვამდა ბავშვი,  
შემრწუნებული თავისი ბედით.  
ჩვენ ნახირივით ვიდექით გზაზე,  
მონატრებულნი კარსა და ერდოს,  
– რისთვის? ო, რისთვის გაწირე ასე,  
ამდენი ნაღდი ქართველი, ღმერთო?!“

ეს ერთადერთი ლექსი-საყვედურია წიგნში და ისეა შესრულებული, რომ ეს საყვედურიც საგალობლად აღიქმება.

შუასაუკუნეების იდუმალი ალქიმიკოსები ამბობდნენ: „თუკი სხეულს სხეულისაგან ვერ დაცლი, ვერაფერს მიაღწევ“.

როგორ მივიდა, რამ მიიყვანა საგალობლებამდე გენო კალანდია. ასე მგონია, გამუდმებულმა წვრთნამ, რომ სხეულისაგან დაცლილიყო, ამო ფიქრებისაგან, უსაგნო, ფუჭი ოცნებებისაგან და ემპირიული ფუსფუსისაგან განთავისუფლებულიყო.

რეკვიემიდან – საგალობლებამდე, სულთა დატირებიდან – სულთა გალობამდე.

ამ გზაზე შედგომა არ ხდება უბრალოდ, მხოლოდ სურვილით, მხოლოდ ადამიანური ძალისხმევით, თუნდაც ეს ძალისხმევა პოეტისა იყოს. ეს არც უცაბედი მოქცევით ხდება და არც მოკრიალებულ ცაზე მეხის გავარდნით.

ეს ხდება მშფოთვარე სინდისის წყალობით, რომელიც არ გასვენებს, რომელიც ჯიბრში გიდგას, რომელიც გეომება, ოღონდ კი არ გმტრობს, მშობელივით გიყურებს, გხედავს, ხედავს შენს ტანჯვას, საკუთარ თავთან წამოწყებულ შენს ომს და ამიტომაც გეხმარება, გამხნევენს, გაიძულენს უფალი, რომ დაიჯერო – შენ გაცილებით კარგი ხარ, გაცილებით მნიშვნელოვანი, საჭირო, საამაყო, მისაბადი... ოღონდ ეგ ყველაფერი მოიცილე, ამოიღე როგორც ეკლები ხსოვნის წყლულებიდან... მოშუშდი, გამხნევი, მოდი ჩემთან, მომიახლოვი:

შენი ცხოვრების ყველა სიხარული და ყველა განსაცდელი –  
ეს ჩემგან იყო...

გენოს ერთ-ერთ საგალობელში ასეთი რამ უწერია:

„უფალო, ცაში გემბედი დიდხანს,  
თურმე შიგ გულში გქონია ბინა“.

ამ მიგნებამ თუ აღმოჩენამ ცნობილი გერმანელი მწერლის „თანამედროვეობის უდიდეს ტრანსცედენტულ პოეტად“ აღიარებული და ჰერმან ჰესეს მიერ ნობელის პრემიაზე წარდგენილი ბარონესა გერტრუდ ფონ ლეფორტის მწველი ღვთისმადიებლობა გამახსენა:

„უფლის სავანის ზღუდეებს ვეხეთქები:  
ნაპრალს დავემებ, ღრიჭოს, განასერს –  
დაულამებელი შენი ნათელის შემოსაღწევს.  
მაგრამ ამ ქვეყნად ვერ ვიპოვე იგი.  
ყოფილა თურმე ეს ნაპრალი  
თვით ჭრილობა ჩემი სულისა“

(თარგმანი – მანანა გიგინეიშვილისა).

ყველა ნამდვილი პოეტის სული ჭრილობებით დანასერია და თუ შესძელი და უფალს გულის კარი გაუღღე... ნუ გემინია, მაშინ ჭრილობაც გალობას იწყებს...

Maka Jokhadze

### **From Requiem to Canticles**

(Geno Kalandia's poetry)

#### Summary

War is war everywhere, no matter where the first bullet is shot or the first mine is exploded; it does not matter at all where it happens-in Spain, within the fluttering red flags of Madrid, through the rice dells of Vietnam or in Georgia, in Bichvinta, over the emerald sea waves.

The book on war called "Homage to Catalonia" by George Orwell helped me solve one mystery: it is not the noise of war caused by shooting guns, cannons and exploding grenades, deafening brattles and sighs of the wounded that makes us realize tragedy and absurdity of war but silence. There is a famous quote from Brecht and we will rephrase it: "War is over, fear silence!"

People do stay in silence for a long time but they do not stay in war. While being alone in silence, they either win or lose in the end.

The native Abkhazian poet Geno Kalandia was silent for five years after the war. As a result of the torturous silence, his poetic collection "Requiem" was created. In his poetry, the poet revealed and defeated not only the disgraceful short war of Abkhazia, but all the world wars. Every image, every verse and metaphor of the book is like a mine that can explode hearts and remind us of the forgotten old word "catharsis". How powerful does poetry have to be today in order to make old catharsis see daylight?

Personally, I have always been wondering how he could get out of the situation and enter the new poetic dimension. There was even a fear

that inertia would bring back visions of iodine color corpses, mad gaze of mad children, last movements of humiliated suicides. It was extremely difficult to cover it, to hold back a great desire of revenge. Without God's mercy, one would not have managed it.

The poet's belief was slowly getting firmer and firmer, intonations similar to Ieremia's moans were also becoming stronger and stronger day by day; he gradually changed by means of cozy, mysterious discoveries; he gradually came closer to canticles.

After the victory resulted from his great spiritual effort, Geno Kalandia begins writing canticles and talking to God. Unlike "Requiem", man maintains his human image in these "Canticles". The past disappointed anxiety is replaced with inner peace. In our work, we tried to describe this toughest way in one poet's creation-the way gone from "Requiem" to "Canticles".

## ტიციან ტაბიძის ანტიმანდელშტამური „გამოხდომა“ და კულტურული რეზონანსი

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ყოველკვირეულ ორგანოში, გაზეთ „რუბიკონში“, რომელიც „ცისფერ-ყანწელებს“ დაეარსებინათ და 1923 წელს გამოდიოდა, ტიციან ტაბიძეს გამოუქვეყნებია უცნაური სახელწოდების წერილი „გასტრალიორი ჭონტოლი“ (1923 წ. N14). ავტორის „მკვახე შემახილი“ ამხელდა დიდი რუსი პოეტის, სტალინური რეჟიმის მსხვერპლის, საქართველოში სამჯერ – 1920, 1921 და 1930 წწ. – ნამყოფი ოსიპ მანდელშტამის უმაღურობასა და საბჭოურ ველიკოდერჟავიზმს და, მაგავე ბრალდებების გამო, ავტორი სასტიკად ღამდავდა ადრესატს [ტაბიძე 1923: 3].

წერილს დრამატული ბედი დაჰყვა. მისი არსებობა მოსვენებას არ აძლევდათ, მას ზოგჯერ ახსენებდნენ კიდეც, მაგრამ – სათაურისა და მთავარი დებულებების მიუთითებლად. ქართული ზღაპრის ენიგმატური პროლოგის დარად, წერილი იყო და არც იყო.

ჩემი აზრით, ის საგანგებოდ „დაივიწყეს“, და ეს რამდენიმე განზომილებიანი აქტი გახლდათ:

პოლიტიკური თვალსაზრისით, იმას გულისხმობდა, რომ პოეტთა ურთიერთდაპირისპირება „მავნებლურ მიზანთა“ მისაღწევად არავის გამოეყენებინა: საკუთრივ, მანდელშტამზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელმაც არც არაფერი იცოდა ტიციანის წერილზე, მოგვიანებით აღარც ტიციანს წაადგებოდა საბჭოთა პოეტთან პაექრობა და მენშევიკური საქართველოს ადვოკატობა. ამდენად, სჯობდა, მიეჩქმალათ მანდელშტამის გამოხდომა „მენშევიკური“ საქართველოს წინააღმდეგ და ხელმეორედ არ გაეღიზიანებინათ „ბოლშევიკური“ საქართველოს კულტურული წრეები: ხალხი ხომ იგივე იყო!

პოლიტკორექტულობის თვალსაზრისით, რაც, კაცმა რომ თქვას, ოქსიმორონია, ამ ლიტერატურული ინციდენტის თვითმხილველებმა საგანგებოდ თქვეს უარი მის გახსენებასა და ტირაჟირებაზე: ქართველმა მემუარისტებმა (ნინო ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი...) „დაინდეს“ 1938 წელს გადასახლებაში დაღუპული რუსი

პოეტი და სათუო აღარ გახადეს „მარტვილის“ რეპუტაცია, რომელსაც უნებლიეთ ტიცინ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის ფინალი გაემეორებინა. რუსულ ლიტერატურულ საზოგადოებას ამ წერილის შესახებ წარმოდგენაც კი არ გააჩნდა, თუ არ ჩავთვლით ორიოდ გამონაკლისს: მანდელშტამის ტექსტების გადამკიდე რუსი ლიტერატორები ხვდებოდნენ წერილის არსს და, გასაგებ მიზეზთა გამო, დიდად არც ხიბლავდათ მისი გამჟღავნების პერსპექტივა. უკიდურეს შემთხვევაში მანდელშტამს იცავდნენ და ტიცინ ტაბიძეს ამუნათებდნენ.

ეს აქტი კულტურული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო: „ვერცხლის საუკუნის“ დიდი წამომადგენლის პირით გამოთქმული რუსული სალიტერატურო აზრი ეპიგონობად და დეზორიენტირებულობად მიიჩნეოდა „ცისფერყანწელთა“ ღვაწლსაც და ქართული ლიტერატურის დასავლური ღირებულებების ათვისებისაკენ სწრაფვასაც. საშურ ეტალონად როგორც იმდროინდელი, ისე კლასიკური რუსული პოეზიის ვერტიკალი ცხადდებოდა, და კიდევ – წარსული დიდება: ვაჟა-ფშაველა და ფიროსმანი, როგორც ჩანს, იმის ნიშნადაც, რომ ნამყო სანდო და უცდომელ ექსპერტს (რუს პოეტს) შეეფასებინა და დაედგინა, და ქართული კულტურის აწმყოსა და მყოობადზეც საბჭოთა რუსეთი იზრუნებდა! (მანდელშტამი), თუმცა, როგორც რუსთა, უფრო კი ქართველ მეცნიერთა და კულტუროსანთა, ბედოვლათობაზე მიუთითებს ის, რომ ქართულად რამდენიმეგზის თარგმნილი მანდელშტამის ნარკვევი არც ნიშნის ცქერით კმაყოფილ ქართველ საზოგადოებას მიუჩნევია „ველიკოდერჟავნიკობის“ მკაფიო მანიფესტად და აღარც იქ გამომკრთალი ტოპოსების მიმალული მნიშვნელობის კვლევას გამოსდევნებია ვინმე.

ახლა შევეცადოთ მანდელშტამის „ქართული ოდისეის“ რეკონსტრუქციას.

სამოქალაქო ომის დროს, ანუ 1918 წლიდან, როცა სისხლმა, შიმშილმა, საფრთხემ და ორი ცოცხალი ძალის – მეფისა და რევოლუციის მომხრეთა – სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ რუსეთი და, კერძოდ, პეტერბურგი გათანგა, მანდელშტამი ძმასთან ერთად ყირიმში გადაიხვეწა. ნახევარკუნძულის მეფის მომხრეთა მიერ დაკავების შემდეგ ბოლშევიკობაში მხილებული და დაკავებული მანდელშტამი ძლივს გადაურჩა ხანგრძლივ პატიმრობას და დევნილმა ძმებმა გემით ბათუმში ჩააღწიეს. აქაც (კვლავ) დააპატიმრეს. აქაც (კვლავ) – ბოლშევიკობის ბრალდებით. ციხესა და სხვა გართუ-

ლებებს მანდელშტამი ააცილა იმხანად ბათუმში მყოფი ტ. ტაბიძის ჩარევამ. ოსიპი მალე თბილისს ესტუმრა და კარგა ხანს სარგებლობდა ქართული სტუმართმოყვარეობით, ამ ლამის ეროვნული მენტალობის მარკერად მიჩნეული ფენომენის ყველაზე ხვავრიელი მნიშვნელობით. რუსეთში დაბრუნებისას, ერთი მოწმობით, პ. იაშვილს ტიციან ტაბიძის საზამთრო პალატო თუ ქურქი უჩუქებია უქონელი მანდელშტამისთვის, მეორე მოწმობით კი, ეს ყბადაღებული პალატო თუ ქურქი თვით მანდელშტამს გაუყოლებია ხელისთვის. უფრო ნიშნეული იმ ბარათის შინაარსია, რომელიც მანდელშტამს დაუტოვებია: თბილისში ზამთრის პალატო, აბა, რა საჭიროაო! ეს მოხდა 1920 წელს დემოკრატიულ საქართველოში.

1921 წელს, ამჯერად – მეუღლესთან ერთად, მანდელშტამი კვლავ ეწვია, ოღონდ – უკვე საბჭოთა საქართველოს. „ცისფერყანწელებმა“ კვლავ გამოიდეს თავი: საჭმელ-სასმელთაც უზრუნველყვეს, ბინითაც და საქმითაც – ჰონორარის სანაცვლოდ, ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ რუსული პოეტური ვერსიის შექმნა შესთავაზეს და, როგორც იტყვიან, თვითონაც იხიერეს: თავიანთი რამდენიმე ლექსიც ათარგმნინეს. ამ ვიზიტისდროინდელი მანდელშტამი, როგორც ჩანს, გამარჯვებული ქვეყნის წარმომადგენელს „თამამობს“ როგორც პოლიტიკური, ისე – ლიტერატურული თვალსაზრისით, და ფსევდორევიზიზმობას კისრულობს. მასპინძლები გასულ წელს გამოვლენილ სტუმართმოყვარეობას უშურველად აორმაგებენ, რუსი პოეტი კი ამას კუთვნილ პრივილეგიად მიიჩნევს, თავს პოეტურ მეტრად აღიქვამს, ხშირად ქედმაღლურად ეკამათება სიმბოლიზმის ადეპტ ქართველ პოეტებს და სტრატეგიასაც უწუნებს, კერპებსაც და ორიენტირსაც. ამას ერთვის ყოფითი „მანდელშტამიზმიც“: ბინას ყველას უკითხავად იკავეს, ერთი თვის განმავლობაში იქ ცხოვრობს და მადლობის გადახდაც ზედმეტად მიაჩნია. ისე ჩანს, ქართველმა პოეტებმა ეს ვედარ აიტანეს, უგანეს მას და ზურგს აღარ უმაგრებდნენ. მაშინ მანდელშტამს თავზე ზრუნვა თვითონ უტვირთავს და, როგორც ამბობდა, ფრანსუა ვიიონისთვის მიუბამავს: დაკონკილი და ფეხშიშველი, ქართველ საბჭოთა დიდმოხელეთაგან მოითხოვდა ხელის გამართვას. როცა ეს „ვიიონური მეთოდიც“ ძველდებოდა და უნაყოფო ხდებოდა, ცარიელ ბოთლებსაც კი აზარებდა. როგორც ჩანს, ამ ასპარეზზეც ვერ მიულწევია დიდი წარმატებისთვის, და უპოვარი ცოლ-ქმარი ჯერ ბათუმში, შემდეგ კი რუსეთში გამგზავრებულია.

1922 წელს მანდელშტამმა გამოაქვეყნა მეორე ვიზიტის შთაბეჭდილებანი – „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე“, 1923 წელს კი – პირველი ვიზიტისა – „მენშევიკები საქართველოში“ [მანდელშტამი 1999: 316-319].

ტიციან ტაბიძე ორივე ტექსტს გასცნობია. გასათვალისწინებელია კონტექსტიც: „მენშევიკები საქართველოში“ დამოუკიდებელ საქართველოზე იწერება, „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე“ – გასაბჭოებულზე, ოღონდ ორივე საბჭოთა სახელმწიფოში, საბჭოურ ეპოქასა და პრესაში ქვეყნდება.

ის, თუ რას შეეძლო, წონასწორობა დაეკარგვინებინა ტიციან ტაბიძისთვის, ცხადია, ზუსტად, ძნელი სათქმელია, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს, პირდაპირ შეშალა მანდელშტამის ამ ფრაზამ:

„პატარა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს, სხვათა სისხლის ხარჯზე რომ ამოზრდილა, უსისხლოდ ყოფნა სურდა. მრისხანე ძალთა მიერ შევიწროებულს, იმედი ჰქონდა, გაუთხვრელად და მშვიდობიანად შევიდოდა ისტორიაში, თითქოს ახალი შვეიცარია ყოფილიყოს – ნეიტრალური და დაბადებიდანვე „უმანკო“ მიწის ნაგლეჯი“... [მანდელშტამი 1999: 318].

სიტყვა „დამოუკიდებელს“ მანდელშტამი ბრჭყალებში სვამდა და, კაცმა რომ თქვას, ასე აჩენდა თავის ბრჭყალებსაც. რბილად რომ ვთქვათ, იმდროინდელი საქართველო მას ასეთად არ მიაჩნდა. მეტიც: ის, რომ ეს საქართველო სხვათა სისხლის ხარჯზე აღმოცენებულა, ალბათ, უნდა გულისხმობდეს დღემდე ცოცხალ ნარატივს იმის თაობაზე, რომ ირან-ოსმალეთს შუა მოქცეული ქვეყანა რუსის ჯარმა იხსნა, ამ მიწისთვის დაღვარეს სისხლი რუსმა ჯარისკაცებმა... ახლა კი, როცა რუსეთში და რუსეთისთვის (!) იღვრება სისხლი, საქართველო განაპირებულა, თავი მოუზღუდავს, რაღაც ნეიტრალიტეტი მოუგონია და სურს, უსისხლოდ გადარჩეს! ერთიცაა: ზუსტად ასევე იქცეოდა მანდელშტამიც, რომელსაც, საქართველოსაგან განსხვავებით, ევალებოდა კიდეც საკუთარი სამშობლოს დაცვა!

ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, მანდელშტამი ცდილობდეს, რომელიღაც კოლექტიურ ბუხარინს დაუმტკიცოს, საქართველო ანტი-საბჭოური წარმონაქმნია, თითქოს არც რევოლუცია მომხდარიყოს, არც პირველი მსოფლიო ომი, ანუ მათ შედეგებს აქ არავინ ითვალისწინებსო.

ამას გარდა, მანდელშტამი ამტკიცებს, რომ ბათუმის ტყვეობიდან ვიღაც პრობოლშევიკურად განწყობილმა ბადრაგმა იხსნა და



არა – მენშევიკურ საქართველოში ლაღად მცხოვრებ ქართველ პოეტთა ჩარევამ (ყოველ შემთხვევაში, ტ. ტაბიძის ძალისხმევამ – უეჭველად!).

მეორე ტექსტის დებულებებიც, თითქოს კულტურის შეცნობას რომ უნდა ეფუძნებოდეს, ასევე პოლიტიკითაა დანადმული. შესაბამისად, გარდასული დიდი რუსი პოეტების ალაღბედზე მოტანილი სტრიქონები არ უნდა გვაზრმავებდეს და თანამედროვე რუსი პოეტის ხვამიადს ორივე შემთხვევაში ვხვდებოდეთ:

მთელ ქართულ პოეზიაში არ დაიძებნება ისეთი ქართული სტროფები, ლერმონტოვმა რომ წარმოთქვაო. ლერმონტოვის ლექსში კი თვლემამორეულ ქართველს ნუნუა შარვალზე ეღვრება, რაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მისი დაპყრობა იოლია; აი, ეს მოსწონს მანდელშტამს!

საქართველომ ღვინითა და ლამაზი ქალებით ისე აცდუნა რუსი პოეტები, როგორც ლერმონტოვის ლექსის თამარ დედოფალმაო; არადა, ეს ლერმონტოვისეული თამარი რჩეულ ვაჟკაცებთან ღამით სარეცელს იყოფდა, დილით კი მიჯნურებს ხოცავდა და გვამებს სარკმლიდან ყრიდა. აი, მაცდუნებელი, ზნედაცემული და ვერაგი საქართველოს სიმბოლო!

მეფისდროინდელი რუსეთის მიერ საქართველოს რუსიფიკაცია მითია. რუსულ კულტურას საქართველოსთვის არასოდეს მოუხვევია თავს საკუთარი ფასეულობანი. ამ ქვეყნის რუსიფიკაცია არასოდეს გასცდენია ადმინისტრაციული მართვის ფორმებსო,

ქართული კულტურა არა თვითნაბადი ფენომენი, არამედ სხვისაზე დაფუძნებული დეკორატიული სამშვენიისიაო და ა. შ. (მანდელშტამი).

ყოველივე ამის წამკითხველი და შემცნობ-განმცდელი ტიციან ტაბიძე წერს წერილს და ქართულ გაზეთში აქვეყნებს, რისი ახსნაც შესაძლებელია: ერთი მხრივ, საბჭოურ რუსულ პრესაში მენშევიკური საქართველოს მაგინებელ მანდელშტამს ვერ უპასუხებდა და, მეორე მხრივ, საბჭოეთის მგმობ ქართველთა გულელებში ერისკაცის ქარიზმით შეიმოსებოდა.

ახლა – ორიოდ „ტექნიკური“ საკითხი, რომელთა წვდომაც თავისთავად საგულისხმებელი როდია.

სათაურად გამოტანილ სიტყვა „ჭონტოლს“ ქართული სალიტერატურო ენა არ იცნობს, თუმცა ლეჩხუმურ დიალექტს შემოუნა-

ხავს სიტყვა „ჭონტო“, „მოზრდილ წიწილად, მოჩეტად“ რომ განიმარტება.

ილია ერენბურგი წიგნში „რუს პოეტთა პორტრეტები“ მანდელშტამს ასე გვიხატავს: „სუსტი, პატარა... წამოქოჩრილი თავი უკან გადაუგდია, ბოხი ხმით მედიდურად ადავლენს თავის საზეიმო ოდებს... მამლაყინწას ჰგავს, ოღონდ არა – საქათმესთან, არამედ – რა თქმა უნდა, აკროპოლის კედლებთან მყივანს...“ [ერენბურგი 2002: 82]. თითქმის ამასვე ამბობს ერენბურგი 1961 წელს გამოქვეყნებულ მემუარშიც („ადამიანები, წლები, ცხოვრება: მეორე წიგნი“):

„პატარა იყო, სუსტი... ქოჩორა თავს უკან გადააგდებდა ხოლმე. მას უყვარდა პოეტური სახე მამლისა, რომლის ყვილიც კვეთს აკროპოლის კედლებთან ჩამოწოლილ ღამეს. თვითონაც, როცა ბოხი ხმით თავის საზეიმო ოდებს ადავლენდა, მამლაყინწას ემსგავსებოდა“ [ერენბურგი 1961: 142]. არსებობს სხვა მემუარისტთა ანალოგიური შედარებანიც.

ტექსტების პირველი კრებული ერენბურგს 1922 წელს გამოუცია ბერლინში, რომლის წაკითხვაც ტ. ტაბიძეს შეეძლო. აქედან – ვარაუდით: ტ. ტაბიძეს, ილია ერენბურგის მსგავსად, მანდელშტამი მამლაყინწასთვის შეუდარებია და საამისოდ დიალექტური ფორმა (ჭონტო – მოზრდილი წიწილა + ფუძისეული სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი „ლ“ + სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“) გამოუყენებია (ეგებ ყვინჩილად სახავდა მას?).

„გასტროლიორი“ რომ მოწვეული, გასტროლზე მყოფი არტისტია, ყველამ იცის. თუმცა ეს სიტყვა ამ კონოტაციასაც ითავსებს: ის, ვინც ხშირად იცვლის საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილს თავის გასატანად.

მგონია, რომ ტ. ტაბიძე სწორედ მითითებული მნიშვნელობით იყენებს ამ სიტყვას („გასტრალიორი“) და სათაურადაც გამოაქვს.

წერილის ძირითადი დებულებები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

მანდელშტამი დაუპატიჟებელი სტუმარი, თავხედი, უმადური და სულიერად დაცემული მაწანწალა მათხოვარია; ამ გლახაკს, ჰონორარის სანაცვლოდ, აღუწერია თავისი სტუმრობა მენშევიკურ საქართველოში. მას კიდევ ერთხელ მოუწოდებია ამ ქვეყნის სათავისოდ გამოყენება... ის გველივით სისინებს... უსინდისო ფილისტერია, ანუ შეზღუდული მსოფლმხედველობის პირფერი მედროვე... ის რუსი კი არა, ებრაელია, და არც იმ დონის პოეტი, რუსული პოე-

ზიის სახელით ლაპარაკობდეს და ა. შ. „საქართველო არავის სისხლით არ არის გაზრდილი, ეს ყველამ იცის, მაგრამ შენ კი, მანდელშტამო, სისხლად გექცევა ის, რაც საქართველოდან მიგიღია!“ – არ ცხრება ტიცინან ტაბიძე [ტაბიძე 1923: 3].

ახლა ხომ სანახევროდ მაინც ცხადია, რად არ მოინდომებდნენ ამ წერილის თუ ტირაჟირებას არა, გამოყენებას მაინც – არც რუსი, არც ქართველი მკვლევრები.

პირველი, ვინც იმაზე დამრა სიტყვა, რომ მანდელშტამისა და ქართველ პოეტთა ურთიერთობა კონფლიქტით დასრულდა, ქართველი კრიტიკოსი გია მარგველაშვილი იყო [მანდელშტამი 1990: 30].

იგივე გაიმეორა რუსმა მკვლევარმა, ტიცინან ტაბიძეზე პირველი მონოგრაფიის ავტორმა, გალინა ცურიკოვამ. ოღონდ განსვენებული მეცნიერი თავს იკატუნებდა, თითქოს ვერ გაეგო, რას აღემფოთებინა ასე ტიცინან ტაბიძე [ცურიკოვა 2016: 123-124]. ალბათ ამ წერილის შინაარსი მოეხსენებოდა რუს მკვლევარ ტატიანა ნიკოლსკაიასაც, რომელიც ქართულის მცოდნეა [მანდელშტამი 1990: 391].

პაველ ნერლერმაც – მანდელშტამის საზოგადოების თავმჯდომარემ – იცოდა ამ წერილის არსებობა, რომლის თარგმანის გაგზავნასაც გია მარგველაშვილი შეჰპირებია, მაგრამ სიტყვა გაუტეხია [ნერლერი 2019: 329].

ამ ორიოდ წლის წინათ, როცა მანდელშტამის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მონოგრაფიის წერა დავიწყე, პაველ ნერლერს თხოვნა შევუსრულე, ჩემ მიერ მიგნებული „გასტრალიორი ჭონტოლის“ ტექსტი ვუთარგმნე და გავუგზავნე.

როგორც ზემოთაც ვთქვი, მგონია, რომ წერილის მიჩუმათება ემსახურებოდა, ზოგადად, „ქართველი და რუსი ხალხის“, კონკრეტულად კი, „ქართველ და რუს კალმოსანთა ურღვევი მეგობრობის“ საბჭოური მითისთვის სასიცოცხლო ძალების შენარჩუნებას. ცხადია, დღეს ველარავინ იდავებს იმაზე, რომ აბსურდია ამა თუ იმ ხალხის „მეგობრობაზე“ ლაპარაკი – დამეგობრება მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს ძალუძთ, და ეს „კავშირი გულთა შორისაც“ კი არ არის დაზღვეული კამათისა და უთანხმოებისაგან! ეს კი, უწინარესად, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდებს, ყველაზე ახლობელთა და კეთილმოსურნეთაც კი, შესაძლოა, და მეტიც – საჭიროა! – ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებანი და თავგანწირვით იცავდნენ მათ. ეს რეალური ურთიერთობის ყველაზე ნამდვილი მარკერია.

სამწუხაროდ, იმან, რომ ტიციან ტაბიძის ანტიმანდელშტამურ-რი წერილის კონკრეტული პასაჟების შესახებ არავინ წერდა, პაველ ნერლერს სულ სხვა რამ აფიქრებინა:

„...რუსულენოვანი მკვლევრები მას (ტიციან ტაბიძის „ანტი-მანდელშტამურ“ წერილს, გ. ჯ.) არც კი ეძებდნენ, მათი ქართველი კოლეგები კი, რომლებიც ეძებდნენ და, ბუნებრივია, პოულობდნენ, დაბნეულიყვნენ და თავს იკატუნებდნენ, ვერ ვიპოვეთო. ბევრი ახსენებდა მას, ოღონდ ყოველთვის დასძენდნენ ხოლმე: არა, არც არასოდეს გვინახავს, ვერ მივაგენით, ფონდებში არ არის, მოპარულია და ა. შ. სინამდვილეში, როცა „გასტრალიორ ჭონტოლს“ აწყდებოდნენ, გაოცება იპყრობდათ, თავიანთ რვეულებშიც კი იწერდნენ, ხოლო შემდეგ ფიქრდებოდნენ და ძრწუნდებოდნენ – დარცხვენილნი უკან იხევდნენ და დუმდებოდნენ, რვეულებს, ფრთებსა და ბაგეებს ბოქლომს ადებდნენ. ძალიან რცხვენოდათ ტიციანის – სვეუბედური შესანიშნავი პოეტის – გამო, რომლისთვისაც ბედს მანდელშტამზე ნაკლებად როდი ემუხბოლა!“ [ნერლერი 2019: 329].

დავიწყოთ იმით, რომ მთელი ეს პასაჟი ინსინუაციაა: შეუძლებელია, ბატონმა ნერლერმა იცოდეს, როგორ იქცეოდნენ და რას გრძნობდნენ ტ. ტაბიძის წერილის წამკითხველნი!

ასეც რომ იყოს, მაინც გასაოცარია რუსი სწავლულის აღქმა: მისი „ხილვისამებრ“, უნდა შერცხვენოდა ტიციანს და მის თანამემამულე მკვლევრებს, მაგრამ – არა, საკუთრივ, მანდელშტამს! წერილში მოყვანილ ბრალდებათა უმრავლესობა ხომ პოეტის თანამედროვეთა მემუარებით დასტურდება! ნერლერი ამას „ვერ იხსენებს“ და ტიციანის ყველა „ჩვენებას“ უკუაგდებს.

ცალკე განსახილველია ფრაზა იმის თაობაზე, რომ ნერლერის „ხილვისეული“ ტიციან ტაბიძის რისხვით დარცხვენილი ქართველი მკვლევრები „რვეულებს, ფრთებსა და ბაგეებს ბოქლომს ადებდნენ“.

„რვეულისთვის ბოქლომის დადება“, ალბათ, იმ ვითარებას უნდა აღნიშნავდეს, რომელიც ნამდვილად შექმნილიყო: ტექსტის გამომზეურება მართლაც არავის სურდა! უფრო ყურადსაღები კი ის არის, რა მოტივი ამოდრავებდათ მათ: ნერლერის აზრით, ქართველები ტიციანის საქციელს შეერცხვინა. კაცმა რომ თქვას, ნერლერის შეფასების ღირსია ყველა ის მკვლევარი, ვინც ტექსტის მიჩუმათება ყბადაღებული „პოლიტკორექტულობისა“ თუ გაუმართლებელი ნეიტრალიობის გამო გადაწყვიტა.

მე სხვა რამ მაფიქრებს: რას უნდა ნიშნავდეს „ფრთებისა და ბაგეებისთვის ბოქლომის დადება?“ ჩემი აზრით, იმას, რომ ქართველებს ამ „სამარცხვინო ფაქტის“ შემდეგ ზეცაში ფრენისთვის თავი უნდა გაენებებინათ და აღარც თავიანთ სამარკო „სტუმართმოყვარეობაზე“ დაემრათ სიტყვა!

ძალიან სამწუხაროა, რომ თანამედროვე რუსი მკვლევარი კვლავაც საბჭოური კლიშეს ერთგული რჩება, თითქოს ამბობდეს: თუ გინდათ, რომ ჩვენ, რუსებმა, ძველებურად სწორუპოვარ „სტუმართმოყვარე ერად“ გადიაროთ, ჩვენი სტუმრობა და თქვენი მასპინძლობა მარადიულ კონსტანტად ჩათვალიეთ, წარსულის თითო-ორო-ლა „შეცდომა“ შეინანეთ და სამომავლოდ გაითვალისწინეთ. თუ არადა, ენა დაიდუმეთ და ფრთები მოიკვეციეთო.

თუ ნერლერმა სხვა რამ იგულისხმა, იმედია, არ მოერიდება და ჩემს ვარაუდს ვარაუდადვე დატოვებს.

\* \* \*

ამგვარად, ვითარება თითქმის მთლიანად უცვლელია: რასაც ფიქრობდა მეოცე საუკუნის დიდი რუსი პოეტი საქართველოზე, რომელსაც დიდმპყრობლური პათოსი ცუდ ლექსებს მაინც არ აწერიებდა, იმასვე ფიქრობს ოცდამეერთე საუკუნის ცნობილი რუსი მეცნიერი, რომლის შეგნებული მიკერძოებულობაც მანდელშტამის რენომეს დათვურ სამსახურს უწევს, და ეს კიდევ ერთხელ გამახსენებს მუდმივად თანამედროვე ალტერნატივას: ქართული კულტურის გადასაწყვეტია, ძაბრსა თუ ქვევრივით ჩაიჭედოს მიწაში, როგორც ამისაკენ მანდელშტამი მოგვიწოდებდა, თუ ბოქლომი რვეულსაც ახსნას, ბაგესაც, ფრთებსაც, და იფრინოს – თავისუფლად და უშუამავლოდ.

## ლიტერატურა

**ტაბიძე 1923** – ტ. ტაბიძე, გასტრალიორი ჭონტოლი, გაზ. „რუბიკონი“, N14.

**ერენბურგი 2002** – И. Г. Эренбург, Портреты русских поэтов, Издание подготовил А. И. Рубашкин, Санкт-Петербург.

**ერენბურგი 1961** – И. Эренбург, Люди, годы, жизнь. Книга вторая., Новый мир, 1.

**მანდელშტამი** – О. Мандельштам, КОЕ-ЧТО О ГРУЗИНСКОМ ИСКУССТВЕ, [https://rvb.ru/mandelstam/01text/vol\\_2/03prose/2\\_179.htm](https://rvb.ru/mandelstam/01text/vol_2/03prose/2_179.htm)

**მანდელშტამი 1990** – О. Мандельштам, Стихотворения, переводы, очерки, статьи, Мерани, Тбилиси.

**მანდელშტამი 1999** – О. Э. Мандельштам. Меньшевики в Грузии // Мандельштам О. Э. Собрание сочинений в 4 т. – М.: Арт-Бизнес-Центр, Т. 2.

**ნერლერი 2019** – П. Нерлер, Осип Мандельштам и Грузия: Новые материалы, альманах Текст и традиция, 7, Росток, Санкт-Петербург.

**ცურიკოვა 2015** – Галина Цурикова, Тициан Табидзе. Жизнь и поэзия, Росток, Санкт-Петербург.

Grigol Jokhadze

## **On Titsian Tabidze’s Anti-Mandelstamian “Trick” and Cultural Resonance**

### Summary

The article discusses the issues regarding Osip Mandelstam’s and Titsian Tabidze’s indirect polemics on cultural and political strategy of Independent Georgia (1918-1921).

Assessing Osip Mandelstam’s attitudes and perceptions towards Georgia, both foreign and local researchers successfully use the Soviet Cliché that a very close friendship developed among Mandelstam and the Georgian authors (Blue Horns - a group of Georgian Symbolist poets and prose-writers which dominated the Georgian literature in the 1920s).

First, it was Gia Margvelashvili (1923-1989) – the Georgian man of letters and translator – who, in one of the earliest articles dedicated to Mandelstam’s life and heritage – “Not I can be sundered from life” (1967), mentioned that the friendship between Georgian authors and Mandelstam was ended by rather unusual conflict, provoked by Mandelstam’s critical

essay "A Word about Georgian Art". Mandelstam's irritation was inspired by the European literal imagery, generously used in pieces of Georgian authors. As a result, T. Tabidze's polemical essay had followed.

Paradoxically, neither Margvelashvili, nor G. Tsurikova – the Russian author of the first scholar monograph on Titsian Tabidze, virtually, say nothing about the essential anti-Mandelstamian pathos of under mentioned article. Yet, the bunch of accusations, T. Tabidze launched against Mandelstam, thoroughly alters the perception of the relationship between Mandelstam and the Georgian authors which were far from literal ones. It is, though, the thorny subject of another article.

\* \* \*

Mandelstam's critical essay "A Word about Georgian Art" is still interpreted as an instance, how the Russian poet sagaciously learned and cognized a foreign culture, how he was fascinated by cultural traditions, etc. Yes, there is a criticism, too, say the adherents of this pro-soviet myth, but Mandelstam defames only pro-western symbolists whereas adores Vazha Pshavela and Niko Pirosmani!

It is, however, worthy of note that Mandelstam poses himself as a representative of the Great Nation who will never put up with the sovereign ambitions of the small people which earlier considered as a part of Russian Empire. One can recall the postcolonial theory who perfectly assumed that only metropolis is reluctant to say the "truth" colony itself.

Thus, Mandelstam's references to Lermontov and his verses, and representing Tamar as the central figure of Georgian culture seem like a parody of Georgian culture as a whole, and aim to easily wipe the aspirations of Independent Georgian State by the instrumentalities of literature and art.